

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით


ფასი 1,50 ლარი

10 ნოემბერი 2006

№23



ქართული ფილმის ტრიუმფი პარიზში  
დრო — რომის მთავარი მოქალაქე  
აირევი ივერია  
ახალი ნობელიანტი  
რატომ მიდიან ბიჭები ომში  
როგორ მიიცვალა წმინდა ნინო



## შინაარსი

<b>ერი და გეოგრაფია</b>	2	ლია კუხიანიძე რატომ მიდინან ბიჭები ომში...
	4	ნინო ვახანია ღმერთს მსოფლოდ გავშვის თვალები ხელახლა
<b>ქართული-ინტერვიუ</b>	6	პოეზია – მარადისობის გადასახადი (საუბარი დათო მალრაძესთან)
<b>ღებულები</b>	8	ლაშა იმედაშვილი შავი ფარის საკი
<b>პოეზია</b>	19	დათო ბარბაქაძე ამაღლებულსთვის
	22	რუსუდან კაიშაური პოეტის სოფელი და სხვა ლექსები
<b>წაღწევის ღრმინა</b>	26	ნაჯიბ მაჰმუზი წვიმა
	26	ბაჰა ტაჰირი უცებ განვიმდა
	27	ჰანა ატია წვიმა
<b>უხსოვთნო სმოკაბიდან</b>	29	ისტორია ზღაპართა ჯაჭვია (ინტერვიუ ორჰან ფამუქთან)
<b>ქილო</b>	32	ერთი ქართული სიტყვა: „ცამეტი“ (ანდრეი კოსტიანეც ესაუბრება გელა ბაბლუანი)
<b>ანისტიკა</b>	34	დმიტრი მერეჟოვსკი სული და სორცი ხელოვნებაში
<b>ანონი</b>	39	ელგუჯა თავბერიძე აირავი ივერია
<b>გამოსაუკავა</b>	41	ლევან ქურციკაშვილი კიდევ ერთხელ წმინდა ნინოს აღსასრულზე
<b>რეპორტაჟი</b>	42	„მეორედ დაბადების“ მეორედ დაბადება (ფორუე ფაროხზადის კრებულის განხილვა)
<b>ფიქარი</b>	46	ვანო ჩხიკვაძე მცირე პროზა
<b>კრიტიკა</b>	50	როსტომ ჩხეიძე ისიც – ფრთოსნად ცინა (მერცხალას პოეტური საგზალი)
	54	თამარ ბლიაძე სამეული
<b>რეკლია</b>	56	შოთა ბოსტანაშვილი შექმნილი „დანაკარგი“
<b>უხსოვარი ნოველა</b>	57	ბარბარა ნოვირტი მოგონებების ქალაქი
<b>ნაკვეთი</b>	61	მასვილსიტყვაობის ნიშნები
<b>მოზიკა</b>	63	ერთი მარცხლის ჭიკჭიკი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საქართველო, თბილისი, სარაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ბოსფორის სრუტე  
გიორგი ლობჯანიძე

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 ნოემბერს

ლია კუხიანიძე

## რატომ მიღიან ბიჭები ომში...



მერი ტიტვინიძე შესანიშნავ წერილში „მე მტკივა ესპანეთი“, სანამ მიგელ დე უნამუნოსა და ილიას სულიერ ნათესაობასა და მათი სამშობლოებისთვის საჭირო ბოროტო საკითხებზე ორივეს საოცრად მსგავს შეხედულებებს წარმოგვიჩინდა (რომელსაც ის, გამომდინარე ვაჟას სიტყვებიდან: „ასეთია ხშირად საიდუმლო წერისა“, საიდუმლოდ მოიხსენიებს), მანამ ერთ ამბავს

გვაცნობს. კერძოდ, თუ რა ინტერესი მოჰყვა კრიტიკოსებისა და ლიტერატურისმცოდნეთა მხრიდან 1922 წელს იტალიურ ენაზე უნამუნოს „ბურუსის“ თარგმნას, რომელიც ძალიან ჰგავდა იტალიელი მწერლისა და დრამატურგის ლუიჯი პირანდელოს პიესას „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი“, როგორ გაეცნო სასწრაფოდ უნამუნო თანამოკალმის შემოქმედებას და ამ მოვლენას უძღვნა ესეი „პირანდელო და მე“, რომელშიც აღფრთოვანებული აღნიშნავდა, თანამოაზრე აღმოვჩინეო.

ზემოაღნიშნული მოვლენა ერთადერთი რომ არაა, ამის დასტური არა მარტო ლიტერატურა, მეცნიერებაც გახლავთ, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამით „საიდუმლო“ ამოხსნილია, და რადგან ასეა, მამ ყოველგვარი საიდუმლოს თანმხლები იდუმალება გაუფანტველია, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინს მხატვრული ლიტერატურის, ადამიანის სულის მარად ძველი და მარად ახალი თვისებების აღმოჩენა-აღმწერლის მომხიბლაობას.

უილიამ ფოლკნერის „არასოდეს დაილუპება“, ლუიჯი პირანდელოს „როცა ერთმანეთისა ესმით“ და ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება“. ორი მოთხრობა და ერთი რომანი. ლიტერატურული „საიდუმლოს“ სამი გამოვლინება, სამი თავისებურად გაცემული პასუხი სათაურში კითხვის ნიშნის გარეშე დასმული შეკითხვისა: „რატომ მიღიან ბიჭები ომში“... ბიჭები, რომლებიც თავიანთი გამჭრალი სიცოცხლისა და ახალგაზრდობის, შეუმდგარი ცხოვრების, უიმითობით თავს დამტყდარი უბედურების ფასად უკანასკნელ და უმნიშვნელოვანეს გაკვეთილს უტარებენ მშობლებს, რომელთა დიდი ნაწილისთვისაც ცხადი ხდება ყველაფერი ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ გაუგებარი იყო.

სამივე მწერლის ნაწარმოებთა „გმირი“ ომია, პირანდელოსთან I მსოფლიო, ფოლკნერთან სამოქალაქო, ოთარ ჩხეიძესთან კი უცნაური, სახელდაურქმეველი, ომი რუსთაველზე. არიან გაჯარისკაცებული ბიჭები, რომლებიც ომში ნასვლისას არ კითხულობენ: „რატომ“?.. სამაგიეროდ,

პასუხგაუცემელი ამ კითხვისაგან იტანჯებიან დაღუპულთა თუ დასაღუპად განწირულთა მშობლები, რომელთა ტკივილით ამოვსებულ გულელებში შვილის სიყვარულისა და მწუხარების გარდა არაფრისთვისაა ადგილი, მით უფრო, თუ მათგან ყველაზე სასწრაფო კვეთილთ ეს ომი და სამშობლო ერთმანეთისთვის ვერაფრით დაუკავშირებიათ, რადგანაც, მათი აზრით, ავანტიურისტთა მოწყობილ სასაკლაოზე მსხვერპლად შეწირულნი არიან მხოლოდ და არა გმირები.

ამიტომ ეუბნება ომში დაღუპული ერთადერთი ვაჟის მამა, მდიდარი ბანკირი დე სპეინი (უილიამ ფოლკნერი, „არასოდეს დაილუპება“) მასთან უსიტყვო თანაგრძობისათვის მისულ უცნობი ღარიბი ფერმერის ოჯახს (დედას და პატარა ბიჭს), ცოტა უფრო ადრე რომ დაჰკარგა შვილი, გაბოროტებული და სასწრაფო კვეთილი: „... ახლა გამახსენდა, თქვენც გირჩიეს, რომ თქვენს ვაჟს სისხლი დაენტხია მოუშზადებლობისა და დაუდევრობის საკურთხეველზე... თავისი სამშობლოსათვის! მას არ გააჩნდა სამშობლო. ამ ქვეყანას არც მე ვცნობ. მისი და ჩემი სამშობლო გაძარცვეს, შებილწეს და დაანგრეს 80 წლის წინათ... ილუზიისთვის დაიღუპა, მევახშური ინტერესებისთვის, პოლიტიკოსთა სიბრიყვისა და სიხარბის გამო. ორგანიზებული შრომის განდიდებისა და გაძლიერებისათვის...“

ამას ამბობს კაცი, თავისი ფულით მისისიპის გუბერნატორებსა და სენატორებს რომ ქმნიდა, იცოდა ომის ყველა მიზეზი. მისთვის სამშობლო მხოლოდ სამხრეთი იყო, საფიცარი – კონფედერატთა დროშა, და ვერაფრით გაეგო, მისმა შვილმა რომელი სამშობლოს სახელით დააჯახა იაპონელთა სამხედრო ხომალდს თვითმფრინავი და ააფეთქა. მან, ფულის კაცმა, რომელსაც მამის, მაიორ დე სპეინის გამო, ბედის ირონიით მაიორად მოიხსენიებენ, მქონებელმა ყველაზე დიდი სიმდიდრისა, რაც ოდესმე უგროვებია, არ იცის, რისი პატრონია 23 წლის შვილის სახით, რომელშიც მარგალიტივით იდო ის უძვირფასესი, რომელიც ყველა ჭეშმარიტ მამაკაცს, განურჩევლად ეპოქისა და წარმომავლობისა, დაბადებიდან დაჰყვება და ომში ნასვლის წინ არ ათქმევინებს: „რატომ“?..

დე სპეინის გადაწყვეტილება თვითმკვლელობისა გასაკვირიც არაა, მას დასაყრდენი გამოეცალა, ცხოვრებას აზრი აღარ გააჩნია და გამწარებული, ყველასა და ყველაფერზე გულაყრილი რჩევას აძლევს მასთან მისულ შვილმკვდარ დედას: „თქვენ ერთი ვაჟი დაგრჩათ. ისე მოიქეცით, რაც მე მირჩიეს: ნადით შინ და ილოცეთ, არა მკვდრებისათვის, არამედ მისთვის, ვინც ჯერჯერობით დაგიტოვეს. ეგებ სადმე რაღაცნაირად შეენიოს და იხსნას“.

მაიორის ეს რჩევა ყალბია, გამოუსადეგარი, რადგან მისი არაა, მისი უძილო ღამეებიდან გამოტარებული აწენილი სულისა და მდულარე გულის ანარეკლი არაა, ამიტომ არც სხვათა დაჭრილ სულს გამოადგება სალბუნად. იგი თვითონ

ელის „ერთი და იმავე რამისათვის მგლოვიარეებისგან“ მზამზარეულ ისეთ პასუხს, მწუხარებას რომ შეუმსუბუქებს იმით, მისთვის უაზროს აზრიანს გახდის, შვილის სიკვდილს რაღაცით „გაუმართლებს“ და ქვემარტობასთან ზიარებით უნაპირო სევდიან სიმშვიდეში შეაბიჯებინებს.

ამიტომ, როგორც მშველელს, ეკითხება დაღუპული პიტის დედას, სოფელ ქალს (ფრანგისხევს რომ არ გასცილებია და შვილის დაღუპვის გაგების შემდეგ „თავს ნება მისცა მხოლოდ ერთი დღით გლოვისა, რადგან აპრილი იდგა, გაგანია, უმძიმესი უამი თესვისა“): „შენ სამი თვე გქონდა, რომ გაგეგო, თუ რატომ, ჩემი გუშინ მოხდა, მითხარი, რა მიეცით შენ და მამამისმა, გეცოდინება, რა იყო!“

უბედურებისაგან გაუსუსურებული კაცის ამ კითხვას მოჰყვება საოცარი პასუხი ერთი ამერიკელი დედის პირით ნათქვამი, ნაგრძნობი სხვადასხვა ქვეყნების მილიონობით დედისა, რომელიც თავისი უბრალოებით ყველაზე უკეთ პასუხობს, „რატომ მიდიან ბიჭები ომში“...

„შემიძლია მაგაზე უბრალო რამ გითხრა (იგულისხმება დე სპეინის რჩევა. ლ.კ.), იტირეთ, მისთვის არა: ჩვენთვის, მოხუცებისათვის, ვინც არ ვიცით, რატომ... არ ვიცო... იქნებ ქალებმა არც უნდა იცოდნენ, თუ რატომ უნდა დაეღუპოთ ვაჟები ბრძოლაში, იქნებ მათ მხოლოდ გლოვა ევალებოთ, მაგრამ ჩემმა ვაჟმა იცოდა, რატომაც, და ჩემი ძმა რომ წავიდა ომში, პატარა გოგო როცა ვიყავი და დედაჩემმაც არ იცოდა, რატომ, მან კი იცოდა. და პაპაჩემიც იბრძოდა იმ ძველ ომში და, ვგონებ, არც დედამისმა იცოდა, რატომ, თვითონ იცოდა და ჩემმა ვაჟმაც იცოდა, რატომ წავიდა ამ ომში და ვიცი, რომ იცოდა, თუმც მე არ ვიცოდი. ვიცოდი, რომ უკან არ დაბრუნდებოდა, მაგრამ მან იცოდა რატომაც, თუმც მე არ ვიცოდი. ვერ გავიგებდი და ვერც გავიგებ, ასე რომ, არა უშავს, თუნდაც ვერ მივხვდებ, რადგან არაფერია მასში ისეთი, რაც მე და მამამისს არ მიგვეცეს. ეს ის რაღაცაა, რამაც გრძელი გზა გამოიარა, ასე რომ, ძლიერი უნდა ყოფილიყო, რათა ჩვენს მერე დარჩენილიყო, ისეთი რამ უნდა ყოფილიყო, რისთვისაც სიკვდილი ეღობოდა ამდენი ხნისა და გზის შემდეგ“ („შენს სიკვდილშია ჩემი ვაიცი და ნეტარებაც“. ილია).

„ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფლის ერთ წყევლა-კრულვიან“ (ილია) საკითხზე ფიქრს შეუპყრია რომიდან მომავალი მატარებლის მეორე კლასის ჭუჭყიან ვაგონში მსხდომი ხუთი მგზავრიც, მშობლები, ბიძები, მამიდები ომში წასულებისა (ლუიჯი პირანდელო, „როცა ერთმანეთისა ესმით“), ერთმანეთს არაფერს გამოლაპარაკებია მანამ, სანამ ერთ სადგურზე არ ამოემატათ მწუხარებისაგან განადგურებული დედა ერთადერთი შვილისა, ომში რომ მიჰყავთ, და მამა, რომ ცდილობდა დამხედურთაგან მოეღმინა მის მეუღლეს ცივად და დაუნდობლად ნათქვამი ის სიტყვები, „რომელსაც თვითონ ეუბნებოდა, სანუგეშოდ კი არა, ზედთან შესარიგებლად“.

ალმონდა, რომ თანამგზავრები ვერ გამოდგებიან უბედური მშობლების ნუგეშისმცემლებად, რადგან „უკვე მრავალს ან იქნებ ყველას გადახდენოდა“ გადასახდენი და, უფრო მეტიც, რჩევაც კი, ერთისაგან წამოსული, სასტიკია და შემაცბუნებელი, რადგანაც, მისი აზრით, დედისერთას მამა მასთან შედარებით „უკეთეს“ მდგომარეობაშია, შეუძლია, თავიც მოიკლას. აბა, „რაღა უნდა უყოს დარჩენილ სიცოცხლეს“. მას კი მეორე შვილის გამო ესეც არ შეუძლია.

„აბა, ეს რა ლაპარაკია?!.. რა, ბავშვებს ჩვენთვის ვაჩენთ თუ რა?“ იფეთქებს აქამდე მდუმარე ერთი მგზავრი, რაც ყველას გააფაციცებს და ომის პირველი დღიდან ფრონტზე მყოფი ვაჟის მამისაგან მიიღებს ყველასთვის შეჩვეულ, ტრადიციულ პასუხს: „ეჰ, რა თქმა უნდა, სამშობლოსათვის“. რასაც მოსდევს აღშფოთებული მგზავრის მოულოდნელი, უჩვეულო „სისულელეა, რანაირად? – თქვენ რა, მამულზე ფიქრობთ, როცა შვილი გიჩნდებათ? სასაცილოა! ბავშვები იმიტომ კი არ იბადებიან, რომ თქვენ გინდათ, იმიტომ იბადებიან, რომ უნდა დაიბადონ. ჰოდა, თან მიაქვთ ცხოვრება, მარტო საკუთარი კი არა, ჩვენიც. ესეც თქვენი სიმართლე. ჩვენ ვართ მათთვის, ისინი კი არ არიან ჩვენთვის. როცა ოცი წლისანი ხდებიან, ისინიც ხომ სწორედ ისეთები არიან, ჩვენ რომ ვიყავით ოცი წლისანი... რომელი ჩვენგანი არ წავიდოდა საბრძოლველად შვილის მაგიერ, რომ შეეძლოს? ყველანი. რატომ არ უნდა გავიგოთ ჩვენი ოცი წლის შვილების გრძნობები? რომლებსაც, რადგან ჟამმა დარეკა, ახლა ჩვენზე მეტად უყვართ სამშობლო?!.. თუკი სამშობლო არსებობს, თუკი ეს სამშობლო ისეთივე ბუნებრივი აუცილებლობაა, როგორც პური, რომელიც ყველამ უნდა ჭამოს, ვისაც შიშხილით სიკვდილი არ უნდა, საჭიროა, რომ ვილაც წავიდეს მის დასაცავად, როცა ჟამი დარეკავს, ჰოდა, ოცი წლისანი მიდიან“.

უსაზღვროა მგზავრების განცვიფრება, როცა გაიგეს, რომ ეს შვილმკვდარი მამის სიტყვებია. მამისა, რომელსაც გაძალღებული ცხოვრებით იმედგაცრუებული შვილის სიცოცხლის ოდესლაც უბადრუკ დასასრულს „ურჩევნია“, მისი მემკვიდრე კმაყოფილი და გულანთებული რომ წავიდა, ბედნიერი, ფუჭად რომ არ გაილია და ამ ყველაფერთან ერთად მამას შემოუთვალა, შავები არ ჩაეცვა.

ცოცხალ-მკვდარ ქალს, რომელსაც მიაჩნდა, მასავით ვერავინ გრძნობდა და განიცდიდა, აქამდე ისიც ვერ გაეგო, არა თუ სიკვდილს, შვილის ომში წასვლასაც კი როგორ შეგუებოდნენ სხვები და დე სპეინივით „ეძებდა ხელჩასაჭილს, ერთადერთს, რომელიც მისი ყრუ ტკივილის ბნელ ხილრმეში რაიმე გამომძახილს იპოვიდა“, ძალა დაღუბრუნდა, წამოხტა ადგილიდან და როცა მის შეკითხვას დაღუპულის მამისადმი – „ესე იგი... ესე იგი თქვენი ვაჟი დაიღუპა?!“ – მწარე, გულსაკლავი ქვითინი მოჰყვა, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ რაც უნდა შეიგნო და გაისიგრძეგანო ოცი წლის შვილისაგან ჩატარებული გაკვეთილის უმალეესი ქვემარტება, რეალობასთან შეგუება შეუძლებელია.

პიტის დედაზე რომ არაფერი ვთქვათ, ზემოაღნიშნული მამების ფონზე მეტად უსუსურად გამოიყურება ლუარსაბი, ლუო (ოთარ ჩხეიძე, „არტისტული გადატრიალება“), არჯვენელთა დიდი გვარის შთამომავალი, სახელოვან წინაპართაგან რომ არაფერი გამოიყოლია. თბილისელი, მთანმინდელი, არტისტი, გდიდის თეატრში დროებით ჩასული და იქ სამუდამოდ დარჩენილი, ქებასა და ტაშს დახარბებული. საერთოდ უინტერესო ყველაფრისადმი, რაც ქვეყანას ეხება. თბილისშიც გდიდიდან პრეზიდენტის მხარდასაჭერად წასულელებს უსაქმურობის გამო ადევნებული, რუსთაველზე თანამემამულეთა მასობრივი ფსიქოზის ეპიცენტრში მოხვედრილიც რომ ვერაფერს ხვდება, სანამ მთავრობის სახლთან თავის ერთადერთ ვაჟს არ შეხვდება, ბედმა თბილისში რომ ჩამოუყვანა, კაცი რომ დამდგარა ისე, მამას არც გაუგია.

მამისაგან განსხვავებით, დედაქალაქში თავის არჩევანს ჩამოუყვანია და, ეშმაკისაგან ცდუნებულ ქართველთა ხარაკირში ჩართული, შვილების ვერმცნობი, არხენი, კაცობისა და სამშობლოს სიყვარულის მხოლოდ სუფრაზე გამხსნებელი მამების ცოდვების გამოსასყიდად იმის დასაცავად დამდგარა, ვისაც სიყვარულსა და ერთგულებას ეფიცებოდნენ და მოატყუეს, უღალატეს, მიატოვეს, ვისაც სწამდა, „აღდგომა ქართველი ერისა და მთლიანად კავკასიისა“.

შეჰყურებს გაოგნებული ლუო შვილს, მისთვის უცნობ ახლგაზრდა კაცს, რომელიც გდიდში დაბრუნებაზე უარს ეუბნება და მის შეუვალ ბრძანებას, „დედას ნაიყვან და შინ ნახვალ“, ემორჩილება. თურმე უკანასკნელად უყურებს, როგორ გაბრუნდება მისი შვილი და „ჩანვება ქვიშის ტომრებიან ნაფშხვენებსა და ნანგრევებში, ქვა და ღორღში ჩანვება“ უსუსური, ბიჭობიდან ვერგამოსული მამის ჯიბრზე, რადგან მასში, ოცი წლის ქართველშია ის გრძნობა („აღმართის მხენელმა ძალამ რომ კაცი გასრისოს, შველა არ უნდა?!“ ილია), რომელიც ყველა ვითარებაში კაცად დატოვებს.

კი მიდის თბილისიდან გდიდს თავზარდაცემისაგან გონს მოსული ლუო, მაგრამ ვაი, რომ მისი საბოლოო გამოფხიზლება, თავის შეცნობაც და ცხოვრებაში ადგილის პოვნაც შვილის სიკვდილის შემდეგ ხდება. „ვამეხი ალაიანში ჩამიკლესო“, ეუბნება ბაადურ რიკოთელს („თეთრი დათვი“) შინაგანად და გარეგნულად საოცრად შეცვლილი ლუარსაბი, „უბედურება დამმართნია, ალბათ, ეს მეწერა. ერთი სიკეთე მაინც შემყრია: ახლა ვიცი, მესმის, მაშინ როცა ვლაპარაკობდი, თურმე რამდენი სიბრძნე მითქვამს, მა-

შინ არ მესმოდა. ვთამაშობდი, მხოლოდ ვთამაშობდი, არც მე მესმოდა და თურმე არც ჩემს მაცურებელსა, თორემ აქამდის დაეჭკვიანდებოდი, გამოვეხსნებოდი ლალატის კერპსა და ერთმანეთს ვისხნიდით“.

უილიამ ფოლკნერის „არასოდეს დაიღუპება“, ლუიჯი პირანდელოს „როცა ერთმანეთისა ესმით“, ოთარ ჩხეიძის „არტიტული გადატრიალება“ – საკუთარი სიცოცხლის ფასად, უფლის ნებით, მშობელთათვის ჩატარებული უკანასკნელი, უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი. კაცებად წასული ბიჭები და მათი სიკვდილით დაკაცებული მამები. შვილების არყოფნით გაუსაძლისად ქცეული სააქაო და საიქიოს გაადვილებული გზა, და მთავარი: ყველა დროისა და წარმომავლობის ჭეშმარიტი მამაკაცის მარადიული მზადყოფნა იმ მოწოდებაზე, განურჩევლად ნათქვამი სიტყვების სხვადასხვაობისა და მთქმელისა, სისხლის ყოველ წვეთში რომ თვლემს მანამ, სანამ ჟამი დარეკავდეს.

და რა მოწოდება თვლემს სისხლის ყოველ წვეთში? „მამა-პაპის ძვლებს გედავებთან და არ დაანებო“ (ალექსანდრე ყაზბეგი, „ხევისბერი გოჩა“).

ანდა ეს: „გახსოვდეს, რომ იმ ადამიანთა მიღმა, ვისაც გადაეყრები ცხოვრებაში, ოფიცრების მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმაც არის თვით სამშობლო, შენი სამშობლო და შენ მისი შვილი ხარ! ისევე როგორც შენი მშობელი დედისა და ისევე ეკუთვნის მას, როგორც დედას, და მედგრად დადექი მის დასაცავად, ისევე, როგორც დაიცავდი დედაშენს, თუკი ეშმაკის კერძნი თავს დაესხმოდნენ“ (ედუარდ ჰელი, „უსამშობლო კაცი“).

ნინო ვახანია

# ღმერთს მხოლოდ ბავშვის თვალები ხედავენ

თუკი კითხვა ნაწილობრივ თანაშემოქმედებაა (და მე მჯერა, რომ ეს ასეა), მაშ მკითხველს ყოველთვის უწევს სხვის ტყავში შეძრომა – მწერლისა და მისი გმირების თანაგრძნობა, მათი ცხოვრებით ცხოვრება. ამიტომაც გვყავს მეტად ან ნაკლებად საყვარელი პერსონაჟები, ვუგებთ ან ვერ ვუგებთ, ჩვენთანად მიგვაჩნია, სულიერ მეგობრებად აღიქვამთ ან ვერ ვიღებთ, ვერ ვითავისებთ მათ.

მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა განსაკუთრებულ თანაზიარობას განვიცდი იმ ადამიანებთან, რომლებმაც საკუთარი ქვეყანა, საცხოვრებელი, სამშობლო დაკარგეს. სამშობლოდაკარგულები სხვადასხვანაირად ავლენენ თავიანთ ღრმად ინტიმურ გრძნობებს (უმთავრესად, გარეგნულად არაფრით ამჟღავნებენ უსამშველო ნოსტალგიას)...

ასე შევიცანი მონათესავე სული, ფრანგი მწერლის ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიოს მამაში, რომელიც იძულებული გახდა, 30 წლისას დაეტოვებინა მშობლიური მორისი. აქედან მოყოლებული მას აღარც სამშობლო გააჩნდა, აღარც სახლი (იხ. „ჩვენი მწერლობა“ №8. ჟერარ დე კორტანზი, ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო, „მამაჩემი – აფრიკელი“ და ინტერვიუ ლე კლეზიოსთან. ფრანგულიდან თარგმნა ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძემ).

როგორც დე კორტანზი ამბობს „სამოც წელს მიღწეული (იგი) უკვე მოტეხილი, ნაადრევად დაბერებული, გაღიზიანებული, სამყაროს მონყვეტილი, გულგატეხილი კაცია, სამუდამოდ განდევნილი მორისიდან, მიუწვდომელი ქვეყნიდან“.

სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი მამა შვილისთვის, ოჯახისთვის უცხოა, „თითქმის მტერი“. მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა, რომ ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შვილი მამის ნაკვალევს გაუყვა, მამის კრძნობებს დაუნყოფი ძებნა და საბოლოოდ აღიარა: აფრიკელი თვითონ ივია. და ეს დანაკლისი – მორისი – მნიშვნელოვანი ხდება თვითონ მწერლისთვისაც. ამ მრავალმხრივ საგულისხმო ინტერვიუს ასე დაგვიანებით, ალბათ, არც გავიხსენებდი, რომ არა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ №21-ში გამოქვეყნებული ლე კლეზიოს საუცხოო ნოველა „ორლამონდი“ (ფრანგულიდან თარგმნა სოფიო ბენდიაშვილმა).

ამ ნოველის გმირს, პატარა კამარიანს ამქვეყნად ყველაზე მეტად ის საიდუმლოებით მოცული ადგილი უყვარს, საიდანაც ზღვისა და ცის მეტი არაფერი მოჩანს.

მეც მქონდა ოდესღაც ასეთი თავშესაფარი, სადაც ადამიანები და დედამიწა თითქოს არც არსებობს. ცხოვრების ორომტრიალს გამორიდებული მხოლოდ ზღვასა და ცას ხედავ და ოდნავ გადახრილი ჰორიზონტი ხან ისე ახლოა, თითქოს ხელის განვდენაზე, ხან კი – ძალიან შორი და მიუწვდომელი. მზე ზღვაზე ცეცხლის გზას აელვარებს და ასეთ დროს სასწაული არ გჭირდება, ისედაც გჯერა, რომ იმ ბილიკზე ფეხით გაივლი. ღმერთს მხოლოდ ბავშვის თვალები ხედავენ. იქ, მოკიაფე ზღვისა და მოციაგე ლაჟვარდის გვერდით ღმერთიც ახლოა, სულაც რეალური მეგობარია, რომლის სიახლოვესაც ყველაფრით გრძნობ და ყოველდღიური ცხოვრება შენთვის აზრს კარგავს.

ზღვისა და ცის და ოდნავ გადაზრდილი ჰორიზონტის პირისპირ დარჩენილს შეგიძლია არაფერზე არ იფიქრო, არც არაფერი დაგავინყდეს, მაგრამ ძველი, ჩვეულებრივი მნიშვნელობა დაკარგოს ყველაფერმა – სკოლამ, ქუჩამ, სახლმა, საავადმყოფომ... ასე მხოლოდ ბავშვობაში შეიძლება. ალბათ, ყველას აქვს თავისი ორლამონდი, – რეალური თუ წარმოსახული ცხოვრების (აბსურდის თეატრის) შენობაში ფანჯრის ლიობი, საიდანაც მარტო ზღვა და ცა მოჩანს. საკუთარი სახლი, საკუთარი სამყარო. საკუთარი ციხე-სიმაგრე, სადაც ვერავინ შემოაღწევს. შორს არიან დედაც, მეგობარიც, რომელიც სტვენითა და შეძახილით გამხნევენ და სხეულიც თითქოს კარგავს წონასა და მიწიერებას. ფრთებიც არ გჭირდება, ისედაც სხვა სამყაროს ბინადარი ხარ.

– კარგად სწავლობ? – ეკითხება გოგონას დედა. სწავლობ? სწავლობ? სწავლობ? იმეორებენ ქალაქის ქუჩები, შენობები... ხმაურსა და აურზაურში მისთვისაც იცლიან და აუცილებლად მკვეთრად, გულისგამანვრილებლად ეკითხებიან, ინტერესდებიან. თითქოს ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგ აღმდგარა, არ უნდა დარჩეს საიდუმლოდ: კარგად სწავლობ? რას აკეთებ? სად დადიხარ? რაზე ფიქრობ? როგორ არ გაიქცეს, არ მიატოვოს სკოლა, სახლი, მეგობრები. ჩქარა, შორს! სადმე აუცილებლად იქნება ფანჯრის ლიობი, თუნდაც პატარა ჭუჭრუტანა, საიდანაც მხოლოდ ზღვა და ცა მოჩანს და სხვა ყველაფერი აზრს კარგავს. ნეტარი ბავშვობა! ნუთუ აუცილებლად უნდა დავკარგოთ?.. ნგრევით, ზათქით, ღმუილით მოდის საშინელი და უღმობელი დრო და გვემუქრება ზღვის, ცის, სინათლის, ცეცხლის ბილიკის, წმინდა ოცნებისა და რეალური სასწაულის წართმევით. როგორც უნდა გავუძალიანდეთ, სადაც უნდა დავიმალეთ, ის მაინც მოვა, მეგობარი მაინც გაგვცემს. და ის, დრო, მოგვანახავს, მოგვაგანებს... და ველარ ვიგრძნობთ თავს მოფარფატი თოიად...

ჩემსავით კიდევ რამდენ პატარა გოგონას ჰქონდა თავისი, საკუთარი ზღვა და ცა. ომით, იარაღით, ძალით წაგვართვეს, წაგვგლიჯეს თავშესაფარი, სახლი, ოცნება, სიმშვიდე, ზღვაც და ცაც. განვლილის გაცოცხლება შეუძლებელია. მისი მხოლოდ გახსენება შეიძლება. ველარასოდეს დაგვიფენს მხურვალე მზე წყალზე ისეთ ცეცხლოვან ბილიკს, რომელზეც თავისუფლად შეიძლება ფეხით გავლა სასწაულის გარეშეც. ველარასოდეს განვერიდებით ყოველდღიურ ორომტრიალს, რადგან მოკლე თოკით ვართ მიბმულნი წვრილმან და უთავბო-

ლო საზრუნავზე, ვერ ვიფრენთ ცაში და ვერ ვიგრძნობთ ისეთ ნეტარებას, როგორსაც ოცნებათაგან თავისუფალი, მძიმე ტვირთწამოხსნილი ადამიანები განიცდიან.

ფრთხილად,  
სასიკვდილოა!

მოდის დრო და ლაპლაპა სფეროთი, ამნეებით, ბულოზერებით ტკბილ თავშესაფარს გვინგრევს, გვინადგურებს. მოგვეცი ძალა, იმ პატარა გოგონასავით ჯიუტად გავიმეოროთ: სხვაგან მოვნახავ!

ორლამონდის დანგრევა კი შეიძლება, მაგრამ განადგურება – არა. აქ (გულზე ხელს ვიდებ) ვერ ამოშლი. თუ ერთხელ მაინც გიგრძნია უზენაესთან სიახლოვე, იოლად ვერ შეეღევი. აღარასოდეს იქცევი ქალად (ან კაცად) და მუდამ ბავშვად დარჩები. მოგვეცი ძალა, ბავშვები ვიყოთ, ხანდახან მაინც.

**ჩვენი ზონტა**

ძვირფასო პაატა,  
იმედი მაქვს ოჯახთან ერთად კარგად დაბინავდი თბილისში.

ძალზედ გამახარა ცნობამ კახა კაციტაძის მიერ ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ ჩემს წერილზე გამოქვეყნებული გამობზაურების შესახებ. ნეტავ წაკითხვა შემეძლოს. ვფიქრობ, მისი ნიაღვრეები ახლოს იქნება შენს დაკვირვებებთან, რასაც ამერიკაში მიზიარებდი საქართველოს ლიდერების შესახებ. თქვენ ხომ ხშირად უზიარებთ ერთმანეთს შეხედულებებს. დიდი მადლობა ჟურნალისა და წერილის ნაწყვეტების თარგმანის გამოგზავნისათვის.

შენ იმდენს მესაუბრებოდი საქართველოზე, რომ ვერ ვისვენებ და თვალყურს ვადევნებ შენი ქვეყნის ამბებს. მაინტერესებს თუ როგორ გავლენას ახდენს მიმდინარე მოვლენები ხალხსა და შენს ოჯახზე.

მე უფრო მეტად ვარ საქმეებში ჩაფლული, ვიდრე ოდესმე. ძალზე ბევრი შეხვედრები და საუბრები დავგეგმე. რამდენიმე კვირის წინ შანხაიში ვიყავი და მოხსენება წაკითხე დიდ საერთაშორისო კონფერენციაზე (მეოთხედ ვიყავი ჩინეთში). იქ მალე გამოიცემა ჩემი წიგნი „ამერიკა ქველი“; გამოსცემს პეკინის უნივერსიტეტის გამომცემლობა და მამინვე დაიბეჭდება პეკინის უნივერსიტეტის ნამყვანი პროფესორის რეცენზიაც.

ახლახან მონაწილეობა მივიღე ახალი ამერიკული ეროვნული აკადემიური ორგანიზაციის დაფუძნებაში: „ფილოსოფიისა და მწერლობის აკადემია“; ამ ორგანიზაციის დაფუძნება აუცილებელი გახდა, რადგან ნეოკონსერვატორებმა ყველაფერი ხელში მოიქციეს და სხვას ყველგან ზღუდავენ. ამიტომ APL-ისადმი (ფილოსოფიისა და მწერლობის აკადემია) ყურადღება ძალზედ დიდია. განმეორებითი შეკრება გვექნება მომავალი წლის მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში.

მომიკითხე შენი ქალიშვილი. იმედი მაქვს ბედნიერია თავის სამშობლოში.

უთბილესი სალმით

**კლაუს რინი**  
ვამინტონი  
ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტი

# პოეზია – მარადისობის გადასახადი

\*

საუბარი  
დათო მალრაქსთაძე

– ბატონო დათო, თქვენი ლექსები იტალიურად და გერმანულად ითარგმნა. იტალიასა და გერმანიაში პოეზიის მოყვარულებმა გაგიცნეს და მიგიწვიეს. ჩვენი საუბარიც თქვენი ევროპული შთაბეჭდილებებით დავინწყით.

– ჯერ იტალიაში გახლდით და ამით დავიწყებ. ეს იყო პოეზიის დღესასწაული, რომელიც დაიწყო გენუაში, გადაინაცვლა ფლორენციაში და დასრულდა რომში. ამ დღესასწაულს ასეთი სათაური ჰქონდა: „ჰეი, გამვლელი, მოიცალე ლექსისთვის“. პოეზიას იტალიაში საერთოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მაგალითად, გენუაში საღამოები იმართებოდა დოჟების დიდ სასახლეში და სტადიონისხელა სივრცე სავსე იყო ხალხით.

სადღესასწაულო გახსნაზე ოთხ ენაზე ჟღერდა ლექსები: იტალიურად, ინგლისურად, ქართულად და რუსულად.

რომ ჩავედი, იქ უკვე დამახვედრეს ჩემი ლექსების თარგმანი. დიდი ნაწილი ქალბატონმა ნუნუ გელაქემ თარგმნა, რამდენიმე ლექსი – გაგა შურლაიამ.

გახსნაზე წამაკითხეს ჩემი ლექსი, რომელიც ჯერ ცნობილმა იტალიელმა პოეტმა – კლაუდიო პოცანიმ წაიკითხა იტალიურად. ეტყობა, ქალბატონი ნუნუს მიერ ისეა ეს ლექსი თარგმნილი, რომ ამ კაცმა ემოცია ვერ დამალა და, რომ დაასრულა კითხვა, იტალიურად რაღაცაც მიაყოლა. მე არ ვიცი იტალიური და მითარგმნეს, შესანიშნავი.

თარგმანს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ეტყობა, ქალბატონმა ნუნუმ ისე გადაიტანა ქართული ლექსი იტალიურად და ისე გამართა, რომ ბატონ კლაუდიოს დარჩა განცდა, რომ ის შესანიშნავია. ვფიქრობ, ამაში ქალბატონი ნუნუს დამსახურება მეტია, ვიდრე – ჩემი.



დარბაზში, რამაც ყველაზე მეტად აღმაფრთოვანა, უამრავი ახალგაზრდა იჯდა; შეყვარებული წყვილები ისხდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ იმ ასაკში არიან, სახალხოდ კოცნის რომ არ ერიდებათ. ძალიან გამეხარდა, რომ ახალგაზრდებმა ლექსისთვის მოიცალეს თავისი სულიერების გამო და არა – რაღაცის ან ვიღაცის ხათრით.

ფლორენციასა და რომშიც დიდ ყურადღებას უთმობენ პოეზიას...

ლექსს ამხელა მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყანაში, პირველად ვნახე. ხალხს პოეტი აინტერესებს, მისი ხმა აინტერესებს, მასთან შეხვედრის სურვილი აქვს . .

შთაბეჭდილებების გვირგვინი ფლორენცია იყო. განცდა, ემოცია აქ თავის მწვერვალზე ადის. იტალიაში რომ შედიხარ, პატივმოყვარეობა, რაც კი გაგაჩნია, საზღვართან უნდა დაყარო და დარჩე მხოლოდ ჭურჭელი, რომელსაც შეუძლია აღფრთოვანება. მხოლოდ და მხოლოდ აღფრთოვანების ნიჭი უნდა დაიტოვო...

ფლორენციაში, ერთ ტაძარში ოთხი საფლავი ვნახე. მრავალთა შორის ოთხი, ვისიც ვიცანი. სანტა კროჩეში განისვენებენ: დანტე ალიგიერი, მიქელანჯელო, მაკიაველი და გალილეო გალილეი.

გამოხვალ და გარეთაც საოცრებები გეღის, ლეთაებრივი სამყარო. ამ ხალხმა სრულყოფილებას ხელი შეახო.

დიდებული რამ არის სრულიად იტალია თავისი ლექსით, თავისი მხატვრობით, თავისი წარსულითა და დღევანდელით. ლამაზი ხალხი დადის ქუჩაში და, გარდა ბუნებრივი სილამაზისა, აქ ესთეტიკაა მალალ დონეზე. შუა საუკუნეებმა განსაზღვრა ეს ესთეტიკა. ფერთა მეტყველება ისე აქვთ გამჯდარი, რომ ჩვეულებრივი იტალიელიც კი, რომელსაც შეიძლება გაცვეთილი სამოსი ეცვას, გემოვნებით ახამებს ფერებს ერთმანეთთან. ტიციანისა და რაფაელის შთამომავალია, იმ კულტურის მატარებელი.

ისიც მინდა ვთქვა, როგორ პატრონობენ და უფროთხილდებიან ისინი თავის კულტურას. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დანტე ალიგიერის სახლი იარსებებდა. ისევე, როგორც ვერ წარმომიდგენია შოთა რუსთაველის სახლი. იმდენი ქართველი აქვს ამ ჩვენს საქართველოს გამოვლილი, რომ წარმოუდგენელია, რუსთაველის სახლი, მისი მაგიდა, ფანჯარა, საიდანაც იყურებოდა... დანტეს კი ეს ყველაფერი არსებობს. თავზარდამცემი იყო ჩემთვის ამის ნახვა; საუკეთესო გაგებით, თავზარდამცემი.

**- შთაბეჭდილებები იქვე თუ გაუზიარეთ თქვენს მასპინძლებს?**

- ასეთი რამ მოხდა: მოვიდა ახალგაზრდების გადამღები ჯგუფი. ისინი იღებდნენ შთაბეჭდილებას რომზე. მასალას აგროვებდნენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან. პოეტებიდან მე ჩამწერეს. იმდენად სავსე ვიყავი ემოციით, რომ არ გამჭირვებია სათქმელის გამოხატვა. ნახევარი საათი ვისაუბრეთ. ვიცოდი, რომ ამდენს არ შეიტანდნენ ფილმში და შეიძლება მხოლოდ რაღაც ეპიზოდი დაეტოვებინათ.

ბატონმა კლაუდიო პოცანიმ კი მითხრა, სათაურად უნდათ შენი ნათქვამი გაიტანონო.

**- ასეთი რა უთხარი?**

- ნიშანდობლივი ჩემთვის აქ, რომში არის ის, რომ დრო ნაშლილია-მეთქი. დრო არის პირობითი და ღვთაებრივი. ისეთი, რომელიც არა ჰგავს ამ ჩვენს პირობითობას. ანუ, წარსული, აწმყო და მომავალი სადღაც ერთ წერტილში იკვეთება და ღვთაებრივ დროში გადადის. გამიჩნდა განცდა, რომ მარკუს ავრელიუსი კი არ არის რომის მთავარი მოქალაქე, რომელმაც თქვა: მე ვარ იმპერატორი და მოქალაქეო, არამედ აქ დროა რომის მთავარი მოქალაქე. აი, ეს ფრაზა გაიტანეს სათაურად: „დრო – რომის მთავარი მოქალაქე“.

**- ევროპული შთაბეჭდილებები თუ იქცა უკვე ლექსებად? და აქვე: რატომ ეხმიანებით მკითხველს იშვიათად, დიდი პაუზებით?**

- მე მეჩვენება, რომ ჩემს სულიერ თავგადასავალს ვწერ. ეს სულიერი თავგადასავალი ხშირად პირადიდან არის ნასაზრდოები.

ერთხელ ვთქვი უკვე და ალბათ, გამეორება მომიწევს: ლექსი საწერ მაგიდასთან იწერება, მაგრამ საწერ მაგიდასთან არ იქმნება. რაღაც სჭირდება ადამიანს, რომ გულწრფელად გაჩნდეს სათქმელი – ფიქრით, ოცნებით, განცდით, ცრემლით, დღესასწაულით, ტკივილით. ყველაფერი ერთად რომ გადაიკვეთება, დროც რომ ნაიშლება (ყოველ შემთხვევაში, როდესაც ასეთი განცდა მიჩნდება), მაშინ დავაპირებ ხოლმე ვთქვა სათქმელი და მაშინ შეიძლება ჩავთვალო, რომ ამის მონაწილე შეიძლება გავხადო სხვაც, მეორე ადამიანი, და იგი ჩემი განცდის მხოლოდ მონმედ არ დავტოვო. აი, მაშინ „ვაკითხებ“ მკითხველს ჩემს ლექსებს.

გენუაში მითხრა ევტუშენკომ და ძალიან გამიკვირდა, შენ ხომ იცი, კოლუმბი აქედან იყოო. ვიცი-მეთქი. წარმოიდგინე, რამდენი ლექსი შეიძლება ჩვენ ამაზე დავწეროთო. გაცდებული დავრჩი! რა მაკავშირებს კოლუმბთან და გენუასთან, რომ პირდაპირ ლექსები არ დავაყარო?! ასეთი სიმძაფრით არ აღმიქვამს ეს ყველაფერი. ეტყობა, ევტუშენკომ აღიქვა ასე...

ლექსის საწერად როდესაც ვჯდები, ზედმინეწით ზუსტად ვიცი, რისი თქმა მინდა. თუმცა შეიძლება სიტყვამ სხვაგან წამიყვანოს, სათქმელს ათასი შენაკადი შემოუერთდეს, მაგრამ საწერად ვჯდები მხოლოდ მაშინ, როდესაც ვგრძნობ მთავარი სათქმელის სურნელს, გემოს. თუმცა ის რაღაც ან მიიღწევა, ან ვერ მიიღწევა. არ ვიცი. ლექსი საიდუმლოა და ამ საიდუმლოს ხიბლიც ისაა,

რომ ბოლომდე ვერ ახსნი. მასში იდუმალი და დაფარული ყოველთვის რჩება.

მთავარია, იმ სამყაროსთან, რომელიც გეძახის, პირნათელი იყო. ის სამყარო მართალი და წრფელია და რაღაც წამს გგონია, რომ გეძახის. ის მართალია და შენც მართალი უნდა იყო!

**- იტალიით დავიწყეთ. ახლა გერმანიასა და გერმანულ მკითხველზეც ვისაუბროთ. იქაური შთაბეჭდილებები გავგიზიარეთ.**

- ქალბატონ მანანა პაიჭაძეს დაუუკავშირდით, გერმანულისა და პოეზიის შესანიშნავ მცოდნეს, და შევთავაზეთ, წიგნის „სალვე“ გერმანული ვერსია შეგვექმნა. ქალბატონი მანანა დაგვეთანხმდა: ნავიკითხე და მივხვდი, რომ „ჩემიაო“. შემდეგ გამომცემელი ლევან თითმერია დაუკავშირდა გერმანიის ცნობილ გამომცემლობებს და იქიდან გამოგვეხმაურნენ, დაინტერესდნენ თარგმანით. ჩვენი მეგობარი სანდრო თვარაძე ჩაერთო და გამოიკვლია ამ გამომცემლობებიდან, რომელი იყო უფრო წარმომადგენლობითი და შევარჩიეთ „ფრილინგი“. ასე გავაფორმეთ კონტრაქტი. გერმანული სიზუსტით შეასრულეს ყველა პირობა. დათქმულ დროს გამოიცა წიგნი და დავიდა წიგნის ბაზრის ქსელში. შემდეგ გერმანიაში ჩვენი საელჩო დაინტერესდა. ქალბატონ მაია ფანჯიკიძეს მინდა დიდი მადლობა ვუთხრა.

ბატონ გივი მარგველაშვილს უღრმეს მადლობას მოვასხენებ, რომ მოვიდა და თავისი აზრიც გამოთქვა. არ დამალა თავისი ემოცია. ჩემთვის უზარმაზარი პატივი იყო მისი გამოჩენაც კი.

გამომცემლობის სახელით საჩუქრად მომიტანეს ვეებრთელა ალბომი – ბერლინის ღირსშესანიშნაობანი. წარწერაში მინიშნებული იყო ამ ალბომის ერთ-ერთი გვერდი, რომელზეც დაბეჭდილია ფოტოები – სამი „სალვე“, ანუ ხაზგასმული იყო ჩემი წიგნის სახელწოდება, რომელიც ჩემი სადარბაზოს შესასვლელის წარწერაა.

იქიდანაც საუკეთესო შთაბეჭდილებებით წამოვედი.

**- პოეზიის თარგმნაზე რა აზრისა ბრძანდებით?**

- საერთოდ თარგმანს რაც შეეხება, ორი ვერსიაა: ერთი თვლიან, რომ ლექსი არსებობს მხოლოდ იმ ენაზე, რომელზეც იქმნება და მეორენი ამბობენ, რომ ლექსს ნაციონალური საზღვრები არ გააჩნია. ორივე თავისებურად მართალია. კატეგორიული ვერცერთის მიმართ ვერ ვიქნები. გააჩნია, როგორი ლექსია, ვინ არის მთარგმნელი, ვინ არის პოეტი, ვინ არის მკითხველი, ვინ არის შემფასებელი.

ჰო, ის ერთი სტროფი გამახსენდა, იტალიური შთაბეჭდილებით შთაგონებული:

**დრო წაიშალა,  
როგორც ნაპირზე ტალღებისაგან  
ბავშვის ნახატი,  
ლეგიონერმა მისცა საყვირი –  
მარადისობის გადასახადი.**

ესაუბრა  
თამარ ღონღაძე

ლაშა იმედაშვილი

# შავი ფერის საკი

– როგორ გგონიათ, ჭრელავეი დაკავშირებული უნდა იყოს შეთქმულებთან? – იკითხა აბელ იაშვილმა და ფრანგულ პაპიროსს, რომელიც ისეთივე სიახლე იყო თბილისისთვის, როგორც მაკარონი, ცეცხლი შეაგება.

– მე ასე არ ვფიქრობ. – იცრუა ევტუშევსკიმ ისე, რომ გარეგნულად არაფერი დაეტყო.

– რატომ? ხომ იცნობდა ჯამს? – ჩაეძია იაშვილი.

– იცნობდა, ამას არც უარყოფს, მაგრამ ეს ნაცნობობა დანაშაულს არ უკავშირდება, ჭრელავეს ჯამი ჯერ კიდევ „ივერიის“ სტამბიდან ახსოვდა, სწორედ ამიტომ გადანყვითა მისი დახმარება, დამნაშავეებმა კი ორივენი გამოიყენეს, ასე ვთქვათ, ბრმა იარაღად.

– ჯამი და ბრმა იარაღი? – გაიკვირვა ექიმმა.

– არა, რა თქმა უნდა, საგინაშვილს და ჭრელავეს ვგულისხმობ. – დაამშვიდა გამოძიებელმა.

– წერილები? – დააზუსტა იაშვილმა.

– რა თქმა უნდა, ნათელია, მუქარის წერილები თავად ჯამის ან მისი თანამზრახველების დანერგული უნდა იყოს და იმ მიზანს ემსახურება, რომ, ერთი მხრივ, დაამინოს საგინაშვილი, ხოლო მეორე მხრივ, იგივე საგინაშვილი დაარწმუნოს საკუთარ საქაროებაში.

– მართალს ბრძანებთ. – დაეთანხმა იაშვილი. – დაინყო თუ არა სამსახური ჯამმა, მუქარაც შეწყდა.

– ჯერ ბანკი მოსინჯეს, რომ არაფერი გამოვიდა, ძველი მოურავი მოკლეს და ჯამი, საბრალო ქალის დახმარებით, მის ადგილას გაამწესეს, ახლა უკვე ცხადია, სტრაჟნიკების დაგვიანებით მისვლა შემთხვევის ადგილას, რაც სხვა ბევრ რამესთან ერთად, მის სინდისზე უნდა იყოს.

– მოურავი ყველაფერს უარყოფს. – თავი გადააქნია იაშვილმა.

– თქვენ რას მოიმოქმედებდით მის ადგილას? – იკითხა ევტუშევსკიმ და აბელ იაშვილს იმგვარად შეხედა, რომ საბრალო ექიმს, რომელსაც დღემდე არანაირი დანაშაული არ მიუძღოდა, ცივმა ოფლმა დაასხა.

– ენას კბილს დავაჭერდი. – ამოთქვა უდანაშაულო დამნაშავემ.

– ჯამიც ასე იქცევა, მაგრამ იმ დრომდე, სანამ ვინმე გასცემდეს და საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით არ გასწირავდეს.

– ასეთი ვინ უნდა იყოს? – დაინტერესდა აბელ იაშვილი.

– მეეტლე ლაბაური.

– ისიც რომ ჩუმად არის?

– დროებით, მერწმუნეთ ბევრი გზა არსებობს არესტანტის ენის გასახსნელად.

– ნუთუ წამება? – შეშფოთების ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი რამ ექიმისთვის სრულიად მიუღებელი გახლდათ.

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №22

პეტრე ევტუშევსკიმ ექიმის კითხვა უპასუხოდ დასტოვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გამოძიებელს საპასუხო არაფერი გააჩნდა, უბრალოდ, ტყუილი ექიმს, რომელსაც მეგობრად თუ არა, კარგ ნაცნობად მაინც თვლიდა, არ აკადრია, ხოლო სიმართლის თქმას ძიების ინტერესი უშლიდა ხელს, არადა გეგმა ნაბიჯ-ნაბიჯ დასახული ჰქონდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ლაბაური გამოძიებასთან თანამშრომლობას თავადვე მოინდომებდა.

ცხადზე ცხადი შეიქნა, პეტრე ევტუშევსკის დუმილი იმის მანიშნებელი გახლდათ, რომ ძიება თბილისში ინაცვლებდა. კაცმა რომ თქვას, საქმის ამგვარი შემობრუნება აბელ იაშვილს, დიდი ქალაქის ჭეშმარიტ შვილს, გაუხარდა კიდევ, რადგან საგურამოს ერთფეროვანი სერების ცქერა გვარიანად მობეზრებული ჰქონდა.

თბილისის დარდი უჭირდა, სევდას ვერ ეგუებოდა და არც გულწათბობილი ყოფნა უყვარდა, ასე რომ, ძველებურ, ხალისიან ცხოვრებას აგრძელებდა, ისეთს, როგორც ოდითგანვე მიჩვეული იყო, თითქოს არც არაფერი მომხდარა. გრძელდებოდა დროსტარება, ღვინის სმა და ცარიელი საუბრები.

გაიგებდით ასეთ ანეკდოტს: დედა-შვილი ბანზე კვერცხს მიირთმევენ, მაშინაც რომ გოგლი-მოგლს ეძახდნენ, იმას. შვილი ვერცხლის კოვზს დასწვდება, დედა შეაჩერებს. დედი ჯან, შემოგვევლოს დედაი, ვერცხლით არა სჭამო, კვერცხი გაშავდება. ეს ამბავი ქუჩაში მოსიარულე კინტოს ესმის, ფაშფაშა შარვლიდან ჯიბის ვერცხლის საათს იღებს და გულთან ახლოს გადაიტანს.

ხა, ხა... ხი, ხი... ხო, ხო...

ვინმე ლორთქიფანიძემ, თბილისელმა მენარმემ, მუშთაიდის ბაღში სრულიად ახალი გასართობი ალაგი გახსნა, რომელსაც „ტრამვაი“ შეარქვა. ათასი რამე-რუმეების გარდა, ამ ტრამვაიში უფასო სამკითხველოც არსებობდა, სადაც ნებისმიერი გაზეთის გაცნობა შეეძლო და ინტერესებულ მკითხველს.

სხვაგან სხვა რამეები ხდებოდა. მიხაილოვის ქუჩაზე, იტალიის ბაღში, კულა გლდანელი ჭიდაობდა. ძმები ნიკიტინების ცირკში სხვებიც გამოდიოდნენ: ესებუა, რუსი სტუპინი და თათარი აკტი აილუგოვი.

გოლოვინსკზე, სულიეს ცირკში, ერთმანეთს აკრობატები ეჯობებოდნენ.

პატყეის ძაღლების წარმოდგენაში ოთხფეხა ფრიდა მონანილოვობდა, რომელიც გაცეცხულ პუბლიკას დომინოს ეთამაშებოდა და მარტივ არითმეტიკულ ამოცანებს ხსნიდა.

ეიპანმა ცვილის ფიგურების მუზეუმი გახსნა, სადაც მომაკვდავი ნაპოლეონის ფიგურა გამოჰფინა, ტანმოკლე ფაშათ-ფაშა, ყველას გასაოცრად, დროდადრო ღრმად სუნთქავდა, თვალებს ალებდა და წარმავალი ადამიანის სევდიანი მზერით ემშვიდობებოდა ამ სანახაობის შემყურე დაბნეულ თბილისელებს.

გოგონები, მათ შორის ახალგაზრდა ქალებიც, ხოჯევანქის სასაფლაოზე ადიოდნენ და მკითხაობით იხალისებდნენ ცხოვრებას. სამკაულებს მტკვარში ყრიდნენ, რიტუალურ ლექსს, ჯან-გიულუმს კითხულობდნენ და ამგვარი მარტივი ხერხით ცდილობდნენ მომავლის ამოცნობას.

ერთ დღესაც ქალაქის თავზე საჰაერო ბურთი გამოჩნდა. ოლგა დრევიცკაია ორასი მეტრის სიმაღლიდან დასცქეროდა შეშინებულ პუბლიკას. თვალი ეცა თუ რა იყო, არავინ იცის, მაგრამ ბურთი ჯერ ერთ ადგილას გაშეშდა, მერე შეზანზარდა, ბოლოს ნელ-ნელა ქვევით დაეშვა და მტკვარში ჩავარდა მამაც ოლგასთან ერთად, რამაც, მარცხის მიუხედავად, მქუხარე ტაში და საერთო მხიარულება გამოიწვია. ოლგა მეთევზეებმა გადაარჩინეს, რაც დაუყოვნებლივ აღინიშნა კიდეც დროსტარებით მიმდებარე ბალებში.

კვლავ პირველობდნენ თბილისური დუქნები, თავისი დაუსრულებელი ღრეობით, რომელიც, ქართული ადათ-წესის თანახმად, ხშირ შემთხვევაში, დაუნდობელი მუშტი-კრივით სრულდებოდა ხოლმე, რაც გვარიან თავსატეხს უჩენდა ისედაც საქმეებით გადაღლილ ქალაქის პოლიციას.

ევროპა კანონებითაც მკვიდრდებოდა თბილისში.

ასე მაგალითად: დებმა, ანნა კაპინოვამ და შუშანა კალამკაროვამ, რომლებიც ქალიშვილობაში სულთანოვის გვარს ატარებდნენ, მამის, ივანე სულთანოვის გარდაცვალების შემდეგ, გვარიან მემკვიდრეობას გამოჰკრეს ხელი მიწისა და სახლის სახით, რაც რამდენიმე წლის წინათ სრულიად წარმოუდგენელ საქმეს წარმოადგენდა, იმ მარტივით მიზეზის გამო, რომ მემკვიდრეობა, ძველებური წესის თანახმად, მხოლოდ მამაკაცები ისაკუთრებდნენ.

თვალნათლივ გამოჩნდა, თბილისს გლოვის არც დრო გაჩნდა და არც ხალისი ჰქონდა. სწორედ მაშინ, როდესაც თბილისში ვერაგულად მოკლული, თავად ჭავჭავაძის ცხედარი ჩამოასვენეს, საქალაქო უპრავა საკუთარ სხდომაზე ერთ საკითხს განიხილავდა. მიუხედავად მოჩვენებითი საერთო სევდა-დარდისა, საკითხის საქვეყნო მნიშვნელობის გამო სხდომის გადადება მაინც ვერ მოხერხდა და მის დასრულებას სრული ორი დღე დასჭირდა.

არადა, ვერ გაამტყუნებ, მართლაც სასიცოცხლო რამეზე მსჯელობდნენ.

გაგულისებულმა კოლეჟსკი სეკრეტარმა, ზაქრო ზავრიევმა უპრავაში იჩივლა, კერძოდ, მის ერთ-ერთ წევრს, ხოსროევს მიმართა და თბილისის სავაჭრო პოლიციის აგენტის, ალიხანოვის დასჯა მოითხოვა. მიზეზიც ჰქონდა, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ფული ფულად დაიკარგა, საქონელი საქონლად, მამის ტოლა კაცი გალახეს და გაამასხარავეს. მაინც რა მოხდა? განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ კაცია და გუნება. ზავრიევმა მუშა ხეჩო ავეტოვს ერთი ტომარა ხორბლის შეძენა დაავალა. ხეჩო თათრის მოედანზე გაემართა, ხორბალი იყიდა, ზურგზე მოიგდო და ის იყო ღვინის აღმართს შეუყვავა, რომ აგენტი

ალიხანოვს გადაანყდა, რომელიც თბილისში გადამყიდველებთან ბრძოლით იყო განთქმული. აგენტს ხეჩო არ მოეწონა, ეტყობა, ამ საქმეში ადრეც შემჩნეული ჰყავდა, ტომარა ჩამოართვა და გააპანდურა, რაშიც მას გიგო მანთაშევის პრიკაზნიკიც დაეხმარა, რომლის გვარი ზავრიევს აღარ ახსოვდა. აცრემლებულმა ხეჩომ კოლეჟსკი სეკრეტარს მიმართა, იმან კიდეც ქალაქის უპრავას. ხოსროევმა ამ რთულ საქმეში გარკვევა გადაწყვიტა, ალიხანოვი თავისთან დაიბარა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ალიხანოვმა მომხდარი არ უარყო, თუმცა ამ ყოველივეს თავისებური გამართლება მოუნახა. მეო, უთქვამს ალიხანოვს, მთელი ცხოვრება უმსგავსოებას ვებრძოდით, ბაზრის სმატრიტილად სწორედ ამიტომ წავედიო, ვილაცამ ხომ უნდა დაამყაროს წესრიგი მეიდანზეო. ამ საქმეს რამდენიმე თვე ვაკვირდებოდი, ბევრ რამეში გავერკვიე და ბევრიც გამოვარკვიეო. ეს მუშები მეიდანზე ათი-თხუთმეტი წელია მუშაობენ და მხოლოდ ერთი რამით არიან დაკავებულები, დილაადრიან იაფად ყიდულობენ ხორბალს, მერე ლავკებში არიგებენ და თითო ტომარაში ხუთ კაპიკს იგებენ, სწორედ ამიტომ მე ავუკრძალე ავეტოვს, და ასევე მის ამფსონებს, დღის თორმეტ საათამდის ბაზარში გამოჩენა. იმ დღეს მართლაც დავინახე ავეტოვი, რომელიც ტომარას მოათრევდა, უკან კი ჩხუბით გიგო მანთაშევის პრიკაზნიკი, ტიგრან მიქელოვი მოსდევდა. ორივენი გავაჩერე და ამბავი ვიკითხე. მიქელოვი ხორბლის დაბრუნებას ითხოვდა, რადგან ახმედ ხაჯი აბდულა-ოღლისგან მთლიანად ჰქონდა შეძენილი, ხეჩომ კი დაუკითხავად აიღო ერთი ტომარა, რომლის დაბრუნებას არ აპირებდა და თანაც ზავრიევს სახელს ახსენებდა. ორივენი უკან მივბრუნე, დავუძახე ბაზრის მორიგე იოსავას, საქმეში გარკვევა დავავალე, მე კი ჩემს საქმეებზე გავემართე. უკან მალევე დავბრუნდი, ზავრიევი უკვე მოსული იყო, თან რამდენიმე მუშა ჰყავდა მოყვანილი, მე მლანძღავდა და ბაზრის მუშებს ბუნტისკენ მოუწოდებდა, იძახდა, თითქოს საქონლის შეძენით მე ვიყავი დაკავებული და ფულიც ჩემთან შემოდოდა, ამ დროს მე უკვე ვიცოდი, რომ ზავრიევს უპრავაში საჩივარი ჰქონდა შეტანილი, ამიტომაც გამოველაპარაკე, ამ საუბარს სხვებიც ესწრებოდნენ, ასე რომ, ტყუილის თქმას არ მაპატიებენ.

ამის შემდეგ ალიხანოვმა სიტყვა-სიტყვით მოიყვანა აღნიშნული საუბარი:

– თქვენ ბრძანდებით ზავრიევი?  
– დიას, მე ვარ.  
– მე ალიხანოვი გახლავართ. თქვენ მიჩვილეთ ქალაქის უპრავაში?  
– მე ვიჩვილე.  
– რა უფლება გქონდათ ჩირქი მოგეცხოთ ადამიანისთვის, როდესაც საქმის არსში ვერ გარკვეულხართ?

სამშაბათს, 14 ნოემბერს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება წარდგინება  
**მაია ჯალიაშვილის**  
ნიგნებისა  
**„სიცოცხლის საიდუმლო“**  
და  
**„ქართული**  
**მოღერინისტული რომანი“**  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

– უფლებაც მქონდა და მეტსაც გიზავ!

ამის შემდეგ ზავრიევი ალიხანოვს მივარდა და ქოლგა მოუქნია. აგენტმა ქოლგა აიცილა და თავდამსხმელს გვარიანი ალიყური აჭამა.

რა თქმა უნდა, სხვებიც დაიკითხნენ.

ბაზრის მორიგე იოსავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ავეტოვმა პრიკაზნიკ მიქელოვს უშვერი სიტყვებით აგინა და კისერშიც ეტაკა ყელის გამოსაჭმელად.

მუშები გრიგოლ ბოსიკოვი და გაბო გაბრიელოვი, ორივენი ერთხმად აღნიშნავენ ზავრიევის მონოდებას ბუნტისკენ.

მწონავი არტემ ხაჩატუროვი, რომელსაც ზავრიევი შეურაცხყოფა მიაყენა და დაუფარავად, პირდაპირ ასე უთხრა, ენა ჩაიგდე, ბევრს ნუ ლაპარაკობ და აქედან გაეთრიეო.

სხვებმა კიდევ სხვა თქვეს: პეტრე კობახიძე, აბესალომოვი, სერგო ოგანესოვი, მნაცაკან მკრტიჩევი, ნიკოლოზ ტერ-აკოფოვი, შიშისა თუ რიდის გამო ესენი სხვაგვარად ჰყვებოდნენ მომხდარს, ზავრიევის მხარე ეჭირათ და ყველაფერში ალიხანოვს ამტყუნებდნენ. ასეა თუ ისე, ხოსროვეი ამ ჩახლართულ საქმეში მაინც უნდა გარკვეულიყო და შეკრებილი საზოგადოებისთვის, რაც უნდა მტკივნეული ყოფილიყო, გადაწყვეტილება ემცნო, ხუმრობა საქმე ხომ არ არის, კოლეუსკი სეკრეტარის საჩივარი, სიტყვით რომ გამოეხატა ეს რალაც, ანუ საყვედური, კიდევ არაფერი, მაგრამ საბუთი ჰქონდა, თანაც სეკრეტარიატში გატარებული. მთელი მეიდნის ჭრელი საზოგადოება ერთად იდგა და ხოსროვეის ვერდიქტს ელოდა, ყველაზე საოცარი კი მაინც ის იყო, რომ ყელშეხვეული მელიქოვი მეგობრულად ესაუბრებოდა კბილებალესილ ხეჩო ავეტოვს და, ვინ იცის, იქნებ ორივენი მომავალი დროსტარების გეგმასაც აწყობდნენ, თბილისური სანოვაციისა და თბილისური ზურნა-დაირის თანხლებით. ვისაც ამ ქალაქში არ უცხოვრია, ამას ვერასოდეს გაიგებს. აბა, როგორღა მოიცლიდნენ თავად ჭავჭავაძისთვის, ანდა კიდევ მისი გამქრალი საკისთვის.

ღირდა ამისთვის სიკვდილი?

ღირდა ამათთვის სიკვდილი?

თითქმის იკითხა გამომძიებელმა პეტრე ევტუშევსკიმ და დარცხვენით აბელ იაშვილს შეხედა, რომელსაც, ამ ბოლო დროს, ქართველობა ისე სტანჯავდა, როგორც უკაბობა ქუჩაში გამოგდებულ, ღირსებააყრილ, შიშველ მანდილოსანს.

პეტრე ევტუშევსკი ამის იქით, იგულისხმება ჭკუის დარიგება, აღარ წასულა, არადა, როგორც ყველა რუსს, უტიფრობიდან გამომდინარე, თავისუფლად შეეძლო. იქნებ მეგობარი დაინდო, ანდა მეგობრის ის გრძნობა, რომელსაც ქართველები დღესაც სიამაყით ეროვნულს ეძახიან.

მეტეხის ციხეში გამომწყვდეულ თედო ლაბაურს ამ საქმეების შესახებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რადგან მისი საკნის სარკმლიდან მხოლოდ ციხის მიმდებარე ქუჩა მოჩანდა სამჭედლოების გრძელი რიგით, რომელთა დაუსრულებელი, მხოლოდ ამ შრომისთვის დამახასიათებელი ხმაური, ხშირ შემთხვევაში, ძილის საშუალებას არ აძლევდა საბრალო პატიმრებს და მათ ისედაც აუტანელ ცხოვრებას კიდევ უფრო მეტ სატანჯველს ჰმატებდა.

ტყუილად ხომ არ ისწავლა პეტრემ ინგლისში?! ჰოდა, ამ რიგის გამოყენება სცადა, რომელშიც ყოველი მეორე, მეტი თუ არა, ისედაც პოლიციის აგენტი იყო და ზედმეტი ახსნა-განმარტება აღარ ესაჭიროებოდა. ევტუშევსკიმ საკუთარი გეგმა აბელ იაშვილს გააცნო, რაც, მართალია, გარკვეულ რისკთან გახლდათ დაკავშირებული, მაგრამ წარმატების შემთხვევაში, ამ ჩახლართულ საქმეს სანახევროდ მაინც მოჰფენდა ნათელს. ევტუშევსკიმ ლაბაურის და ასევე მეურმეთა ჩვენებიდან თავდამსხმელთა რაოდენობა და ჩაცმულობა ამოინერა, შემდეგ კი აგენტები თეატრალური გრიმისა და რეკვიზიტის დახმარებით ზუსტად ისე გამოანყო, როგორც ამ ჩვენებებში იყო მითითებული. ასე ჩაცმული აგენტები სამჭედლო რიგების წინ განალაგა, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ერთი რამ ევალებოდათ, ლაბაურის საკნისთვის ეცქირათ და როგორმე მისი მზერა დაეჭირათ, რა თქმა უნდა, თუ მეეტლე სარკმელთან მისვლას მოინდომებდა. რომ მოინდომებდა, ევტუშევსკი დარწმუნებული გახლდათ, რადგან ამას უკვე, ხრიკებითა და ეშმაკობით, საკანში მოხვედრილი ის პატიმრები შეუწყობდნენ ხელს, რომლებიც გარკვეული შეღავათების მისაღებად პოლიციასთან წლობით თანამშრომლობდნენ. ერთადერთი, რაც ამ ოპერაციას საფრთხის ქვეშ აყენებდა, როგორ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, ისევე ლაბაურის ჩვენება იყო. შესაძლებელია მეეტლე აქაც ცრუობდა და თავდამსხმელთა ჩაცმულობა-გარეგნობას საკუთარი ღარიბი წარმოსახვით თუ სხვათა მითითებით აღწერდა. ამ შემთხვევაში ევტუშევსკის ჩანაფიქრი ფუჭი აღმოჩნდებოდა და გამოძიებას იმ ადგილზე დააბრუნებდა, სადაც ოპერაციის დაგეგმვამდე იმყოფებოდა.

სამჭედლო რიგის გახსნისთანავე აგენტები დათქმულ ადგილზე განლაგდნენ და ლაბაურის საკნისკენ დაიწყეს ცქერა. ლოდინმა თითქმის ორი დღე დაიჭირა. ბოლოს გისოსებში მეეტლეს თავი გამოჩნდა, რომელიც ლობეში გაჩხერილ ღორს უფრო ჩამოგავდა, ვიდრე უდანაშაულოდ დაპატიმრებულ პატიმარს. რადგან სამჭედლო რიგი ციხესთან საკმაოდ ახლოს იყო განლაგებული, აგენტები კარგად ხედავდნენ ლაბაურის სახის გამომეტყველებას, რომელიც, თუ მათ დაეჯერებათ, ნელ-ნელა კარგავდა ჯერ კიდევ შემორჩენილ ადამიანურ სინითლეს და ახლად მოსული თოვლივით თეთრი ხდებოდა. თავის მხრივ, ლაბაურიც ხედავდა სამხედრო სამოსში გამოწყობილ მამაკაცებს, თუმცა მათი სახეების გარჩევა უჭირდა არა ობიექტების სიმორის გამო, არამედ იმიტომ, რომ აგენტები მათემატიკური სიზუსტით ასრულებდნენ ევტუშევსკის მითითებას და დაშინებულ მეეტლეს სახეს არასოდეს უჩვენებდნენ.

ჩანაფიქრმა გაჭრა, ლაბაური დაშინდა, ციხის უფროსს მიმართა და გამომძიებელთან შეხვედრა მოითხოვა. ევტუშევსკიმ აქაც გეგმის მიხედვით იმოქმედა და მეეტლესთან შეხვედრა რამდენიმე დღით გადასდო, რათა ლაბაური საბოლოოდ გამოეყვანა მდგომარეობიდან.

ამ შემთხვევის შემდეგ ქართველმა იაშვილმა კიდევ ერთხელ დააფასა რუსი ევტუშევსკი, მეტად კი ევროპული განათლება, რომელიც, მისთვის და ქვეყნისთვის სამსუხაროდ, თავად იაშვილს არ გააჩნდა, თუმცა ექიმი თავს

იმით იმშვიდებდა, რომ რამდენიმე ნაკლი გამოძიებულ-საც მოეძებნებოდა. კერძოდ: ვარჯიშის მიუხედავად მაინც ცუდად ისროდა, რაც პოლიციელისთვის, მითუმეტეს, ასეთისთვის, სერიოზულ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ ექიმი ამ ყოველივეს მაძებართა ინგლისურ სკოლას აბრალებდა, სადაც პოლიციელები იარაღს არ ატარებენ, თუ იარაღად არ ჩაითვლება შავი ფერის დრეკადი ხელჯოხი განსაკუთრებით მკვირცხლი დამნაშავეების დასაშოშმინებლად და სპეციალური კონსტრუქციის ნავთის ლამფა, რომელიც ლონდონის უკუწეითი ჩიხების თუ ქუჩების გასანათებლად გამოიყენებოდა. სროლის ის ხარისხი, რომელსაც ევტუშევსკი ფლობდა, მხოლოდ იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ხუთიოდე ნაბიჯიდან დაეჭრა თუ გაენადგურებინა წინასწარ შერჩეული მსხვერპლი, დაახლოებით ისე, როგორც თავადი ჭაჭავაძე, ასე რომ, წინამართან რომ ყოფილიყო, ალბათ არც ის ააცილებდა.

ევტუშევსკი ცოტას სვამდა, უფრო ზუსტად, თითქმის არ სვამდა, თუ არ ჩავთვლით, ათასში ერთხელ, მადის გასახსნელად მიღებულ მცირე ზომის სასმისს, რაც მისი ერის წარმომადგენლისთვის მეტათ უცნაურად, მეტიც, თითქმის დაუჯერებლად გამოიყურებოდა.

სახლში არავის ეპატიჟებოდა, რამდენიმე კაცის გარდა, ვგონებ, არც არავინ იცოდა მისი საცხოვრებელი ადგილი. ვერავინ იტყოდა, რა უყვარდა საქვეყნოდ ცნობილ გამოძიებელს, ქალები, დროსტარება, რა თქმა უნდა, ქეიფთან ერთად, ბალებში სიარული, განმარტოება თუ მოცალებობის ჟამს სქელტანიანი წიგნების კითხვა, მოკლედ, პეტრე ევტუშევსკი სამსახურს შენირული ადამიანი გახლდათ, რითაც სამართლიანად ამაყობდა კიდევ. იყო კიდევ ერთი რამ, დაკითხვების დროს ევტუშევსკი შავი ფანქრით დამნაშავეთა ჩანახატებს აკეთებდა, ნიჭიერი მოსწავლე საკუთარი მასწავლებლის, ებერლანის, გზას იმეორებდა, რომლისგანაც ეს ყოველივე ნასწავლ-შეთვისებული ჰქონდა და რომელსაც გადაღლილი გონების განსატიერთავად იყენებდა ხოლმე. სხვა წვრილ-წვრილიც მოინახებოდა, თუმცა ის წვრილ-წვრილი სათვალავში ჩასაგდები არც იყო და არც იმის მიზეზს თუ საბაბს აძლევდა აბელ იაშვილს, რომ გამოძიებულთან არ ეთანამშრომლა და მეეტლეს ხელახლა დასაკითხად არ გაჰყოლოდა.

თედო ლაბაური აღარ ჰგავდა ძველ თედოს, სადღაც გამქრალიყო მისი სიჩქუნგე, შენელებული მოძრაობა და აბნეული პასუხები. ლაბაური თანამშრომლობაზე ყაბულს იყო, ოღონდ ერთი პირობით, სახელმწიფოს ანუ პოლიციას ტერორისტებისგან უნდა დაეცვა მეეტლე. ევტუშევსკიმ დაცვის პირობა მისცა, თუმცა ორივემ, ევტუშევსკიმ ზუსტად, ლაბაურმა კი გუმანით, იცოდნენ, რომ ასეთი პირობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არასოდეს სრულდებოდა, მეეტლე კი ამ გამონაკლისთა სიაში ნამდვილად ვერ ხვდებოდა.

ერთადერთი, რაც მე პირველი დაკითხვისას არ გითხარით და ახლა რისი თქმაც მოვალეობად მიმაჩნია, ისაა, რომ თავდამსხმელთაგან სამს მე ვიცნობ. – დაიწყო ლაბაურმა, რომელმაც მიცემული პირობის შემდეგ, დროებით მაინც, თავი სრულიად თავისუფლად იგრძნო.

- ვინ არიან? – გადათარგმნა აბელ იაშვილმა.

- პავლე ფშავიაშვილი...

- სად ცხოვრობს?

- ახალსოფლის გლეხია, ოცდახუთი წლისა, მონითურ, პატარა სოლისებრი წვერი აქვს, განსვენებულ თავადთან ყარაულად მსახურობდა, თავადის ძველი მოურავი მემარნიშვილი სწორედ რომ მისი მოკლული უნდა იყოს.

- სხვებზეც გვითხარი – დააჩქარა ექიმმა.

- მეორეა გიგლა ბერბიჭაშვილი, სოფელ ახატნის მცხოვრები, ისიც ოცდახუთი წლისა, საშუალოზე მაღალი, ჩაფსკვნილი, მონითურო თმითა და წვერით, ჩოფურა სახით, სწორედ მაგან ესროლა განსვენებულ თავადს და მოკლა.

- ხომ არ გეშლება? – გადაამონმა ექიმმა.

- როგორ შემეშლება, კარგად ვიცნობ. – იწყინა მეეტლემ. – მე და ის ახატნელი ერთად გაგინვიეს სამხედრო სამსახურში, მე ვმსახურობდი პოდოლის გუბერნიის დასახლება ტულოჩინოში, ყუბანის პოლკში, რომელ ნაწილში მოხვდა ბერბიჭაშვილი, არ ვიცი, ჩვენ ერთად დავასრულეთ სამხედრო სამსახური და სოფელში დავბრუნდით, ამის შემდეგ ის კაცი სოფლის მეურნეობას მისდევდა.

- მესამე ვინ იყო?

- ვანო ინაშვილი, საგურამოს ძველი მამასახლისი...

პეტრე ევტუშევსკი ამ დროს, როგორც სჩვევია, ფანქრით ჩანახატს აკეთებდა, რაც იმის მანიშნებელი გახლდათ, რომ დაკითხვით კმაყოფილი ჩანდა და იმავდროულად კარგ გუნება-განწყობასაც ინარჩუნებდა. აბელ იაშვილმა ნახატი თვალი ჩაჰკრა, მაგრამ ქალაქზე გამოცხადებულმა მამაკაცის სახემ, რომელსაც ცალი თვალი და ზიანების გამო თითქმის დახუჭული ჰქონდა, ხოლო ზედა ტურზე ძნელად შესამჩნევი პატარა ხაზი ემჩნეოდა, ექიმს არაფერი შესძინა. პეტრე ევტუშევსკიმ ცნობისმოყვარე თვალს ნახატი მოარიდა, გვერდით გადადო და დაკითხვა ისე განაგრძო, თითქოს უცნაური არც არაფერი მომხდარა.

- გამოძიებელი გეკითხება, სხვა თუ იყო ვინმე, ვისაც არ იცნობდი. – კვლავ თარგმნა ექიმმა.

მეეტლე საბოლოოდ გატყდა. ჩანს, გამოძიებელმა უფრო მეტი იცოდა და რაიმეს დამალვამ ყოველგვარი აზრი დაკარგა, ასე ფიქრობდა თედო ლაბაური და, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, საბოლოოდ გადაწყვიტა სიმართლე ელაპარაკა.

- იყო, როგორ არ იყო, იმერელს ეძახდნენ, თავადის შავი ჩემოდანი სწორედ მან წაიღო.

- იცნობ, რომ ნახო?

- ვერა, შენი ჭირიმე, სახით არ დამინახავს, ცხენებთან დადგომა მიბრძანეს, ხმა კი მესმოდა.

- კიდევ რა გახსოვს?

- ეგ იმერელი მერე მოვიდა, დაბლა დაყრილ თავადსა და კნენას დახედა, ჩემოდანი აიღო და წავიდა... საფარიდან პირველი ბერბიჭაშვილი გამოხტა, მან ესროლა თავადს, სულ ოთხჯერ გაისროლეს, თავადი და კნენა ბერბიჭაშვილმა და ინაშვილმა გაძარცვეს, როცა ყველაფერი დასრულდა, ნაძარცვი ნივთები წაიღეს და გაუყვეს გზას წინამურისკენ, მერე შეუხვიეს ტყეში და აუყვეს მთას... ყური მოვკარი, ქალაქში წასვლას აპირებდნენ, ნაძალა-

დევეში უნდოდათ თავის შეფარება... როგორ იქნება ჩემი საქმე? – იკითხა თედო ლაბაურმა და საკუთარი ჩვენება ასე მოულოდნელად დაასრულა.

ნამით სიჩუმე ჩამოვარდა.

– როგორ ბედავ რამის თხოვნას?! – გაღიზიანდა აბელ იაშვილი.

– მომკლავენ, თქვენი ჭირიმი, ოჯახსაც ამოწყვიტავენ, აქაც არ მასვენებენ, მემუქრებიან, მოსულებიც იყვნენ, ბერბიჭაშვილი სულ აქეთ იცქირებოდა, დაბინდებამდე მჭედელთან იჯდა, ფეხი არ მოუცვლია...

– კარგი, კარგი, გეყოფა, ნულარ წკმუტუნებ! – შეანყვებინა ექიმმა დაშინებულ არესტანტს, რომელიც, თუ თედოს ანთებული თვალებით ვიმსჯელებთ, კიდეც კარგა ხანს ილაპარაკებდა ერთსა და იმავეს. – ხომ დაგპირდა გამომძიებელი, შენი შეხსენება რაღად უნდა?!

მართალია, გზააბნეულმა მეეტლემ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მონათხრობით თავი ვერ გადაირჩინა, მაგრამ ძიება საგრძნობლად წასწია წინ. დაკითხვიდან რამდენიმე დღეში, რა თქმა უნდა, აგენტურულ მონაცემებზე დაყრდნობით, პოლიციამ ნაძალადეგში, ნადიროვას მამულში, თავდასხმელთა სამალავს მიაკვლია. ეს სამალავი აღმოჩნდა პატარა სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ლადო ჭრიკაშვილს. იმჟამად მასთან იმალებოდა ძებნილი პავლე ფშავიაშვილი. ჭრიკაშვილმა, როგორც ასეთ დროს მიღებულია, თავის დაძვრენა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ამიტომაც იძულებული შეიქნა გარკვეული ჩვენება მიეცა, თუმცა უშუალოდ მკვლელობაში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფდა და ყაბულს მხოლოდ დამკვირვებლის პასიურ როლზე იყო. ეს რომ დაემტკიცებინა, ჭრიკაშვილმა რამდენიმე თანამონაწილე დაასახელა, რომლებიც გამოძიებისთვის დღემდე უცნობნი გახლდნენ.

ფილიპე მოძმანაშვილი, სოფელ კოტორაანთკარის მცხოვრები, რომელიც ავკაცობისთვის გადასახლებული გახლდათ ვიატკის გუბერნიაში, იქიდან კი გამოქცეული იყო.

გიორგი ხიზანაშვილი, სოფელ წინამურის მცხოვრები. გიგო ნავდარაშვილი, სოფელ ნავდარაანთკარის მცხოვრები.

ვინმე იმერელი, სინამდვილეში გურიის, სოფელ ბახვში მცხოვრები, ერმალო დოლიძე.

სულ გამოდიოდა შვიდი კაცი, ამას ემატებოდნენ უკვე დაპატიმრებული ჯამი და ლაბაური.

ასე თუ გაგრძელდა, ამ სიაში შესაძლოა მთელი საქართველო აღმოჩნდეს, შიშით გაიფიქრა აბელ იაშვილმა, თუმცა ამ შიშის შესახებ ევტუშევსკისთან კრინტიც არ დაუძრავს.

როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, ეჭვიანილებმა ყველაფრის ერთმანეთზე გადაბრალება დაიწყეს, ამ ორომტრიალში ჭრიკაშვილი სულაც არ გამოდიოდა შემთხვევითი მსხვერპლი, მართალია, შესაძლოა თოფი არ უსვრია, მაგრამ ნაქურდალის განაწილებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა. გარდაცვლილი თავადის ოქროს სათვალე მოსწონებია და უთქვამს, ეს სათვალე მე მომეცით, ჩემს დას ნაუვლებ, ბეჭდებს გაიკეთებსო. სხვები კიდეც სხვას ამბობდნენ: ფშავლიაშვილი შეიარაღებული

ყოფილა იმ დამბახით, რომელიც მოურავ მემარნიშვილის მკვლელობის შემდეგ იყო მიტაცებული, თავადის იარაღი, საათი და შავი საკი ნაულია იმერელს, ლაქიის რევოლვერი დაუსაკუთრებია ბერბიჭაშვილს, მასვე ჩაურტყამს კნინასთვის თავში, საყურე და სამაჯური მიუთვისებია ინაშვილს, დაუსრულებლად საუბრობდნენ, ერთმანეთს არ ინდობდნენ და ამგვარი ხერხით სახრჩობელიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ.

– ენდობით შეთქმულებს?! – მისალმების მაგივრად ზღურბლიდანვე იკითხა ევტუშევსკიმ და აბელ იაშვილის ბინაში შეაბიჯა, რომელიც, თუ არ ჩავთვლით მცირე ზომის მისაღებს, მხოლოდ ორი ოთახისგან შედგებოდა.

– არ გელოდით. – ძლივს ამოთქვა დაბნეულმა ექიმმა, რომელსაც არანაირი დანაშაული არ მიუძოდა, მაგრამ პოლიციელის მოულოდნელი სტუმრობისგან თავს მაინც უსიამოვნოდ გრძნობდა.

– არც მე ველოდი, უბრალოდ აქეთ ვიყავი. – იცრუა გამომძიებელმა, რადგან აბელ იაშვილთან, სახლის განლაგების გამო, მხოლოდ მიზანდასახულად თუ მოხვდებოდა ადამიანი და გზად შევლა სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. – ენდობით თუ არა მათ ჩვენებებს?

– მკვლევების ნდობა როგორ შეიძლება. – გაიკვირვა ექიმმა.

– არსებობენ გამონაკლისები. – წყნარად თქვა ევტუშევსკიმ და სავარძელში მოხერხებულად მოეწყო. – თუმცა ჩვენს შემთხვევას ეს ნაკლებად ეხება.

– რას გულისხმობთ? – დაინტერესდა ექიმი, რომელსაც გამომძიებლის სტუმრობის მიზეზი ვერ ამოეცნო.

– კვალს გვიბნევენ, იმერეთის მაგივრად გურიის გვაგზავნიან, არადა, მათი მცდელობის მიუხედავად, მე მაინც მგონია, რომ დოლიძე არაფერ შუაშია, ვილაცას უნდათ საფრთხე ააცილონ.

– ვის? – ექიმმა რაც უნდა ეკითხა, ის იკითხა.

– გრიგოლ ორჯონიკიძეს, პარტიული ფსევდონიმით, სერგო, შორაპნელ იმერელს, დაბადებულს სოფელ ღორეშაში, აზნაურს. – ჩვეული სიზუსტით ჩამოთვალა გამომძიებელმა.

– ვერ დაგეთანხმებით.

– რატომ?

– რამდენიმე მიზეზის გამო.

– გისმენთ. – ევტუშევსკიმ ფეხი ფეხზე გადაიდო და განუყრელი საქალაქედ გაშალა, რომელსაც ჩანახატების გასაკეთებლად იყენებდა ხოლმე.

– გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, ინდივიდუალური ტერორის მსოფლიო ისტორიული გამოცდილება მონიშნავს, რომ დიდი პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოხელეთა მკვლევებად იგზავნებოდნენ ხოლმე უმნიშვნელო პიროვნებანი, ისეთები, როგორებიც არიან, დომინიკანელი ბერი ჟაკ კლემანი, ფრანსუა რავაიაკი, ბალთაზარ ჟერარი, ჩამოთვალა კიდეც შეიძლება, ამ მკვლევებს ისტორია იხსენებს მხოლოდ სისხლიანი აქტის წყალობით, სერგოს არ გაიმეტებდნენ ამ საქმისთვის, პრესა გვატყობინებს, რომ ორჯონიკიძე ბაქოშია და იქაურ რევოლუციურ მოძრაობას თავში უდგას, ასე რომ, მისი განივრვა სრულიად გამორიცხებულია, მითუმეტეს, რომ კაცზე მონადი-

რენი მრავლად ჰყავთ ამგვარ ორგანიზაციაში, მათთვის ადამიანის მოკვლა ქათმის დაკვლაზე ძნელი არ უნდა იყოს, ეს ამბავი თქვენ, ჩემზე კარგად იცით.

– სხვა მიზეზი? – იკითხა ევტუშევსკიმ ისე, რომ ხატვისთვის თავი არ მიუჩინებია.

– მეორე მიზეზი წარმომავლობა გახლავთ, როგორ შეიძლება იმერელი აღმოჩნდეს გურული? – დასმულ კითხვას ექიმმა თავადვე უპასუხა. – შესაძლებელია, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ქართველები, განსაკუთრებით ქართლში, იმერელს ეძახიან ლიხთიმერელს, ანუ ლიხს იქით მცხოვრებს, რაჭველს, ლეჩხუმელსაც და გურულსაც.

– არ ვიცი... არ ვიცი... – ჩაილაპარაკა გამომძიებელმა. – თუმცა ახლა ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

– რატომ?

– ბრძანებას ვემორჩილებით. – ევტუშევსკიმ ჯიბიდან ქალაღი ამოიღო და მაგიდაზე, ექიმის წინ დადო.

აბელ იაშვილს ქალაღი არ აუღია, რადგან მცირე ზომის ტექსტი შორიდანაც სრულიად ადვილი წასაკითხი აღმოჩნდა.

წარმომდგენი ამ ღია ფურცლისა, ჩემს სამმართველოსთან არსებული სამძებრო განყოფილების გამგე პეტრე ალექსანდრეს ძე ევტუშევსკი თბილისის დროებითი გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით მივლენილია თავად ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე კავკასიის მხარის ქალაქებსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში.

ვთხოვ უფროს პირებს, აგრეთვე საპოლიციო და სხვა ხელისუფალთ, დაუყონებლივ გაუნიონ მას ხელშეწყობა და მფარველობა მის კანონიერ მოთხოვნებში მისთვის მიცემული მნიშვნელოვანი დავალების წარმატებით შესრულებისთვის.

ღია ფურცელს ხელს აწერდნენ თბილისის პოლიცმაისტერი ციხოსკი და საპოლიცმაისტეროს კანცელარიის მმართველი ჩეფრანოვი.

– გურიაში მივდივართ, თქვენც ჩემთან ერთად მოდიხართ. – მოჭრა ევტუშევსკიმ. – ყველაფერი უკვე შეთანხმებულია.

– როდის მივდივართ?

– პირველივე მატარებლით, ოღონდ ჯერ გრეკოსს უნ-

და გავესაუბროთ.

– რალაც არ მახსენდება, რა ადგილი უჭირავს პოლიციაში? – დაფიქრდა იაშვილი.

– მეტეხის ციხის პატიმრის პოსტი. – ევტუშევსკიმ ამ ხნის მანძილზე, მგონი, პირველად გაიღიმა. – ქურდი, ავაზაკი და ტერორისტია, ალექსი გიორგიძის ბინის ქურდობა ედება ბრალად.

– ვერაფერი გავიგე. – დაიბნა იაშვილი. – თქვენთან რა ხელი აქვს, რას ითხოვს?

– შეხვედრას... ოღონდ ეს ქურდობა, მაპატიეთ და, თავად ჭავჭავაძის მკვლელების ადგილსამყოფელს გაგანდობთ.


– მაგან საიდანღა უნდა იცოდეს, თუ თავად არ ურევია ამ საქმეში?

– არ ვიცი. – დაეთანხმა ევტუშევსკი. – ნაგებით არაფერს ვაგებთ.

– ეგეც მართალია.

ეს სანდრო გრეკოვი, სწორედ რომ სანდრო ეარქვა, ერთობ უცნაური კაცი გახლდათ. მოგვიანებით გამოირკვა, რომ გაქართველების გზაზე მისი პაპა დამდგარა, რომელიც ზედსიძედ შესულა ბახველი ჭანიშვილის ოჯახში, მისი პირმშო ყოფილა სანდროს მამა ეგორი, იგივე იაგორა. ეს იაგორა სოფელ ნაგომარში გადასახლებულა და შეუღლებია ასკანელ ვასაძის ქალს, სწორედ მათი შვილი იყო სანდრო. სანდროს ცოტ-ცოტა ყველაფერი გამოუცდია, ბათუმში, მანთაშოვის ქარხანაშიც უმუშავია, შემდეგ კი სოფლად გაუგრძელებია

ცხოვრება. სავარაუდოდ უსაქმურობის და აგრეთვე მოწყენილობის წყალობით სანდრო რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულა, სოცდევების წევრი გამხდარა და ტერორისტ კალენიკე დოლიძის რაზმშიც განუერთიანებულა. თუ ოზურგეთის მაზრის უფროსს, კაპიტან ერმოლოვს დაეჯერება, რომელიც გრეკოსს დაპატიმრებამდე რამდენიმე თვე დასდევდა, სანდრო პარტიის დავალებებს ზედმინევენით ზუსტად ასრულებდა, ძარცვავდა დუქნებს, ეცემოდა ფოსტას, ართმევდა მდიდარს და ფული პარტიაში მიჰქონდა, როცა ამის აუცილებლობა შეიქნებოდა ხოლმე. ასეთი კაცი ითხოვდა ევტუშევსკისთან



მხატვარი მალხაზ იაშვილი

შეხვედრას, რომელიც უცნაური, მეტიც, დაუჯერებელი ამბის მოყოლას აპირებდა გამომძიებლისთვის, მაგრამ თუ იმდროინდელ მშფოთვარე გარემოსა და ასეთივე მშფოთვარე ცხოვრების რიტმს გავითვალისწინებთ, ეს ამბავი აღარც უცნაური აღმოჩნდება და აღარც დაუჯერებლად მოეჩვენება ადამიანს.

მიყვებთ ამბავს:

თუ სანდრო გრეკოვს ვენდობით, იგი სრულიად შემთხვევით, კერძოდ კი ძმის ავადმყოფობის გამო, მოხვედრილა სოფელ ბახვიში, ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის სახლში, რომელიც კარგ მკურნალად ითვლებოდა და ახლომასლო სოფლებში სახელიც გავარდნილი ჰქონდა. ბერეჟიანის სახლში შეკრებილი საზოგადოება რალაც საკითხს იხილავდა და მსჯელობდა. იქ ყოფილან: დიომიდე ბასილაიშვილი, დვაბზუ; ერმალოზ დოლიძე, ბახვი; კალენიკე დოლიძე, ბუკნარი; კორნეს შავიშვილი, ბახვი; ნიკო შავიშვილი, ბახვი; ილარიონ უჯმაჯურიძე, ნაგომარი; მარკოზ ჟღენტი, ხიდისთავი; რაჟდენ ვადაჭკორია, ჭანიეთი; მელქისედექ მდინარაძე, ბუკნარი; ერმალოზ ანდლულაძე, ნაგომარი; ლადიკო ბერეჟიანი, ნაგომარი. ამათ გარდა შეკრებას კიდევ რამდენიმე კაცი ესწრებოდა, ორნი ბათუმიდან და ერთი სომეხი, რომელშიც, კონსპირაციის მიუხედავად, გრეკოვს მოუხერხებია და ამოუცვნია სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსოანი, უფრო გასაგები რომ გახდეს, კამო, ცნობილი ექსპროპრიატორი.

სანდრო გრეკოვს, როგორც თავად ამბობდა, შეკრებაზე დარჩენა არ სურდა, მაგრამ ამტყდარა ქართული განევ-გამონევა, დაპატიჟება და დანამუსება, ამგვარი შემოტევისთვის საბრალო გრეკოვს ველარ გაუძლია და თავყრილობაზე დარჩენილა. ეს ბავშვური მიზეზი ევტუშესკის თვალში, სულ ცოტა, ღიმილის მომგვრელი გახლდათ, რაც აღნიშნა კიდევც, მაგრამ სიღრმეში აღარ წასულა, რათა გრეკოვი არ დაეფრთხო და მთავარი სათქმელი უცნობი არ დარჩენილიყო.

მოკლედ, ტერორისტთა შეკრებაზე სრულიად შემთხვევით მოხვედრილი გრეკოვი ოთახის კუთხეში ჩუმად ზის და საინტერესო ამბებს ისმენს. პირველ საკითხად გადიოდა გურიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, რაც მალევე იქნა მიმოხილული შემდეგი საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. თავად ჭავჭავაძის მკვლელობა სწორედ რომ მეორე საკითხად გადიოდა. კრებას ბათუმის კომიტეტის დადგენილება გააცნეს, რომლის მიხედვითაც, თავადი ჭავჭავაძე უნდა მომკვდარიყო. მიზეზი არავის უკითხავს, თუ გრეკოვს დაეჯერება, ერთადერთი სწორედ ის ყოფილა, ვინც ამით დაინტერესებულა, პასუხიც მიუღია, იმიტომ რომ გვიღალატა, სახელმწიფო საბჭოში განევრინა და, ეს არ იკმარა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას აპირებსო. ეს იყო და ეს, მეტი ამის შესახებ ხმა აღარავის ამოუღია. შემდეგ კენჭი ყარეს, რათა უშუალო შემსრულებელთა ვინაობა გარკვეულიყო. ესენი აღმოჩნდნენ: დიომიდე ბასილაიშვილი, ერმალოზ დოლიძე და კალენიკე დოლიძე. ბათუმიდან ჩამოსულ ხალხს თავად ჭავჭავაძის და კენიანს სამკაულზე პრეტენზია არ ჰქონიათ, მხოლოდ დოკუმენტებით სავსე შავი ფერის საკის გადმოცემას ითხოვდნენ, რომელიც, თავის მხრივ, თბილისში უნდა გადაეცათ მალა-

ლი ჩინის სახელმწიფო მოხელისთვის. სახელმწიფო მოხელის ვინაობა გრეკოვმა, გასაგები მიზეზების გამო, არ იცოდა. მეთაურებს მისთვის არაფერი უთქვამთ, არც გრეკოვს დაუსვამს ზედმეტი კითხვა, რადგან ტერორისტთა წრეში ასეთი საქციელი მიღებული არ გახლათ და ყოველთვის ეჭვის საფუძველს აძლევდა თანამებრძოლებს. გრეკოვმა სხვა ბევრ რამეზეც ისაუბრა, კერძოდ, როგორ, რა გზით და როდის გაემართნენ ტერორისტები უკან და სად აფარებდნენ თავს განხორციელებული ტერაქტის შემდეგ.

ამ ინფორმაციას მთლად უინტერესოსა და გამოუსადეგარს ვერ დაარქმევდა ადამიანი, ასე რომ, გრეკოვს გარკვეული პირობის წამოყენების უფლება ნამდვილად ჰქონდა, რაც აღიარა კიდევც ევტუშესკიმ აბელ იაშვილთან პირად საუბარში. მეტიც, გამომძიებელმა დახმარება პატიმარს მოწმეების თანდასწრებით აღუთქვა, თუკი, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც დადასტურდებოდა.

საბოლოოდ გადაწყდა, გურიაში უნდა გამგზავრებულიყვნენ.

იმ დროისთვის მატარებელს თითქმის განდევნილი ჰყავდა მგზავრობის ტრადიციული საშუალებანი: ურემი, ფაეტონი, საძნე და ცხენი. მატარებლით ცალ მხარეს ბათუმამდის შეიძლებოდა ჩასვლა, ხოლო მეორე მხარეს ბაქომდის, რაც საქმიან თუ უსაქმურ ადამიანს მგზავრობის მანძილსა და იმავდროულად, მგზავრობის ხანგრძლივობას ერთი-ორად უმოკლებდა, თუმცა ხინჯი ასეთ მოგზაურობასაც ჰქონდა, ბილეთის სიძვირის გამო მეტად ხარჯიან საქმეს წარმოადგენდა. ამ ხარჯიანი მგზავრობის ნერვიულობა, იგულისხმება ბილეთის ფასი, ამჯერად აბელ იაშვილს არ ანაღვლებდა, რადგან ეს ყოველივე საპოლიციამისტეროს განსაკუთრებული ფონდიდან ივარებოდა და, როგორც იტყვიან, ექიმისა არაფერი მიდიოდა.

მგზავრობამ კარგად ჩაიარა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, ალბათ ორივენი, გამომძიებელიცა და ექიმიც, რალაცაზე საუბრობდნენ, იქნებ აღნიშნულ საქმეზე, თუმცა, დღევანდელ დღეს ამ საუბრის შინაარსის აღდგენა სრულიად შეუძლებელ საქმეს წარმოადგენს. დანამდვილებით მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი, მატარებელი სამტრედიის სადგურზე შეჩერდა, სადაც მას დახვდა პოლიციის ბოქაული ელისე შავგულიძე. ბოქაული ყურადღებით გაეცნო საიდუმლო მინერილობას და ორივე სტუმარს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. მოთხოვნა ასეთი იყო, ყველანი უნდა გამგზავრებულიყვნენ საჯავახოს სადგურზე, სადაც ჩქარი მატარებელი არ ჩერდებოდა, მაგრამ ევტუშესკის ქალაქს მართლაც ჯადოსნური ძალა ჰქონია, მატარებელს სადაც მოისურვებდა, იქ გააჩერებდა. ასეც მოქცეულან და ასევე ჩასულან საჯავახომდე.

მატარებელი იდგა.

გაოცებული მგზავრები მორჩილად იცდიდნენ.

პეტრე ევტუშესკი, რა თქმა უნდა, აბელ იაშვილის დახმარებით, მედუქნის დაკითხვას განაგრძობდა და მგზავრების ბედი, ისე როგორც არამგზავრების, ნაკლებად, შეიძლება ითქვას, სულ არ ანაღვლებდა.

– შვიდი დღის წინ შენთან, ამ დუქანში თბილისიდან მოსულა ორი კაცი, ორივეს ჰქონდა ჩემოდნები, უქირავე-ბიათ ცხენები, ერთს თეთრი, მეორეს წითელი, თან გაუყოლებიათ კაცი, ცხენების დამბრუნებელი, მართალია თუ არა?

– მართალია. – თავი დააქნია მედუქნემ.

– პატარა, შავი ჩემოდანი თუ შეგიმჩნევია? – ჩაერთო იაშვილი.

– დიდი ჰქონდათ, პატარა არ დამინახავს. – იუარა მედუქნემ.

– სად მიდიოდნენ?

– მაგის არაფერი ვიცი, ჩვენი მარტო ცხენები იყო, თეთრი მე გამომართვეს, წითელი კიდეც აქაურ გლეხს. – თქვა მედუქნემ და რატომღაც საკუთარი დუქნისკენ გაიხედა.

ევტუშევსკი რისი ევტუშევსკი იყო, მედუქნის ქცევას წამსვე არ მიმხვდარიყო.

– ეხლაც აქ არის ის გლეხი?

მედუქნემ თავი დააქნია.

ევტუშევსკიმ ადგილობრივი გლეხის მოყვანის ბრძანება გასცა.

დაბნეულმა გლეხმა მედუქნის მონათხრობი დაადასტურა და იმასაც დათანხმდა, იმ სოფლამდე გაენია მეგზურობა სადაც ჩემოდნიანი ხალხი მიიყვანა, თუმცა იმასაც ამბობდა, რომ მეგზვრობას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ასეთი ხალხი დიდი ხნით ერთ ადგილზე არასოდეს ჩერდებოდა.

ამ სიტყვებმა განსაკუთრებით გაახარეს პეტრე ევტუშევსკი. მატარებლის გასვლაზე ბრძანება გასცა, ყველას ღვინო გაუმასპინძლდა და გაოცებულ ბოქაულს ელისე შავგულიძეს, მადლობის გარდა, ათმანეთიანი ოქროს ფული უფეშქაშა, რამაც საერთო გაკვირება გამოიწვია, მათ შორის, ახელ იაშვილისაც, რომელსაც ასეთი გულუხვი ევტუშევსკი არასოდეს უნახავს.

ცხენები შეკაზმეს და გაუდგნენ გზას. თან გაიყოლეს შეიარაღებული ხალხი ოზურგეთელი პრისტავის, ნოე კვაშალისა და სუფსა-ლანჩხუთის ბოქაულის, ილარიონ დალაქიშვილის მეთაურობით. ღამის პირველ საათზე, როგორც იქნა, ჩააღნიეს სოფელ ბახვში. როგორც მოსალოდნელი იყო, ერმალო დოლიძე სახლში არ იმყოფებოდა. ჩხრეკა მაინც ჩატარდა. აღმოჩენილ იქნა ორი ჩემოდანი და შიგ საგულდაგულოდ გადამალული ნივთები. კერძოდ, შავტარიანი სამარტებელი, თეთრი ლითონის საპაპიროსე, ოთხმოცდაოთხი სინჯისა, თავსახურავზე ფირუზის თვლით, თეთრი ჩესურის პიჯაკი, ნახმარი ჩექმა, სხვა ტანსაცმელი და წვრილმანი ნივთი, რომელიც, სავარაუდოდ, უკვე ძებნილ დოლიძეს ეკუთვნოდა.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ნამდვილად ასე იყო, ორიოდე დღეში ეს აღმოჩენა გაზეთებში მოხვდა და ქვეყანას მოედო.

გაზეთი „ჩვენი გზა“: ბახვში გაუჩხრეკიათ ერმალო დოლიძის სახლი, უპოვიათ ზოგიერთი ნივთი თავად ჭავჭავაძისა.

გაზეთი „ზაკავკაზიე“: ამ დღეებში სოფელ ბახვში, გლეხ ერმალო დოლიძის სახლში მოენყო ჩხრეკა, სადაც აღმოჩნდა თავად ჭავჭავაძის მოკვლისას მიტაცებული

ნივთები, მისი კუთვნილი თეთრეული, მისი ფეხსაცმელი, საკინძეები და სხვა.

იმდროინდელი გაზეთები იმასაც იუნყებოდნენ, რომ ევტუშევსკის დაუკითხავს ტერორისტის მეუღლე ნინო და მისი ძმა, კაპიტონ დოლიძე, რითაც დადგენილა კიდეც მეორე მეგზავრის ვინაობა, რომელიც აღმოჩენილა ვინმე მოსე გორდელაძე. საუბარი იყო რალაც წერილზე, რომელიც, თითქოსდა, ჩხრეკის დროს ეპოვათ, მაგრამ ვერც ერთმა რედაქციამ მისი მოპოვება ვერ შეძლო, ამიტომაც ათასგვარი ჭორისა და მითქმა-მოთქმის საფუძველი შეიქმნა. არადა, წერილი ნამდვილად არსებობდა, მეტიც, ახელ იაშვილმა, იმ პირობით, რომ არავის არაფერს ეტყოდა, საკუთარი თვალთ ნახა და გაეცნო კიდეც.

ერმალო დოლიძის თხოვნა თავად ვიქტორ ავალიანი-სადმი:

კნიაზ ვიქტორ, მე დროებით სახლში მივიდვარ, ჩემი იარაღი, გთხოვთ, როგორც ჩემი თავი, ისე გებარებოდეს. არავის ათხოვო, შენი ჭირიმე. მე ორ თვეში ამოვალ. თქვენ რომ რაცხა იცით, ის ჩემს ამოსვლამდის თქვენს გულში იყოს, როცა მოვალ, მაშინ გავაკეთებ. ნახვამდის.

ახელ იაშვილი, საკუთარი პროფესიიდან გამომდინარე და ისეც, თითქმის მთელ თბილისს იცნობდა, ხოლო ვისაც არ იცნობდა, გაგებულნი მაინც ჰქონდა, თუ იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის რაოდენობას გავითვალისწინებთ, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, სამოცი ათასს არ აღემატებოდა, იაშვილის გათვითცნობიერება სულ მთლად დაუფერებელი არ უნდა მოეჩვენოს ადამიანს, მაგრამ კნიაზ ავალიანის გვარი არაფერი ეუბნებოდა. რა გასაკვირია, ასეთი თავადი თბილისში კი არა, ბუნებაშიც არ არსებობდა. სინამდვილეში ავალიანი გახლდათ ქუთაისის მაზრის აზნაური, რომელსაც თავადობა მითვისებული ჰქონდა და უფრო ზედმეტ სახელად იყენებდა, რაც კრიმინალურ სამყაროში ურთიერთობის გავრცელებული და მიღებული ფორმაა. პოლიციაც კარგად იცნობდა კნიაზს, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, სადგურის მახლობლად სასტუმროს ნომრები და რესტორანი ჰქონდა, მისდევდა ქურდობას, ყაჩაღობას და მძარცველობას, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი სამივეს ერთად.

ევტუშევსკიმ ერთადერთი სწორი გადანყევტილება მიიღო, დეპეშა აფრინა:

დაუყონებლივ დააპატიმრეთ ნომრებისა და რესტორნის „დასავლეთი“ პატრონი ავალიანი. მოახდინეთ მკვლევლობის იარაღის მოძიება, იქონიეთ მხედველობაში, რომ იგი ძველი ქურდი და ავაზაკია, ნასამართლევი, იჯდა ციხეში. რესტორანში, ნომრებში ყოველდღე იკრიბებიან მძარცველები და მკვლევები. მან ყველაფერი იცის. არსებობს სამალავები. დავალება შევასრულე. დოლიძე მიიმალა. ყველაფერი დადასტურდა.

გურიამი სტუმრობა გაგრძელდა. თბილისელი ექიმის ჩამოსვლა მთელს იქაურ მხარეს მოედო და ძიებასთან ერთად ექიმს თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულება უწევდა, ანუ პაციენტებს სინჯავდა და მკურნალობას უნიშნავდა, ასე რომ, მიუხედავად დაპატიმრების საყოველთაო შიშისა, ექიმის ჩამოსვლით ზოგიერთ მათგანს მაინც გაუმართლა და ყველაფერი ისე მოენყო, როგორც ქართული ანდაზა გვეუბნება, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ექიმის პრაქტიკა ძიებასაც წაადგა. სწორედ მაღლიერი პაციენტისგან შეიტყო აბელ იაშვილმა მეორე მგზავრის, მოსე გორდელაძის ადგილსამყოფელი, რომელიც ამ შემთხვევიდან რამდენიმე საათში დააპატიმრეს კიდეც.

მოსე გორდელაძემ მიკიბ-მოკიბა, სათქმელი არი-და-რია, ამბავს მიედ-მოედო და ყველაფერი საკუთარ უსახსრობას დააბრალა. რომ არა ერმალოს ფინანსური შესაძლებლობები, მოსე ამ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. რადგან ერმალო სახლში დაბრუნებას აპირებდა და ამის საშუალება, ანუ ფული გააჩნდა, ხოლო მოსეს, რომელსაც ასევე ენატრებოდა თავისიანები, მაგრამ სახსარი არ მოეპოვებოდა, იძულებული შეიქნა ასდევნებოდა მეზობელს, თორემ ერმალოზე რომ ათასგვარი ჭორი დაიარებოდა ქვეყანაზე, ეს მოსესაც გაგონოლი ჰქონდა, მაგრამ არ სჯეროდა.

ევტუშევსკის სასაცილოდ არ ეყო ეს ამბავი, სხვათაშორის, არც აბელ იაშვილსაც. გადაწყდა, მოსე თბილისში გადაეყვანათ და დოლიძესთან დაეპირისპირებინათ, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელს დააპატიმრებდნენ.

თბილისში კი საოცარი ამბები ხდებოდა.

დეკემბის მიღებისთანავე, ღამის თერთმეტ საათზე, თბილისის პოლიციის მეათე უბნის ბოქაული, ნიკოლოზ ხრუშჩოვი ერთდროულად დასცემია თავზე ავალიანის სასტუმროს და მის კუთვნილ ბინას, რომელიც მდებარეობდა სადგურის თორმეტ ნომერში და, როგორც იტყვიან, აბლავა დაურტყამს. რა არ უპოვნიათ და რა არ უნახავთ: ძვირფასეულობა, საათები, სამაჯურები, ოქროულობა, იარაღი, ბეჭდები, ოთხი სხვადასხვა პასპორტი, ქორიძის, ლოლბერიძის, ავალიანის და ფონდოევას სახელები.

ერმალო დოლიძე არსად ჩანდა, არადა, მთელს საქართველოში ეძებდნენ. ბევრჯერ ყოფილა, ერმალოსთვის მიუმსგავსებით ვინმე და საქმის გარკვევამდე კარგა ხნით გამოუმწყვდევიათ ვირის აბანოში. პეტრე ევტუშევსკისთან თითქმის ყოველდღე შემოდოდა შეტყობინება, ერთი ასეთი ბათუმიდანაც მოვიდა. ერმალო დოლიძე ვინმე ლევან ლომაძის ბინაში შეუმჩნევიათ, რომელსაც სამეძაო ჰქონდა გახსნილი, თუმცა ტერორისტი ვერც აქ უპოვნიათ. სხვა მხრივ ყველაფერი თითქოს კარგად იყო, მკვლელობაში მონაწილე თითქმის ყველა პირი დაკავებული ჰყავდათ, თუ არ ჩავთვლით ბერბიჭაშვილს, რომელიც, როგორც ამბობდნენ, ირანს აფარებდა თავს, და დოლიძე, ვისაც დღე-დღეზე აუცილებლად დააპატიმრებდნენ. მოგვიანებით ასეც მოხდა. დრომ ერმალო დოლიძის ყურადღება გვარიანად მოადუნა, საკუთარ ლოგინს მონატრებულმა ღამის გათევა სახლში გადაწყვიტა, სწორედ მაშინ მიაკვლია მას როტმისტრმა, განსაკუთრებულ დავალებათა ოფიცერმა, გიორგი ტამბიევმა. განთქმული ტერორისტი, თავად ჭავჭავაძის მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილე, შესაძლოა ითქვას, მთავარი შემსრულებელი და მსროლელი, სარეცელის ქვეშ იმალებოდა, თავის განუყრელ სმიტ-ვესონის რევოლვერთან ერთად.

საქმე გაიხსნა. ყველაფერი დასრულდა.

დასრულდა კი?

ცხოვრება ჯიუტად მიიწევდა წინ. დრო კიდეც უფრო მეტად აირია, დროს, როგორც ყოველთვის, ხალხიც აპ-

ყვა, ხშირი გახდა საფუძვლიანი, ზოგჯერ კი უსაფუძვლო დარდი, ლელვა და შფოთი, იმატა გულისა თუ ნერვების ავადმყოფობამ, რაც, იმის გამო, რომ თბილისის მოსახლეობამ ექიმთან სიარულს მოუხშირა, აბელ იაშვილის ნისქვილზე ასხამდა წყალს, ეს კი პირდაპირ კავშირში გახლდათ მის შემოსავლებთან, რომელიც, ამ ბოლო დროს, საგრძნობლად გაიზარდა, ასე რომ, აბელ იაშვილი თბილისელთათვის სასურველ სასიძიდ შეიქნა. თავადაც ჰყავდა შერჩეული სომეხი ახნაზაროვის ქალი, შუშანა, კარგი გარეგნობისა და ზრდილობიანი სიტყვა-პასუხის მანდილოსანი. იმდროინდელი სომხების რაოდენობას თუ გავითვალისწინებთ, ასეთი არჩევანი გასაკვირი აღარ უნდა იყოს, რადგან ქართველი ეროვნების გასათხოვარი ქალი გაეფროპებულ თბილისში სანთლით საძებნელი გახლდათ. მართალია, ასეთი ქორწინება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და, ეკლესიის თანხმობის გარდა, გენერალ-გუბერნატორის დასტურსაც ითხოვდა, მაგრამ ამგვარი წყვილების სიმრავლის გამო, რომელიც ყოველწლიურად ასეულს აღწევდა, ერთიცა და მეორეც სრულ ფორმალობას წარმოადგენდა. თუმცა იყო გამოინაკლისებიც, ათასში ერთხელ ვინმეს მშობელი გაჯიუტდებოდა და ქორწილის თანხმობას არ იძლეოდა, თუმცა ამ შემთხვევათა სიმცირე საერთო სურათს ვერაფრისდიდებით ვერ შეცვლიდა.

ერთადერთი, რაც აბელ იაშვილს გულს სტკენდა, ის გახლდათ, რომ პეტრე ევტუშევსკი მეგობრის ქორწილს, თუკი ასეთი შედეგობა, ვერ დაესწრებოდა. საქმიანი, დროული და წარმატებული გამოძიების გამო ევტუშევსკი მშობლიურ რუსეთში გამოიძახეს, სადაც, როგორც საიდუმლო ფორმულარი იტყობინებოდა, ახალი სამსახური შესთავაზეს, სავარაუდოდ გაცილებით დიდი პოსტითა და გაცილებით გაზრდილი ანაზღაურებით.

მატარებელი მაშინაც დილით გადიოდა.

ერთადერთი, ვინც ევტუშევსკის აცილებდა, აბელ იაშვილი იყო. გამოძიებლის ბარგი კარგა ხნის დატვირთული ჰქონდათ. ბარგი ერქვა, თორემ გამოძიებლის ავლა-დიდებას ერთი ჩემოდნის შევსებაც გაუჭირდებოდა. ერთადერთი, რაც მას ხელში ეჭირა, შავი ფერის საკი იყო, რომელიც ადრე აბელ იაშვილს არასოდეს შეუმჩნევიდა, თუმცა დანამდვილებით შეეძლო ეთქვა, რომ საკვოიასი ამჟამად ეცნობოდა. ევტუშევსკიმ მეგობრის ინტერესი იგრძნო და განაცხადა, რომ საკით საქართველოში შეკრებილი პირადი არქივი გადაჰქონდა, რომელიც, ვინ იცის, იქნებ რუსეთშიც გამოდგომოდა. ბოლოს და ბოლოს რა ამდენი სალაპარაკო ეს საკი გახდა, რომლის მაგვარი, ანდა სულაც ასეთი სხვასაც ბევრს ეჭირა ხელში.

მატარებელი დაიძრა, პეტრე ევტუშევსკი თავის არქივიანად თან გაიყოლა და თვალს მიეფარა.

აბელ იაშვილი სახლში დაბრუნდა, სადაც რამდენიმე პაციენტთან ერთად უსიამოვნო ამბავი ელოდა. გაზეთები იუნყებოდნენ, რომ მეტეხის ციხიდან თავზეხელაღებული პატიმრები გაქცეულან, მათ შორის კი თავად ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილე, შესაძლებელია ითქვას, მთავარი მკვლელი, ერმალო დოლიძეც ყოფილა. აქვე იბეჭდებოდა ტერორისტ დოლიძის ფოტოც, მამაკაცს დაზიანების გა-

მო ცალი თვალი თითქმის დახუჭული ჰქონდა, ხოლო ზედა ტუჩზე ძნელად შესამჩნევი ხაზი ეტყობოდა. მთავარი ეს მაინც არ იყო, რადგან გაქცეულ დამნაშავეთა სურათები ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, საგულისხმო სხვა რამ გახლდათ, ევტუშევსკის ნახატი, რომელიც მან ლაბაურის დაკითხვისას შეასრულა და დოლიძის ფოტო საოცრად ჩამოგავდნენ ერთმანეთს, მეტიც, ორივე ერთი კაცის დახატულ-გადაღებული ეგონებოდა ადამიანს.

აბელ იაშვილი ექიმი იყო, მაგრამ იმდენი მათემატიკა კი იცოდა, რომ ორისთვის ორი მიემატებინა და ოთხი მიელო, რადგან ამჯერად ეს ამბები, იგულისხმება თავად ჭავჭავაძის მკვლელობა, სწორედ ამგვარ მარტივ მათემატიკურ ქმედებაზე დაიყვანებოდა.

აბელ იაშვილმა პაციენტები დაითხოვა, რამაც მათში გვარიანი გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია, ამ ყველაფერს კი შესაძლოა ექიმის პრაქტიკაზე უარყოფითად ემოქმედა, თუმცა იაშვილს ეს ყოველივე უკვე ნაკლებად აინტერესებდა.

მარტოდ დარჩენილმა ექიმმა ფიქრს მიჰყო ხელი.

ჩვენც მასთან ერთად გავიხსენოთ.

გახსოვთ თავად ჭავჭავაძის შავი ფერის საკი, რომელიც მკვლელობისთანავე გაუჩინარდა და მას შემდეგ აღარავის უნახავს, თუ არ ჩავთვლით სამ კაცს: ერმალო დოლიძეს, პეტრე ევტუშევსკისა და აბელ იაშვილს. პირველის ამბავი გასაგებია, მეორის დასადგენი, ხოლო მესამის დანამდვილებით გახლავთ ცნობილი. ექიმმა შავი ფერის საკი ორჯერ იხილა, ერთხელ რესტორან „ვეროპაში“, ცნობილი შეხვედრის დროს, სადაც თავადი ჭავჭავაძე სწორედ ამ საკით იყო მოსული, მეორედ სადგურში, უკვე ევტუშევსკის ხელში. საიდან მოხვდა გაუჩინარებული ნივთი გამომძიებლის ხელში და რატომ მალავდა ასე საგულდაგულოდ ამ ყოველივეს გამომძიებელი, ექიმისთვის საიდუმლოდ რჩებოდა.

გახსოვთ ევტუშევსკის სიხარული გურიის სადგურში, ოქროს თუმნიანი და გაოცებული ბოქაულის სიამოვნებისგან ანითლებული სახე. დღეს უკვე ნათელია, გამომძიებელმა მაშინვე იცოდა, რომ ტერორისტი დოლიძე სახელში არ დაუზღვებოდათ და მისი გულუხვობაც სწორედ აქედან გამომდინარეობდა.

გახსოვთ გრეკოვის სიტყვები, საკის მიტანას ვილაც მაღალი ჩინი თბილისში ელოდებოდაო, ასე გამოდიოდა, რომ ეს მაღალი და თანაც ჩინი პეტრე ევტუშევსკი უნდა ყოფილიყო.

გახსოვთ გამომძიებლის ჩანახატი თედო ლაბაურის დაკითხვის დროს, რომელიც, დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ერმალო დოლიძის კარგად შესრულებული პორტრეტი გახლდათ, თანაც მაშინ, როდესაც ერმალოს შესახებ არავინ არაფერი იცოდა და თვალისათვა არავის ენახა.

რა გამოდიოდა ამ ყოველივედან?

მართალია, მხოლოდ ის, რომ ევტუშევსკის თავადვე დაეგემა დანაშაული, თავადვე განეხორციელებინა და თავადვე გამოეძიებინა, თან ამ საქმეში, მეტი სიხალისისა თუ მხიარულებისთვის, აბელ იაშვილიც ჩაერთო.

ამაზე დიდი სიმწარე ძნელი წარმოსადგენია.

თუმცა მარტო მიხვედრა დიდი ვერაფერი შვილია, მთავარი მტკიცებულებაა.

რას იტყოდა აბელ იაშვილი, ვინმეს რომ ეკითხა?

თუნდაც იმას, რომ ევტუშევსკის ხელში საკი დაუნახა... დიდი ამბავი, ასეთი და მასზე უკეთესი საკვოიაჟი ბევრს ჰქონია თბილისის ქუჩებში.

თუნდაც იმას, რომ ცუდად ისროდა, თუმცა ხუთიოდე ნაბიჯიდან მსხვერპლს არ ააცილებდა, ისე როგორც თავად ჭავჭავაძეს... სასაცილოა, ევტუშევსკი შემთხვევის ადგილას არავის შეუნიშნავს და არც ვინმეს დაუსახელებია.

თუნდაც იმას, რომ ბოქაულს ოქროს თუმანი გადაუხადა... ამასაც რა ვუყოთ, თავისას იხდიდა, სხვისას ხომ არა.

თუნდაც იმას, რომ მაღალი თანამდებობის პირი გახლდათ... ეს სულ მთლად გაუგებარია, ევტუშევსკის მაღალი ჩინი მთელმა თბილისმა იცოდა, თავად მას კი არასოდეს დაუმაღავს, რომ გაცილებით მაღალ თანამდებობაზეც არ იტყოდა უარს.

თუნდაც იმას, რომ დოლიძე მაშინ დახატა, როდესაც არავის ენახა... არც ესაა გასაკვირი, ხელოვნებას რას გაუგებს ადამიანი, მიამსგავსა, წარმოიდგინა, სიზმარში იხილა...

ერთადერთი, ვისაც ევტუშევსკისთვის ნიღბის ჩამოგლეჯა შეეძლო, ერმალო დოლიძე გახლდათ, რომელსაც, საგარაუდოდ, უნდა მიეტანა კიდეც აღნიშნული საკი გამომძიებლისთვის, მაგრამ ერმალო არაფერს იტყოდა, არა იმიტომ, რომ გაქცეული გახლდათ, არამედ უფრო იმიტომ, რომ ეს გაქცევა ევტუშევსკის ხელშეწყობით უნდა მომხდარიყო.

გამოუვალ მდგომარეობას რომ ეძახიან, სწორედ ისეთი შეიქნა. აბელ იაშვილმა თითქოს ბევრი იცოდა, მაგრამ ვერაფერს ამტკიცებდა, ხოლო რასაც ამტკიცებდა, ისედაც ყველამ იცოდა. ყველაზე მეტად კი ის სტკენდა გულს, რომ მეგობრის არჩევაში პატარა ბავშვივით შეცვდა, გამოდის რომ ტყუილად უცხოვრია და ცხოვრებისგან ვერაფერი უსწავლია.

სულში ჩააფურთხეს.

თავსლაფი დაასხეს.

ნამუსის ქუდი ფეხით გაუთელეს.

თავმოყვარე ადამიანისთვის მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა.

ქალაქ თბილისი აბელ იაშვილს სწორედ ასეთად იცნობდა.

ძნელი წარმოსადგენი აღარ უნდა იყოს, მოხდა ის, რაც მოსახდენია.

ის დღე ქალაქის მაცხოვრებლებს ორი რამით დამახსოვრებიათ. ერთი, რომ საზოგადოებრივ ჟურნალს, „თეატრსა და ცხოვრებას“, ფინანსური პრობლემების გამო, გამოსვლა დაჰგვიანებია, მეორე კიდეც ის, რომ თბილისელთა სათაყვანებელ ექიმს, აბელ იაშვილს, უსიამოვნება შეჰყრია. სანამ ჟურნალის გამოცემელს, იოსებ იმედაშვილს, ფული უშოვნია და გაგულისებული სტამბის მუშაკები მოუთაფლავს, აბელ იაშვილს ჩახმანზე თითი დაუჭერია და ამ ცხოვრებისთვის ისე დაუქნევია ხელი, როგორც ბანქოს მოყვარულ, ვალეებში ჩაფლულ უიმედო ადამიანს. ეს სანყენი საქმე თბილისელთა უმრავლესობას, როგორც

ხვდებით, ჟურნალის დაგვიანების გამო, მხოლოდ საღამოს გაუგია, რადგან იმდროისთვის მთელი ქალაქი, ძველსა თუ ახალ ამბავს, ამ ჟურნალის წყალობით იგებდა, რომელსაც, როგორც იტყვიან, კორესპონდენტთა ფართო ქსელი ჰქონდა გაბმული საქართველოში და, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მის ფარგლებს გარეთაც.

ჟურნალი წერდა: ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ კიდევ ერთხელ სავალალო ამბის მომსწრენი შევიქენით. ექიმმა აბელ იაშვილმა, რომელიც იმ საქმითაც იყო ცნობილი, რომ თავად ჭავჭავაძის მკვლელობის ძიებაში მონაწილეობდა და დიდი წვლილი დასდო შეთქმულთა დაპატიმრებას, საკუთარ თავს მოულოდნელად განაჩენი გამოუტანა. რამ აიძულა ექიმი, ასეთი ცოდვით დაემძიმებინა საკუთარი სული, ძნელი სათქმელია, მაგრამ მეზობლები უიღბლო სიყვარულის ამბავს ჰყვებიან. თითქოს ექიმს ახნაზაროვის ქალი, შუშანა ჰყვარებია, მაგრამ ქალის მამა, ჰოვანესი გაჯიუტებულია, ქართველი სასიძო დაუნუნებია და ქალი გადაუშალავს. ექიმს უძებნია, მაგრამ ველარ მიუგნია, სამაგიეროდ, მამამისის სასროლი უპოვნია და სიცოცხლეც მოუმთავრებია. იმასაც ამბობდნენ, სიკვდილის წინ წერილი დაუტოვებია და ბევრი რამე იმ წერილში წერებულა, მაგრამ პოლიციელთა სიმრავლის გამო სახლში შეღწევა ენით უთქმელ ვაჟკაცობას წარმოადგენდა.

ჩანს, ასეთი ვაჟკაცობა რედაქციას კორესპონდენტისთვის აღარ მოუთხოვია.

წერილი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიკარგა.

ქვეყანა კიდევ უფრო აირია. ქართველი თავადი, მითუმეტეს, ქართველი ექიმი, აღარავის ახსოვდა და თუ ვინმე შემთხვევით, ანდა ბავშვური გულუბრყვილობით მაინც გაიხსენებდა, ის ადამიანი წამსვე ძნელად მისაგნები ხდებოდა.

რაც დრომ და მოთმინებამ ვერ შეძლო, ბედმა იტვირთა.

გრეკოვმა, რომელმაც, სავარაუდოდ, შიშის გამო ადრე მიცემული ჩვენება შეცვალა და მეტად უცნაური რამ განაცხადა: სოფელ ბახეში, ფერშალ პროკოფი ბერეჟიანის სახლში, არავითარ შეკრებას, რომელზედაც გადანყვებილი იყო თავად ჭავჭავაძის მოკვლა, მე არასდროს არ დავსწრებივარ. ამ ჩვენებამ, გარკვეული დროით, ერმალოს სიცოცხლე შეუნარჩუნა, თუმცა გრეკოვმა თავი მაინც ვერ გადაიარჩინა და იმ რაზმის მსხვერპლი შეიქნა, რომელშიც თავადვე იყო განწევრიანებული.

ინაშვილი, რომელმაც თავად ჭავჭავაძის ფულით ისწავლა და შვილებსაც ამავე ფულით მიაღებინა განათლება, თბილისთან ახლოს, ერთ-ერთ დუქანში, ჩხუბის დროს მოკლეს.

ფშავლიაშვილმა მართალია მოხერხა ციხიდან გაქცევა, მაგრამ გაქცევიდან შვიდიოდე თვეში გარდაიცვალა, როგორც მაშინ ამბობდნენ, მდინარე სუფსაში დაიხრჩო, მდინარის სიგრძე-სიგანეს თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ ფშავლიაშვილი სულ მთლად ფზიზელი არ უნდა ყოფილიყო.

მეტლე ლაბაური ციხეში ორი წლის წამების შემდეგ ჯალათის, საენის ექიმისა და ციხის უფროსის თანდასწრებით ჩამოახრჩვეს.

ერმალო დოლიძეს ჯაშმა გამოუტანა განაჩენი.

თავად ჯაში ცოლისძმამ, მილიციელმა, მიხეილ კობლატაძემ მოკლა.

ბერბიჭაშვილი, რომელიც ხელისუფლებიდან ექვსას მანეთ პენსიას იღებდა და ამაყობდა კიდევ ამ დანაშაულის, სრულ მარტოობაში დახვრიტეს. მართალია, დახვრეტამდე ცოცხალი ხნით ადრე ბერბიჭაშვილმა დანაშაულში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, მაგრამ აღარავინ დაუჯერა, ანდა ვინ დაუჯერებდა, როცა რამდენიმე წლის წინათ იმავე გამოძიებლებს სულ სხვა რამეს უმტკიცებდა, ჭავჭავაძე ამ მარჯვენამ მოკლა, ფაქტონით დადიოდა და იმიტომო.

სხვებს კიდევ სხვა ერგოთ და მათაც ასევე უსახელოდ დაასრულეს საკუთარი სიცოცხლე, რომელიც არც მაშინ და არც დღეს, ნაღდი ქართველების დაკვირვებით, ორ შაურზე მეტი არ უნდა ღირდეს.

პეტრე ევტუშევსკის კვალი უკრაინაში დაიკარგა. დაიკარგა ისე, როგორც აბელ იაშვილის წერილი.

იქნებ თან თუ გაიყოლა?

ათიოდე წლის შემდეგ მოშიებულ ალექსანდრე, იგივე საშა, მიქელაძეს ხორცის საყიდლად დუქანში შეუვლია. ყასაბს კარგი ნაჭერი ჩამოუჭრია და ხორცი ქალაღმში გაუხვევია, რომელიც მოგვიანებით, მიქელაძის სახლში მისვლის შემდეგ, ვილაცის ნაწერი აღმოჩენილა. მიქელაძე, რა თქმა უნდა, წერილის ავტორის ხელს ვერ სცნობდა, მაგრამ ნაწერში ჭავჭავაძისა და ევტუშევსკის ხსენებას ცხოველი ინტერესი გამოუწვევია და რეჟისორს ისიც გახსენებია თუ როგორი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია აბელ იაშვილის გაუჩინარებულ წერილს, რომელიც, სავარაუდოდ, მის კუთვნილ ხორცის ნაჭერს უნდა ჰქონოდა შემოხვეული. ამას მიხვედრილა თუ არა, ყასაბთან მიბრუნებულია და დარჩენილი ფურცლები მოუთხოვია. ყასაბი უარზე არ ყოფილა, მაგრამ ფულს თხოულობდა, ფურცლები თავადაც შეუძენია ბაზარში ხორცის შესახვევად. უვაჭრიათ და მორიგებულან. სულ ოთხი დაუსრულებელი ფურცელი ყოფილა. ნაკითხვის შემდეგ მიქელაძეს ჩაუბარებია კიდევ აღნიშნული თხზულება საისტორიო არქივისთვის, სადაც დღესაც ინახება ოთხმოცდამეჩვიდმეტე საარქივო ფონდში. მისი გაცნობა, დაინტერესებულ მკითხველს, სრულიად ადვილად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეუძლია, მითუმეტეს, რომ აბელ იაშვილის დაკარგული წერილის ოთხი, დაუსრულებელი, ფურცლის ნაკითხვა დიდ დროს არ დაიჭერს და რომელსაც, თუ იმათ ვენდობით ვისაც უკვე ნაკითხული აქვს, ასეთი დასაწყისი ჰქონია:

გამომძიებელი პეტრე ევტუშევსკი, ვგონებ, ერთადერთი ადამიანი გახლდათ მთელ თბილისსა და ასევე მის შემოგარენში, რომელმაც დანამდვილებით იცოდა, რომ სიტყვათა შეთანხმება სკოტლანდ-იარდი, თავდაპირველად, გეოგრაფიულ ადგილს აღნიშნავდა და არა გამოცდილ მაძებართა თავყრილობას. რომ არა ორწლიანი მივლინება ინგლისში, კერძოდ კი ქალაქ ლონდონში, სადაც პეტრე ბრიტანელთა მიღწევათა თუ გამოცდილების გასაზიარებლად გაამგზავრეს, ისიც იმ უცოდინარ მოქალაქეთა რიცხვში აღმოჩნდებოდა, რომელთა რაოდენობაც იმდროინდელ თბილისში სამოცი ათასს აღწევდა.



დათო ბარბაქაძე

# ამაღლებულისთვის\*

ბარბარას და რაიმონდს

1.

ქალაქის თავზე შეგროვებულ ანგელოზთა შფოთიანი  
გადანაცვლებები

(სახურავიდან სახურავზე გუმბათიდან გუმბათზე და  
ერთმანეთის გავლით  
მათი მდუმარება მერამდენე მოლხენილი საზოგადოების  
რთული თავებიდან  
და ცეკვის ოსტატური ჩანაცვლებებიდან არც თუ ხშირად  
გადმოდინებადი  
ჰაერში მოარული მერამდენე არაერთი ადამიანისკენ  
რომლებიც თვლემენ  
და ითვლიან საფასურს სარფიანად გაყიდული  
ერთუროთის და სიტყვის  
ან მეხსიერებაში უკვე დაფანტული რომელიმე ბოლო  
შედარების  
ფეთქებადის ახლა სულაც სხვა შედარებებად როგორც  
სიმღერებად  
თანამოძმეთა სისტემურ ან რაკეტურ თავებში და მათივე  
ბოხ ხმებში  
მიმართულში ერთმანეთის ბოხი ტანებისკენ როგორც  
უხილავი მტრისკენ  
როგორც თვით ხილული რაკეტური მტრისკენ რადგან  
უცნობისკენ ეს-ესაა ისევე  
თუ ისინი თვლემენ და ითვლიან ერთმანეთს აღსავსეს  
უამრავი დაბანგული ფიქრით  
ხავსით შესუდრულით შესუდრულით ანგელოზთა  
შფოთიანი ძილით)

\* წინამდებარე ლექსი არის პირველი პარაგრაფი ჩემი ახალი წიგნისა, რომელზეც გასული წლის დასაწყისიდან ვმუშაობ და რომელიც მიზანმიმართულად აგრძელებს 2004 წლის ბოლოს გამომცემლობა „საარში“ დასტამბული ჩემი პოეტური კრებულის – „ტბის სანაპიროს სიმღერები“ – შინაარსს და პოეტიკას (ავტორი)

უნწყებაა ახალი დროის რომელიც ყოველთვის ცუდი  
დროის მერე დგება  
ყოველთვის ასე კარგად ნაცნობი მორიგი უხეში დროის  
მერე მოდის

2.

– ისინი ამაღლდნენ ისეთი სისწრაფით,  
ო, ისეთი სისწრაფით ამაღლდნენ ისინი,  
რომ ისინი სწრაფვად იქცნენ მყისვე,

ისე რომ, ისინი ჩვენს შორ ანგელოზებს  
არსად არ უნახავთ ირგვლივ,  
ისინი ჩვენგან მაღლა ამაღლდნენ და მაღლა,

ყველგან, ჩვენ იქ სადაც  
არ ვყოფილვართ მაღლა,

არც ერთ სიმაღლეზე, სადაც მათთვის,  
ამაღლებულთათვის, ამაღლებულთათვის სადღაც,

ჩვენი-ჩვენი თვალი რომ მოგვეკრა სადმე,  
სადმე შორს და სადმე სიშორეში სადმე,

ასე რომ, ისინი შორს ამაღლდნენ,  
სიშორეში სადმე

3.

და ოდინდელი გუმბათების ირგვლივ  
სრულ ჰაერში ანთებული ეს ანგელოზები

(როგორც ნათურა ოთახში ან ლამპიონი სკვერში  
სადაც მზის ღრუბლებით შემოსილი სული ამკრეფია  
ჩვენი ცოდვების და სინანულთა მარტივი სიმრავლის  
მიძმედ დალექილის გარემოში რომელშიც ჩვენ ადამიანები  
ერთმანეთში გავივლით და რაღაც დროით ვრჩებით)

ფრთების შენელებით აღიქვამენ გაჩერებულ სახლებს და  
მიმოსვლებს  
გაჩერებულ ლიანდაგებს ხელოვნების გაჩერებულ  
ნაწარმოებებს  
ადამიანთა გაჩერებული სახეების მოულოდნელ უცნაურ  
ზედხედს

საიდანაც როგორც ლამის მინიდან და უსასრულო  
სოროებიდან  
ამოდიან ნატვრათა და ოცნებათა მდულარე წიგნები  
რომლებიც აღარ იკითხება

ნათელი მიზნით დანერილი ეპოქების გადამწერთა სხვა  
მიზნები  
სხვა მიზანთა სამიზნეში მათი ყოფნის ნიჭი და

<p>რომლებიც აღარ იკითხება</p> <p>ოფლისღვრა</p> <p>დროულ სიბრძნეთა კარგ სიბრძნეთა და სრულ სიბრძნეთა სინქრონიზმით მიღებული ორფეხა და უბუმბულო ცოცხალი საგნები</p> <p>რომლებიც აღარ იკითხება არც ერთი იმ ცოცხალი ანბანით დროში რომელმაც წინ გაუსწრო წინასწარ დროს რომელიც უკვე</p> <p>აღარ იკითხება მიერ ანგელოზთა ოდესმე მფარველთა აღარ იკითხება მიერ მათთა შენელებულ ფრთათა</p>	<p>სამარშრუტო აზროვნების ერთგული რაინდნი ესერა გეგმა მათი ცვალებადი მარშრუტის ესერა გეგმა უცვლელი ცვალებადი</p> <p>ესერა ისინი ესერა მრავალნი ესერა ბევრნი</p> <p>ესერა ცვალებად ამინდთაგან დაცული თავები მათთვის შერჩეული სასურველი ნარჩევი ამინდი ტურისტული ამინდი ყოველი</p>
<p>4.</p> <p>– მათი ცხოვრება აღმართული სადიდებლად სრულყოფამდე სრულყოფილი სრულყოფილებისა</p> <p>ნაქანდაკარი მათი ცხოვრების აღმავალი ხაზი მიმართული ყოველთვის -კენ და მიმართული ყოველთვის სწრაფად</p> <p>როგორც ოფიცრის შავი ჩექმა ჩაგდებული თოვლის ტრამალებით გამოწვეულ უსაზღვროებაში უსაზღვრო სივრცისა</p> <p>გაჯერებულისა მათი ჩასუნთქვის და ბრძნული ამოსუნთქვის რიტმით</p> <p>მიმოხვრებით მათი სხეულისა ნაქანდაკარისა მაღალი აზრებით აღფრენილით ნიადაგ -კენ და როგორც წესი ნიადაგ უმაღ</p> <p>გარდმონახედებით მათი მზერებისა იქიდან და საიდან და სულაც</p>	<p>ესერა ყოველი ამინდი ესერა შეთავაზებული ტურისტულ თავთათვის გეზი აზროვნების ესერა მოაზროვნე კეთილი თავები</p> <p>ესერა გეგმა აზროვნების ნაბოძები მოაზროვნე თავთათვის კეთილად ესერა ესერა თავთა მიერ დაგეგმარებული</p> <p>ესერა ისინი დაგეგმარებულნი ისინი ესერა</p> <p>ესერა ისინი -კენ მოაზროვნენი მზის მცხუნვარებისგან კეთილად დაცულნი დაცულნი წვიმისგან ქართაგან ხორშაკთა კეთილად დაცულნი ესერა ისინი</p> <p>ესერა ისინი კეთილად დამცველნი ყოველი მარშრუტის შეთავაზებულის მათთვისვე ზრუნვის და თავისუფალი აზროვნების ტურიზმის სახელით</p> <p>ესერა მათი აზროვნება აზროვნების ჰუმანური ტურიზმით დაცული მრავალმხრივი აზრით გამიზნული ქროლვა მათი აზრის</p>
<p>5.</p> <p>ესერა ისინი აზროვნების ტურისტები ესერა ისინი</p> <p>ესერა მათი აზროვნება განსაზღვრული აზროვნების მრავალი მარშრუტით ესერა აზროვნების მრავალფეროვნება</p> <p>ესერა ტურიზმი აზროვნების ესერა ტურიზმი</p> <p>ესერა ისინი</p>	<p>ესერა ისინი ესერა მზადმყოფნი ისინი ესერა მზადმყოფნი სააზროვნოდ დღენიდაგ მზადმყოფნი ისინი</p> <p>ესერა ისინი მოგზაურნი სააზროვნო ტურიზმის მარშრუტით მრავალი მარშრუტით ამოდ მოგზაურნი ისინი ისინი</p> <p>ესერა ისინი</p>

ესერა თავები  
ესერა სამარშრუტო აზროვნებით დაცული თავები  
ესერა ისინი ვითარცა თავები  
მოაზროვნე ესერა თავები

ესერა ისინი  
ესერა სიღრმეთა ისინი  
ესერა გამომძიებელნი სიღრმეთა ისინი  
ესერა -კენ გამომძიებელნი  
ჰუმანური ესერა ისინი

ესერა ტურისტინი აზროვნების  
ესერა ისინი

6.

- ვინც არ უნდა იყონ გადაეცით რომ ისინი ჩვენ ვართ  
გადაეცით ვინც არ უნდა იყონ რომ ისინი ვინც არ უნდა  
იყონ ჩვენ ვართ

დაე იყონ ვინც არ უნდა იყონ გადაეცით რომ ისინი ჩვენ ვართ  
და ჩვენც რომ არ ვიყოთ ისინი გადაეცით გადაეცით რომ  
ისინი ჩვენ ვართ

რას საქმიანობენ ისინი რა აწვიმთ რას საქმიანობენ ისინი  
რა ათოვთ  
რა მნიშვნელობა აქვს რა მნიშვნელობა აქვს როცა ჩვენ  
ისინი ჩვენ ვართ

დაე არ გვინახავს ისინი არასდროს დაე არ გვინახავს  
ისინი არსად  
გადაეცით დაე გადაეცით რომ ისინი დაე გადაეცით ჩვენ  
ვართ

7.

მაშ, დაე, შენთვის მშვენიერი და ჭეშმარიტად ამაღლე-  
ბული იყოს მხოლოდ ის, რაც ყველასთვის და ყოველთვის  
მშვენიერია და ამაღლებული. როდესაც თავიანთი საქმიან-  
ობით, ცხოვრების წესით, ზნე-ჩვეულებებით, მიდრეკი-  
ლებებით, ხნოვანებითა და განათლებით ერთმანეთისგან  
განსხვავებული კაცნი ერთიმეორეს ეთანხმებიან ამაღ-  
ლებულის შეფასებაში, სწორედ ეს თანხმობა იქნება შენ-  
თვის ურყევი და უტყუარი საბუთი იმისა, რომ ჭეშმარი-  
ტად ამაღლებულს ეხება საქმე.

*ფსევდო-ლონგინე. ამაღლებულისთვის.  
თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძისა*

8.

ეს კი ჩვენი კვირის ბოლოა,  
დანყებული სამუშაო დღის მიწურულით,

მშვიდად მომცველით მთელი კვირის, მთელი ცხოვრების,  
რომელშიც, ასე, თავს ვიყრით მწუხრის მაგიდასთან,

გარემოცულთან ხის კედლებით, თბილი ფიქრებით,  
ზოგჯერ წინადლით დატოვებული ჭურჭლის ან წიგნის  
განლაგებით,  
და თვალს ვადევნებთ, როგორ გადის ცხოვრება და  
როგორ გადის ეს დრო,  
რომელიც ასე მტკივნეულად გვაშორებს ერთმანეთს,

რათა სადმე, რომელიმე სხვა ვარსკვლავზე,  
კვლავ შეგვყაროს ერთმანეთს და კიდევ ერთხელ დატკბეს  
ჩვენი შეშფოთებით, იმის გამო ამ ჩვენი განგაშით,  
რომ ყოველი დღე და ფიქრი ერთმანეთს გვაშორებს,

კიდევ ერთხელ ნახოს, როგორ გვტკივა ერთმანეთში  
წარმავალი ეს დრო,  
წარმავალი ტრიალი ამ დროის, მიგნებულის რამდენ  
მწარე დროში,  
რომელიც, ოდესმე, მართლა შეგვყრის, გაგვაცნობს  
ერთმანეთს,  
ისე, რომ უკვე არაფერი გვახსოვდეს ამ წლების,

მაგიდასთან ამ ჩუმი და ცოცხალი სხდომების,  
ერთმანეთში მოგზაური ამ ჩვენი ფიქრების,  
ჩვენს თითქმის ხილულ სიყვარულში შენახული  
ჩვენი ამ ფარული ზრუნვის, ფორიაქის, ამ შიშის შესახებ,

ერთმანეთით სიხარულის ამ საშინელი, ამ ძვირფასი,  
შინაგანი ამ ცრემლის შესახებ, რომელიც, ცხადია,  
ყველგან, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ ყოველთვის,  
ერთადერთი წარმავალი ჩვენი ცხოვრებაა.

2005 წლის თებერვალი-მარტი,  
ვენა-მიუნსტერი

რუსუდან კაიშაური თითქოს საგანგებოდ ცდილობს, პოეზიაში ყოფით საგნებსა და სიტუაციებზე ისაუბროს. ეს ერთგვარი შურისძიებაა ყოფაზე, რომელიც მისი ცხოვრებიდან გულმოდგინედ დევნის პოეზიას, უფრო ზუსტად, ლექსისათვის სამყოფ დროსა და ენერჯიას გულმოდგინედ აცლის და ამას ყველაზე საპატიო მიზეზით, ხუთი შვილისათვის განეული გარჯის საფასურად უკეთებს. რუსუდანმაც, შესანიშნავმა პოეტმა, თავის გადასარჩენად ერთ მარჯვე ხერხს მიაგნო: თვითონ ყოფა აქცია პოეზიად და ყველაზე პროზაული საგნები ლექსად გადაადნო.

ეს ლექსები ყველაზე უფრო პოეტური შურისძიებაა ყოფიერებაზე, ეს რუსუდან კაიშაურის – არაჩვეულებრივად თავმდაბალი, და ყველას მიმართ მაღლიერების გრძნობით აღვსილი ადამიანის – ერთადერთი შურისძიებაა.

**რუსუდან კაიშაური**

**ლექსი**

ლექსს როცა დაწერ,  
იმ დღეს აღარ ლოცულობ,  
გული უარზეა.  
დედობა ჩამოგერთმევა,  
სამშობლოს ათავისუფლებ  
შენგან,  
სიცოცხლე დასული  
ყუაზეა.  
ან რაღად გინდა?  
ლექსს როცა დაწერ,  
გამობმული  
მერნის ძუაზე ხარ.  
სამაგიეროდ,  
სხვა ყველაფერი  
შენს ჭკუაზეა.

**ჩაიდანო**

ჩაიდანო, რა ხდება?  
ორთქლს უშვებ,  
ჭიქამ ბრაზი გაგინელა.  
განუყრელი მეგობრები:  
კარაქი, ჯემი,  
აჰყოლიან დანის ენას.  
მურაბა დედოფლობს,  
ალუბლის ტუჩებით  
გაატკბილებს ლამბაქ-ფინჯანს.  
ლიმონმა გუნების ასაჭრელად  
პირდაპირ მდულარემი ჩააბიჯა.  
ჭიქებმა დაიფინეს ლამბაქები,  
თავში კოვზის ცემა დააპირეს,  
ცეცხლი გიკიდია, ჩაიდანო?  
ჭიქაში ჩარგე ცხვირი, ჩაატირე.

**ტიალი**

დავსხდებით  
თვალები თვალებთან,

ტუჩები ტუჩებთან,  
სიყვარულობანას ვითამაშებთ –  
ერთმანეთში დავიმალებით,  
თითებად არ დავწვრილმანდებით.  
ქარიშხლები დაგვეჭმუჭნება შუბლზე,  
ცისკენ ავტრიალდებით.  
დავსხდებით  
მუხლები მუხლებთან,  
ხელები ხელებთან,  
ერთმანეთში გავტიალდებით.

**დიდედა**

დარჩენ თვალები სამზეოში,  
მე მივუბრუნდები დიდედას...  
რა ცოტა ქალია მასში,  
ფიქრებით გამოვტენო, მინდება.  
კარგი შალი გამოვიდოდა  
დიდედა,  
სავარძელში ერთად ჩავიკეცებოდით,  
მატყლის ფთილადაც გამოდგებოდა,  
ჩემი ჭირის წასამლელად;  
ხოლო ზამთარში დამენაცვლებოდა  
წინდებად.

**ცალხელა**

ამ ცალხელა კაცს  
ჩამოვართვი უმწეობა,  
რომელსაც თვინიერად  
ატარებდა.  
მსურს გაუფგო მის მხარს,  
რომ აკლია გაგრძელება-დამთავრება.  
თავიდან სწავლობს კაცი  
ცხოვრებასთან შეგუებას.  
ანუგეშებს სხვასთან გა-ერთი-ანება  
და ერთ-გულება.  
შეიძლება ისევ მე  
ავიძალო თვალები,  
ავიჩემო მისი განზილება –  
ლექსი დავიგრძელო ენასავით,  
ბუნების შეცდომა ვუნოდო  
ხელების დანყვილებას.

**მუჭი**

მე მივხვდი –  
 აღარ უნდა ვილაპარაკო,  
 ადგილი დავუთმო  
 სხვა გოგონებს,  
 ავიკრა გუდა-ნაბადი,  
 ერთ მუჭში მოვგროვდე.  
 ასეთი მუჭი კედელს  
 შეეხეთქება,  
 უცხო ნიკაპს აღარ  
 დაისვამს  
 და სანერ-კალამს ჩაბღუჯავს,  
 თვალ-ყურს ჩამოუვლის თავისას.  
 ასე-არსობის პურს შოულობს,  
 გულს დაეხურება,  
 როგორც ბაკანი.  
 – შეჩერდი! – იკივლებს გული,  
 – მე მინდა კანკალი!

**კრუს-წინილა**

ღრუბელს მინდა გავეჯიბრო,  
 ყველა ფორმა მოვსინჯო,  
 ჩემი მე არ ვიყო.  
 ცაზე მივოცნებობ,  
 მინდა ტირილი  
 ვინმესთან გავიყო.  
 მართო ცრემლები  
 რომ იყოს ჩემი საქმე,  
 როგორ ოქროსფრად  
 ვინვიმებდი!  
 ოცნებაშიც კრუხი ვარ,  
 მელანდებიან ჩემი წინილები.

**ფრენა**

მახსენდება, რომ ვიყავი  
 ჭიამაია,  
 დედამინას ვამძიმებდი  
 და ფრთები გავშალე.  
 ასე გავხდი ჩიტის ლუკმა,  
 ანდა ჩავჩითილდი  
 კაბა-თავშალზე.  
 ქალი რომ ვარ  
 ნაყოფიანი  
 და მიწას ვამძიმებ,  
 გავშლი ქოლგას,  
 ან კაბას...  
 ცოცხმა ზურგზე შემისვა,  
 ვითომ საფრენად  
 და ოჯახის ორმოში ჩამკარგა.

**სოფელი**

სოფელი დაბალია,  
 აქ ცა კარგად მეფერება,  
 ვარსკვლავები დამკანკალებენ.  
 ტყე ეროტიულ სიზმარშია  
 გარინდული,  
 სახლი და ხე ჩახვეულან,  
 ერთმანეთს ძლივს აკავებენ.  
 მათ შუა ველარ გამივლია,  
 თუ არ დავაცალკევე.  
 ხელს აუშვებ,  
 ისევ ერთდებიან.  
 ქალაქში,  
 სადაც ხე და სახლი  
 ველარ ცნობენ ერთმანეთს  
 (საერთო წინაპრის მიუხედავად),  
 სახლებს, მცენარეებს  
 ხელს ჩავჭიდებ,  
 დავანყვილებ,  
 გავიხედავ, ისევ ერთ-დებიან.

**პარდის გახმოვა**

ჩემს ასაკში  
 სიყვარულს აღარ ეძლევიან,  
 აღარ გადაიკვეთებიან,  
 პარალელურად მგ ზავრობენ.  
 ერთმანეთს ხედავენ,  
 ვერაფერს ბედავენ,  
 ნაფიქრალს კმარობენ.  
 საკუთარი თავი შეეყვარებიან,  
 თითქოს სცენისთვის  
 ირთვებიან,  
 ორივე ზანტად ირჯება,  
 ერთმანეთს უხმობენ  
 და ვარდებს უხმობენ,  
 დაბმულან მიჯნებთან.  
 სიყვარულის ანბანი დავინწყებიათ,  
 წერას ლაპარაკი ურჩევნიათ  
 სისხლში აღარ ეძებენ ნაკვერჩხალს,  
 ერთმანეთის უნდათ არა ვნება,  
 არამედ გაკბეჩა.

**ჰომეტის სოფელი**

ორი სოფლიდან:  
 ერთში ვიტოტები,  
 ვიღრიცები,  
 რომ ადვილად  
 ამოვიდნენ ჩემზე შვილები,  
 ჩემს გარეგნობას  
 არ გააჩნია სიმტკიცენი.

გვერდზე გადავწევ  
წუთისოფელს,  
ოცნებად ვიცრიცები.  
ბავშვებს ჰაერს ვუცვლი,  
ფოთოლს ვიქცევ წინვად.  
თავს ვანებებ ბრძოლებს,  
ჩემს სოფელში ვლალობ,  
წუთისოფელში თავს ვიცავ,  
ჩემი სოფლისგან ფრთაშესხმული  
დროს არ ვეურჩები,  
მოვიხავესები,  
მომჭრიან დასაჯდომ კუნძად.  
ასე სჯობს, ვიდრე წუთისოფელმა  
ძვლები გამიშიშვლოს ურცხვად.

**ბინძური ქალაქი**

სუფთა ქალაქზე ვფიქრობდი,  
წმინდა მდინარეზე.  
ნაგვის ბურთი თავში მომხვდა,  
გამომაფხიზლა:  
ირგვლივ ცელოფნის დროშები ფრიალებდნენ,  
უსტვენდნენ პლასტმასის ბოთლები.  
ამის შემომქმედი ვარ  
და მომთმენი,  
მეც ამ ბინძურმა ქალაქმა  
ამომაზიდა.

**ჭამა**

მუშამბა ჩემი ბრძოლის ველია,  
კბილები სწორან ჯარისკაცებად.  
ქალაქს ვახელსახოცებ,  
კალამი მოვჩანგლე,  
დანამცვეცება არვის აცდება.  
ვნების ადგილია ქართული სუფრა  
და ღვინოც  
სისხლივით არის დაღვრილი.  
ყრია: გაგლეჯილი ხორცი,  
დახვრეტილი ყველი,  
დაჭრილი პური,  
როგორც ნახირი.  
წინაკის მუნდირში გამოვენყე,  
ნივრისთავა მუშტებს ვატრიალებ.  
დავზეთე,  
ამუშავდა სიკვდილის მანქანა –  
ეს ჩემი პირი სატიალე.

**გაატყავს ლეჩხი**

ქალაქზე ლეჩხად გავიარე  
და შევიყუყუე მჭრელოვარე ატამში.  
მწვანის რითმებს ვაშრიალებ,  
საპნის ბუშტებს ვუშვებ

სარეცხში ჩამხრჩვალნი.  
თოკზე გაფენილს  
ქარი თუ მალიარებს.  
სასვენი ნიშნებით  
გაპრანჭული ლექსი ვარ,  
გზამრუდებული,  
ოთხადმოკეცილი,  
გაატყავს ლეჩხი და  
რომ ვერ მიცნო,  
იმ შვილისგან მოკბეჩილი.

**საშველი**

მინდა დედამინას მრგვალს  
მოვუძებნო კუთხე,  
რომ მივეყუდო ჯოხივით.  
ჩამოვიხსნი ქალურ ზიზილ-პიპილოს,  
ვარ პირუტყვივით მოხრილი.  
ცისკენ მაშინ მივდივარ,  
თუ მიხარია და  
არ მეყო  
მინის ფართობი.  
ცა კი დაბოლილი,  
ობიექტური (სადაც ასევე საშველს ვეძებ),  
თავს ირჩენს ფოტოგრაფობით.

**წუთისოფლო,**

რალა გინდა, რას მემართლები,  
შვილები გამომტყუე,  
როგორც შვება,  
ტანჯვა, სიყვარული,  
ეხლა დამეხსენი,  
გამორთული ვარ შენგან.  
ეზივარ პოეზიის ზღვასთან  
უდაბნოში ვცურავ,  
ქვიშაში ვიხატები ფიგურებს.  
არაფერი დაუშავო ბავშვებს,  
ჩემს სამშობლოს,  
ძალიან შორს ნუ დამიგულე.  
განა რა არის ჩემი დასვენება?  
ცრემლიდან – ლიმბლამდე  
და – პირიქით.  
ალარ ხარ ლხინივით ლამაზი,  
ჭირს უფრო დაემსგავსე  
და გერიდები.  
შენ არ ამბობ: ლხინი აქა,  
ჭირი – იქით.

**ბიჭულიური თემა. გზობა.**

ავიკიდე სიყვარული  
ხურჯინივით,  
დამიმატეს საპალნე  
და ბავშვები.

არ ვიყავი ურჩი  
ვირი.  
მეგობრობა წამოვიწყე,  
სხვების ცრემლებს  
ვცლაპავდი,  
გავიბერე მარილწყლისგან.  
წუთისოფლის მათრახისგან  
გავბრუნდი,  
ქრისტე როდის მოიკითხავს  
სახედარს,  
მანამ ვირად  
ვარ დაბმული.

**შფოთვა**

გავწყალდი. ეხლა  
საითაც გინდა,  
იქით მიყავი პირი,  
სადაც გსურს,  
იქ ჩამასხი.  
ვტირი.  
გამაფერადე სისხლით,  
რადგან სიმყარე მაინც მიყვარს –  
თავიდან მოსაძებნია  
თიხა.  
სურნელიც მომცხე,  
აგრძელე ჩემი მორთვა.  
ასე იყო:  
წყალს რომ შეერეოდა მინა,  
მაშინ იწყებოდა შფოთვა.

**სამება**

მადლობას გიხდი  
შენ, მას, ჩემს თავს.  
იქნებ სამივე ერთია.  
მე რომ მხსნის,  
ის გასაღები,  
მე მარტოს როგორ  
მეთრია.  
ვის უჭირავს ის?  
მას (ღმერთს), მე, შენ (სატრფოს),  
ან სამივეს ერთად.  
ჩემი თავი, სამად გაყოფილი,  
იტანჯება,  
ვერცერთს აღიქვამს მკვეთრად.  
დიდება შენ,  
უცნაურო სამება,  
რა ვუყო,  
თუ ერთ-ერთს  
გკარგავ.

დაქვრივებულს ანგელოზი შემეკითხა:  
– როგორ ხარ, ქალო?  
ვუპასუხე – შენზე კარგად.

**ქარი**

დავწვრილმანდი,  
გაჩერებულ ქარს  
ვაფარებ თავს.  
მიბრაზდებიან  
და მეც ქარს  
ხელებს ვკრავ.  
ქარს შევეგუე,  
ვთამაშობთ დაწყნარობანას.  
ჩვენს გაგიჟებას რა უნდა?  
ბევრი არცარაფერობანა.  
სამუდამოდ ვერ დავწყვილდებით,  
ქარი შიშით მიყურებს,  
ერთმანეთი რომ ველარ ვიცნოთ,  
მან სურდო მოიგონა,  
მე სიყრუე.

**ლოგინი**

– ადექი,  
ლოგინი მემუდარება,  
წადი, დაილაღე,  
გამოფხიზლდი,  
დამიბრუნდი სალამოს  
მუცლით და კუზით  
წამოზრდილით.  
არ მეთმობა ლოგინი,  
გატენილი  
ტკბილი ოცნებებით,  
დანარჩენები მატყუებენ,  
არ არიან შვების  
მომცემები.  
ქვაბები მიცინიან,  
საამო სუნს გამოსცემენ  
სარეცხები.  
ო, საქმეო,  
რამდენს გირტყამ,  
გწურავ, გლანძლავ,  
ერთხელაც არ გამექცევი.  
დილით ისევ სიურპრიზებს  
მპირდებიან.  
მე, ბალიშზე გადაამჯდარი  
ვქვეითდები.  
სალამოთი ნაგვის ფუთით  
მივლასლასებ ლოგინისკენ,  
სადაც მელის უნარჩენო ქეიფები.

რეკოლუცია

„რეკოლუციურს,
ჯერ არნახულს,
ჯერ არგაგონილს“...
ეხლა ჩვენ
უნდა წამოვხტეთ,
ანგელოზები დავაფრთხოთ.
ბალიში ცაში
ვისროლოთ
და სახლი
პირქვე დავამხოთ.
მერე ქუჩაში
გავცვივდეთ,
კარს ავუტეხოთ
ჯახუნი.
მოვანყოთ რეკოლუცია
კაცისგან ჯერ არ ნახული.
შეგჩერდეთ და
გავითვალოთ
ბოლოს „ინილო-ბინილო“ –
გავიყოთ: ზოგმა იტიროს,
დანარჩენებმა – იცინონ.

\* \* \*
ლექსი გულიდან
რომ ამოუფრინდა,
მაშინ მიხვდა –
რა ცუდად ყოფილა.

\* \* \*
კი მყავს პატრონი
ძალიან კაცური.
ღვთის ანაბარა ვარ
ყველაზე დაცული.

\* \* \*
ნიჭარაში შევიკეტე.
მშვიდობით, ჩემო
უბრალო ცხოვრებავ,
მარგალიტობას ვინყებ.

წელიწადის დრონი

ეგვიპტის ცხელ, მშრალ ჰავას, უდაბნოსფერ და ქვიშისფერ გარემოს იშვიათად თუ აფხიზლებს შხაპუნა, კიდეც უფრო იშვიათად თავსხმა წვიმა. ამის მიუხედავად თანამედროვე მწერალთა არაერთ ჩანახატსა თუ მოთხრობაში წვიმს. ზოგან წვიმა სევდის-მომგვრელი, ზოგან კი ხალისის, სიცოცხლის სიყვარულის გამოხატულებაა. ამ თხზულებათაგან სამივე ეგვიპტელ ავტორს ეკუთვნის. სხვადასხვა თაობის სამ მწერალთან წვიმა ადამიანურ ურთიერთობათა ფონად გვევლინება, მაგრამ, ამავე დროს, სრულიად განსხვავებულ პირადულ გრძნობებს ეხმაურება.

ნაჯიბ მაჰფუზი

წვიმა

წვიმამ ძველი სახლის შესასვლელთან მიგვარბენინა.
გარეთ წვიმის შხაპუნი და ჭექა-ქუხილია, შიგნით – მზის
ჩასვლის ფერი. ერთმანეთს შევხვდით ერთი კიბის ფარ-
თისა და ჩვენი დაფარული ფიქრების ამარა. გულში
ვთქვი: „ო, რა ქალია! დგას სიცივეში თან ამაყი და თან
დარცხვენილი.“ ჩაილაპარაკა, თითქოს თავისთვის: „ხა-
თაბალაა ეს წვიმა!“ ჩემი ფიქრებით დაბნეულმა მივუგე:
„მაგრამ ის ხომ წყალობაა სამყაროთათვის.“

ბაჰა ტაჰირი

უცხო განვიმდა

ორნი მიაბიჯებდნენ კასრ ენ-ნილის ქუჩაზე. სამირამ
გაიცინა და თქვა:
– აქამდე რაიმე სასიყვარულო ამბავი რომ გადამხდე-
ნოდა, უსათუოდ მოგიყვებოდი, დამიჯერე.

მადჰათმა უპასუხა:
– ტყუი (თან უკან ბორძიკით მომავალ კოჭლ მათხო-
ვარს ერთი პიასტრის მიცემაზე უარი უთხრა).
– გავბრაზდები.
– მაგრამ მართალი ხარ.. არასოდეს გყვარებივარ.
სამირა ვიტრინის წინ შეჩერდა... „ნარჩენების კვირა“...
„გემოვნებანი“... ყავისფერი მოქარგულ-მოფერადებული
ქსოვილის ნაჭერი... მინაზე მათი სახეები...
მადჰათმა თქვა:
– ვწუხვარ.
უპასუხა:
– არასოდეს გჯერა ჩემი... მინდა დედიკოს ვუყიდო
რამე დედის დღისათვის...
– ნაჭერი?
– არა, ჩანთა.
– მიყვარხარ, რა ვქნა? – ჩასჩურჩულა.
– რა თქვი? ხმამალა ილაპარაკე, არაფერი მესმის.
შუქნიშანი... იქიდან მოწყენილი კაცი აჭყეტს თვა-
ლებს... სამირა მაგრად ჩაეჭიდა მადჰათის იდაყვს. შემდეგ
გაუშვა..
ვიღაცამ თქვა მის გვერდით: „ქალის ადგილი სახლია“;
მეორემ მიუგო: „კაცისაც“. ორივეს გაეცინა..
კვლავ მწვანე შუქი... მოპირდაპირე ტროტუარიდან
მოღრუბლულ-მოქუფრული სახეთა ჯგუფი გამოემართა.

უეცრად მადჰათმა თქვა:

– რას ფიქრობ, ალექსანდრიაში ხომ არ წავსულიყავით? მიყვარს ზღვა..

- როდის?
- ახლა.
- შენი სამსახური?
- არა უშავს.
- დედა?
- არაფერია.
- გიჟი ხარ.

საპატრულო პოლიცია... თავჩაქინდრული ხალხი ტროტუარზე დადის. სასტვენს უყურებენ.

სამირა ამბობს:

– მე უდაბნო მიყვარს. მინდა პირამიდაში ვცხოვრობდე. არ მიყვარს ჭყლეტა, მიხლა-მოხლა. ღმერთო, როგორ ვერ ვიტან ხალხმრავლობას. დილაობით ავტობუსში ყველა მავეინროვებს და სულს მიხუთავს. მინდა მოვკვდე.. ამ ჩანთაზე რას იტყვი? დედას მოენონება?

- მეტად ახალგაზრდულია.
- დედაჩემი მოხუცი არ არის. როდესაც ერთად მოვდივართ ქუჩაში, ჩემი უფროსი და ჰგონიათ.

- რა საოცარია!
- რა თქვი? ხმამაღლა რატომ არ ლაპარაკობ?

- იყიდე.. ვამბობ: იყიდე, იყიდე, იყიდე..
- არა, ძალიან ძვირია. ასე ნუ ღრიალებ.
- თაჭირის მოედანზე მადჰათმა ჰკითხა:
- რა არის სიყვარული?

სამირამ თვალელები ცისკენ აატრიალა:

– სიმღერებსა და ფილმებში არ გგონია, რომ განვიმდება?

ცა პატარა მუქი ღრუბლებით იყო სავსე. მათი სიფრთვანა, ცაში სწრაფად მოცურავე კიდეები ბოლივით გაიფანტა.

მადჰათმა თქვა:

- არ იწვიმებს.
- ჩემი აზრით, იწვიმებს.
- შესაძლოა, მაგრამ მომისმინე.. მიყვარხარ? რა ვქნა?
- ამ თემაზე ნუ მალაპარაკებ.
- მაგრამ რატომ?
- ნუ მელაპარაკები! გავზრახე.

მდუმარედ განაგრძეს გზა. კასრ ენ-ნილის ხიდთან წამომართული მოლუშული ლომის ფაფარსა და თვალელებზე ჩიტუნების დანატოვარი კირივით თეთრად მოჩანდა. უჩუმრად გადაიარეს ხიდი.

ცოტა ხანში სამირამ თქვა:

- რატომ არ შეიძლება და-ძმასავით ვიყოთ?!
- მადჰათს გაეცინა და სიგარეტს მოუკიდა.
- შენ ჩემი ძმა იყავი, მე კი – შენი და.

უცებ განვიმდა და დაამატა:

- ხომ გითხარი, განვიმდება-მეთქი.
- ჰო.. – მადჰათმა გატეხილი სიგარეტი მდინარეში გადაადგო.

- არ გინდოდა დაგეჯერებინა და, აი, წვიმაც დაიწყო...
- ხო..
- გითხარი...
- ხო, შენ მითხარი, რომ განვიმდებოდა, და მე გითხა-

რი, რომ არ განვიმდებოდა, და წვიმა დაიწყო. რა ვქნა ახლა? ზღვაში გადავიგდო თავი?

– არა, რას ამბობ?! უბრალოდ, ამის შემდეგ დამიჯერე ხოლმე.

- შენი ძმა გავხდე?
- ოღონდ სწრაფად წავიდეთ, წვიმა მატულობს.
- არც მე მიყვარხარ.
- ჰო..

– მინდოდა მყვარებოდი, მაგრამ..

– რა მნიშვნელობა აქვს?! ამაზე ახლა ნუ მელაპარაკები. ჩქარა!

როდესაც კაზინოს კარს მიაღწიეს, სამირა სულს ძლივს ითქვამდა – ლოყები და წარბები დასველებოდა, ჩამოშლილი თმა მუქ სახეზე მინებებოდა.. მადჰათმა სცადა ხელით ჩამოენმინდა მისთვის წვიმა, მაგრამ მან თავი აარიდა:

– გმადლობთ, ცხვირსახოცი მაქვს.

კაზინოში ქოლგის ქვეშ დასხდნენ. წვიმის პატარა წვეთები მდინარეზე ეცემოდნენ და ფერფლისფერ ტალღებს განუწყვეტილად აცახცახებდნენ.

სამირამ თქვა:

– ვერ ვიტან, როცა წინწკლავს. ღმერთო, ნეტავ, მაგრად მოწვიმოს და დროზე გათავდეს.

მადჰათმა ხიღს გახედა – სწრაფი ნაბიჯით მოარულ ხალხს სხეულები წინ წაეხარათ და მოკეცილი გაზეთები თავზე წაეფარებინათ. წვიმის ხაზები კი თითქოს თანაგრძობითა და სიბრაღულით ავსებდნენ ქვეყანას.

– ჰო, ასე გაგრძელდება მუდამ..

- რა გაგრძელდება?
- წვიმა.
- რას გულისხმობ?
- არაფერს.

მათ სწრაფად ჩაურბინა შავმა კატამ, გვერდით მდგარი მაგიდის ქვეშ ბენვი შეიფერთხა და თავის მბზინავ შავ ტანს დიდი კუდი ჩაახუტა. შემდეგ მწვანე, შეკითხვებით აღსავსე თვალელებით კუდს დაჟინებული მზერა მიაპყრო.

1966 წელი

## ჰანა ატია

### წვიმა

კაცმა გარეთ გაიხედა. წვიმა ისევ ასველებდა ფანჯრის მინას. ქალმა ყავის სმა დაიწყო და ჩუმი მზერა შეაპარა მამაკაცს, რომლის ტანიც – მისივე ძვირფასი სუნამოს შესაფერისი – მოჩვენებით მომხიბლობას სძენდა ოთახს.

ის ნელა მიუბრუნდა ქალს და გვერდით ოთახში ჩვილის საწოლი შენიშნა. საწოლს სუსტი შუქი ეცემოდა. ოდნავ დაბნეულმა ქალმა თავი ჩალუნა და ყავა ბოლომდე გამოწრუპა.

- ბევრ ყავას სვამ?
- ერთხელ ან ორჯერ დღეში.
- გეშინია?

– რა... მეძუძურისთვის რომ არ ვარგა?... ჭიქაში ჩაგიხედო?

– ჰმ... ჩემი ჭიქა...

– თუ გინდა...

– არა... არა.

ქალმა ფინჯანი გადადო და თითები თავისი მწვანე პერანგის სრესა დაიწყო. კაცს რაღაც ეუცხოვა მასში – თითქოს პერანგის სახელოები დაგრძელებოდა...

ყოყმანით განაგრძო:

– მითხრა...

– ალ-ჰაჯ ალ-ბადავიმ!!

ქალმა ჩაახველა, ხოლო კაცმა მის ფეხებს გახედა.

– მასადაამე, შენი მდგომარეობა... პირობები... და კიდევ ბევრი სხვა რამ...

– ...

– ბევრი კლიენტი... მინდოდა მეთქვა, საკმარისად ბევრი... – განაგრძო ქალმა და კაცს სწრაფად შეხედა – ორი, სამი...

– არ არიან ბევრნი.

ქალი თავის ადგილას დაჯდა და თავიდან დაიწყო ლოდინი. თან გარედან შემოსულ წვიმის ხმაურს უსმენდა. კაცმა გახედა და მიხვდა, რომ სულაც არ გამოირჩეოდა დიდი სილამაზით, მაგრამ მისი ალერსიანი მზერა ყველასა და ყველაფრისადმი რაღაც ძველსა და შინაურს აგონებდა.

ლამის პერანგზე მიანიშნა:

– აქ იყიდე?

– ბარასგან.

– ის არ მომკვდარა?

– ...

– ცოცხალია?

დაბნეულმა ქალმა უცებ მოუჭრა:

– ხომ გითხრა ალ-ჰაჯმა!

კაცმა მას სახეში ჩახედა:

– კი, კი, ალაჰიმც შეინწყალებს...

ქალმა სახე უხეშად მიაბრუნა... კაცს გაახსენდა, რომ იგი ცოტა ხნის წინათ მეორე ოთახში შეიკეტა – ალბათ, პატარას აჭმევდა... როგორც ჩანს, ისე მოუწევს წასვლა, ვერც შეეხება...

ქალმა ჩაახველა:

– ცოტა ცივა.

– ცივა.

– კოკისპირულად წვიმს.

კაცმა კედელზე დაკიდებულ წმიდა მარიამის ხატს მიაპყრო ყურადღება. მიუახლოვდა:

– ლამაზია.

– ეკლესიის წინ ვნახე და წამოვიყოლე.

– იქ ხშირად დადიხარ?

– ისე, ერთხელ ჩავუარე... მუსლიმი ვარ.

ჯობდა დროზე მოეთავებინათ საქმე, მაგრამ კაცს არ უნდოდა ეს. წინ დაუჯდა და ისევ მოწევა დაიწყო. ქალი კი მათ შორის მდგარ პატარა მაგიდაზე დაგდებულ მანქანის



მხატვარი კარლო ფაჩულია

ოქროსფერ გასაღებს მიაშტერდა. შემდეგ მისი კოლოფიდან სიგარეტი ამოაძვრინა. კაცმა მოუკიდა და მეორე ოთახისკენ გაიხედა:

– დაბადების შემდეგ გარდაიცვალა?

– მანამდე.

– გყავს კიდევ?

– დიდი გოგონა.

– გოგონა.

– დაქორწინებული.

– კარგია.

ისევ დადუმდნენ. კაცმა მისი გამხნევება დაიწყო. ქალი კი მარიამის ხატისაკენ იყურებოდა და ტუჩებზე ძლივს შესამჩნევი ღიმილი მოუჩანდა... ბინის მინის კარს მიღმა ლანდი გაკრთა. კაცს მოუჩვენა, თითქოს ვიღაც გასაღებით ალებდა კარს. წამოხტა, იქით გაქანდა და უცებ გაოცებული შედგა – შენიშნა, როგორ გაქრა ლანდი მთლიანად – თითქოს აორთქლდა. საშინელი უხერხულობა იგრძნო და, როცა ქალს შეხედა, დაინახა, რომ იგი ისევე აუღელვებლად იჯდა.

– ვიღაც იყო.

– ...

– გასაღების ხმა გავიგონე.

– არ არსებობს... ვინ იქნებოდა?!

ქალი ისევ მეორე ოთახში შეიკეტა. იქიდან ბავშვის სუსტი ტირილის ხმა ისმოდა. ქალი ამშვიდებდა და ძილს უბრუნებდა. მისი ხმის ტონალობა შეცვლილი – გაცილებით თბილი იყო. კაცმა ფანჯარა შეაღო და უხვად წამოსული წვიმის სუნი ღრმად ჩაისუნთქა. უეცრად ხმამაღალი კისკისი შემოესმა. გაიღიმა და კვლავ მიაყურადა, სასიამოვნო ბუტბუტით როგორ წაეთამამა ქალი პატარას. იგი კი გაუნძრევლად იდგა ფანჯარასთან.

შემდეგ მაგიდას მიუახლოვდა, თავის ფინჯანს ჩახედა, ჭიქის ფსკერზე დარჩენილი ყავა შეანჯღრია და თეფშზე გადმოაბრუნა. თან ფიქრობდა, ფული დაეტოვებინა. ფინჯანი ისევ მაგიდაზე დადო. ჩუმად, ფრთხილად გაინია ბინის კარისკენ, წამით შეჩერდა და კვლავ დაუგდო ყური ქალის შორეულ, მიკარგულ ხმას – უნდოდა გაეგო, რას ეუბნებოდა ბავშვს. სწრაფად მიტრიალდა და ჯიბიდან ამოღებული ფული დაუთვლელად დადო მაგიდაზე.

უზარმაზარი კლიტით ჩაკეტილი კარი ფრთხილად გააღო და ისევ შეეყოვნდა... ღრმად ამოიხვნეშა. წვიმა წინკარშიც აღწევდა. კაცი ქვემოდან ამომავალ მიმქრალ შუქს მიაშტერდა.. მოაგონდა ქალის მკერდიდან წამოსული რძის წვეთი, მწვანე პერანგი რომ დაუსველა... კარი გაიხურა და კიბეზე ჩაირბინა.

1993 წელი

არაბულიდან თარგმნა  
ნიწო დოლიძე

ნობელის პრემია და მისი ახალი ლაურეატი

შვედი ინჟინერ-ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ალფრედ ბერნჰარდ ნობელის მიერ დაარსებული და მის პატივსაცემად ნობელის პრემიად ნოდებული ჯილდო მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ და ყველაზე ხშირად გასაკრიტიკებლად ითვლება. რა თქმა უნდა ამას ბევრად განაპირობებს მისი მოცულობა: ჯილდო შედგება ოქროს მედლის – ნობელის გამოსახულებითა და შესაბამისი წარწერით – დიპლომისა, და, რაც მთავარია, ფულადი ანაზღაურების ჩეკისაგან, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია ნობელის ფონდის შემოსავალზე. ნობელის 1895 წლის 27 ნოემბერს შედგენილი ანდერძის თანახმად მისი კაპიტალი (პირველადი – 31 მილიონ შვედურ კრონზე მეტი) ჩაიდო აქციებში, ობლიგაციებსა და სესხებში. ყოველწლიურად მათი შემოსავალი ხუთ ტოლ ნაწილად იყოფა და ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიისა ან მედიცინის, ლიტერატურისა და მშვიდობის განმტკიცების დარგში ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო მიღწევებისათვის პრემიად იქცევა.

რადგანაც კომიტეტის წევრთა შორის პრემიისწინა თვის მანძილზე უმკაცრესი აკრძალვა მოქმედებს, დაასახელონ შესაძლო ლაურეატები, შვედეთის პრესა ჰიპოთეზებს დამოუკიდებლად აქვეყნებს. ჯილდოს შესაძლო პრეტენდენტებად დასახელებენ: ამოს ოზი, საფრანგეთში მცხოვრები სირიელი პოეტი ადონისი, პერუელი მარიო ვარგას ლიოსა, ამერიკელი ფილიპ როტი. ბრიტანეთის საბროკერო ფირმა „ლედბროუკ-სმა“ კი, რომელიც ტრადიციულად ფსონებს ნობელის კანდიდატებზე იღებს, გამოაქვეყნა სია, რომლის სათავეშიც თურქი მწერალი ორჰან ფამუქი იდგა, მას მოჰყვებოდა ადონისი, პოლონელი ჟურნალისტი და მწერალი რიშარდ კაპუსტინსკი, ამერიკელი ქალი ჯოის კეროლ ოუტსი და ფილიპ როტი. ასევე პრემიის კანდიდატთა შორის სახელდებოდნენ ინდუსი სალმან რუშდი, კორეელი კო იუნი, ჩეხი მილან კუნდერა, შვედი ტუმას თრანსტრემერი, პოლანდიელი სეის ნოტებორომი.

2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატები 12 ოქტომბერს დაასახელეს. და მისი მფლობელი გახდა 54 წლის თურქი მწერალი ორჰან ფამუქი. ჯილდო მას „თავის მელანქოლიური ქალაქის სულის ძიებისათვის“ მიანიჭეს.

ორჰან ფამუქი ავტორია რამდენიმე რომანისა, რომლებიც საერთაშორისო ბესტსელერებად იქცა – „შავი ნიგნი“, „მე მქვია ნითელი“, „თეთრი ციხე“, „თოვლი“ და აგრეთვე მემუარების ნიგნი „სტამბოლი: მოგონებათა ქალაქი“.

თუმცა თურქ ნაციონალისტებს სურთ ორჰან ფამუქს ნობელის პრემია ჩამოართვეთ. ისინი ამზადებენ საჩივარს შვედეთის აკადემიისადმი, რომელშიც აცხადებენ, ფამუქისათვის პრემიის მინიჭება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და სომხური დიასპორის ზემოქმედების შედეგად იქნა მიღებული.

\*\*\*

ორჰან ფამუქის თხზულებათაგან ქართულ ენაზე პირველად გამოჩნდა სცენარი ფილმისათვის „ფარული სახე“ ჟურნალ „კლდეკარის“ ფურცლებზე (2000, №2), თურქულიდან თარგმნა თამარ ალფენიძემ და მიუძღვნა თავის მასწავლებელს ნანა ჯანაშიას.

ამას გარდა, „ჩვენი მწერლობის“ 2002 წლის 2 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ფრაგმენტი მისი სამკარიანი რომანიდან „ჯევედთ ბეი და მისი ვაჟები“, რომელიც ქართულ ენობრივ სამოსელში მოაქცია თურქული ლიტერატურის აღიარებულმა მკვლევარმა და მთარგმნელმა ნოდარ ჯანაშიამ.

ისტორია ზღაპართა ჯაჭვია

\*

ინტერვიუ ორჰან ფამუქთან

საუბარი შედგა ფამუქის სტუდიასა ანუ „ოფისში“, როგორც თვითონ უწოდებს თავის მეორე სახლს, სადაც ნიგნის წერისას განმარტოვდება. წარმოდგინეთ უზარმაზარი ფანჯრები გამაოგნებელი სილამაზის ხედით ბოსფორზე, ნიგნის სტელაჟები კედლის გაყოლებაზე და ღრმა სავარძლები – აი, დაახლოებით ასეთ გარემოში შედგა ჩვენი შეხვედრა.

– „ფამუქი“ თურქულად ბამბას ნიშნავს, არა?

– სწორედაც. საქმე ისაა, რომ ჩემი წინაპრები ოდეს-ღაც, უხსოვარი დროიდან, კავკასიიდან თურქეთს გაქცეულან. იქ, ანატოლიაში შეერქვათ ეს მეტსახელი. პირისახე ძალიან თეთრი ჰქონდათ.

– ანუ ბამბულის მრეწველობასთან თქვენს წინაპრებს არაფერი აკავშირებდათ?

– უფრო რკინიგზასთან. პაპაჩემი რკინიგზით გამდიდრდა ოცდაათიან წლებში. იმ დროს პატარა თურქეთში მათი მშენებლობა ის იყო ინყებოდა. არ ვაზვიადებ, მართლა ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ ადრე გარდაიცვალა. მისმა მრავალრიცხოვანმა შთამომავლობამ კი უაზროდ განიავა მემკვიდრეობა. ასე რომ, ეს ჩვენთვის თავისებური ოჯახური ხოხმაა. – სად გაქრა ფული. რადგანაც პაპაჩემი ადრე გარდაიცვალა, ყველაფერს ბებია მართავდა – ოთხი შვილი ჰყავდა და ყველა ნიშანტამის რაიონის დიდ სახლში ცხოვრობდა. მოდერნიზაციის ხანაში სახლი გადააკეთეს და შემოსავლიანი გახადეს, და ჩემი დეიდები და ბიძები (და ჩემი მშობლებიც) იმავე სახლის ცალკეულ ბინაში დასახლდნენ. ასე რომ, ბავშვობაში ჩვეულებრივ მრავალბინიან სახლში ვცხოვრობდი, კურობი კი ის იყო, რომ ამ ბინებში ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ.

– ანუ, ოჯახობა „შავ ნიგნში“ ნატურრიდან აისახა?

– მეტ-ნაკლებად.

– შემდეგ?

– რადგან პაპაჩემი ინჟინერი გახლდათ, სავარაუდოდ ჩვენ ყველა მისი გზით უნდა წავსულიყავით. მაგრამ მე ჩვენს „ტექნიკურ“ ოჯახში ხელოვნებით ვიყავი გატაცებული. გადაწყვიტე, არქიტექტორი გავმხდარიყავი და სამი წელი ვსწავლობდი ამ საგანს. და ვკითხულობდი, ვკითხულობდი, ვკითხულობდი – გადაბმული კითხვა, რომელმაც იქამდე მიმიყვანა, რომ მწერალი გავხდი. ამავე დროს სტამბოლის უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის შესწავლა დავინყე, მაგრამ არასოდეს აღმიქვამს ეს საქმიანობა სერიოზულად. უბრალოდ ჯარიდან უნდა ავთელიყავი. 22 წლისა ვწერდი რომანს რომელმაც არაფერი მომიტანა: არც ფული, არც სახელი ოცდაათ წლამდე ორ-

ნახევარი რომანი დავწერე და ოცდაათი წლისამ ერთ-ერთი გამოვარდნის შემდეგ – ეს იყო კლასიციზმის სულის ვრცელი ოჯახური საგა, მაგრამ უცნაურად ბევრი მკითხველი ჰყავდა. პირველი წიგნი გაიყიდა ორი ათასი ცალი ერთ წელიწადში, მეორე – ექვსი, მესამე – თექვსმეტი, შემდეგ კი – ერთბაშად! და ტირაჟი ცამდე ავიდა: თითოეული წიგნის ასლი ასი ათასობით იყიდებოდა. მაშინ მოვიდა დასავლური დიდებაც.

**- თქვენი ოჯახის პოლიტიკურ მიდრეკილებებთან დაკავშირებით რას იტყვით?**

- ჩემი ოჯახი ყოველთვის დასავლეთზე იყო ორიენტირებული. ეს იდეოლოგია – ქემალიზმი – მათ ერთგვარ სულიერ უფლებამოსილებას ანიჭებდა, ითვლებოდა, რომ ისინი იყვნენ რესპუბლიკის ელიტა, იდგნენ სხვაზე მაღლა, და რომ განსაკუთრებული სტატუსი, პრივილეგიები ჰქონდათ. რაც, უნდა ითქვას, არც თუ შორს იყო ჭეშმარიტებისაგან.

**- ნიუ-იორკში როგორ აღმოჩნდით?**

- ჩემი მეუღლე დისერტაციას იცავდა კოლუმბიის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტმა მეც გამომიყო სტიპენდია. მასთან გავემგზავრე და თურქულის სწავლება დავინწყე. ამავე დროს ბიბლიოთეკაში „შავ წიგნს“ ვწერდი.

**- ანუ ეს რომანი ამერიკაში დაინერა?**

- დიახ, დიდი ნაწილი.

**- თქვენი საწერი მაგიდის გადანაცვლებამ ტექსტზე იმოქმედა?**

- დიახ, გარკვეულად – ნოსტალგია და, ხომ იცით, რაღაც ამდაგვარი. იქ, ნიუ-იორკში თითქოს ყველაფერი პერსპექტივაში დავინახე. ყველაფერი უფრო ფასეული მეჩვენა, ვიდრე სინამდვილეში იყო. დეტალები, წვრილმანები – უფრო ცხადი გახდა. თავი ჯოისი მეგონა, რომელიც ტრისტში ზის და „დუბლინელებს“ წერს.

**- ანუ „შავი წიგნის“ სტრუქტურულ მოდელად ჯოისის ნაწარმოებები გამოგადგათ?**

- რა თქმა უნდა, ორიენტაცია მასზე ავიღე, – კერძოდ, თუ როგორ გაიზარა დუბლინი.

**- ჯოისი წერდა, „ისტორია – კომპარია, რომელიდანაც გამოდევნება მსურს“. „შავ წიგნს“ რომ კითხულობ, გეჩვენება, თითქოს ისტორია თქვენთვის გრძელი ზღაპარია, რომლის გადაკითხვაც უსასრულოდ გნადია. რას იტყვით ასეთ შედარებაზე?**

- რა თქმა უნდა ის, რომ ისტორია – მხოლოდ ზღაპართა ჯაჭვია, გულს ეამება. მეორე მხრივ, დიდად არ მანადვლებს, როგორც იყო ისტორია სინამდვილეში. მე ისტორიის ვარიანტები მაინტერესებს, სხადასხვა ადამიანთა გონების თავისებური „ზღაპრები ისტორიაზე“. წარმოვიდგენდი ადამიანებს, რომლებიც სტამბოლის ქუჩებში თავისთავში ატარებდნენ ათასობით სხვადასხვა ისტორიას და არა იმ ერთ ისტორიას. და კიდევ ერთი – ეს ეხება თურქული ლიტერატურის – როგორც ასეთის – ტრადიციას. საქმე ისაა, რომ თურქული ლიტერატურე მუდამ ზარალდებოდა მემარცხენე შეხედულებათა გამო. ის პლებეური იყო – იმ გაგებით, რომ მწერლები, ძირითადად ანატოლიის გლეხებზე, სილატაკეზე წერდნენ. ეს გახლდათ ერთგვარი სოციალური რეალიზმი.

**- ვედათ თურქალი?**

- თუნდაც. თუმცა ის უფრო ურბანისტულია, მაგრამ სულერთია, მისი პოლიტიკური შეხედულებანი... რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, არავინ წერდა სტამბოლზე. ამ ქალაქზე. სასაცილოა, არა? გადავწყვიტე ამ ქალაქისათვის პალიმფესტივით შემეხედა. როგორც მისი ბიზანტიური, ოტომანური, რესპუბლიკური ისტორიის ფენოვანი ნამცხვრისათვის. განსაკუთრებით კი ოტომანური.

**- რატომ?**

- საქმე ისაა, რომ ისტორიის ოტომანური ხანა ახალ დროში ჩუმი აკრძალვის ქვეშ იყო. თურქებს თურქობა სურდათ და არა ოტომანური იმპერიის მემკვიდრეობა. ოტომანური სახელმწიფო კი, როგორც ყველა იმპერია, მრავალეროვანი იყო – სტამბოლში ცხოვრობდნენ ბერძნებიც, ებრაელებიც, სომხებიც. და მეც გადავწყვიტე ისტორიის ამ ჟამისათვის შემეხედა.

**- სუფიზმიდან და მევლიანადან?**

- დიახ, დიახ, დიახ, მაგრამ პირველ რიგში მსურდა ჩემი გმირები ამ ქალაქის ტყავში გამეხვია, საშუალება მიმეცა მხატვრული პროზის შემწეობით შეეგრძნოთ მისი ფანტასტიკური თვისებები. მსურდა ეს ქალაქი კლასობრივი ბრძოლის კი არა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, არამედ მისი ისტორიის, მისი საიდუმლოების მხრივ წარმომეჩინა, საიდუმლოებისა, რომელშიც ჯერ კიდევ გახვეულა სტამბოლი. თუ გნებავთ, სწორედ ესაა ჩემი პოლიტიკური პროგრამა.

**- სუფიურ პოეზიას დავუბრუნდით. რა მოტივით მიმართეთ ამ ტექსტებს – ობივატელური ცნობისმოყვარეობისა თუ რელიგიური მოთხოვნისა?**

- არც ასე და არც ისე. სუფიების სექტის წევრი არ ვყოფილვარ, ამიტომაც არავითარი რელიგიური მოტივაცია არა მქონია. ცნობისმოყვარეობის თვალსაზრისითაც ამ ტექსტებში საინტერესო არაფერია – უბრალოდ მოსაწყენად მოგეჩვენებათ. წიგნისათვის ორიგინალური – ენ. ტრადიციული – ლიტერატურის ნაჭერი მჭირდებოდა, რასაც, უდავოა, სუფიური პოეზია წარმოადგენს.

**- ანუ, გინდათ თქვათ, რომ სუფიური პოეზიის გათამაშება ორიგინალურია?**

- გინდ დაიჯერეთ, გინდ – არა, ასეა. საქმე ისაა, რომ ჩემი გარემოცვიდან, მეტიც – თაობიდან, არავის არასოდეს ნაუკითხავს ეს ლექსები. კითხულობდნენ დასავლელ მოდერნისტებს, თურქ „მემარცხენეებს“, მაგრამ არა იმას, რაც ცხვირწინ გქონდა. და მეც გადავწყვიტე ეს გამეთამაშებინა და სუფიებზე თვალი ამეხილა ამ ფსევდომოდერნისტული საზოგადოებისათვის.

**- ასეთი რეაქცია სწორია?**

- დიახ. ესაა რეაქცია საყოველთაო გატაცებაზე დასავლური და თანაც ვადაგასული პოეზიით.

**- ხშირად მკითხველი „შავ წიგნს“ განიხილავს როგორც ტურისტულ გზამკვლევს ჭკვიანთათვის. ცდილობენ ქალაქში იპოვნონ მხატვრულ ნაწარმოებში აღწერილი ასეთი მდგომარეობა. როგორ მოგწონთ?**

- დღეს საღამოს აუცილებლად გაჩვენებთ სახლს ნიშანტაში, ალადინის დუქანს, თვით ალადინს გაგაცნობთ (იცინის). სერიოზულად კი გეტყვით, ეს ნაკლებად მაღელვებს. ასეთი წიგნის დასაწერად რომანში გაბნეული

ყველა ამ წვრილმანისა და დეტალის ჩლუნგი ფანატისკოსი უნდა ყოფილიყავი, თუ გნებავთ, ჯიუტი ენციკლოპედისტი. „პირველი თურქული ნემსი 1956 წელს დამზადდა“ – აი, რა იყო მნიშვნელოვანი.

**– თქვენს წიგნში ძალიან ბევრი სუფთად თურქული გარემოა. იმდენად ბევრი, რომ ევროპელი მკითხველი წიგნის დაახლოებით ათ პროცენტს ვერ იგებს.**

– დიახ, ზოგიერთ შემთხვევაში თავი ვერ შევიკავე და რამდენჯერმე კბილი გაკვარი, მწარედ შევუტყე. პრობლემა სხვა რამეა – წიგნში გათამაშებული სუფიური პოეზიის შრე სრულიად გაუგებარია ევროპელი მკითხველისათვის. თუმცა თურქისათვისაც (იცინის)...

**– რუსეთში არსებობს სუფიური პოეზიის თარგმანები, მაგრამ ამით არაფერი ირკვევა. კითხულობ ამ ლექსებს და არ გესმის, რა აზრად დაა. მხოლოდ შემდეგ, როცა აქ, სტამბოლში, სუფიების მონასტერში მოვხვდი, იქ მოფუსფუსე დერვიშებს შევხვდი, გავიგონე მუსიკის ხმა, გავხეტიალდი ბაღში, გარემო შევიგრძენი...**

– ყველაფერი სრულიად მართებულია! სუფიური ტექსტები მართლაც ერთფეროვანია და ერთ თარგზე მოჭრილი. და რაც მათ შეუდარებელს ხდის, – გარემოა. თანაც მათ ტექსტებს რწმენით უნდა შეხედო – რომ ეს გამოცხადებაა. მე სვეტი დასავლელი ვიყავი და მათ ტექსტებს სკეპტიკურად ვკითხულობდი. ვკითხულობდი და ვკითხულობდი და არაფერი არ ხდებოდა. მაგრამ, აი, ამბები, რომლებიც მათშია მოთხრობილი, – მართლაც მნიშვნელოვანია, აქ არის ინდური ტრადიცია და ეს ჩემთვის საინტერესოა. ანუ, როგორც ლექსები სუსტია, და როგორც იმ დროის მათიანე – საინტერესო.

**– თქვენი დამოკიდებულება რუსული ლიტერატურისადმი?**

– ტოლსტოი და დოსტოევსკი. ამ უკანასკნელის რომანებისათვის წინასიტყვაობაც კი დავწერე თურქულ გამოცემებში. კიდევ მთელი ინგლისელი ნაბოკოვი, ოდესღაც გაბმით ვკითხულობდი სოლჟენიცინს, ოღონდაც მისი ბრუტალური მორალი ახლა უკვე მალიზიანებს. აი, ჩემი რუსული “თაროები” – თვითონ ნახეთ: ანდრეი ბელი, ჩეხოვი, პლატონოვი. აი, იქ, უკან გადავიტანე გორკი და ერენბურგი. აი, ბროდსკის ესეი.

**– როგორ მოგწონთ მისი ტექსტი სტამბოლზე?**

– ესეი თავისთავად შესანიშნავია – მაგრამ საქმის რეალურ ვითარებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია. ოდენით, მოგზაურის სნობურ წერილებს რომ წერდა: ისლან-



ორჰან ფამუქი

დიაში ჩავედი და გადავფურთხე. ერთი დამიხედეთ, მოსწყინდა თურმე. ბროდსკისა კი ნამდვილად მომწონს ესეი პიტერულ (პეტერბურგულ) ბავშვობაზე.

**– სტამბოლში გატარებული თქვენი ბავშვობის შესახებ რას გვეტყვი?**

– ორმოცი წლის წინათ სტამბოლი მშვიდი, სოფელივით პატარა ქალაქი იყო. დედასთან ერთად ვსეირნობდით უდაბურ ესტიკლიალიუში (ახლაც ასე ჰქვია). შევდიოდით დუქნებში და – მახსოვს – ლილებს ვეძებდით. ქალაქში მანქანა რომ გაივლიდა, ვყვიროდით: „ნახე, მანქანა!“ აი, ამ ნაპირიდან ვყვინთავდით ბოსფორში და ვბანაობდით. და დღემდე საოცრად მიყვარს თევზი – რესტორანში. ახლა კი ქალაქის ქუჩებში ზღვა ხალხია, უმთავრესად ანატოლიიდან ჩამოსულები, გზებზე საცობებია. ქალაქში რამდენიმე რაიონია, სადაც არასოდეს ვყოფილვარ – ისეთი შორია. ბოსფორში კი ვეღარ იბანავებ. მეორე მხრივ, ხედი ჩემი ფანჯრებიდან უცვლელია. რამდენიმე ათასი წელია, სულ ცოტა (იცინის).

**– მამ სტამბოლის ეს საიდუმლოებანი, მიწისქვეშა გასასვლელები, ბაღები?**

– ბაღები, მიწისქვეშა გასასვლელები – ეს ყველაფერი ქალაქის მითოლოგიაა. ყველა სტამბოლელ ბიჭუნას აბოდეებს ამ გასასვლელებზე, რომლებითაც კონსტანტინოპოლის მცხოვრებნი ქალაქიდან განძეულობით გარბოდნენ. მაგრამ გასასვლელი ჯერ არავის უპოვნია. ამ მითოლოგიას თავის საფუძველი აქვს – ყოფითი, რადგან შენი სახლის სხვენი მოდერნულია, პირველი სართული სულეიმანის დროსაა აშენებული, სარდაფი კი ბიზანტიური ნყოფითაა ამოყვანილი.

**– მშვენიერია. და ბოლოს – თქვენი „ცხოვრების განაწესი“?**

– ვცხოვრობ მეუღლესა (სხვათაშორის, რუსი წინაპრები ჰყავს – ყირიმიდან) და პატარა ქალიშვილთან ერთად ნიშანტაშში, ახლომახლო იმ სახლიდან, სადაც ცხოვრობდა გალიპის ანუ ჩემი ოჯახობა. დილით ჩემი გოგონა ბაღში მიმყავს, შემდეგ კი ბეიოლლუს გავლით ოფისში მივდივარ. დაახლოებით ოცი წუთი მჭირდება. ოფისში ვწერ (ყველა რომანი, თითქმის ხელით დავწერე), ვპასუხობ ზარებს, ვანარმოებ მიმონწერას. შემდეგ ჩემს ხელნა-

წერს ასისტენტი კრებს. საღამოთი შინ ვბრუნდები და ყველა ვვახშმობთ. როცა ჩემი მორიგი წიგნი გამოდის, მივემგზავრები სარეკლამო ტურნეთი იმ ქვეყანაში, სადაც ის გამოიცემა. შემდეგ ვბრუნდები და ყველაფერი თავიდან იწყება. მგონი ბედნიერი ადამიანი ვარ, როგორ ფიქრობთ?

„ნოვაია იუნოსტ“

ანონსი

ფრაგმენტი  
ორჰან ფამუქის  
რომანიდან

„ჯეჰდეთ ბაი და მისი ვაჟები“

გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მომდევნო –  
24 ნოემბრის – ნომერში

# ერთი ქართული სიტყვა: „ცამეტი“

\*  
ანდრეი კოსტიაევის  
ესაუბრება  
გელა ბაბლუანი

კანის ფესტივალზე ახალგაზრდა ქართველ კინორეჟისორს გელა ბაბლუანს საგანგებო პატივი მიაგეს საპარადო წითელ კიბეზე.

\*\*\*

კიევში იხსნება ფესტივალი „მოლოდოსტ“ და მის ფავორიტად კრიტიკოსებმა წინასწარვე დაასახელეს ქართველი კინორეჟისორი გელა ბაბლუანი თავისი შავ-თეთრი თრილერით, რომელსაც ჰქვია „13“ და გადაღებულია საფრანგეთში. ვიდრე კრიტიკოსები იდეოლოგიურ ხელკეტებს იქნევენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ხელოვანი უჩუმრად და შეუმჩნეველად ასრულებენ თავიანთ ამოცანას: უმძიმეს, კრიზისულ სიტუაციებში იპოვონ ის, რამაც შეიძლება გააერთიანოს ადამიანები.


– ფილმის გმირები არიან ქართველები, მთელი ოჯახებითურთ პარიზში რომ გადახვეწილან. ეს განაპირობა იმან, რომ თქვენთვის ნაცნობია მათი წრე, მათი ცხოვრების წირი?

– ეს იყო ნაწილი ჩანაფიქრისა, ნაწილი სცენარისა – პერსონაჟებად გამოგვეყვანა ემიგრანტები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიდან დასავლეთში ხომ ადამიანთა უზარმაზარი ოდენობა გადაიხვეწა. ეს რეალური ფენომენია, ეს არის ყოველდღიური რეალობა. და მე ვხედავ მათ ცხოვრებას, მესმის მათი გასაჭირი – დაიმკვიდრონ თავი სხვა ქვეყანაში, სხვა კულტურულ გარემოში. ამ ემიგრანტებს თავის გადასარჩენად, წონასწორობის შესანარჩუნებლად, გაცილებით მეტი ძალისხმევა სჭირდებათ, ვიდრე სხვა დანარჩენებს. მათ უნდა შეძლონ, ასე იქნება თუ ისე, ლუკმაპურის მოპოვება, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ გააჩნიათ. ხოლო ქართველები რომ არიან... დიახ, ასე უფრო იოლი იყო, რადგანაც ეს ჩემთვის ახლობელი რეალობაა – ქართველები, რომლებიც გადაიხვეწნენ საფრანგეთში, ბელგიაში, ევროპის სხვა ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

– სიკვდილი მთავარი გმირისა, ვის როლსაც თქვენი ძმა ასრულებს – ეს ერთადერთი გზა არის? სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია? შექმნილ პირობებში იგი დასაბამიდანვე განწირულია?

– მიმაჩნია, რომ ადამიანი როგორც კი ერთვება თამაშში ანგარებისათვის, მყისვე კარგავს უმანკოების

გრძნობას და თვითონვე ხდება მანიპულატორი. მას უკვე ძალუძს იმის ჩადენა, რაზედაც ადრე ხელს აიღებდა. და ადამიანი ამას შეგნებულად აკეთებს. ეს ხდება განსაზღვრულ მომენტში, როდესაც იგი გადალაზავს გარკვეულ ასაკს ანდა რაღაც ამბავი შეემთხვევა, რომელიც იწვევს ადამიანის გარდაქმნას. დიახ, ფილმში არსებობს სიკვდილის თემა და, ამ მხრივ, მე პოზიტიური იდეა არ მიმიწოდებია კაცობრიობისათვის.



– ტიტრებში რატომ მოათავსეთ ქართული სიტყვა „ცამეტი“?

– რათა მაყურებელმა ერთი ქართული სიტყვა მაინც დაიმახსოვროს.

– თქვენ შეიგრძნობთ თავს ბაბლუანთა დინასტიის ნაწილად? ეს ძალას გმატებთ თუ პასუხისმგებლობას გიზრდით?

– დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია დინასტიისა. იმედი მაქვს, გაგრძელდება. აგერ, ჩემს დასაც სწადია ფილმის გადაღება, პროდიუსერი მე უნდა ვიყო. ჯერ გადაიღებს მოკლემეტრაჟიანს, მერე – სრულმეტრაჟიანს. ის ფაქტი კი, რომ თეიმურაზ ბაბლუანის შვილი ვარ, ჩემთვის მართლაც უდიდესი უპირატესობაა. ოღონდ იმ თვალსაზრისით არა, თითქოსდა საფრანგეთში საქმეს გამიიოლებდა. უბრალოდ, როდესაც გყავს ასეთი მამა, როგორიც არის თემური, ვისი მუშაობაც გინახავს, როდესაც შენ განა ყურმოკვრით იცი, თუ რას ნიშნავს „შემოქმედების ფასი“ და „ნაყოფი შემოქმედებისა“, შენ უკვე სხვაგვარად ეკიდები მუშაობას, არ ეძებ იოლ გზებს, რადგანაც ხედავ, როგორ აკლავდა თავს და კვლავაც აკლავს... ცხადია, ამ სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით, როდესაც ის ეძებს, რათა იპოვოს რაღაც მოუხელთებელი, ზედაპირზე სულაც რომ არ ძეგს. საკუთარ თავს ვეუბნებოდი: მაშასადამე, ასეთია ფასი, ასეთია ეს სამუშაო – მუდმივი ძიება და არა რაღაც ერთხელ მიღწეული.

– მამის მაგალითის გარდა კიდევ რამ მოახდინა გავლენა თქვენზე?

– ამერიკულმა კინომ, სკორსეზეს და კოპოლას პირველმა ფილმებმა... მაგრამ ყველაზე მეტად ჩემს მანერაზე, ვფიქრობ, გავლენა მოახდინა საბჭოთა კინოს სკოლამ: გადაღების პრინციპებმა, მუნჯ კინემატოგრაფს რომ უახლოვდება, როდესაც უპირატესობას ანიჭებ გამოსახულებასა და მონტაჟს. მამასთან ერთად მისი მეგობრების მრავალი ფილმი მინახავს – იმხანად ყველანი ნახულობდნენ ერთიმეორის ფილმებს, მერე შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. დიდი ოჯახი გეგონებოდათ. მამაჩემი კიდევ ისეთი ბუნებისაა, რომ ყოველთვის უყვარდა ზეიმი და ლხინი. დიდებული თამადაა! სიყმაწვილეში გული მანუხებდა და მამას ყოველ წელს ჩაყვავდი მოსკოვში ექიმებთან. და როდესაც ვაწყობდით ლხინს მოსკოვის კინოსახლში, მახსოვს, თავიდან ორნი ვუსხედით მაგიდას და დასასრულ, თავს იყრიდა 70 კაცო! სუფრაზე

მყოფთა ფილმებიც ბევრი მინახავს. საბჭოთა კავშირის კინოს სიმდიდრე ის იყო, რომ მას სხვადასხვა ტრადიციები ასულდგმულეობდა. მაგალითად, ქართული კინემატოგრაფი განსხვავდებოდა რუსულისგან, მაგრამ ყველანი ერთად ქმნიდნენ საბჭოთა კინოს ფენომენს. მე ძალიან მიყვარს მამაჩემის ფილმები – იმიტომ კი არა, რომ ის მამაჩემია: არა, მას თავისი სტილი აქვს, ძალზე ინდივიდუალური, და მისი სურათებიდან იფრქვევა გადამდები ენერჯია. მაგრამ ასევე მიყვარს აბულაძის, ადრეული იოსელიანის, ძმები შენგელაიების ფილმები. დიახაც, ჩვენ დიდებული კინო გვქონდა.

– **თქვენს საპროდიუსერო კომპანიას ეწოდება Strada („გზა“), ეს გვახსენებს ფელინის სახელგანთქმულ ფილმს.**

– რასაკვირველია, ჩემთვის ძალზე ახლობელია ფელინის სტილი.

– **მაგრამ თქვენი თვალთახედვა სამყაროსი უფრო მკაცრია და სასონარკვეთილი, ვიდრე იტალიელი კლასიკოსისა.**

– ეს ჩემი პირადი ცხოვრებისეული გამოცდილებით აიხსნება. პარიზის სეგბედნიერ-ბურჟუაზიულ მე-16 უბანში რომ დავბადებულყავი, ეგებ სხვანაირი კინო გადამელო. მაგრამ ჩემი ყრმობისდროინდელ საქართველოში, 1990-იანი წლების დამდეგს, ბატონობდა თავბრუსხვევა თავისუფლებისგან და საშინელი ქაოსი. მამაჩემის თაობას უფრო გაუმართლა, თავისი ცხოვრების რაღაც ნაწილი გაატარეს ნორმალურ პირობებში, მათ ჰქონდათ, როგორც არ უნდა მოვეკიდოთ, მკაფიო ორიენტირები. ჩვენ კი არაფერი არ გვქონია. თბილისში გადავიტანე სამოქალაქო ომი, საქმის გარჩევანი ბანდიტურ კლანებს შორის, სილატაკე, შიმშილი. გავიგე, თუ რას ნიშნავს უფლება ძლიერისა. რომ გადარჩენილიყავი, უნდა გებრძოლა. იარაღი იყო ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყრელი ნაწილი და ყველგან სუფევდა სიკვდილი.

– **უახლოეს ხანში შედგება „13“-ის პრემიერა რუსეთში, ფილმი შეტანილია კიევის ფესტივალ „მოლოდოსტის“ კონკურსში. რას ეტყობით მაცურებელს, თუკი ეკრანზე ფილმის გაშვებამდე დარბაზში აღმოჩნდებით?**

– ჩემს მაგივრად ფილმმა უნდა ილაპარაკოს. მაგრამ ახლანდელ სიტუაციაში ვიტყვოდი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ყოველთვის არსებობდა ინტენსიური კულტურული მიმოცვლა, რასაც, არსებითად, პოლიტიკა არასოდეს უშლიდა ხელს. და მე ვთვლი, რომ სწორედ ამამია ხელოვანთა დანიშნულება – დაიცვან რეალური კულტურული ფასეულობანი, გაუფრთხილდნენ საერთო ჰუმანიტარულ სივრცეს. და მე ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ფილმი გამოდის ეკრანზე რუსეთსა და უკრაინაში. ჩვენი ორი კულტურა ხომ ერთად ირჯებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეს იყო მშვენიერი თანამშრომ-

ლობა. კულტურა არ მიეკუთვნება რელიგიას, კულტურა არ მიეკუთვნება სახელმწიფოს. ჩემი აზრით, კინოს ძლიერება ისაა, რომ შეუძლია გადაადგილდეს ერთი ქვეყნიდან მეორეში და გადაიტანოს ადამიანური ფასეულობანი. ეს მისი ამოცანაც არის. მამაჩემის ფილმები გადიოდა „ესენგეს“ სივრცეში და მახსენდება ის დრო, როდესაც მასთან ერთად ვესწრებოდი საფესტივალო გასინჯვებს. ეს იყო ერთიანი სამყარო კინოსი, სადაც არ არსებობდა ეროვნული განსხვავებანი. იქ იყვნენ ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები და ტაჯიკები. ჩვენ ყველას გვაერთიანებდა ძალა კინოსი. მინდა რომ დაბრუნდეს ეს ხიბლი – ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

– **და თქვენ კი არ გიჩნდებათ დაბრუნების სურვილი?**

– არ ვიცი. მაგრამ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ მომდევნო ფილმი გადამელო საქართველოში და მე მოვახერხე პროდიუსერთა დათანხმება ამ გადაღებაზე. ჩემი მეორე ფილმი, რომელსაც ჯერჯერობით პირობითად ჰქვია „თარჯიმანი“, ახლა მონტაჟის სტადიაშია.

– **თქვენ იგი წამოიწყეთ „13“-ის წარმატების ტალღაზე?**

– არა, ჩვენ მისი გადაღება დავიწყეთ ფილმ „13“-ის ეკრანზე გამოსვლამდე და საშინლად გართულდა ფულის შოვნა. მე და მამაჩემი ერთად ვიღებდით: საერთოდ, ეს პროექტი ჩავიფიქრე მხოლოდ იმისთვის, რომ მამას კვლავ გადაელო ფილმი. თეიმურაზ ბაბლუანის სცენარი: თავგადასავალი ფრანგებისა, რომლებიც მოხვდებიან საქართველოში და გადაეყრებიან ძალზე მოულოდნელ სიტუაციებს.

**დოსიე:** გელა ბაბლუანი – ცხოვრობს პარიზში, 27 წლისაა. შვილია ქართველი კინორეჟისორის თეიმურაზ ბაბლუანისა, რომელმაც ეპოქის დასასრულს გადაიღო ლეგენდარული ფილმი „უძინართა მზე“ (მიენიჭა „ვერცხლის დათვი“ ბერლინში, 1993 წელს). უმცროსი ბაბლუანის თრილერმა „13“ უკვე მოასწრო მოეხვეჭა „მომავლის ლომი“ (პარიზი საუკეთესო დებიუტისათვის) ვენეციის ფესტივალზე, 2005 წელს; გრან-პრი საუკეთესო უცხოური ფილმისათვის ამერიკული დამოუკიდებელი კინოს ფესტივალზე სანდენსში 2006 წელს; კანში კი დაასახელეს როგორც ერთ-ერთი – მსოფლიო კომერციული გაქირავებისათვის შვიდი ყველაზე პერსპექტიული ფრანგული სურათიდან.

„ლე მონდის“ მიმომხილველი შავ-თეთრ ფილმს „13“-ს უდარებს რუსული მუნჯი კინოს შედეგებს, ხოლო ავტორიტეტული ამერიკული კინოგაზეთის („ვერაიტი“) კრიტიკოსი იხსენებს ტარანტინოს ადრეულ ნამუშევრებს და ამტკიცებს: ბაბლუანის ტალანტი იმდენად თვალსაჩინოა, რომ ყველა კინომანი მოუთმენლად დაელოდება მისი ახალი ქმნილების გამოსვლას ეკრანზე.

„ნოვოე რუსკოე სლოვო“, 18.10.06

შაბათს, 11 ნოემბერს აღმოსავლურ კაფეში „ქარავანი“ გაიმართება გიორგი ლობჯანიძის პოეზიის საღამო დასაწყისი 18 საათზე ფურცელაძის 10

დმიტრი მერეჟკოვსკი

## სული და ხორცი ხელოვნებაში

ეგრეთ ნოდებულ „ესთეტიკა“ წარმოდგენა მშვენიერებაზე, მათი მრწამსი „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, შესაძლოა, მართებული იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, მეტისმეტად ურცხვია. მშვენიერებას უყვარს, როცა მას უმზერენ, მაგრამ არ უყვარს, როცა მასზე მიუთითებენ. ვიმეორებ: მშვენიერება მორცხვია; მგონი, ქვეყნად არაფერია მასზე უფრო მორცხვი. შეიძლება ასეც ვთქვათ: მშვენიერება ღვთის სიმორცხვეა, რომელიც მან საგნებსა და მოვლენებს გადააფარა.

გარდა ამისა, მშვენიერებაზე ესთეტიკა წარმოდგენას აკლია რალაც სიდიადე, სიამაყე. მშვენიერებას უყვარს, როცა მას ემსახურებიან, მაგრამ თავადაც უყვარს მსახურება. უდიდესი ხელოვანი ზოგჯერ აიძულებენ მშვენიერებას, ემსახუროს რალაც უმაღლესს, მსხვერპლად სწირავენ მას ამ უმაღლესს, რადგანაც იციან, რომ სწორედ სამსხვერპლო ნაჯახქვეშა მშვენიერება ყველაზე მეტად მიმზიდველი, მსგავსად საკუთარი მამის, აგამემნონის მიერ მსხვერპლად შეწირული იფიგენიასი. მართალია, უკანასკნელ წუთში ღმერთები, უფრო ხშირად, იფიგენიას მსგავსად, იხსნიან მას, გადაიყვანენ მიუწვდომელ ნაპირებზე, სადაც საუკუნოდ შეიკედლებენ და იშვილებენ.

ტრაგედია – ელინური სულის ყველაზე სრულყოფილი ქმნილება, რომელმაც ყველაზე ღრმად და ნათლად არეკლა ეს სული, რელიგიური რიტუალის საიდუმლოებიდან იშვა და თავისი განვითარების მანძილზე შეინარჩუნა კავშირი რელიგიასთან ისე, რომ ტრაგიკული მოქმედება სანახევროდ მუდამ ღვთისმსახურებად რჩებოდა, თეატრი – სანახევროდ ტაძრად. მთელი ბერძნული ხელოვნებაც თავისი გაფურჩქნის ჟამს სწორედ ასევე მსახურებდა რელიგიას. მხოლოდ უფრო ტლანქ და ზედაპირულ რომაულ კულტურასთან შეხებამ გაუნყვიტა ბერძნულ ხელოვნებას რელიგიასთან კავშირი. მხოლოდ მაშინდა, როცა დაიწყეს ღმერთების შეგროვება პანთეონებში, მუსეიონებსა და ქვეყნისმპყრობელ კეისართა სასახლეებში, როცა ღმერთები, უკვე რომ კარგავდნენ სიცოცხლის ნიშანწყალს, ფუფუნებისა და განცხრომის საგნებად დაიგულეს; როდესაც ამოიწურა მშვენიერების გამოცხადებანი, დაიწყო სიტყვები მშვენიერის შესახებ, დაიწყო ალექსანდრიული „ესთეტიზმი“, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ხელოვნება – როგორც რელიგია. და ეს მრწამსი, უნაყოფობიდან აღმოცენებული და უნაყოფობისავე მშობელი, მოასწავებდა რომის დაცემას, გადაგვარებას, „დეკადანსს“.

ქრისტიანული კატაკომბური კედლის მხატვრობა, თავისი უსუსური, მაგრამ უკვე სიმბოლური ბავშვური ტიტინით, კვლავ სულს ჩაჰბერავს ხელოვნებისა და რელიგიის ჩაკლულ ერთობას, რომელიც ამ ხნიდან მოყოლებული ძალას იკრებს და ხორცს იხსამს: პირველი მინისქვეშა ბაზი-

ლიკებიდან, პირველი გალილეური თქმულებებიდან კეთილ მწყემსზე, შუა საუკუნეების ტაძართა ცაში აწვერილ კოშკებამდე, „წმინდა სანახაობამდე“ – მისტერიამდე, რომელმაც დაბადა ჩვენი დრამა.

იტალიურმა აღორძინებამ თითქოსდა კვლავ ჩაკლა, სინამდვილეში კი – გარდასახა ეს ერთობა. ქრისტეს სახე ლეონარდოს „საიდუმლო სერობაში“ – ეს არაა იმ ქრისტეს სახე, ვისი ნაცვალიც რომის პაპია: სულ ერთია, რომელ პაპს ვიგულისხმებთ – გეორგ ჰილდებრანდს თუ ალექსანდრე ბორჯიას; არც სიქსტეს კაპელას ჭერზე გამოსახულ ნინასწარმეტყველებსა და სიბილეს – ძველი ალექსის ამ პატრიარქებსა და დიად დედებს, – აქეთ რაიმე საერთო აღსრულებული თუ სამერმისო ახალი ალექსის კათოლიციზმთან. აღორძინების რელიგიური სულის ეს ორი დიდი მატარებელი – ლეონარდო და მიქელანჯელო – თავიანთ თანამედროვეებზე ბევრად ახლოს არიან ჩვენთან და, უეჭველია, კიდევ უფრო ახლოს იქნებიან ჩვენს შთამომავლებთან. ორივე მათგანმა გააღრმავა და გაამყარა ხელოვნების კავშირი რელიგიასთან, – ოღონდაც არა დღევანდელ, არამედ სამერმისო რელიგიასთან.

ასეა თუ ისე, ამ ორიდან ვერც ერთი ვერ თავსდება „თვითკმარი ხელოვნების“ ფარგლებში, არც ერთი არ არის მხოლოდ ხელოვანი. მიქელანჯელო – მოქანდაკე და ფერმწერი – ფერწერაშიც კი მოქანდაკედ რჩება. ის წმ. პეტრეს ტაძრისა და ფლორენციის ციხე-გალავნის ამგებია, ვიტორია კოლონას საყვარელი, პოეტი, მეცნიერი, მოაზროვნე, ნინასწარმეტყველი. მაგრამ ლეონარდოს გვერდით თვით ეს ბუმბერაზიც კი მცირედ გვეჩვენება. ლეონარდოს მხატვრული შემოქმედება და აუარებელი სამეცნიერო ჩანაწერები მხოლოდ ბუნდოვან წარმოდგენას გვიქმნის მის გენიაზე და ჯერაც შეუსწავლელია, რადგან დღემდე ვერ მოიძებნა მეორე ასეთივე ყოვლისმომცველი გონების პატრონი. მე მგონი, მასავით არავის ნაპოვია საიქიოში ადამიანურ არსებაში მოქცეულ ზეადამიანურ ძალთა ამდენი ამოუხსნელი საიდუმლოება.

რაფაელმა, გეგონება ამ უკიდევანო მემკვიდრეობას შეუშინდაო, მხოლოდ მისი უმცირესი და უმარტივესი ნაწილი შეისისხლხორცა. მან წარმოუდგენლად შეავიწროვა და შეამჭიდროვა საკუთარი ხედვის არე: მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელსა ესწრაფვოდა, სამაგიეროდ მიაღწია კიდევ მას; სურდა მხოლოდ ხელოვანი გამხდარიყო და გახდა კიდევაც ხელოვანი უფრო სრულყოფილი გაგებით, ვიდრე ლეონარდო და მიქელანჯელოა. მაგრამ, ამასთანავე, სწორედ რაფაელში, ფრანჩისა სიტყვით, ამ „ილბიან ბიჭუნაში“ – „ფორტუნატო გარზონი“, – განხორციელდა აღორძინების დიდი მსოფლიო-ისტორიული უღელტეხილის გადალახვა, – დასრულდა აღმართი და დაიწყო დაღმასვლა. სწორედ რაფაელმა გახადა შესაძლებელი ისეთი „ესთეტიკა“ – ჩვენი მაძლარი და გაცვეთილი თანამედროვე ესთეტიზმის ისეთი წინამორბედის – გამოჩენა, როგორც პიეტრო არეტინოა, ლეონარდო რომ ვერც კი შენიშნა, მიქელანჯელო მასხრად აიგდო, ტიციანი კი გააღმერთა, როგორც დამამკვიდრებელი „სუფთა მშვენიერებისა“, ანუ იმ ხელოვნებისა, რომელიც რელიგიას კი არ ემსახურება, არამედ თავადაა რელიგია – ერთადერთი პოზიტიური, ეპიკურული, უღმერთო განცხრომის რელიგია: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის აქვთ ორი თვისება, რომელიც მათ ყოველგვარი „აღორძინების“ დიად სულისჩამდგმელთა გვერდით აყენებს.

ჯერ ერთი ის, რომ ორივეს შემოქმედება რელიგიას უკავშირდება, ოღონდ არა დღევანდელ, არამედ ჯერაც აღუსრულებელ, სამომავლო რელიგიას. რაც შეეხება მეორეს: მათი შემოქმედება ასევე ვერ ეტევა თვითკმარ რელიგიად აღიარებული ხელოვნების ჩარჩოებში, ის ბუნებრივად და უნებურადაც კი სცილდება და აღემატება ამ ჩარჩოებს.

ლევ ტოლსტოის სისუსტე და შეცდომა ის როდია, რომ ცდილობდა, გამხდარიყო უფრო მეტი, ვიდრე ხელოვანი, არამედ ის, რომ სწორედ მაშინ, როცა ამას ცდილობდა, ხშირად ხელოვანზე ნაკლები იყო. იმაში კი არ შეცდა, შემოქმედება ღვთისმსახურებად რომ აქცია, არამედ იმაში, რომ ხშირად არა საკუთარს, არამედ სხვის ღმერთს მსახურებდა. და მაინც, ტოლსტოის ფიგურაში უკვე შეიგრძნობა რეალური, თუმცა ჯერ განუხორციელებელი შესაძლებლობა სუფთა ხელოვნებაზე ბევრად უფრო ღრმა, რელიგიური ჭვრეტისა და ქმედებისა. იქნებ სწორედ ეს უწყვეტი შინაგანი ბრძოლა და ტკივილი, მხოლოდ მწერლის, მხოლოდ ხელოვანის ხვედრით ეს მოუსვენარი დაუკმაყოფილებლობა, გენიოსის ეს არნახული თვითუარყოფა და თვითმკვლელობა უქმნის ლევ ტოლსტოის მის ჭეშმარიტ ტრაგიკულ დიდებას? მხოლოდ სურვილი, მხოლოდ სწრაფვა ჭეშმარიტისაკენ ხომ უკვე დიდების ნიშანია; თავდაპირველად ვილაც უნდა მხოლოდ ესწრაფოს, რათა შემდგომში სხვამ უკვე სრულჰყოს კიდეც.

რაც შეეხება დოსტოევსკის, მგონი, უკვე სავსებით ნათელია, რომ მისი შემოქმედება თანაბრად აღაშფოთებთ „სუფთა“ მშვენიერების მესვეურთ და მათ მოწინააღმდეგეთ, – ვინც მშვენიერებაში კაცობრიობისათვის მარგებელ სიკეთესა და სათნოებას მოელის: მათთვის დოსტოევსკი მუდამ დარჩება „სასტიკ გენიად“. ის არამხოლოდ საკუთარ თავში დაატარებდა, არამედ მნიშვნელოვან ნილად განახორციელა კიდეც ჩვენი დროის ერთ-ერთი დიადი რელიგიური შესაძლებლობა, – ლევ ტოლსტოის რომ ჰქონდა, ის არა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი; ის არამხოლოდ ესწრაფოდა ყოფილიყო, არამედ იყო კიდეც ახალი რელიგიის განმცხადებელი (თუმცა, შესაძლოა, მაინც იმ დონემდე ვერა, როგორც ამას ესწრაფოდა), – ის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი იყო.

იოლი გასაგებია ერთ-ერთი ღვთისმოსავი პაპის შემფოთება სიქსტეს კაპელას ჭერზე გამოსახული ურიცხვი შიშველი სხეულის დანახვისას. პაპი ვერ ჩასწვდა იმას, რომ ეს წმინდა, სულიერი სხეულებია, ან, ყოველ შემთხვევაში, რომ ეს ასე იყო ჩაფიქრებული. მას, შესაძლოა, იგივე განცდა დაეუფლა, რაც თავად ანდრეის გაუჩნდა სმოლენსკის გზაზე, ჭუჭყიან ტბაში მობანავე, უამრავი მოფუთფუთე შიშველი სხეულის დანახვაზე, – ეს იყო ძრწოლა და ზიზღი ადამიანის სხეულის, „ადამიანის ხორცის“ წინაშე.

მართლაც, სწორედ აქ, სიქსტეს კაპელაში, მიქელანჯელომ ასეთი გამბედაობით პირველად გააშვილა სხეული, პირველად ჩამოაძრო მას ქრისტიანობის ათასწლიანი საფარველი; ძველების შემდეგ პირველმა სწორედ მან ჩაიხედა ხორცის უფსკრულში, ამ „შეუცნობელ მორევეში“, როგორც ლევ ტოლსტოი ამბობს.

სიქსტეს კაპელას ძველადღებულ სურათების გარშემო გამოსახულ შიშველ ჭაბუკთა, – თავდავინყებით, მთერალებივით მროკავ ამ სტიქიურ დემონთა სახეებში, და აგრეთვე მოსეს იმ სახეში, **San Pietro in Vincoli**-ში რომ დგას, – ამ შემზარავ, არაადამიანურ სახეში, სხივთა ნაცვლად რქები რომ ადგას და ამით კუროს, სატირს რომ ემსგავსება, – მათში პირველად იღვიძებს უხსოვარი და მარად ნორჩი არიული ფიქრი ღვთაებრივის და მხეცურის, „ღვთის ქმნილებისა“ და ღვთაებრივი მხეცის შერწყმის შესახებ. – ეს სანახევროდ ღმერთები, სანახევროდ მხეცები, ვისშიც ბუნებრივი ზებუნებრივამდეა აყვანილი, გოლიათური კუნთებით აღჭურვილი ეს არსებანი, „მხოლოდ სახე და სხეული რომ მოუჩანთ, სული კი თითქოს



დმიტრი მენდელეევი

მთლიანად დამალული აქვთ“, – მეტისმეტად სისხლსავსენი, ხორციით დახუნძლულნი, თითქოს სისხლსა და ხორცში გაგუდულნი, ცხოველური სიცოცხლის ორგიული სიჭარბით დამძიმებულნი, როგორც მედიჩის აკლდამის „დილა“ და „ლამე“, როგორც „სკვითი ტყვეები“ – თითქოს რალაც ზმანებით შეპყრობილნი, უდიდესი ძალისხმევით და მაინც ამაოდ რომ მიელტვიან ფიქრს, საზრისს, სულიერებას, ცდილობენ თავი დააღწიონ ხორცს, ქვას, ნივთიერ სუბსტანციას, რომელშიც მომწყვედულნი არიან. – შეუძლებელია წარმოიდგინო ისეთი რამ, მათზე უფრო შორს რომ იყოს ქრისტიანობისაგან და, ამავე დროს, მათზე უფრო მეტად რომ მიელტვოდეს ქრისტიანობას.

როგორც მიქელანჯელომ ჩაიხედა ხორცის უფსკრულში, ისე ჩაიხედა ლეონარდომ სანინაღმდეგო უფსკრულში

– სულში, ის თითქოს სწორედ იმ წერტილიდან გამოვიდა, რომლისკენაც ლეონარდო მიემართებოდა.

ლეონარდოს ყოველ ქმნილებას „სულიერი სხეული“ აქვს და ეს სხეული ისეა გამჭვირვალე-გათხელებული, რომ უნებლიეთ გეჩვენება, თითქოს მათში ლამპარით დანთებული სული გარეთ ატანს და შენ მას ხედავ; სხეული თითქოს აღარც კი მოჩანს: მას სული ფარავს: „საკუთარ სხეულს თითქმის ვერც კი შეიგრძნობენ“. ლეონარდოს კარიკატურები ადამიანებსა და ცხოველებზე – ეს სატანური სიმახინჯით აღვსილი სახეები, – და მეორენი – ანგელოზური მშვენიერებით სავსენი, რომლებშიც, დოსტოვესკის თქმით, „მინიერი იდუმალება სწვდება ვარსკვლავურს“, – ორივენი სიზმარეულ ლანდებს წააგვანან; მაგრამ ეს მათემატიკური სიზუსტითა და სიცხადით აგებული ლანდებია, ხორცშესხმული ლანდები, ყველაზე ფანტასტიკური და, ამავე დროს, ყველაზე რეალური. „მე ისეთი რეალიზმი მიყვარს, ფანტასტიკურამდე რომ მიდისო,“ – ამბობს დოსტოვესკი. ვფიქრობ, მას, ლეონარდოს მსგავსად, ამის თქმის უფლებაც ჰქონდა: „მიყვარს ფანტასტიკური, რომელიც რეალიზმამდე მიდის“. ორივესათვის ფანტასტიკური ზოგჯერ რეალობის არსს შეადგენს. ორივენი ეძიებენ და პოულობენ კიდეც „ნივთიერს, როგორც ზმანებას სინამდვილისას“ და ეს – სინამდვილის უკანასკნელ ზღვარზე. მონა ლიზას შემოქმედიც დიდი „ფსიქოლოგი“ გახლავთ, „უმადლესი გაგებით რეალისტი“, იკვლევს ადამიანის სულის სიღრმეებს, ადამიანის სულზე უმოწყალო, თითქმის დანაშაულებრივ ცდებს ატარებს. თავის ცდებში ის უკვე ჩვენეულ, თანამედროვე მეცნიერულ ცნობისმოყვარეობას ავლენს, არაფრის წინაშე უკან არ იხევს, გეომეტრიულ სიზუსტეს წინასწარმეტყველურ ნათელჭვრეტასთან აერთიანებს; მისი ყველაზე მგზნებარე ფიქრი ღმერთს ეკუთვნის, – ღვთაებრივი მექანიკის უპირველეს ძრავას, – რიშო ოტორე. მექანიკა და რელიგია, მეცნიერება და სიყვარული, – ეს ხომ ცეცხლისა და ყინულის ქორწინებაა: „სიყვარული შემეცნების შვილია“, – „რაც უფრო ზუსტია მეცნიერება, მით უფრო მგზნებარეა სიყვარული“, – პირველმა ხომ სწორედ მან გამოსახა თავის საიდუმლო სერობაში ეს ახალი დიადი ტრაგედია: მხოლოდ გულის კი არა, გონების ტრაგედიაც რომაა: დაბადება იმ ბოროტისა, რომელმაც ადამიანში ღმერთი მოკლა, – ამას ვხედავთ სწორედ იუდას ვნებთან, „ადამიანურ, მეტისმეტად ადამიანურ“ სახესა და – მის საპირისპიროდ – უფლის მშვიდ, ზეადამიანურ ხატებაში. განა ვინმე ლეონარდოზე მეტად მიუახლოვდა იმ პირველ იდუმალ გამოცხადებას სიტყვისა, რომელიც იქცა ხორცად, – ძე ღმერთის სუფევასთან? განა მას, ვინც შექმნა ქრისტეს სახე საიდუმლო სერობაზე, სულ ერთი ნაბიჯი არ აშორებს ხორცშესხმული სიტყვის მეორე გამოცხადებისაგან – სულიწმიდის სუფევისაგან? მაგრამ ლეონარდოს არ გადაუდგამს ეს ნაბიჯი: აღარ დაუსრულებია ქრისტეს სახე არია დელლე რაზიე-ს კედელზე. ლეონარდოს ოცნება, „შეესხა ხორცი უკვე საბოლოოდ, შეუქცევადად“, ოცნებადვე დარჩა. და, მიუხედავად თავისი სიყვარულისა ევკლიდეს თეორემებისადმი, „მინიერი რეალიზმისადმი“, მან თითქმის უკვალოდ, უსისხლხორცო ლანდით გამოიარა თავისი ამქვეყნიური გზა, – მდუმარე ბავით, შებურული პირი-სახით.

ლეონარდოს უკიდურეს სულიერებაში, ყოველივეს უკიდურესად განატიფებულ, გამძაფრებულ გაცნობიერებაში თავს იჩენს არსებითად იგივე ავადმყოფური, წყვეტილი, უმნიშვარი არსი, როგორც მიქელანჯელოს ხორციელ, პირველქმნილ, სტიქიურ-ცხოველურ უკიდურესობაში, – „აბოპოქრებულ ქაოსში“.

აი, ესაა აღორძინების ორი ღმერთი თუ ორი დემონი, – ესაა მათი მარადი ჭიდილი და მარადი თანხმობა.

[...]

რაფაელმა არამცთუ ვერ შეარიგა, არამედ, მგონი, ვერც კი შენიშნა ორი უკიდურესობის ეს ჭიდილი. ერთადერთი, რაც მან შეძლო, ესაა: ამ ორ ქიმერას ნესტრები დაუზღავა, ეშვები, კლანჭები და ფრთები დააჭრა, მოარჯულა, შეარბილა და შეასუსტა ორივე ისეთნაირად, რომ ბოლოსდაბოლოს შეძლო მათი საკუთარ თავში გაერთიანება. მაგრამ ეს შერწყმა, შერიგება თუ მხოლოდ დროებითი ზავი მეტისმეტად იოლი იყო, – მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული, მეტად უსაფრთხო და კეთილგონივრული: არც მწვადი არ დაუნვამს, არც შამფური. სწორედ ეს ეშმაკური თუ ქალური დამყოლობა ორთავესადმი – „ქრისტიანობისადმი“ და „წარმართობისადმი“, იეზუიტების გამოცხადებისადმი და რომის პაპის ლეონ X-ის ხილვისადმი – ეს შემპარავი, ალურსიანი მოქნილობა, რომელსაც „ილბლიანი ბიჭუნა“ იჩენს (საუბარი რაფაელისწინაირ ასე თუ ისე მაინც ძლიერ და ნატიფ მოვლენაზე რომ არ გვქროდა, მაშინ სულაც ტლანქ ანდაზას მოვიშველებდით: „Пасковский теленок двух мамок сосет“), გახდება მომავალში ყოველივე თვალთმაქცურის, აკადემიურად-პირობითის, გულცივის, მეშინურად მდარეს, უღიმამოსა და უგანოს საწინდარი. სწორედ ამგვარი მოვლენა იყო „სეჩენტიზმი“, რომელმაც დაღუპა აღორძინება: მის გამო აღორძინებას ხელი მოეცარა, ის ვერ დასრულდა და დღესაც მოელის თავის სრულმყოფელს.

ამ ჭიდილისათვის გვერდის ავლა ყოველად შეუძლებელი იყო.

ამ გაორებამ ჩვენს დროშიც იჩინა თავი და ახალი, მგონი, ჯერარნახული ძალით წარდგა ევროპული კულტურის წინაშე. ის მეტ-ნაკლებად ჩნდება ყველასთან, ვისშიც ილვიძებს აღორძინება, – გოეთედან მოყოლებული ნიცშემდეგ. და ყოველად შეუძლებელია, მისით არ აღბეჭდილიყო რუსული და მსოფლიო აღორძინების ორი უკანასკნელი წარმომადგენლის – ლევ ტოლსტოისა და დოსტოვესკის – ხვედრი.

ლევ ტოლსტოი ადამიანის სხეულის ისეთივე დიდი გამომსახველია სიტყვით, როგორც მიქელანჯელო – ფერსა და მარმარილოში. ლევ ტოლსტოიმ პირველმა გაბაბა სხეულის გამომშვლება ყოველი ხელოვნურ-ისტორიული სამოსისაგან; ის კვლავ ჩაუფიქრდა ადამიანში ღვთაებრივისა და მხეცურის არიულ შერწყმას – ღმერთ-მხეცს. ამასთანავე ტოლსტოის ყველა ქმნილებას თავს დასტრიალებს „მხეცის“ წინაშე სემიტური ძრწოლა, გამომშვლებული სხეულის, ხორცის ზიზღი. მაგრამ ტოლსტოიმ, თუმც მხოლოდ გუმანით, მაინც ყველაზე ადრე იგრძნო ის, რომ უხორცო სინმინდის მაგიერ შესაძლებელია წმინდა ხორცი, უსხეულო სულის მაგიერ – სულიერი სხეული: იმაზე უფრო წმინდა და სულიერიც კი, ვიდრე ეს ხორცის გაღმერთების ელიზურ ხანაში, პრაქსიტელისა და ფიდიასის დროს შეიძლებოდა.

როგორც ტოლსტოიმ – სხეულის უფსკრულში, ისე ჩაიხედა დოსტოევსკიმ სულის უფსკრულში და გვიჩვენა, რომ ზენა უფსკრული აბსოლუტურად ტოლფასია ქვენასი, რომ ადამიანის ცნობიერების საფეხურებს, ადამიანის ფიქრებს ერთურთისაგან ზოგჯერ ისეთივე „მორევი“ ჰყოფს, როგორც ჩანასახს – არყოფნისაგან. დოსტოევსკი შეერკინა არანაკლებ დიდ ძრწოლას, ვიდრე ძრწოლას ხორცის წინაშე – ეს იყო სულის, ზედმეტად გამძაფრებული ცნობიერების (რომელიც, მისი სიტყვებით, უკვე „სწეულებაა“), ყოველივე არამატერიალურის, განყენებულის, ბუნდოვანის შიში. ადამიანები ხომ შიშით, – ან იქნებ იმედითაც – მოელოდნენ იმას, რომ ოდესმე გონება გულის წყაროს ამოაშრობდა, რომ ცნობიერება მოკლავდა გრძნობას, რომ მისი უღმობელი შუქი ბოლომდე ჩასწვდებოდა, ფსკერამდე გაანათებდა არაცნობიერის ყველა საიდუმლოს. აღარსად დარჩებოდა ის ბინდი, რწმენისთვის რომაა აუცილებელი. ხოლო დოსტოევსკიმ კი დაგვანახა ის, რომ ჩვენ ვცდებოდით, რომ ჩვენი ცნობიერება ჰგავს ღამეული ცისაკენ აღმართულ უძლიერესი სინათლის სხივს: მანამ ცას მინის ბურუსი და ღრუბლები ფარავდა, სხივი მათზე ჩერდებოდა და გვეჩვენებოდა, რომ ეს ზეცის ფსკერია, რომლის იქითაც ცნობიერ სხივს გზა აღარა აქვს; მაგრამ, აი, ღრუბლები გაიფანტა, გამოჩნდა გადანმენდილი, წყვილიადაც მიცული ცარგვალი და მათ, ვინც წარმართავდა სხივს, იხილეს: რაც უფრო ძლიერი და გრძელია სხივი, მით უფრო ღრმა და უძიროა ზეცის წყვილი. დოსტოევსკი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საბოლოოდ მიხვდა: გონებასა და გულს შორის თანხმობა შესაძლებელია და მხოლოდ უღრმესი მეცნიერული წვდომა ანიჭებს ადამიანს უღრმეს რელიგიურ განცდას.

ესაა რუსული აღორძინების ორი ღმერთი თუ ორი დემონი, – ხორცის ნათელმჭვრეტელი ლევ ტოლსტოი და სულის ნათელმჭვრეტელი დოსტოევსკი, – ესაა მათი მარადი ჭიდილი და მარადი თანხმობა. ერთი ხორცის გასულიერებისაკენ იღვწის, მეორე – სულის ხორცშესხმისაკენ. და სწორედ ის, რომ ორნი არიან, რომ ერთად არიან (თუმცა ჯერ თავადაც ვერ გაუფიქრებიათ, რომ ერთად არიან და უერთმანეთოდ ყოფნა არ ძალუძთ) – ესაა სწორედ ჩვენი უკანასკნელი და უდიდესი სასოება.

რაფაელი – იტალიური აღორძინების ორი პოლუსის მართებელი თუ მხოლოდ მსურველი ამგვარი შეერთებისა, ფხვნილებს მიჰყვებოდა ლეონარდოსა და მიქელანჯელოს. სრულიად უკუმომართული სამწვერიანობა გვაქვს რუსულ აღორძინებაში: ჩვენი რაფაელი – პუშკინი – წინ უძღვის ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის, რომელთაც შეგნებულად გაჰყვეს და გააღრმავეს ის, რაც პუშკინში სტიქიურად და გაუზრებლად გაერთიანდა. თუკი ხორცის რელიგიური ჭვრეტა ტოლსტოისთან რუსული კულტურის თეზისია, სულის რელიგიური ჭვრეტა დოსტოევსკისთან – ანტითეზისი, მაშინ, დიალექტიკის კანონის თანახმად, უნდა დავასკვნათ რუსული (თავისი მნიშვნელობით – მსოფლიო) სინთეზის გარდუვალობაც. ეს უნდა იყოს პოლუსთა საბოლოო სიმბოლური ურთიერთშერწყმა, ჰარმონია, – უფრო ღიადაც, ვიდრე პუშკინისა, რადგანაც ის უფრო ღრმა და გაცნობიერებული იქნება.

შედგეს კი ეს მეორე, ჩვენეული აღორძინება, შეარჩოს მხარეები და შეწყვიტოს ეს ჭიდილი, – შეძლოს ის, რაც ვერ შეძლო პირველმა აღორძინებამ?

რუსული კულტურის მომავალზე ფიქრისას შეუძლებელია არ გავიხსენოთ მისი ანწყობა. ჰოდა, აი, აქ იწყება სწორედ ჩვენი ეჭვებიცა და ჩვენი თავმდაბლობაც.

როგორ შეიძლება თვალი ავარიდოთ იმას, რომ ეს ანწყობა უბრალოდ დამაფიქრებელი კი არა, – აშკარად უიმედოა? ძნელად თუ დავიჯერებთ, რომ თანამედროვე რუსული კულტურა სწორედ ისაა, საუკუნუნახევრის მანძილზე რომ უბოძა მსოფლიოს ორი ისეთი მოვლენა, როგორც პეტრე I და პუშკინი, შემდგომ საუკუნუნახევარში კი – ლევ ტოლსტოი და დოსტოევსკი. ძნელად თუ ვირწმუნებთ, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე – ე. ი. ლამის ჯერ კიდევ ახლანდელი თაობის თვალწინ – რუსეთში შეიქმნა თანამედროვე ევროპული ლიტერატურის ორი უდიდესი ნაწარმოები – „ანა კარენინა“ და „ძმები კარამაზოვები“. რუსული სულის მიერ მიღწეული ამ ორი მწვერვალის შემდეგ – რა უეცარი ვარდნაა, ღმერთო ჩემო, რამხელა დაცემა! სადაა შეგნებული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, სადაა ცოცხალი, სისხლისმიერი კავშირი გუშინდელსა და დღევანდელს შორის? ნუთუ ეს მართლაც ჩვენი გუშინდელი დღეა?! მართლაც ჩვენი წინაპარნი არიან ისინი? ჩვენ მათ ჩვენიანებად ვცნობთ, მაგრამ ისინი გვცნობდნენ კი ასეთებს, როგორებიც ვართ დღეს, თავიანთ შთამომავლებად და მეტიც: თავიანთ მემკვიდრეებად? ხომ არ იტყოდნენ უარს ასეთ „პატივზე“? იქნებ ასეთი წინაპარნი ჩვენთვის გამართლება კი არა – სასჯელია? რუსეთს შეუძლია იამაყოს თავისი გენიოსებით, მაგრამ განა ეს გენიოსებიც იამაყებდნენ თავიანთი რუსეთით, – ისეთით, როგორსაც ჩვენი სახით იხილავდნენ დღეს?

ახალი რუსული სულიერების ყოველ მოვლენას – თუგინდ გადაგვარებულ-გაველურებულ, უიმედოდ მოძველებულ სლავიანოფილობას და თუგინდ მარქსიზმს (დოსტოევსკის თქმით, „მზის გულზე მონებიერე ლეკვების ამ ჭყვიტინს“) – დაღად ატყვიან ფილოსოფიური და რელიგიური უსუსურობა და უნაყოფობა, რომელიც არც რუსულია და არც ევროპული, – ეს მხოლოდ და მხოლოდ პეტრებურგული, სმერდიაკოვისეული სიმდაბლეა: ხალხის ცოცხალი სულიერი ფესვებისაგან უსასრულო დაშორება, რალაც მისტიკური აცდენა. დიახ, სასონარკვეთილების საფუძველი მართლაც რომ გვაქვს.

ზოგჯერ მეჩვენება, თითქოს ის, რაც დღეს ხდება თანამედროვე რუსულ კულტურაში, ძალზე წააგავს პეტრებურგში შუა ზამთარში უეცრად დაწყებულ ლელმასა და თოვლჭყაპს, როდესაც ყოველივე, რაც აქამდე, მართალია, მკვდარი და გაყინული, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მყარი და სუფთა მაინც იყო, უეცრად დნობას, მოშვებას, მოდონდლოვებასა და ატალახებას იწყებს. და კიდევ კაცმა არ იცის, მართლაც გაზაფხულის მომასწავებელია ეს დნობა თუ ისე, უბრალოდ, დროებითი პეტრებურგული ჭყაპია, სრულიად უდროო დროს რომ შეიძლება დაიწყოს, საკმარისია, ზღვიდან მყარლმა დასავლეთის ქარმა დაუბეროს, ამ ყველაფერს კი მალე ახალი, კიდევ უფრო მკაცრი გამყინვარება მოჰყვება.

– რა უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ რუსულ აღორძინებაზე მაშინ, როცა ჩვენი კულტურული ფენები ევროპის ქვეყნებისათვის ჯერ არნახულ დაცემას განიცდიან?! რა უფლება გვაქვს ჩვენ, მშიერ-მწყურვალ გლახაკებს (თუმც

კაცმა რომ თქვას, თითქოს არც განვიცდით სულიერ შიმშილს: ზედა ფენებში მას ხორციელი სიმაძღრე ახშობს, ქვედა ფენებში – ხორციელი შიმშილი), რა უფლება გვაქვს დღეს სულის მსოფლიო ნადიმი ვინინასწარმეტყველოთ? და თუნდაც შედგეს კიდეც ეს ნადიმი, სადაა ჩვენი რუსული საქორწინო სამოსელი, მასზე დასწრების უფლებას რომ მოგვიპოვებს?

ვინ იცის, იქნებ მართლაც მეტი თავმდაბლობა გვმართებს? იქნებ ჯობდეს, ბოლომდე გამოვფიზიზდეთ, გავფანტოთ ფუჭი ზმანება და სხვა თვალით შევხედოთ რუსული სულის მსოფლიო მნიშვნელობის ვითომდა გარდუვალობას, – იმას, რაც სულ ცოტა ხნის წინ დოსტოევსკიმ ინინასწარმეტყველა: დავინახოთ მასში მხოლოდ „საკრალური სნეულების“ შედეგი – ან იქნებ სულაც სრულებით ჩვეულებრივი ავადმყოფის ბოძვა, ახირებული პატრიოტიზმის ველური გამოვლენა. თუკი ოდესმე რუსულ სულს მართლაც შეიძლება ამგვარი რამის იმედი ჰქონოდა, დღეს მას, მგონი, სწორედაც რომ უკან მოხედვა და იმაზე დაფიქრება მართებს, თუ რა იყო იგი უწინ და რად იქცა დღეს. ან კი თვით წინასწარმეტყველს რომ ეხილა, თუ როგორ სრულდება დღეს მისი წინასწარმეტყველება, კვლავაც იტყოდა იგი ამ თავის სიტყვას? მაგრამ, შესაძლოა, მას, ყოველივეს მიუხედავად, მაინც არ გაემეორა მისი ერთი სლავიანოფილი მეგობრის მიერ ოდესღაც წარმოთქმული სიტყვა, – სიტყვა იმ კაცისა, რომელსაც ასევე, და იქნებ უფრო დიდი გზნებითაც სწამდა რუსეთის მსოფლიო სამომავლო მნიშვნელობისა, თუმცა ის, მგონი, დროდადრო სრულებით კარგავდა ამ თავის რწმენას:

**И вот Господь неумолимо  
Мою Россию отстранит.**

თუკი მომავალს ანმყოს პრიზმით შევხედავთ, კაცმა რომ თქვას, მართლაც...

შესაძლოა, დღესაც არსებობენ ისეთი რუსი ადამიანები (ო, ცხადია, მხოლოდ თითო-ორი კაცი), უსასრულო, გაუნღებელი წყურვილით რომ მიელტვიან ახალ რელიგიურ ცნობიერებას და გუმანით გრძნობენ, რომ სადღაც აქვე, ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის შორის, რაღაც დიდი სიმბოლოს, დიდი შერწყმის მოლოდინში დავანებულა წყარო ანკარა – «წყაროი დაბეჭდული» – სწამთ, რომ ბავშვის ძალაც კი კმარა ამ წყაროსათვის ბეჭდის მოსახსნელად და მაშინ იქუხებს მაცოცხლებელი ნიაღვარი, მთელ მსოფლიოს რომ დაარწყულებს. – მაგრამ ამ წყურვილთა ისეთი ხრიოკი უდაბნო აქვთ გამოვლილი, ისე დაუძღურებულან, ბავშვის ძალაც კი აღარ შერჩათ: მათ ისლა რჩებათ, მიცოცდნენ იმ ადგილამდე, სადაც წყარო ეგულებათ, ძირს გაერთხნენ, მიწას ყური მიადონ, მიაყურადონ მიუწვდომელ მიწისქვეშა წყალთა რაკრას და წყურვილით დაიხოცონ.

ან იქნებ აქ სხვა ხატი, სხვა ნიშანი უფრო გამოგვადგეს? – რადგან ჩვენ, დღევანდლებს, ხომ ეს მოგვისაჯვს: ყრუ-მუნჯეებით, სიტყვებით კი არა, ნიშნებით ვიმეტყველოთ.

„ჯერ არასოდეს, – ამბობდა დოსტოევსკი, – არ ყოფილა ევროპა ასე აღვსილი მტრობის ელემენტებით, რო-

გორც დღეს, ჩვენს დროში. გეგონება, ყოველივე დანაღმულიაო, დენტით დაჯეჯგილი, და მხოლოდ პირველ ნაპერწკალსა ელოდება“.

ამავე „ნაპერწკალს“ ახსენებს ლევ ტოლსტოიც თავის თხზულებაში „ღვთის სასუფეველი“, სადაც ლაპარაკობს იმ „ხანძარზე“, მისი აზრით, მთელ ევროპულ კულტურას რომ მოუღებს ბოლოს. „ის ჯერ კიდევ იშვიათად ჩანს, მაგრამ ეს სწორედ ის ალია, ნაპერწკლით რომ იწყება და მანამ არ შეჩერდება, ვიდრე ყოველივეს არ დაფერფლავს. – ძალზე მცირედილა აკლია საიმისოდ, რათა დაემხოს საუკუნეებით დამკვიდრებული ძალმოსილება, ასე დიდებულად რომ გვეჩვენებოდა“. – საქმე იქამდე მივიდა, რომ თანამედროვე კულტურა „უკვე თავადვე შეიგონებოს საკუთარ უსუსურობასა და დაუცველობას, ხოლო ქრისტიანული სულისკვეთების ადამიანები, ეს-ესაა რომ გამოერკვნენ ძილ-ბურანიდან, უკვე თავიანთი ძალების გააზრებას ცდილობენ. – ცეცხლი მოვავლინე მიწაზეო, თქვა ქრისტემ, და რარიგ მსურს, უკვე გაჩაღდეს იგი. – და, აი, ეს ცეცხლი ახლა ჩაღდება“, – უკვე საკუთარი სიტყვებით ასკვნის ლევ ტოლსტოი.

ამ გამონათქვამებში ორივენი – ლევ ტოლსტოიცა და დოსტოევსკიც – თანამედროვე დასავლეთი ევროპის მხოლოდ გარეგნულ, სოციალურ და პოლიტიკურ უსუსურობაზე მსჯელობენ. მაგრამ ჩვენ ხომ ეს წუთია ნათლად დავინახეთ მისი შინაგანი უსუსურობაც: „ანტიქრისტე“ ნიცშეს მოსვლა – ეს არამხოლოდ დიდი და მრავლისმნიშვნელოვანი, არამედ დამასრულებელი, უკიდურესი მოვლენა, – ეს დასასრულის დასაწყისია, ეს უმაღლესი მწვერვალია, ეს უფსკრულია. ნიცშესთანა ბუმბერაზი კულტურულ-რელიგიური ძალის პატრონმაც კი ვერ შეარჩია ევროპული კულტურის უმთავრესი წინააღმდეგობა, ვერ გადაუფრინა უფსკრულს. მაშ, ვილაა მასზე ფრთაშესხმული? ვინ მოვა მის შემდეგ? ვინ გაბედავს?..

ო, ნეტავ კვლავაც შეგვეძლოს რუსული კულტურის პასუხისმგებლობა ევროპულ კულტურას გადაულოცოთ, როგორც ამას უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ჩავდიოდით. ნეტავ იმ დროს, როცა იმედი გვექონდა, იქ, ევროპაში, ვილაც ჩვენს მაგიერ მიიღებდა გადანყვეტილებას, აწონ-დაწონიდა ყოველივეს, მოგვახსენებდა თავის სიტყვას, – რომ იქიდან კვლავაც დაგვეხმარებოდნენ და დაგვემოძღვრავდნენ. მაგრამ ვაი, რომ დღითიდღე სულ უფრო ვრწმუნდებით ამაში: ახლა იქ ჩვენს გადასაწყვეტს აღარავინ გადანყვეტს, აღარავინ მოგვაშველებს იქიდან სიტყვას, რადგანაც მთელი სათქმელი იქ უკვე ითქვა. ჩვენ მარტონი ვართ. პატრიოტული სიამაყისა და სიხარულის მაგიერ შიშითა და უსასობით აგვაგებს ის, რომ სწორედ ასეთ საზარელ დროს დავრჩით მარტონი, რომ იქიდან შევლას ამაოდ ველით, რომ დგება ჟამი, როდესაც ჩვენ, უსუსურებს, გამოგვიწვიან პეშვს და შევლას შეგვთხოვენ: ჰო, უფრო დიდი იმედით შემოგვხედავენ იქიდან, ვიდრე ჩვენ ოდესმე შეგვიხედავს დასავლეთისთვის. ჩვენს სიტყვას დაელოდებიან, – სიტყვას თუ არა, ყრუ-მუნჯის ნიშანს მაინც.

„მთელი ევროპა დანაღმულია, დენტით გაჯეჯგილი, და მხოლოდ პირველ ნაპერწკალსა ელისო“, – ამბობს დოსტოევსკი. „ნაპერწკლიდან დაკვესებული ცეცხლი არ გაჩერდება, ვიდრე ყოველივეს არ გადასწავასო“, – ამბობს

## ესაინსტიკა

ლევ ტოლსტოი. ეს სიტყვა ნაპერწკლის შესახებ, ასე სა-  
ოცრად რომ მეორდება ხორცის ნათელმჭვრეტელთანაც  
და სულის ნათელმჭვრეტელთანაც, – იქნებ სწორედ ესაა  
ჩვენი რუსული სიტყვა თუ ნიშანი?

და ვინ იცის, ეგებ, ახალი რელიგიური ცნობიერების  
მატარებელი ის ერთიმეუჭა ხალხი (ეს – კულტურულ ფე-  
ნებში, თორემ ხალხის წიაღი ჩვენთვის ჯერაც ბურუსში  
რჩება), იქნებ ეს თითო-ოროლა კაცი იქცეს სწორედ ამ-  
გვარ ნაპერწკლებად? დენთს ეშინია ნაპერწკლის, ის თავს  
იმშვიდებს: ეს არაფერია, ეს მხოლოდ ერთი ნაპერწკალია:  
ჩვენ ურიცხვნი ვართ, თანაბარნი, მცირენი, რუხნი, ჩვენ  
მას ჩავახშობთ, ჩავაქრობთ, მოვკლავთ. – ხოლო ნაპერ-  
წკალს კიდევ უფრო მეტად ეშინია დენთისა: მას ყველა  
მხრიდან მკვდარი სიჩუმე და სიბნელე ერტყმის. რა აზრი  
აქვს ბრძოლას? სადა აქვს მას იმდენი ძალა, მაღლა ასწიოს  
და დაანგრიოს დენთის სანყოფის ეს რკინის სარტყლები  
და ქვის თალები? ნაპერწკალი უკვე ემზადება სასიკვდი-  
ლოდ. მაგრამ აი, თვით სასონარკვეთილება ბადებს იმედს  
და ამ ორთაბრძოლაზე, ატომთა თუ ქიმიურ მოლეკულათა  
უჩინარ მოძრაობაზე დამოკიდებული ყოველივე: ნაპერ-  
წკლის სიკვდილი მხოლოდ სიკვდილად დარჩება თუ ახალ,  
საზარელ სიცოცხლედ გარდაიქმნება? აფეთქებისათვის  
აუცილებელია, რომ ნაპერწკლის შიგნით რაღაც უმცი-  
რესმა და უდიდესმა, რაღაც უსუსტესმა და უძლიერესმა  
უთხრას საკუთარ თავს“.

მე თუ არა, მაშ ვინ?..

ახალი რელიგიური ცნობიერების მატარებელ რუს  
ადამიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველი მათგანის შიგ-  
ნით უკანასკნელ უჩინარ – იქნებ ატომთა – მოძრაობაზეა  
დამოკიდებული ევროპის ბედისწერა. უნდა ახსოვდეთ,  
რომ, რაგინდ უსუსურად გრძობდნენ თავს, რაგინდ სა-  
მარცხვინოდ მოეჩვენოთ რუსული კულტურის დაცემა, –  
მათ სწორედ დღეს არა აქვთ უფლება, ზურგი შეაქციონ  
პეტრესა და პუშკინის, ლევ ტოლსტოისა და დოსტოევსკის  
დანატოვარს, რადგან დღეს ეს დანატოვარი ყველაზე მე-  
ტად გვჭირდება არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მათ, ვისი მო-  
ვალენიც ვართ საუკუნოდ. თუკი დღეს ზურგს შევაქცევთ  
მას, მაშინ უკვე სამუდამოდ დავისჯებით, უკვე საუკუნო  
იქნება ეს განაჩენი:

**И вот Господь неумолимо  
Мою Россию отстранит.**

გვახსოვდეს, რომ, შესაძლოა, დადგეს ჟამი საზღაური-  
სა, როდესაც პასუხს მოგვთხოვენ და როცა ჩვენს ტვირთს  
ველარავინ შეგვიმსუბუქებს. მაშინ მოგვინებს წარმოვ-  
თქვით ეს უკანასკნელი, ყველაზე საშინელი, გიჟური და მა-  
ინც გარდუვალი სიტყვა, ერთადერთი გონივრული სიტყვა:  
ჩვენ თუ არა, მაშ ვინ?..

**რუსულიდან თარგმნა  
თამარ კოტრიკაძე**

## ანონსი

ელგუჯა თავბერიძე

პროლოგის მავიარ

# აირევი ივერია

ანუ  
ჯანტლმენ სოლომონ აშორდიას  
ცხოვრება და შეხედულება

ელგუჯა თავბერიძემ დაასრულა პიკარეს-  
კული რომანი „აირევი ივერია“ – ცნობილი  
თაღლითისა და ავანტიურისტის სოლომონ  
აშორდიას ცხოვრების ქრონიკაა. ამ პიროვნე-  
ბამ თავის დროზე გაიელვა მიხეილ ჯავახიშვი-  
ლის რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“, რომელიც  
წარმოგვიდგება პიკარესკული თხზულების  
კლასიკურ ნიმუშად. ელგუჯა თავბერიძე ცდი-  
ლობს აღადგინოს ქართულ ლიტერატურაშიც  
გაჩენილი ტრადიცია ამ ორიგინალური ჟან-  
რისა. სხვათა შორის, დალი ფანჯიკიძის წყა-  
ლობით, ქართულ ენაზე არსებობს პიკარეს-  
კული რომანის თვალსაჩინო ნიმუშიც – თომას  
მანის „ველაქს კრულის თავგადასავალი“.

„აირევი ივერია“ გამოქვეყნდება წლის  
დამლევს. მანამდე კი ჩვენი ჟურნალი შემოგ-  
თავაზებთ რამდენიმე თავს ამ ბიოგრაფიული  
რომანიდან.

გალაკტიონის პალინდრომია:

**აი რა მზის სიზმარია  
აირევი ივერია  
აი დროშა აშორდია  
აერების სიბერეა.**

იქნებ ვინმეს ეს სიტყვები პალინდრომისათვის საგან-  
გებოდ მოძიებულად მოეჩვენოს – ნაღმა-უკულმა ერთნა-  
ირად იკითხება და ამიტომაც მოიხმო პოეტმაო, – გაიფიქ-  
როს, მაგრამ არა გვგონია, ასე იყოს. თუ თითოეულ სიტ-  
ყვას ღრმად ჩაუფიქრებთ, მასში გამჟღავნებულ აზრს  
მოვიძიებთ, იმდროინდელ ამბებს გავიხსენებთ, ნათელი  
გახდება, ეს სიტყვები სულაც არაა შემთხვევით მოხმობი-  
ლი, მათში რაღაც აზრია გაცხადებული. აზრი კი ისაა,  
რომ ივერია მართლაც აზრია, აითქვიფა, აიდღვობა, აშორ-  
დიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაუ-  
რობა ადვილად მისაღწევი გახდა. ასეთად შეეძლო ქცეუ-  
ლიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილი გააჩნდა,  
სენაკში, ზუგდიდში ან ქუთაისში ჩასვლაც არ დაჭირ-  
დებოდა, ადგილზე მიუტანდნენ.

თავდაზნაურობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერის  
ხერხემალი, ქვეყნისთვის ჰაერი, დაბერდა, ასაკი დაეცო-  
რდა, ხმას ვეღარ იმალებდა, ქვეყანას ვეღარ უვლიდა, აშორ-  
დიას აზნაურები ბოგინობდნენ, რაც სურდათ, იმას აკე-  
თებდნენ, საითაც ენადათ, იქით აბრუნებდნენ საჭეს, ნე-

ბისაებრ უშვებდნენ ღუზას. ერთი სიტყვით, დაბერებული ჰაერი – ასაკდატყობილი თავადაზნაურობა ველარ პატრონობდა სამშობლოს.

არადა, ეს მართლაც სიზმარი გახლდათ, წარმოუდგენელი, ცხადში გაუაზრებელი, უჩვეულო და უცნაური, ვინც ადამყამიდან ქვეყანას ჩირისუფლობდა, ახლა ხმალი ჩაეგო, ბედს დანებებოდა, ზავი დაედო ჟამთან. ძველებს ჩასძინებოდათ, ახლები, თანაც ყალბნი, ინდომებდნენ მათი საქმის გაგრძელებას. მოკლედ: გალაკტიონის ეს პალინდრომი გამოძახილია ამორდიასა და მისთა მსგავსთა საქმიანობისა, იმ თაღლითური, ავანტიურისტული ზრახვებისა, მათ რომ წამოიწყეს და აღასრულეს კიდეც.

ამიტომ ვამბობთ, გალაკტიონს ეს ლექსი სულაც არ შეუთხზავს შემთხვევით, სიტყვების წალმა-უკულმა წაკითხვის სურვილით, პირიქით, რალაც ღრმა აზრი ჩადო მათში, ზემოთხაზვებზე მოვლენათა გათვალისწინებით ადვილად გასაგებია.

და კიდევ:

1927 წელს შეთხზულ სტროფში პოეტმა ამორდია იმის გამო გაიხსენა, აირევი ივერიას იმიტომ დაუკავშირა, რომ ბოლშევიკთა ბატონობის შემდეგ ქვეყანა არნახულად აირია. თავადაზნაურობის, როგორც ქვეყნის პატრონი კლასის, ფიზიკური განადგურება დაიწყო, საუკეთესო ნაწილი გაჟლიტეს კიდეც. ბუნებრივია, ამკარად ამის თქმა შეუძლებელი იყო, ამორდია-ივერიას დაკავშირებით კი, მართალია შენიღბულად, მაგრამ მაინც იმზილებოდა სათქმელი. ერთი სიტყვით, იმდროინდელ ბოლშევიკთა მძვინვარების ჟამი გალაკტიონს რალაცნაირად ამორდიასდროინდელ სიტუაციას აგონებდა.

ივერია პირუკუ აირევი რომ იყო მიხეილ ჯავახიშვილსაც აფიქრებდა. გალაკტიონის პალინდრომს არ ახსენებს, მაგრამ ამ ლექსის დაწერიდან რვა წლის შემდეგ უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია:

„აირევი ივერია (პირუკულმა წაიკითხეთ) რალაც საშინელი მისტიური აზრია ამ სიტყვებში“.

ივერია წალმა-უკულმა წაკითხვის შემდეგ სანეტაროცაა და შემამოფოთებელიც. მართლაც და, ხშირად არეული, ალენილი ქვეყნის ბედისწერაა გამხელილი ამ სიტყვის „მისტიურ აზრსა“ და იდუმალ საფიქრალში.

„ქართველ ხალხს მბრძანებელი აღარ ჰყავს. თავადაზნაურობა მოკვდა, მისი ნაცვალი კი ჯერ არ გაჩენილა“ – დაიჩვილებს მიხეილ ჯავახიშვილი იმავე 1935 წლის ჩანაწერში.

მბრძანებელი და პატრონი ადრეც შემოლეოდა, ვიგინდარებს მოესურვათ გამხდარიყვნენ თავადნი ან აზნაურნი, სახელი დაერქმიათ მხოლოდ, ვალზე არ ეფიქრათ, მერე კიდევ საერთოდ აღეგავათ სახსენებელი თავადაზნაურთა.

რალაცით ჰგავდა, რალაცით არ ჰგავდა, ეს ორი დროება ერთმანეთს.

იქნებ სხვა სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ გენიალური პოეტის ამ ლექსის ამგვარი წაკითხვა რომ შეიძლება, აშ-



სოლომონ ამორდია

კარაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული სიტყვის ჯადოქარს წალმა-უკულმა ერთნაირად წასაკითხი სიტყვების მოძიება არ გაუჭირდებოდა, ბუნებრივია, მრავლად გაიხსენებდა, უცდია კიდეც. პოეტის მიერვე გადახაზულ-დანუნებულ B ვარიანტში ამ ლექსს კიდეც ერთი სტროფი აქვს დამატებული:

**აღის დავა ავად სილა,  
აი რა დრო ორდარია,  
ოდნავ ისე ისე ვანდო,  
აი რა მზის სიზმარია.**

აქ განსაკუთრებით ერთი სტრიქონია საინტერესო – აი რა დრო ორდარია (აი რა დრო უნდა იყოს და არა აი რად დრო, როგორც გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის მეორე ტომშია მითითებული). მართლაც, ამორდიასდროინდელი და მერმინდელი ცის კამარაზე ორი დარი ჭიატობდა – ნამდვილი და მაცდური, ფრთები ეკვეცებოდა ძველს, ქეშმარილთ თავადაზნაურთა დროებას, დგებოდა ამორდიას აზნაურთა, მერე კიდევ ეროვნებაშრეტილ ბოლშევიკთა ჟამი. სხვა სტრიქონები (მესამე საერთოდ არაა პალინდრომი) აღარ გამოხატავს პოეტის იმ აზრს, რისთვისაც შეთხზა ეს ლექსი. ამიტომ გადახაზა, დატოვა მხოლოდ ისინი, რომლებიც კონკრეტული შეხედულების, პოზიციის გამჟღავნებისათვის ჭირდებოდა – პოზიცია კი, როგორც ვთქვი, ის გახლდათ, რომ ამორდიასა და მის დამქმნათა წყალობით თავადის ან აზნაურის ტიტული ფაეტონსა და სახლზე ადვილად შესაძენი გახდა – წალმართი ივერია უკულმა დატრიალდა, აქედან ივერია იქიდან აირევი-დ იქცა, აი დროშა – ამორდიად, მერე ეს დროც სანატრელად იქცა და აშ.

ადრე თავადობის, თუნდაც აზნაურობის მოპოვებას დამსახურება ჭირდებოდა, ან ბრძოლაში უნდა გამოეჩინა თავი, ან კიდევ მეფის, თუნდაც მთავრის ერთგული სამსახურით გამორჩეულიყო სხვათაგან, ახლა არა, გქონდა ფული, გსურდა თავადობა ან აზნაურობა, გადაიხდიდი, გახდებოდი. ეს პროცესიც, ძველის ახალთან შეფარდებით, პალინდრომივით შებრუნებულ-შეტრიალებულიყო ჩვენდა სავალალოდ.

გავა რამდენიმე წელი და კიდევ უფრო სავალალოდ შეტრიალდება, ნეტარი ივერია უკულმა წაკითხვის ეპითეტს შეისისხლბორცებს ისევე ჩვენდა საუბედუროდ.

თითქოს აირევის შინაარსი ივერიის თანამდევია.

მართლაც...

აიდროშაც ამორდიაა და უცხო და ყალბი დროშის ხანიერი ფრიალიც მოჰყვებოდა ხოლმე ჟამიანობას.

გალაკტიონმა თავისი სათქმელის გასამხელად გაიხსენა სოლომონ ამორდია, მაგრამ ვინ იყო იგი? რა გამორჩეული ნიჭი და უნარი ჰქონდა, როგორ წარიმართა მისი და მისდართა საბრალდებო საქმე, რატომ აზიდა ფარზე ცისფერყანწელთა ერთმა ნაწილმა ამორდია?! თაღლითი იყო თუ რაინდი?!

ვინ იყო მაინც?!

# კიდევ ერთხელ წმინდა ნინოს აღსასრულზე

ბატონო როსტომ!

უპირველესად გმადლობთ, რომ საზოგადოებას ფრიად საინტერესო შინაარსისა და მშვენიერი გაფორმების ჟურნალი შესთავაზეთ, რომლის მიმართ მკითხველთა ინტერესიც დიდია და მოლოდინიც გულწრფელი.

ახლა ჩემი სათქმელის შესახებ: ჟურნალში „ლიტერატურა და ხელოვნება“ (9, 2006) დაიბეჭდა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილისა და რამაზ შენგელიას საინტერესო წერილი „წმინდა ნინოს გარდაცვალების მიზეზი“. ორივე ავტორს კარგად ვიცნობ და მათი მაღალი პროფესიული დონე წერილის შინაარსს, საკითხთა დასაბუთებას სარწმუნო დამაჯერებლობას სძენს. ავტორებმა შეადარეს „მოქცევაი ქართლისაი“-ს შატბერდული, ჭელიშური რედაქციები უფრო ძველ (X ს.-ის I ნახევარი) სინური ვერსიის (სინ-50) ხელნაწერს, რამაც საშუალება მისცათ წმ. ნინოს გარდაცვალების მიზეზის შესახებ მათ მიერ წარმოდგენილი ვერსია მისაღები გაეხადათ.

ავტორები – სამედიცინო სპეციფიკიდან გამომდინარე – სკრუპულოზური შეჯერებითა და გააზრებით „ავროპეზენ ანამნეზურ ცნობებს“ ასაკობრიობის, ავადობის დამახასიათებელი სიმპტომების, მათი კლინიკური და ტერმინოლოგიური იდენტიფიკაციის, საცხოვრებელი ადგილის ლანდშაფტურ-გეოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მაჩვენებლების შესახებ და აცხადებენ: „თითქმის უეჭველად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლის განმანათლებელი წმ. ნინო უნდა დასნეულებულიყო და გარდაცვლილიყო ივრისა და ალაზნის ხეობების არეალში გავრცელებული სენით, მალარიით, ანუ როგორც მას „მოქცევაი ქართლისაი“-ს სინური ვერსია უწოდებს „სიცხისა და ხურვებისაგან“.

ასეთი დასკვნის მეცნიერულ-კვლევითი დასაბუთება, ვიმეორებთ, სწორია და მისაღები. უფრო მეტიც, ფანტაზიასა და გაბედულებას აღვირი რომ ცოტა მიუშვათ, შეიძლება ზოგად ტერმინში „მალარია“ მისი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე – ტროპიკული – ფორმა მოვიაზროთ.

და აი, რატომ:

ქართლის განმანათლებელს, შატბერდული ვერსიით, ქართლში უცხოვრია 15 წელი, ჭელიშურით – 51 წელი. უკანასკნელ ვერსიას ავტორები არ იზიარებენ და ჩვენც ნუ გამოვეკიდებით, დავყაბულდეთ წმ. ნინოს ქართლად ყოფნის 15 წლიან ვადას.

ოდითგანვე აღმოსავლეთ საქართველოს ჰიპერმალარიოგენული ზონა (ალაზნის, ივრის რეგიონები) მოსახლეობის მალარიით ავადობის მაღალი, თითქმის 80-100%-ით გამოირჩეოდა, სადაც ტროპიკული ფორმის მალარიას სოლიდური ადგილი ეკავა, რის გამოც მრავალი დაბა-სოფელი ამოწყდა და გადაშენდა. წმ. ნინო მუდმივად ცხოვრობს და დღე-

სითა თუ ღამით, შინა თუ გარეთ, დარსა თუ ავდარში მუხლჩაუხრელად განაგრძობს ღვთისმშობლის საგანმანათლებლო მოღვაწეობას. მიუხედავად „დაძაბულ მალარიოგენურ სიტუაციაში“ საქმიანობისა, ეტყობა მას არ უავადმყოფნია მალარიის თუნდაც შედარებით მსუბუქი, სამდღიური ფორმითაც კი, რადგან ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი გამუდმებული (ყოველ მე-3 დღეს) სიცხე-ხურვებითი შეტევები და დაუძლეურება საკმაოდ ხშირ ჩამოაცილებდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რაც, დაუჯერებელია, შეუმჩნეველი დარჩენოდა ჟამთააღმწერელს, თუნდაც წმ. ნინოს იმ ხანად უკვე დიდი პოპულარობის გამო. მაგრამ ამგვარი ცნობა ზემოთ მოყვანილ ლიტერატურულ წყაროებში არ ჩანს.

მაშასადამე, წმ. ნინოს, ქართლში ყოფნის 15 წლიან ვადაში, მალარიით არ უავადმყოფნია და აგერ 31 წლისამ „ვითარ მოინია ქუეყანას კხოეთისასა, დაბასა ბუდს, დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცაკუდა“.

ისე გამოდის რომ, წმინდა ნინო, ბოდბეში მოსვლისას დასნეულებულა ამ ავადობით, რაც ზემოთმოყვანილ მიზეზთა გამო გასაკვირი არ იქნებოდა, მაგრამ განსხვავებული სინური რედაქციის თანახმად „წმინდანს მოუღწევია დაბა ბოდისამდე, სადაც მისი დაავადება სასიკვდილოდ გამწვავებულა“.

ესე იგი, წმ. ნინო სიცხე-ხურვებით ბოდბეში კი არ დასნეულებულა, არამედ უკვე სნეულს მიუღწევია ბოდბემდე და აქ გამწვავებია „სალმობა სასიკუდინე“.

ორივე შემთხვევაში გამოდის, რომ წმ. ნინოსათვის ეს სნეულება პირველადია (წარსულში არ უავადმყოფნია), ახალია (ბოდბეში მოსვლისას თუ მოსვლამდე დაავადებულა, მაგრამ „მოსვლამდე დაავადებაში“ ავადობის ხანგრძლივი პერიოდით ქრონიკული მოავადე არ ჩანს), დაავადება კლინიკურად მძიმედ (გამუდმებული სიცხე-ხურვება) მიმდინარეობს და სიკვდილიც არ იგვიანებს. ჩამოთვლილი სიმპტომები: ავადობის მოკლე ინკუბაციური პერიოდი, მძიმე კლინიკური მიმდინარეობა თანმოყოლებული სიკვდილით, მალარიის ტროპიკული ფორმისათვის არის დამახასიათებელი.

დღესაც ტროპიკული ფორმის მალარია, მიუხედავად ეფექტური მედიკამენტებისა, დიდი სიკვდილიანობით, მოკლე ინკუბაციით, მძიმე კლინიკური მიმდინარეობითა და გართულებებით (ცერებრული კომა) გამოირჩევა მალარიის სხვა ფორმებისაგან.

დიახ, მოციქულთასწორი წმ. ნინო დასნეულდა და აღესრულა მალარიით (ავტორების ვერსია შეუმცდარია).



## გამოსაუბრება

მე დავძენდი, მიუხედავად წმ. ნინოს ცხოვრების მწირი ანამნეზური მონაცემებისა, სიცოცხლის ბოლო წელს მაღარიით მის ავადმყოფობაში ამ დაავადების უმძიმესი, ტროპიკული ფორმის მაღარია გამოსჭვივის.

ავტორებს მოკრძალებით მიიხსენებოდა შევასხენო, მაღარიოლოგიაში მიღებულია ტერმინები: სამდლიური, ოთხდლიური, რაც მაღარიის შეტევების ინტერვალზე მიუთითებს, თქვენ კი არასწორად წერთ: სამდლიანი, ოთხდლიანი, თითქოს მაღარიით ავადობის ხანგრძლივობა ამ დღეებით განისაზღვრებოდეს.

ბოლოს მიიხსენებოდა განვაცხადო: ჩვენო განმანათლებელი, მოციქულთასწორო ნმიდაო ნინო! მომიტევე მე ცოდვილს, რომ ამქვეყნიური ამოებების ინილო-ბინი-

ლოთი შევბედე შენი სახელის ბრწყინვალე შარავანდის ქვეშ წუთიერი გადაჩრდილება; მეოხ გვეყავ ჩვენ სამარადისოდ.

პატივისცემით,

### ლევან ქუციანაშვილი

**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „საქართველოში მაღარიის პრევენციისა და კონტროლის ეროვნული რეაგირების“ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი**

## რეპორტაჟი

# „მეორედ დაბადების“ მეორედ დაბადება

\*

### ფორუმი ფაროხზადის კრებულის განხილვა

მე ღამეთა ბოლოდან ვსაუბრობ,  
მე სიბნელის ბოლოდან  
და ღამის კიდიდან ვლაპარაკობ.  
შინ თუ მესტუმრები,  
საჩუქრად, კეთილო, ღამპა მომიტანე  
და ერთი სარკმელი,  
რომ იქიდან  
ხალხით გადაჭედო,  
ბედნიერებით აბრწყვილებულ  
ქუჩას გადავხედო.

ამ დრამატული ლექსით იხსნება ის პოეტური კრებული, რომლის მეშვეობითაც გამოჩნდა ქართულ სინამდვილეში XX საუკუნის დიდი ირანელი პოეტი ქალი. მკითხველი საზოგადოება იმ დღეს „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ამ უჩვეულო, ღრმად ექსპრესიულ პოეტურ ხილვებთან შესახვედრად შეიკრიბა.

#### როსტომ ჩხეიძე:

„ფორუმი ფაროხზადის, თანამედროვე ირანელი მწერლის, პოეტური კრებულის – „მეორედ დაბადება“ – ქართულ სამოსელში მოქცევით გიორგი ლობჯანიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მთარგმნელობითი ხელოვნება.

ირანული პოეზია ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ, როგორც კრიტიკოსები გვარწმუნებენ – რამდენადაც მე

მაქვს წარმოდგენა ირანულ კრიტიკაზე – ორი პოეტი განსაზღვრავს ირანულ პოეზიას – ის ორი ხაზი, ორი ტენდენცია, რომელთაც მათი პოეზია ქმნის – სოჰრაბ სეფეჰრი და ფორუყ ფაროხზადი.

გიორგიმ მოგვცა შესაძლებლობა სოჰრაბ სეფეჰრი ნაგვეკითხა ქართულ ენაზე და ახლა უკვე ფაროხზადსაც გავეცნობით. ამ თარგმანების საშუალებით არა მხოლოდ ვიცით, რომ ასეთი დიდი პოეტები ჰყავთ ირანელებს, არამედ ვგრძნობთ კიდევ. ამის ხორცშესხმა ძალიან ძნელია, მაგრამ მიულწეველი სულაც არ არის. ხშირად ამბობენ, პოეზია არ ითარგმნება, ამიტომ სჯობს გადაიტანო პუნქტუალი, თარგმნო პროზადო. მაგრამ არსებობს თარგმანები ქართულ ენაზეც, რომლებიც საპირისპიროს გვიდასტურებენ და თვითონ გიორგის თარგმანებიც ამის ნიმუშია, რომ პოეზიის თარგმნაც შესაძლებელია. თუნდაც წლების წინათ მის მიერ თარგმნილი „ყაზალები“ ჯალალ-ედ-დინ რუმისა, სეფეჰრი, ახლა ფაროხზადი – მხოლოდ პოეტებს ჩამოვთვლი ამჯერად, თორემ პროზაც არანაკლებ მთამბეჭდაობით აქვს თარგმნილი.

კიდევ ერთი გარემოება: წიგნი კულტურის ნაყოფია და ფაროხზადის ეს კრებული არაჩვეულებრივად ეხამება შინაარსს. გარეკანზე ავტორის ნახატია აღბეჭდილი; და, მოგეხსენებათ, გარკვეული ფონიც სჭირდება ყველა წიგნს, რადგანაც მარტო პოეზიით ვერ შეიგრძნობ იმ ეპოქას, გარემოს, სინამდვილეს, საითაც მიგიძღვის პროფესიული წერილი, ამ კრებულისათვის რომ დაურთავს გიორგი ლობჯანიძეს. აქვე დიალოგია პოეტთან, და ამ შესანიშნავი დიალოგიდან ვეცნობით ფორუყ ფაროხზადის ღრმა პიროვნებას და ეს არის ნიმუში, თუ როგორ უნდა აზროვნებდეს, მსჯელობდეს მწერალი. აქვე, კიდევ წერილი ირანელი კრიტიკოსისა – ერთი სიტყვით წიგნში თვალსაჩინოდ იკვეთება ისტორიულ-ლიტერატურული ფონი, რომელიც ავსებს ამ მშვენიერ თარგმანებს და უფრო ღრმად წარმოაჩენს პოეტსა და მის პოეტურ სამყაროს.

აქ ვხვდავ ადამიანებს, რომლებიც ორიგინალში იცნობენ ირანელი პოეტის ლექსებს, იცნობენ გიორგის შემოქმედებასაც. მაგრამ სანამ მათ აზრს მოვისმენდეთ კრებულის შესახებ, მიიხსენებოდა გიორგიმ ორიოდე სიტყვა ბრძანოს და რამდენიმე ნიმუში წაგვიკითხოს“.

**გიორგი ლოხანიძე:**

„ფორუყ ფაროხზადი რომ ძალიან მნიშვნელოვანი პოეტია, ამაზე არავინ დავობს. მან პრაქტიკულად განსაზღვრა XX საუკუნის ბოლო პერიოდის სპარსული პოეზიის ხაზი, ჩამოაყალიბა ახალი ენა, ახალი, როგორც თავის ეპოქასთან, ისე ძველ სპარსულ პოეზიასთან მიმართების თვალსაზრისით. და დატოვა ისეთი მემკვიდრეობა, რაზედაც დღემდე შენდება ახალი სპარსული პოეზია.“

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფორუყის თარგმნა სოჰრაბ სეფეჰრის შემდეგ. იმიტომ, რომ ჩემს წინაშე, როგორც მთარგმნელისა, იდგა პრობლემა, არ დამსგავსებოდა ეს ორი პოეტი ერთმანეთს ქართულ ვარიანტში, ანუ ისინი ყოფილიყვნენ განსხვავებულნი იმდენად, რამდენადაც სპარსულში არიან განსხვავებულნი.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ინტერვიუები, იმიტომ, რომ ფორუყ ფაროხზადს დიდი ბრძოლები უხდებოდა პიროვნებად ქცევისა და თვითდგენის გზაზეც ისეთ საზოგადოებაში, როგორც ტრადიციული ირანის საზოგადოებაა. სხვათა შორის, საგანგებოდ მიინდა აღვნიშნო, რომ მაშინ იყო შაჰის რეჟიმი, ე.წ. დაჩქარებული ვესტერნიზაციითა და შესაბამისად ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული, მაგრამ პრობლემა ქალის მიერ ადგილის პოვნისა საზოგადოებაში მაინც არსებობდა, რადგან ირანული საზოგადოება თავის არსით პატრიარქალურია, ხოლო რას ნიშნავს პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალმა თავი დაიმკვიდროს და მითუმეტეს თქვას თავისი დიდი სათქმელი, ეს ჩემზე უკეთ მოეხსენებათ აქ მსხდომ ქალბატონებს.

ეს თარგმანი მივუძღვენი ცნობილ ქართველ მწერალს ნაირა გელაშვილს, და ამით გამოვხატე ჩემი პატივისცემა მის მიმართ როგორც ერთ-ერთი წარმატებული პროზაიკოსი ქალბატონისა, და მიინდოდა აღვნიშნა ისიც, რომ ჩვენი საზოგადოებები ერთმანეთს ჰგავს და ეს წიგნი დაეხმარება ყველას, ვინც ამ კუთხით აპირებს პატრიარქალური საზოგადოების კვლევას. ვისურვებდი, რომ – განსაკუთრებით მამაკაცებს – გაეკეთებინათ შესაბამისი დასკვნები ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ“.

**თეა შურღაია:**


„სეფეჰრის ლექსების განხილვისას ამ თემაზე ნაწილობრივ ვისაუბრე, შეგახსენებთ, რომ მაშინ მომხსენებელი გახლდით და ჩემი მოხსენება აგებული იყო სწორედ სეფეჰრისა და ფაროხზადის პოეზიას შორის განსხვავების წარმოჩენაზე, საუბარი იყო გიორგიზე, როგორც ამ ორი განსხვავებული პოეტის მთარგმნელზე.“

მაშინ ვთქვი, რომ სეფეჰრი ჩემთვის ზაფხულის პოეტია, და ზაფხული კი ერთადერთი სეზონია, რომელიც ფორუყს არანაირად არ მიესადაგება.

ძალიან ძნელი ამოცანის წინაშე იდგა მთარგმნელი ამ ორი პოეტის თარგმნისას.

სეფეჰრი მჭვრეტელობაა და ფორუყი – ემოცია.

ფორუყის კითხვისას ისეთი შეგრძნება გაქვს, რომ სტრიქონები ვერ დაიჭერს ამ ემოციას და სადაცაა გასკდე-



ბა და დაიშლება შენ თვალწინ ეს არაბული ანბანით მოქარგული ლექსი. პირადად მე ბოლოს რომ წავიკითხე, სიცხემ ამინია.

გიორგიმ შეძლო ის, რაც მთარგმნელი-სათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ანუ ჩვენ არა გვაქვს საქმე ორ ერთნაირად კარგად, ერთი ენით თარგმნილ პოეტთან, არამედ გიორგიმ ქართულ საზოგადოებას წარუდგინა ორი სრულიად განსხვავებული თარგმანი, განსხვავებული პოეტი და ეს განსხვავება ყველასთვის ადვილად დასანახია.

გიორგი თანამიმდევრულად გვაცნობს საუკეთესო პოეტებს, თანამედროვე სპარსული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს. და ძალიან წარმატებულად. მის თარგმანებში ყოველთვის ჩანს ამ პოეტების ინდივიდუალური ხელწერა. ფორუყი ისეთი ემოციურია, არ მიკვირს, რომ ამ პოეტმა ქალმა დიდხანს ვერ იცოცხლა, იმიტომ, რომ შეუძლებელია იმ ენერგიით, იმ ემოციით დიდხანს ცხოვრება, ანუ ეს მისი დაგროვილი სიყვარულის მუხტი, რომელიც ბოლომდე ვერ დახარჯა შეილთან ურთიერთობაში, ოჯახურ გარემოში – ეძებდა სხვა ნიადაგს სხვა სფეროებშიც უნდა გამჟღავნებულიყო. მე ორიგინალშიც წაკითხული მაქვს და უნდა გითხრათ, გიორგიმ ეს ყველაფერი არაჩვეულებრივად გადმოსცა“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„რომელი რომელს სჯობს – სეფეჰრი თუ ფაროხზადი?“

**თეა შურღაია:**

„ტოლს არ უდებენ ერთმანეთს. ასე რომ, გიორგისაგან ეს არ მიკვირს.“

მიხარია, რომ მისი მეშვეობით ახალ სახეებს ეცნობა ქართველი მკითხველი. მართლაც, ჩვენ შეჩვეული ვიყავით ვარდებისა და ბულბულების პერიოდს, სპარსული ლიტერატურის კლასიკურ პოეზიას და თითქოს იქ ვაგჩერდით. გიორგის დამსახურებაა, რომ წინ წავედით. იმედია, ეს სვლაც არ შეფერხდება“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„გიორგი რომ ლექსს კითხულობდა, გული ამიჩქარდა და გაზაფხულს დავაბრალე. თურმე ლექსის ბრალი ყოფილა, როგორც თეამ გაგვარკვია“.

**მაია ჯალიაშვილი:**

„ფორუყი მიჯნავს თავისთავს იმ სინათლისაგან, რომელიც ყოფითი ამოებების ფაციფუცში გართული ხალხის სახლებსა თუ სულში ანთია. ის „ღამეთა ბოლოდან“, ე.ი. უკიდურესი სიბნელიდან ივედრება, ლამაზი მომიტანეთ და სარკმელიო. პოეტი საკუთარი არსების, ე.ი. სიბნელის სიღრმეშია, თვითშემეცნების ძნელი და მტანჯველი საქმით გართული, იმ მიჯნაზეა, სადაც წმინდა ნათელი და წმინდა სიბნელე ერთმანეთში გადადის, როგორც გალაკტიონი იტოდა, ეს ის „წმინდა სინყვიადეა“, რომელშიც ისე ცოტაა „გასაგებელი“, როგორც წმინდა ნათელში.“

ბედნიერება, ნაცნობი და ადამიანური კი სულის გარეთა და ამიტომ შეიძლება მისი დანახვა („საჩუქარი“), მაგრამ პოეტი არ სწყდება რეალობას, რომელიც, უბრალოდ, სარკმლის მიღმა რჩება, თანაც ისე, რომ თვითჩაღრმავებისას, გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირის დაკარგვისას, ამ სარკმელსაც კარგავს. ვილაცამ, გარედან მოსულმა, უნდა დააკავშიროს ეს გარესამყარო მისგან მოწყვეტილ პოეტთან, ამიტომაც ივედრება იგი, საჩუქრად სარკმელი მომიტანეთო.“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„წელან როდესაც პატრიარქალური საზოგადოების დამოკიდებულებაზე ვსაუბრობდი ქალის მიმართ, ძალიან ნიშნული იყო ამ თვალსაზრისით ერთი შემთხვევა. ერთი ჩემი კოლეგა დაინტერესდა იმუხამად თუ რას ვაკეთებდი და, როდესაც ვუთხარი, ფორუჟ ფაროხზადის ლექსებს ვთარგმნი-მეთქი, მითხრა: ოჰ, მაგი ბოზი იყოო. – არსებობს ხალხი, რომელიც მხოლოდ ამ მხარეს ხედავს.“

ფორუჟ ფაროხზადი ვინ იყო, ჩანს მის ლექსებში, უპირველესად იმიტომ, რომ ეს ტრანსცენდენტური მე, რაც არის ადამიანში, უპირველესად შემოქმედებაში მჟღავნდება. და კიდევ ერთი დეტალი, რაც, ალბათ ძალიან კარგად აგვისნის ფაროხზადის პოეზიას: მისი ერთ-ერთი ცნობილი ფილმი, რომელიც ლოკარნოს ფესტივალზე საგანგებო პრიზითაც აღინიშნა, და რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა თავის დროზე, კეთროვანთა სახლის ცხოვრებას ეძღვნება. იგი კამერით აღბეჭდავს ამ სახლის ყოველდღიურობას. ფილმი დიდი არ არის, სულ 20 წუთიანია, მაგრამ ძალიან ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, განსაკუთრებით დაგამახსოვრდებათ ერთი დეტალი – კადრი, როდესაც კეთროვანი ქალი, რომლის სახეც ნახევრად კეთროისგანაა შეჭუნული და მხოლოდ ერთი ნახევარია დარჩენილი, აი, იმ ერთ ნახევარზე ისვამს სურმას და იხატავს ეს – ძნელი გადმოსაცემია სიტყვებით – ერთდროულად ტრაგიკულიც და ამაღლებულიც, სასონარკვეთილიც და იმედიანიც. ეს თვისებები, ხედვის პრინციპი ნიშნულია ფორუჟის პოეზიისათვის.

ჩვენ შევეგუეთ რატომღაც, რომ პოეტი უნდა იჯდეს თავის სპილოს ძვლის კოშკში და ზოგადად ლაღადებდეს მშვენიერებაზე და სულიერ ცხოვრებაზე.

ფორუჟი მკვეთრად ეხმაურებოდა მის გარშემო მიმდინარე ყველა პროცესს. ჩემი არ იყო, სახელითა და გვარით არავის დაასახელებდა, მაგრამ ტენდენციებზე საკმაოდ უშელავათოდ საუბრობდა. და ეს კარგად ჩანს მის ინტერვიუშიც. ამ ინტერვიუს ფრაგმენტი, რომელიც საგანგებოდ მეც და ჩემი ნიგნის რედაქტორმაც, ბ-ნმა როსტომმა (მადლობა მას, არაერთი ნიგნის რედაქტორია უკვე ჩემი, გარდა იმ თავისი შემოქმედებისა, მე ვგრძნობ მის თანადგომას ყოველმხრივ და მაღლიერი ვარ და დღესაც მაღლობას გამოვხატავ), გადაწყვიტეთ გამოგვეტანა ნიგნის გარეკანზე. ძალიან მნიშვნელოვანი ფრაგმენტია, მიუხედავად იმისა, რომ არცერთი კონკრეტული მისამართი არ არის დასახელებული, ყველამ ძალიან კარგად იცნო საკუთარი თავი და ყველამ კონკრეტულად დაუბრუნა პასუხი ფორუჟ ფაროხზადს – ვისაც როგორ შეეძლო. აი, რას წერს, თითქოს სრულიად ბუნებრივი და არაჩვეულებრივია:

„მე ერთი რამეც მწამს და ესაა პოეტად ყოფნა ცხოვრების ყოველ წამსა და მომენტში. პოეტად ყოფნა, ესე იგი, ადამიანად ყოფნა. მე ვიცნობ მავანთა და მავანთ, რომელთა ყოველდღიური საქციელი არაფრით არ უკავშირდება მათივე პოეზიას... უკეთ რომ ვთქვათ, ეს ადამიანები პოეტები მხოლოდ ლექსის წერის მომენტში არიან. მერე იცვლებიან და ისევ ერთი ჩვეულებრივი, ხარბი, გაუმადლარი, უსამართლო, გონებაჩლუნგი, შურიანი და საცოდავი კაცუნები ხდებიან.“

**როსტომ ჩხეიძე:**

„ირანშიც ხდება ეს ყველაფერი“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ირანულ საზოგადოებაზეა ლაპარაკი და არა ქართულ სინამდვილეზე:

„მე არ მჯერა მათი სიტყვებისა, რადგან ცხოვრებას ამაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ხოლო როცა ეს ხალხი თავის ლექსებსა და ნაწერებში გულში მჯილს იცემს და რაღაცას გაჰყვირის, ზიზი მიპყრობს და არ მჯერა, რომ სიმართლეს ამბობენ. მაშინ ვფიქრობ, ნეტავ ასე მართლა ერთი თეფში ფლავის გულისთვის ხომ არ ირჯებიან-მეთქი? ჩემი აზრით, ხელოვანმა – პირველ რიგში – თავისივე თავი უნდა შექმნას და სრულყოს. მერე საკუთარი თავიდან გარეთ უნდა

გამოვიდეს და მას, როგორც ყოფიერებისა და არსებობისაგან შემდგარ მთლიანობას, ისე შეხედოს, რომ მისმა ნაზრევმა, ფიქრებმა და გრძნობებმა ზოგადი ხასიათი შეიძინოს.“

დამეთანხმებით, საკმაოდ მძაფრი ფრაგმენტია, მიუხედავად მისი ზოგადი ხასიათისა. და როგორც მოგახსენეთ, ყველამ კარგად იცნო საკუთარი თავი და ყველამ პასუხი დაუბრუნა ქალს, რომელიც, ალბათ, ხელისგულზე უნდა ეტარებინა მე-20 საუკუნის ირანს“.

**ფატი ანთაძე:**

„მე არა ვარ არც ლიტერატურის კრიტიკოსი, არც ლიტერატურისმცოდნე, მაგრამ შემიძლია ვთქვა ერთი რამ: გიორგი ლობჯანიძე არის ნიშნული ფიგურა ქართული აღმოსავლეთმცოდნეობისათვის.“

დღეს, როდესაც კრიზისია ყველა ფუნდამენტური დარგის, აკადემიური დარგებისა და განსაკუთრებულად ჰუმანიტარულის, აი, როგორც რაღაც ლამპარი იმედის, რაღაც შუქნიშანი, გამოჩნდა გიორგი ლობჯანიძე – სრულიად განსხვავებული კაცი, მთელი ჰუმანიტარული დარგებისათვის.

აღმოსავლეთმცოდნეთა შესანიშნავი პლეადის ნაწილი, სამწუხაროდ, გარდაიცვალა, მავანნი უკვე ასაკოვანნი არიან, ამ დროს მოდის გიორგი ლობჯანიძე და შეგვიძლია ვიყოთ მშვიდად, – ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა გადარჩება.

ბევრი კარგი, მაღალი დონის პროფესიონალი გვყავს ამ დარგში, მაგრამ ყოველთვის იშვიათია გამოკვეთილი და შთამბეჭდავი ფიგურები. ასეთია გიორგი. მე არ მინდა ჩემ-

მა გამოსვლამ სადღეგრძელოს ფორმა მიიღოს, მაგრამ მაქვს ერთი პრაგმატული სურვილი, როგორც უნივერსიტეტის ლექტორს.

ცხადია, ეს არ არის მხოლოდ გიორგიზე დამოკიდებული, საჭიროებს სპონსორებს და იმედი ვიქონიოთ, რომ ორი-სამი გულშემმატივარი და განათლებული სპონსორი მოიძებნება და ეს გაკეთდება. აუცილებელია გიორგის თარგმანების გამოცემა პარალელური ტექსტებით.

არსებობს შესანიშნავი ორტომეული – დავით კობიძის ბრწყინვალე ქართველი ირანისტიკის მიერ მომზადებული – სპარსული ქრესტომათიისა, როგორც ვიცი, ქალბატონი მზია ბურჯანაძე და მარინე ალექსიძე ამზადებენ მესამე ტომს. ეს აუცილებელი და საშური საქმეა. ბ-ნი დავითის ქრესტომათიაც საჭიროებს ხელახლა გამოცემას, რატომ? კომენტარების უქონლობის გამო. ვისურვებდი, რომ გიორგი ლობჯანიძე ყოფილიყო მათი რედაქტორიც.

ამ ტიპის გამოცემებში უნდა იყოს მოცემული სტილისტური მარკერებით ლექსიკა და ფრაზეოლოგია, კომენტარები ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათისა.

ბოდიში, თუ ცოტა პრაგმატული ელფერი მივეცი ასეთ შესანიშნავ პრეზენტაციას, მაგრამ როგორც პედაგოგს, მაქვს ეს საწუხარი სტუდენტებთან მუშაობისას“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„ფატი, თქვენ ასხენეთ კომენტარები და უნდა ითქვას, რომ ამჟამად გიორგი მუშაობს ყურანის კომენტარებზე და რამდენადაც მე მაქვს წარმოდგენა, უნდა იყოს სანიმუშო კომენტარები ჩვენი მეცნიერებისთვის“.

**თემურ ნადარეიშვილი:**

„შეკითხვა მაქვს ბ-ნ გიორგისთან. ეს ლექსები ორიგინალშიც ასე პროზაული იერისა? ცნობილი სპარსული კეთილმოვანების ფონზე ცოტა ამოვარდნილი ჩანს“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„დიახ, იყენებს ვერლიბრს, ვერლანს თეთრ ლექსს პოეტი საგანგებოდ უპირისპირდება ტრადიციას. განვითარების სხვადასხვა ეტაპი გაიარა მან, როგორც პოეტმა. თავიდან იყო კლასიკური პერიოდი, მერე – ნახევრად კლასიკური ანუ ჩვეულებრივად რითმიანი ლექსი, რომლის ნიმუშიც აქ არის დამონმებული, ჩემს წინასიტყვაობაში.

მაგრამ კრებულიდან, რომელსაც ჰქვია „მეორედ დაბადება“, რაც სწორედ ამას გულისხმობს – მისი პოეტიკა რადიკალურად იცვლება, იგი უარს ამბობს ძველ გამომსახველობით საშუალებებზე, არა მხოლოდ კლასიკური გაგებით, არამედ იმაზეც, რასაც ადრე იყენებდა თავის პოეზიაში. მიიჩნევს, რომ თანამედროვე პოეზიის ერთადერთი ენა ვერლიბრია, იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანი დაშლილია და კლასიკურ ჩარჩოებში ვეღარ დარჩება, და თუ დარჩება, იქნება ანაქრონიზმი“.

**თემურ ნადარეიშვილი:**

„რა იქნებოდა, რომ ეს ქალი დაბადებულიყო ევროპაში?“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„იგი მაძიებელი პიროვნება იყო და ევროპაშიც გამოჩნეული იქნებოდა. მაგრამ ასევე აგრესიული იქნებოდა თუ არა, არ ვიცი“.

**მანანა კვაჭაძე:**

„ამ პოეტის ლექსებში იდუმალეზა რჩება გაშიფრვის შემდეგაც. მე მაზიარა ფორუყის პოეზიას ძალიან კარგმა ირანისტიკა და უკეთესმა ქართველოლოგმა ნინო რამიშვილმა, რომელიც ახალგაზრდობაში თავით ფეხამდე მოცული იყო ამ პოეტით და პირველად მან გამომიწოდა მისი წიგნი“.

**გიორგი ლობჯანიძე:**

„სხვათა შორის სულ ვაპირებ საგანგებოდ მივიდე და ვაჩუქო ჩემი თარგმანი, რადგან მსმენია მისი დიდი სიყვარულის შესახებ ფორუყის მიმართ“.

**მანანა კვაჭაძე:**

„დაუფასეთ მას ეს სიყვარული... მართალია, ფაროხზადს ლექსმა წაართვა ყველაფერი, მაგრამ ლექსმა მისცა კიდევაც ყველაფერი, მიანიჭა უკვდავება

აქ კითხვა დაისვა – ევროპაში რომ დაბადებულიყო, რა იქნებოდა. ევროპაში რომ დაბადებულიყო არ ვიცი, რა იქნებოდა, მაგრამ პოეტი ნამდვილად იქნებოდა, რაკი პოეტია, სწორედ იმიტომ იყო გამორჩეული, თორემ ირანში ასეთი ბიოგრაფიის მატარებელი ათიდან რვა ქალია. ბიოგრაფიამ შეიძლება განაპირობა თემატიკა, მაგრამ არა ის, რომ დიდი პოეტია“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„ამ კრებულს მაკა ჯოხაძემ უკვე მისცა შეფასება საპატრიარქოს რადიოში „ივერია“.

**მაკა ჯოხაძე:**

„ამ გადაცემის შემდეგ იყო უამრავი ზარი. ძირითადად ქალბატონები რეკავდნენ.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სეფეპურის პოეზიამ თავის დროზე. ამჯერად ფაროხზადმა. შეიძლება ითქვას, რომ გიორგის თარგმანებმა სრულიად ახალი სიღრმეები გაგვიხსნა სპარსული ლიტერატურისა“

**ლევან ქურციკაშვილი:**

„ყოველთვის მაინტერესებდა, სპარსული ენის ათვისებას რამდენი ხანი მოაწოდებ, გიორგი?“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„დღემდე ვსწავლობ“

**ლევან ქურციკაშვილი:**

„წუ დაგვაინყებდა, რომ თავად გიორგი ლობჯანიძეა შესანიშნავი პოეტი და ფაქტია, რომ ეს მშვენიერი თარგმანები მისი პოეტური ბუნებიდანაც მომდინარეობს.

მე თუ ირანში მოვხვდები, პირობას გაძლევთ, ვიპოვი ამ ქალბატონის საფლავს და ყვავილებს მივართმევ“.

**გიორგი ლობჯანიძე:**

„ჩემი მიზანიც ეგ იყო“.

ვანო ჩხიკვაძე

# მცირე პროზა

## მაგიდა (სანერი)

ის ზოგჯერ ბობოქარი ზღვის ნაპირია, ყურეში თავს რომ აკანტურებენ დაბმული, ცარიელი ქალაქის ნაგები და შიშითა და შემფოთებით ელოდებიან ბურუსში ჩაყლაპულ, ბობოქარი ტალღების უკან გაუჩინარებულ, მარგალიტის მაძიებელს.

ბევრია უიმედო მოლოდინი, უსარგებლო ნარიყი, ხელმოცარული, ნაპირზე ამოვარდნილი წყლის დგაფუნი - ფუჭად შემოკრული ტაში... აბობოქრებული ზღვის უსწორმასწორო სცენაზე კულისებისაკენ მილივლივებს სისხლიანი მოსასხამის ბოლო... სანაპიროს აბრუებს თევზისა და მარილის სუნი... დაულაგებელი სიტყვების ნაფეხურები... ქვიშაში ნამხობილა კოჭლი რითმა - ხამსითა და იაფფასიანი არაყით აქოთებული ხეივანი, გამოუსწორებელი დეზერტირი... ნიჟარის ფსკერზე დასრესილი სიგარეტის ნამწვების მრავალწერტილი და შორს, თვალსაწიერზე მოქანავე ტივტივა - უიმედო იმედი... თოლიების ყივილით დაკორტნილი სიმშვიდე...

ის ზოგჯერ ბობოქარი ზღვის ნაპირია...  
ზოგჯერ...


## უცნობი (პორტრეტისათვის)

ჩემს წინ მიდიოდა, მაღალი, მხრებში მოხრილი, დოკერივით ხერხემალში გახნეილი, თითქმის კუხუბამოყრილი. ბრაგუნა ჩექმებით დაუდევრად მიშხვეპავდა თოვლჭყაპს, მიდიოდა კაპიუშონიანი, საყარაულო ბუშლატით და დამოკლებული სახელოებიდან, ლამის მუხლებამდე დაშვებული, სიცივიტ ანითლებული, ღონიერი ხელების რწევით.

ჩემსკენ შემობრუნებული ხელისგულები თითქოს უკან იყურებოდნენ და დიდი ბავშვის გულუბრყვილო გაცუბით მათვალეირებდნენ...

## სარკესთან

„მთელი საღამო ებრძოდი შვილებს. ებრძოდი გაუგონარი სიმკაცრით, მონდომებით. ვერ გაჩერებდა მათი გულუბრყვილო, განცვიფრებული გამოხედვა, შიში, სასონარკვეთა... თითქოს მთელი ქვეყნის უკულმართობა სულ ამათი ბრალი იყოს, მძიმე, დაუნდობელი ქვის ბორბლებზე შემდგარი მიგორავდი, ტკეპნიდი, მინასთან ასწორებდი ბალახივით ღორთქო გაოცებას.



შენ პირველყოფილი, ტლანქი, უხეში, ციხე-სიმაგრის დამანგრეველი იარაღი ხარ, შეგიძლია მრისხანების კლდის ნატეხები ანდა მდულარე კუპრში ამოვლებული, ცეცხლოვანი ისრები ისროლო „ციხის შიგნით“ - შვილების ცნობისმოყვარე, მოუსვენრობის ბალნარში...

გაკვირვებულები, გაქცევებულები, გაოგნებულები... სატირლად აკანკალებული ნიკაპი, პატარა მხრები, სახელოებიდან გამომძვრალი უმწეო მაჯები და ხელები.

„ღმერთო, ნეტავი ხომ არ გავგიჟდი?“ - გენმინდება თვალბუნი (გონებაზე!) გადაკრული ლიბრი-ასხლეტილი ლოდი თუ კუპრის ქვაბი უკან გამოქანდა, გაკერებულ შუბლზე მოადინა ზღართან...

ბაშვები თამაშობენ. მაშ არაფერი არ მომხდარა.. აბა, რატომ გტკივა ჩახლენილი ყელი?...

ყოფითი წვრილმანების ეკლები რკინის ქალამანშიც კი ატანენ, სულს გიმნარებენ... ყბები გტკივა, კბილს კბილზე გამეტებით აჭერ - მომუნული ტურებიდან სისხლი გდის, ოლონდ შიგნით წვეთავს და ამიტომ ვერანვინ ამჩნევს...

შენც ცოდო ხარ - სადღაც ხომ უნდა იყვირო, დაიცალო, „გამოუშვა ორთქლი“, თორემ გასკდება, აიხდება ზარფუში, იქუხებს თავისქალა...

ჯანდაბას, ოლონდ აქ არა - სილაღის ნაკრძალში, შვილების თანდასწრებით, სადმე მოშორებით, ქალაქგარეთ, ძალღებით ახორხლილ ნაგავსაყრელთან ანდა მდინარის ხმაურში, სუსხიანი ორპირი ქეჩოში რომ ურტყამს წამოქოჩრილ ტალღას, იქ...

დაკანონებული უნამუსობა კი არა, მასთან შეგუება უფრო გაგიჟებს, საერთო თავმოყვარეობა რომ ღებება, ეს გაცოფებს, თორემ ესენი რა შუაში არიან - ორი გაცოცებული ნუკრი, ერთმანეთს ნაკინკლავებულებმა გაკვირვებით რომ მოგხედეს, ყვირილზე დაფრთხნენ, გაიტვრინენ და თვალბუნი შიშში ჩაეკარგათ...

იქნებ არც გიყვირია, ფიქრში მოხდა ყველაფერი! მაშ რატომ გასკდება ყელის ძარღვები?

სხვაგან, სხვაგან, ოლონდ აქ არა, ყრუ ხეობაში დურთე თავი და იხავლე რამდენიც გინდა...

უფრო საშინელი იცი კიდევ რა არის? - ამ ყველაფერს მოთხრობად ან ჩანახატად თუ აქცევ და რედაქციაში მიაცუნცულე.

თავს ნუ იმართლებ, სხვა ნაიკითხავს და უკეთესი გახდებაო.

კაცობრიობა, რაც არსებობს, სულ ერთი და იგივე შეცდომებს უშვებს.

მოდი, მოვრჩეთ, რა, ბოლოს და ბოლოს, განა შენ კი უკეთესი გახდი?..”

ერთმანეთს ზურგი აქციეს.

მაგიდის ლამპიდან სინათლე ეცემა ბალიშზე თავმიდებულ ბავშვებს.

მამა შვილებისკენ იხრება და ამობრუნებულ, ორ პატარა მუჭში კოცნის მონეტები წკრიალით ცვივა.

ბავშვები ძილში იღიმებიან.

“ამათ მაპატიეს” – გააპარებს თვალს სარკისაკენ.

ორეული ისევ ზურგშექცეული დგას.

**ბონუსი, მაღამ!**

პარიზში, მეტროს ვაგონიდან გამოსული, თანამგზავრებთან ერთად, ყვითლად განათებული გვირაბით, გასასვლელისაკენ მივიჩქარი.

მოპირდაპირე მხრიდან მომხიბლავი, ქერათმიანი ქალბატონი მოდის.

უკან ჩემოდნებიანი, აღმოსავლური ფერისა და გამომეტყველების, შავტუხა მამაკაცი მოჰყვება.

ერთმანეთს რომ მივუახლოვდით ქალმა რატომღაც გამიღიმა, თხელი თითები ჰაერში შეთამაშა და მომესალმა.

მეც გავუღიმე და იგივე შესტი გავიმეორე.

კაცს გვერდამპალი ბრონეულივით გადაეპო პირი და რაღაც მკაცრად უთხრა.

ქალმა გადაიკისკისა.

თანამგზავრმა ჩემოდნები დადგა და ხელებს ისე უტრიალებს ცხვირწინ, ენის ცოდნა სულ არ არის საჭირო, რომ მიხვდე საუბრის დედააზრს.

გაეჩერდი და ვუყურებ, რით დამთავრდება ეს ყველაფერი.

ქალიც, კაცს ყურადღებას არ აქცევს, ჯიბრზე დგას და გაღიმებული მომჩერება.

ჩემოდნების პატრონი სულ გადაირია, დაჰკრა იატაკის ფილას ფეხი, უფრო ხმამაღლა აჯაჯღანდა, მუშტი მუქარით ახლა მე დამიქნია და, ისე განითლდა (ხომ წარმოგიდგენიათ შავი კაცი რომ განითლდება), მეგონა ჰალსტუხმა მოუჭირა.

ქალმა კაცს არც ახლა მიხედა, გზა ისე გააგრძელა. იმასაც, რაღა უნდა ექნა, დორბლების ფრქვევით წამოკრიფა ჩემოდნები და ძუნძულით აედევნა.

რა თქმა უნდა, ვერ გავიგე ვინ იყვნენ, რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან, თუმცა ამის გარკვევას რა მნიშვნელობა ჰქონდა – მოვდიოდ და მომქონდა გულის კუნჭულში ჩანვეთებული ღიმილი.

ზოგჯერ, ის, შეხვედრა ახლაც გამახსენდება ხოლმე და ნანვეთარს ისე დავყნოსავ ხოლმე, როგორც სუნამონაპკურებ, საიდუმლო ბარათის ნაგლეჯს.

**დედაშვილობა**

ბავშვი საფრანგეთშიც ბავშვია და დედა-შვილობაც, გულისამოვარდნამდე ფაქიზი, ამაღლეგებელი გრძნობების დღესასწაულია.

პარიზის გარეუბანში საბავშვო ბაღის დასათვალიერებლად წავგიყვანეს. საღამო ხანი იყო – ის დრო, როცა

ყველგან, მათ შორის საფრანგეთშიც, ბაგა-ბაღებში მიბარებულ ბავშვებს უკვე ენატრებათ მშობლები და თვალი კარისაკენ უჭირავთ.

ვიდრე გიდი აღმზრდელს ესაუბრებოდა კედელთან, დაბალ ძელსკამზე მჯდომმა, სამიოდე წლის გოგონამ რაღაც შესძახა და ოთახში შემოსული ქალისკენ გაიქცა.

ქალმა აიყვანა, მკერდში ჩაიკრა.

პატარას გული ამოუჯდა, თან ეტიტინება, საყვედურობს დაგვიანებისთვის, ყველა წაიყვანეს და აქამდე სად ხარო.

ქალიც აფორიაქდა, ძელსკამზე მიჯდა, კალთაში ჩაისვა. გოგომ კისერზე ხელები მოხვია, მიეკრო, მიეტყუბა, მიელურსა... ნამდვილად დედაშვილია. ასე, დედაშვილის გარდა, ვინ მოეფერება ერთმანეთს.

დედა ანანავებს, ამშვიდებს, შვილიც ეალერსება და გგონია გამთენიისას, ტოტზე შემომსხდარი ჩიტები ჟღურტულუბენ, გატაცებით, თავდავინყებით, ეუბნებიან ერთმანეთს ყველაზე უფრო ლამაზ, გულში ჩამწვდომ სიტყვებს და მიხვდები რომ ამ წუთას, მთელ სამყაროში, მარტონი არიან, მათთვის აღარავინ არსებობს, არც ჩვენ, არც მანქანებით დახუნძლული ქუჩები, არც ზემოთ-ქვემოთ მცოცავი, ტურისტებით სავსე ლიფტებით დამძიმებული ეიფელი, მუზეუმები, კაფეები, ლუვრი, ვერსალის მოედანი, არც კაცობრიობის დიდი და მცირე პრობლემები, დენტის კასრზე შემდგარი მსოფლიო...

მეც მავინყდება ყველაფერი, ჩემი ყურადღება დედაშვილისკენ არის მიპყრობილი – მარადიული და უკვდავი პოზა, ღვთიური ნამი – კალთაში ჩაფლული პატარა, დედის ყელთან გასუსული მომხედავს ხოლმე და ცრემლით დაზოლილ პროფილს მომანათებს...

დაუვინყარია ის ხმა, ის ჟღურტული.

დამპყრობლის ენა, როგორი ტკბილხმოვანიც არ უნდა იყოს, დაპყრობილისათვის მაინც ძძიმე, უსიამოვნო მოსასმენია. საბედნიეროდ, ჩვენს ურთიერთობას, მეხსიერებას არ სტანჯავენ ისტორიის მწარე გაკვეთილები – ფრანგული ენა ლიტერატურით, სიმღერებით, ფილმებით მოვიდა ჩვენთან და ჩემში ის საოცარი გვირგვინი დანნა, რომელშიც უტხო ყვავილივით ღალანებს დედა-შვილის მაშინდელი ჟღურტული.

ასე მგონია ის ხმა, ის ღვთიური „კლიპი“ სადღაც სივრცეში, ზეციურ მუზეუმშია დაცული და არასოდეს არ გაქრება.

**საათის ხმა**

„კარგი იყო მექანიკური საათები, მაშინ დროს ჩვენ თვითონ ვმართავდით..“

„როდესაც პური მიჭირავს, ხშირად ვფიქრობ ხოლმე ხორბლის მარცვლებზე, ვიდაცის ხელისგულზე რომ ეყარა, სულს უბერავდა, არჩევდა, ნიავს ატანდა თავთავის ფხასა და ჩენჩოს...“

ჩვენც ვიდრე მოგვზელდნენ, ღმერთის... თუმცა, ალბათ, არა, ზოგი - ღმერთის, ზოგიც ეშმაკის ხელისგულზე ვეყარეთ, ასე რომ არ ყოფილიყო, ამდენი ღვარძლი ხომ არ შეგვყვებოდა?..“

„საოცარია, საქართველოს უკანასკნელი წლების ყველა უბედურებამ, როგორც მაღალი ძაბვის სადენში, ჩვენში გაიარა... ზოგმა გაუძლო, ზოგმა – ვერა... გადავიწვიტ, ზოგი სანახევროდ, ზოგიც – მთლიანად... არის კიდევ ერთი კატეგორია, ყრუ კედელივით ჩაკირული – არც აქედან ატარებს რაიმეს და არც – იქიდან.“

„რამდენჯერ მინატრია, ცოტა ხნით მაინც დავისვენო ყოველდღიურობისაგან, თუნდაც ავადმყოფობის ფასად (ოღონდ სერიოზულად არაფერი მტკიოდეს), ვინვე ლოგინში, ბალიშზე თავშემალღებული. გვერდით კალამი და სახელდახელო ჩანანერებისთვის, უხაზო უბის წიგნაკი მედოს. ჩემს პირდაპირ, ანდა ხელმარცხნივ ფართო, ცერად ფარდაკეცილი ფანჯრიდან შიმშილით აფიჭვივებული ბედურებით დახუნძლული ნეკერჩხლის ტოტები და ფანჯრის ჩარჩოდან ჩარჩომდე სიმებად გაბმული, საიდანლაც მომავალი და სადღაც მიმავალი სველი მავთულეები მოჩანდეს. მსუბუქ ქარზე, მავთულეზე ასხმული წვიმის ბურთულეები შეირხევიან, წინ და უკან დაცურდებიან, წკარუნით მიეზღებიან ერთმანეთს, უფრო მძიმე, დიდ წვეთებად იქცევიან და მოსწყდებიან, წკაპუნით ჩაუვარდებიან აქორჩილ ბალახს კისერში, შეაჭრჟოლებენ, ჩაურბენენ და ჩაიჟონებიან მინაში.

დიდხანს არც იქ იქნებიან, დაცხება, აფუფდება სველი ნიადაგი, ამოივლიან მინის შრეებს, ამოჰყვებიან ბალახის ფესვებს, მსუბუქ ორთქლად ავარდებიან მინდორზე და მალლა-მალლა წასულები, დედა-ღრუბელს შეუერთდებიან.

ერთ დღესაც, ისევ ამინდება „ნატვრა“, გახურდება ილიაში ამოდებული სიცხის საზომის სინდიყი, ჩაწვები ლოგინში და ბალიშზე თავმიდებული დავინახავ, რომ დაბრუნებულან წვეთები, სიმძიმით დაუზნეკიათ ბოძიდან ბოძამდე გაბმული მავთულეები...

განა გასაოცარი არ არის, მინიდან ცამდე, მარადიული მოძრაობის ოვალი – გაქრობისა და ხელახლა შობის უწყვეტი პროცესი?..

ჩვენი სულიც ასე მოძრაობს, კაციდან კაცში.

ოდესმე ვილაც ჩემსავით იწვება ბალიშზე თავშემალღებული, იფიქრებს მავთულზე დაცურებული წვეთების ბედზე და ფურცელზე აწრიბინებული კალმის წვერიდან, მელნის ნაცვლად, სევდა გამოიჟონება...

როგორც ბავშვობაში ვთამაშობდით ხოლმე:

„ვისი სული გასურს?.. ჩემი?.. იქნებ, ცოტა ხანიც, უფალო... სხვა დროს, მერე, ოდესმე...“

ახლოვდება საათის ხმა. ღია სარკმელიდან შემოსულ ნიავს ისეთი სურნელი მოაქვს, მხოლოდ დილის სიგრილეში, საბანგადახდილ, ჩამთბარ ბავშვს რომ უდის ხოლმე კისერთან.

შვილს მივუნეჭი. ტურებზე კანის თბილი სინორჩე მეხება, ტკივილიანი სიხარულის განცდა თვალებს მახუჭინებს და ავი ფიქრებისაგან ავგაროზივით მიცავს.

**მარტოსული**

ჯერ კიდევ როდის შემიპირა, ოცდარვა აგვისტოს წალვერში წავიდეთ, წავილოთ რალაც-რალაცები... ჩემი დაბა-

დების დღე რა მოსალოცია, მარიამობა აღვნიშნოთ და, თუ უფალს ძალიან არ შევანუხებთ, ერთი პატარა ჭიქით, თქვენი მონა-მორჩილის სადღეგრძელოც დავლიოთო.

წავედით, წარმოშობით წალვერიდან იყო და რაც უფრო მიუახლოვდით, მეტად მოხალისდა.

წაშუადღევს მივადექით ნაცნობ ეზოს, გავალეთ ბალახმოძალებული ჭიშკარი. ავიტანეთ სამზარეულოში ხორაგი და, ვიდრე ჩვენი თანამგზავრები გაზთან ტრიალებდნენ, წალვერი დამათვალეებინა, თან რამდენიმე სიყრმის მეგობარიც მოიპატიჟა.

დაბინდულ ცისკიდურს ჩამავალი მზე წითლად რომ დაეკიდა, აივანზე გაშლილ მაგიდას მივუსხედით...

მეორე დილით, საუზმემდე, მშობლების საფლავზე გავიდა და მეც გავყვი.

მოკლზე, ღობეზე გადავედით, მეზობლის დაგვალული სიმინდისა და კიტრის კვლებიანი, გაბარდული ნაკვეთი გავიარეთ და, საურმე გზის გადაღმა, სასაფლაოც გამოჩნდა.

რალაცნაირი თავგანწირვით მისდგა, წვალებით გამოგლიჯა გაბარჯლული, საფლავებს მოდებულ სიმინდა ბალახი, მსხვილი ღერები პირბასრი ქვით გადაჭრა, ერთად მოაგროვა, გაზეთის ნაგლეჯები შეურთა და ასანთი შეუნთო.

ვიდრე არ ჩაინვა, არ წამოვიდა, ხანძარი არ გაჩნდესო.

იქვე, გამოსასვლელთან, მაღალი, ჩუქურთმებიანი სვეტი იდგა: „ზდეს ნახოდიტსა პრახ სემიონა მარკოვიჩა კესლერა“.. – ვკითხულობ წარწერას – გარდაცვლილა 1938 წელს, ოცდათხუთმეტი წლის.

ეტყობა, უცხოტომელ სემიონ მარკოვიჩს, რომელიც აქეთ, ღმერთმა უწყის რომელიმე ქარიშხალმა გადმოაგდო, კარგა ხანია აღარ ჰყავს მიმკითხავი, ბალახის გამომგლეჯი და ჭიქის წამქცევი.

ისევ გავიარეთ კიტრის კვლები, გადავედით ღობეზე. ნასაუზმევს ჩამოვკრიფეთ მსხვილი, წითელი ტყემალი, გამოვკეტეთ კარი, ვიდრე ამინდები გაფუჭდება, იქნებ კიდევ ამოვიდეთო, მითხრა და წამოვედით.

წამოვედით და წამოვედით...

ორ თვეში ნაოპერაციები, გამხდარი, ძვალი და ტყავი, წალველისფერი, ლოგინიდან ველარ დგებოდა.

მაინც იძალავა, მეზობლები სარდაფში ჩაგვიყვანა, ბოლო ორმოცდაათ ლიტრიანი ბოცა გაგვასხნევიან, ღვინო დაგვაჭამნიკებინა და მეზობელს უთხრა, ამ ათიანში ჩამოასხიო.

იმანაც ჩამოასხა.

ხო ხედავ, ცოტა აკლია, გაავსეო.

მაინც მალე არ უნდა დაილიოს, აკლდეს, რა უშავსო, ვითომ გაეხუმრა მეზობელი, ორმოცდაათიანში ჩაშვებული რეზინი მილის მეორე ბოლო კისერში თითებნაჭერილ ანკარასავით რომ ეჭირა.

რასაც გეუბნებიან, ის გააკეთეო, გაუნყრა.

ოღონდ შენ ნუ გამიბრაზდები და, ეგრე ვიზამო.

ახლა თავი დაახურე და ამასთან, შინ აიტანეო, ანიშნა ჩემზე.

ვიუარე.

მე როგორც მინდა, ისე უნდა იყოსო.

მეუღლემ თეფშით მისატანებული ჩამოგვანოდა.

ხათრს ველარ ვუტეხავთ, თორემ რა გვექეიფება, ხომ ვხედავთ, რომ მიდის, მიდის, სააქაო პირი აღარ უჩანს...

უკანასკნელად როცა ვნახე, საბნისპირზე ეწყო გაფითრებული ხელები.

შინაურები ოთახიდან როცა გავიდნენ და მარტო დავრჩით, მითხრა, გახსოვს, ნალვერში ხელმეორედ წაყვანას რომ შეგპირდი, უნდა მაპატიო, პირობას, ალბათ, ვერ შევასრულებო.

შენ კარგად იყავი და ნალვერშიც ავალთ და მარიამობასაც დავიყენებთ-მეთქი.

სახე დაელმიჭა, ცვლილივით გადაკრული კანის ემალი დაეფშხალა – ილუზიებით თავს ველარ მოვიტყუებ... ეჰ, როგორ მინდოდა აფხაზეთის დაბრუნებას მოვსწრებოდიო...

თითქოს მდულარე ჩამასხეს, შიგნით ყველაფერი დაემენვა.

მოესწრები კიდევ-მეთქი, დავუმაღლე ცრემლიანი თვალები, მაგრამ ჩემი სიტყვების თვითონვე რომ არ მჯეროდა, ბავშვიც მიხვდებოდა.

ყელში ბოლმა მომანვა და მილიონი წყევლა-კრულვა შეეფუთვალე იმათ, ვინც ამ კაცს, ქვეყნის დარღვეულ მთლიანობაზე ჯავრს საფლავში ატანდა.

ილუზიებით თავს ველარ მოვიტყუებო...

კაცი, ცოტა ხნის წინ მშობლების საფლავზე სარეველას რომ გლეჯდა, საუბრობდა, ხუმრობდა, უსიხარულო ბავშვობიდან გამოყოლილი მწარე ღიმილი უელავდა სახეზე, აღარ იყო, მორჩა, ჩემს თვალწინ ქრებოდა...

ძალიან მინდოდაო...

ფოსოებში ჩამძვრალი, ჭაში ჩაძირული კენჭებივით თვალები, წინ კი არა, უკან იყურებოდნენ, უცხო, ცარიელი სიღრმეებისკენ.

მესამე დღეს გარდაიცვალა.

ყველაფერი ერთბაშად დამშვიდდა. მომუჭულ თითებში ჩამწყვდეული ტკივილები გაყურდნენ, გაცივდა ძლივ-სმფეთქავი მაჯა.

გარდაიცვალა და, უპატრონო სემიონ მარკოვიჩის საფლავის მსგავსად, მისი მშობლების ძვალშესალაგაც დაობლდა...

თავად დარჩა ცოლ-შვილი, შვილიშვილები, მეგობრები... თითქოს ყველა გარს ეხვია...

და მაინც, მარტოსულივით, უცხოობაში მოკვდა.

**ბარბაროზა**

უთენია გამელვიდა. ვინრიალე ლოგინში და როდის-როდის ისევ ჩამეძინა.

ვხედავ, წელზემთი შიშველი, მდინარის ნაპირთან ვზივარ. ნაპირი ლამიანია, საქონლის ნაჩლიქარებით დაბეკნილი, წყალი – მდორე, ხელისგულს ოდნავ ეხახუნება გრილი ზურგით. გაღმა გაზაფხულის მზით გამთბარი, ამწვანებული ნორჩი ტყეა. ტყიდან თეთრტანსაცმლიანი, სანდომიანი სახის სიფრიფანა ქალი გამოდის. მოაქვს მკლავზე გადნეობილი, აყვავებული ტოტები და ყვავილები. დროდადრო შუაზე გადაყოფილ, ნაბლისფერ თმას თითებს თრთოლვით გადაატარებს და თვალს არ მაცილებს.

მოდის, კოჭებამდე დაშვებული ხამის თეთრი კაბის ბო-

ლოდან გამოიჭყიტებიან ხოლმე ბალახზე რბილად მომავალი ფეხის თითები.

წყალთან შედგა, თვალით თავთხელი მოძებნა და გამოტოპა.

ჩემს წინ შეჩერდა, დაიხარა, მკერდს იმ ტოტებით და ყვავილებით მირთავს, თან, ძალიან ლამაზი ღიმილით, რალაცას მეუბნება... მეუბნება კი არა, გეგონება მტრედი დამლულუნებს. ყვავილის ღერებს, ბოლოებიდან, რძესავით თეთრი წვეთები გადმოსდით...

გამელვიდა, გამქრალა გაზაფხულის დღე. ფანჯრები ცივ დეკემბერს დაულობრავს და ვფიქრობ – ვინ გამომეცხნა, წმინდა ბარბარე თუ თავად მარიამ ღვთისმშობელი?

დედაჩემი, ხშირად მეუბნებოდა, შენი მფარველი წმინდა მარიამიაო!

სტუდენტობისას, ნახალწლევს, ნათვლემილ მძღოლს, წეროვანთან, გზიდან „გადაუხტა“ მანქანა და ხეებს შევეჯახეთ. გონზე რომ მოვედი, სისხლით მითბებოდა კისერი.

საავადმყოფოში, ის იყო გატეხილ თავზე ნაკერი დამადეს და პალატაში გამამწესეს, რომ შინაურებმაც მომაკითხეს.

გამიკვირდა, როგორ გაიგეს-მეთქი.

დედაჩემს, თურმე სიზმარში თეთრებში ჩაცმული ქალი გამოსცხადებოდა და ეთქვა, შვილი უნდა დაგლუპოვოდა და გადავარჩინეო...

გულგახეთქილს გაღვიძებია.

გორიდან თბილისისკენ მომავალ პირველივე მატარებელს გამოჰყოლიან...

ახლა მე გამომეცხადა, მაგრამ რა მანიშნა, რა უნდოდა ეთქვა? რას ნიშნავს თეთრი ტოტები და ყვავილები?

**ვიცარი**

ხშირად შინაარსი აღარ გვანტერესებს, ფორმა განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას.

ავილოთ ფიცარი – ახლადდაგებული, სურნელოვანი ლამფა-იატაკი, კარ-ფანჯარა, აკვანი, ხის ჩამწა-კოვზი, ჯამი, ხონჩა, ორომი, ვარცლი, რომელშიც კუს ბაკანივით ამოიზრდება, ამოიფოფრება ხოლმე საფენგადაფარებული, გაღვივებული ცომი.

ანდა, ვეებერთელა ძაბრით ხვიმირა, კიდობანი, ამბარი, სიძველისაგან გაქვავებული სანაყი, სიხარულის მომგვრელი, გაშალაშინებული ფიცრის პრიალა ზედაპირი, სადაფისფერი ნუჟრებით, „უნესკოგო წესრიგს“ რომ ქმნიან ჭერზე..

მაგრამ იგივე ფიცარი:

სადარბაზოსთან აყუდებული კუბოს თავსახური – დაკარგული ნდობა, სიცივე, შემადრწუნებელი სიგლუვე, სწორი და ტეხილი ხაზები, წასმული ლაკის ცბიერი ლაპლაპი...

ეზოში დაბორიანებული ქარი კაკლიდან ჩამორეკილ ფოთლებს ატრიალებს, კუბოს ზედ აყრის...

დაბზრიალებული მტვრის კონუსი, ასე გგონია, ფოთლებთან ერთად თავსახურავსაც აიტაცებს და ხარხართ გადაატარებს გვიანი შემოდგომის უსიხარულო ქალაქს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

როსტომ ჩხეიძე

# ისიც – ფროსნად ცისა

\*

## მერცხალას პოეტური საგზალი

ნღების წინათ მამუკა ნიკლაურის საგულისხმო ლიტერატურული პორტრეტი გამოქვეყნდებოდა, ცოტა უცნაური ფრაზით დასათაურებული – „მისი სული ცაში სამპირად აღიოდა“.

ნეტა ვისი სული აღიოდა ცაში სამპირად?

ან კიდევ – ვის შეემჩნია სულის ამოხდომის ეს პოეტურ შარავანდში გახვეული წუთები?

ფოთოლათ მერცხალას თვითონვე დაენახა და დედისთვისაც შეეხედებინა: ეს ჩემი სულია, ცაში სამპირად რომ აღისო.

დედა შვილის მკლავს დაზიდვოდა, სარეცელიდან რომ გადმოვარდნოდა, ასწევდა და ვერ ასწევდა უღონოდ მთოროკიალებულს იატაკზე, და გაიცინებდა მერცხალა, სიცილის უნარი ჯერაც შერჩენოდა და ამ სიცილ-სიცილით შეაღებდა სასუფევლის კარსაც: ეგ ვაჟკაცის მხარ-მკლავია, დედა, მაგას ქალი ვერ აზიდავსო.

და თავის სულს დაანახებდა:

ცაში სამპირად აღის, აგე, ხომ ხედავო.

ვხედავ, აბა, არა ვხედავო? – მალულად შემპრალეზდა უბეებს ქალი, ცარიელ სივრცეს ააყოლებდა მზერას და... გადადიოდნენ ლეგენდამი დედაც, შვილიც და ცაში სამპირად ამაველი სულიც.

მალე ეს შვილი ბესიკ ხარანაულის ვრცელ ლექსშიც გადაინაცვლებდა, სიუჟეტინაში – ვაჟა-ფშაველა ცხენით რომ მიდიოდა ჩარგალიდან თბილისს და გზად თავის ცოლს ესაუბრებოდა, მის მღელვარე ლაღადისში მერცხალას სახეც გამოჩნდებოდა, ოღონდ გაეღვებდა კი არა, ლექსის აზრობრივი ბირთვი სწორედ მისი გამოჩენით შეიკვროდა და მერცხალასა და ვაჟა-ფშაველას გაბაასება რაღაც დიდი საიდუმლოს კართან მიიყვანდა მკითხველს, ვისაც მერცხალა იქნებ პოეტური წარმოსახვის ნაყოფიც ჰგონებოდა და აღარც ჩაკვირვებოდა ვაჟას ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყაიდის ნარკვევებს, სადაც სახიერად ამოჩნდებოდა ფშაველ მელექსეთა ეს კოლორიტული სახელიც, თუკი მზერას გულგრილად არ გადაატარებდი სტრიქონებს.

ვაჟა მერცხალას საუკეთესო მელექსედაც დაასახელებდა (გამიხარდი ჰქვიან, მაგრამ ამ სახელს არა სჯერდება და მერცხალას ეძახის თავის თავს – ეს მისი ფსევდონიმი გახლავთო), გამოარჩევდა ფშაველ პოეტთა შორის, რომელნიც ვაჟასავით წერით არ იღლიდნენ მაჯას და ფროსნებვით ასდევდნენ სიცოცხლის დიდ საგალობელს, ველის შროშანებვით მიმოფანტულიყვნენ და არც თესდნენ, არც მკიდნენ და არც არავითარ საუნჯეს არ იკ-

რებდნენ, ერთადერთი ის სურვილი სწავდათ, თავიანთი სუნთქვა და სახელი ჩაეტოვებინათ კაფიებსა თუ იმ პოეტურ ნიმუშებში, რომელსაც ჰეროიკული შინაარსი გამოსცლოდა და გულის მოფხანადა ქცეულიყო.

ძველი დროის ფშაველნი სამდურავს გამოთქვამდნენ ამ შინაარსის ცვლილება-დამცრობის გამო, მაგრამ ვაჟა გამართლებას უძებნიდა ახალუხლების პოეზიას: რა ქნან, საგმირო საქმე აღარსადა და გულიც ველარ მოიფხანონ სხვადასხვა საგნებზე შაირობითო?

თუმც გადამეტებებს თვითონაც ათვალწუნებით უცქერდა, ზოგად ტენდენციას მისი საუკეთესო გამოხატულების მიხედვით განსჯიდა და არ ეჭაშნიკებოდა, რომ უკიდურესი რომანტიკული იდეალიზმი უკიდურეს რეალიზმში გადასულიყო და ესთეტიკურ გრძობას ერთგვარი ჩრდილი ადგებოდა. აი, თუნდაც ეს პოეტური სტრიქონები, წარმომჩენი უალრესი ნატურალიზმისა, თუმც მხატვრული შთამბეჭდაობის შემჩნევაც იოლი გახლდათ და ამიტომაც არ გაიმეტებოდა:

**აფშოს მოიდა მერცხალი,  
ქალმა ქალს უთხრა: „ეს არი!“  
სარტყელის ზემოთ ლექსია,  
სარტყელის ქვემოთ – ნესტარი!**

ავტორს არ დაასახელებდა და თბილისის სალიტერატურო წრეებში ვერც მიხვდებოდნენ, ვინ ეგულისხმა, თუმც ფშავშიც და ხევსურეთშიც ყველა ადვილად ამოიცნობდა ფოთოლათ მერცხალას, ვისი კიდევ რამდენიმე ლექსიც ჩაენერა ვაჟას და გაპაექრებასაც შეუბედავდა, მიუხედავად იმისა, რომ კაფია-ექსპრომტებით ვერ დაიქანდა და ფშაველი მოლექსეები თავიანთ სწორად არც სახავდნენ „ალუდა ქეთელაურის“ შემოქმედს.

„იურს რა გინდა, მერცხალო, რად დაინუნე ფშავიო? დედა სიმშლით გიკვდება, რად დაანებე თავიო?“ – ასე სიცილ-ქილიკით შეჰყვებოდა და მის ნაწლებსაც გადანვლებოდა:

**შენ მანდა ჰკვდები, საწყალო,  
წაწალს სხვა გიფხანს ზურგზედა!  
და-ძმობით შეეტყუება,  
კაცი გამდგარი სულზედა,  
ხელ კი არ აგალებინოს  
ნამუსზედა და რჯულზედა:  
ნაფერებ წაწლებს მიჭხედე,  
მანდ ნუ გძინია ყურზედა!**

სარჩოს ძებნას გადმოეგდო ქართლში, იქნებ მოჯამაგირეობით ერჩინა თავი, მაგრამ დიდად სახიეროს ვერაფერს გამოჰკრავდა ხელს, ისევ შინ დაბრუნებას დაემუშრებოდა, და, ვაჟას პოეტური უსტარი რომ ჩაესმოდა ყურში – ნაკითხვით აბა, რას ნაკითხავდა, ასოებს სრულებით ვერ არჩევდა – მასაც თავისთან მიიპატიჟებდა – სოფელ მიგრიაულთაში:

**ჩემთან წამოდი, ვაჟაო,  
ისევ ფშავისაკ ვაზხდები,  
მიუვალ, უნდა ვალხინო  
თვალცრემლიანებ წაწლები.**

**თუ აქით არ დავითხიე,  
კლდეზე სამ გადავვარდები,  
ისევ ჩემს გომეწარს წავალ,  
მალანალს კიდევე შავდებები!**



ვაჟას ლუხუმი თუ ლაშარის გორზე უნდა შემდგარიყო, ფოთოლათ მერცხალა მალანალის სალოცავს ამჯობინებდა, მშობლიურ ხეობას რომ გადაჰყურებდა, და იქ დაიშოშმინებდა განამებულ სულს, ვიდრე ყოფილობაში ჩაეფლობოდა კვლავინდებურად. ვაჟა თუ წაწლებზე აღიზიანებდა, ის ამ შექილიკებას არ დაგიდევდა. არ ეეჭვებოდა, იმათ სხვა ვერავინ „შაეტყუება“ და თვალცრემლიანნი გამოჰყურებენ გზას, საცაა მერცხალა დაგვიბრუნდებოდა.

ულურს არ იტყვს, ბენინიკასაც გადაჰკრავს სუსხიან სტრიქონებს, ვის მოჯამაგირეობაში ხეირი ვერაფერი იპოვნა: „დავწვი მაგისი სიმდიდრე სუ ჩამასტირის თავბედი“ – და ვაჟასაც იქით გაჰკრავდა კბილს, ჩემი ხეტიალი რომ გიკვირს, შენ თვითონ რას გამოდებულხარ გზაშარას და სადგომი ვერ გიპოვინაო:

**შენ რადლა სწუნობ ჩარგალსა,  
რა იქი-აქით აწყდები?!**

მაგრამ ვაჟას, აბა, რა დააშოშმინებდა და ერთ ადგილას შეაკავებდა, მიწყდომ-მოწყდომა ხელობად გადაქცეოდა ყოფამიც და სულშიც, და მერცხალა კი შესცინოდა მასაც, მთელს სამყაროსაც და ვერ აეხსნა, წერით რატომ იღლიდა მაჯას ვაჟა-ფშაველა, როდესაც მელექსეობა ასე სჯობდა – ძველთუძველესი პოეტებივით, ვიდრე ანბანი გაჩნდებოდა ქვეყნიერების ზურგზე.

ბესიკ ხარანაულის პერსონაჟი ვაჟა-ფშაველა კიდეც შენატრებდა მერცხალას, ერთი ღამის პეპელასავით რომ ცხოვრობდა და ისე მღეროდა, როგორც ჩიტი – არც წაშლიდა და არც გაიაზრებდა, მაგრამ ქვეყნის ზნის შეცვლას კი პირველი გამოიცნობდა და ახალი ზნის შესატყის ლექსსაც პირველი იტყოდა.

შენატრებდა, რომ:

**დანესებულად, როგორც სხვები, ეგ ვერ  
იცხოვრებს,  
რომ მოხდებოდეს და ვილაცა რომ შეიძლებდეს  
მაგის ცხოვრების დალაგებას უჩუმარ ღამით,  
გაიღვიძებდა და თავიდან კვლავ აანგრევდა.  
სუყველაზე იტყვის კაცი – თუ ვის რა უნდა,  
მაგას რა უნდა – თავის დღეში დაუდევარს –  
არავინ იცის.**

**მერცხალა კი შესცინოდა ვაჟასაცო...  
ეს უკვე რეალურს და არა პერსონაჟს.**

აი, მაშინაც:  
– ბალო, გაგვიძელ, ვაჟა-ფშაველასთან მიგვიყვანეო,  
– ვასო აფციანურს მიადგებოდნენ სოფელ ნამცვრევიანში

ფშავიდან გადმოსულნი: მერცხალა და კიდევე ორნი. ამას უკვე სმენოდა მერცხალას განთქმული მელექსეობა და სულ კუნტრუშით გაუძღვებოდათ. მთელი ღამე სმასა და სიმღერაში გაატარეს და თეთრად გაათენესო – გაიხსენებდა მოგვიანებით – წარმოუდგენელი იყო მათი სიმხიარულე და სიცილიო.

ეგაა, ამ სიმხიარულესა და სიცილის ამოდევნებული კაფია-შემღერებანი ქარს გაჰყვებოდა.

იკარგებოდა მისი ლირიკული მარგალიტები – დრამატული განცდები თუ იუმორისტული შეხალისებანი, თუმც იუმორი ყველაზე დრამატულ წუთებშიც გაკვესავდა და სულ სხვა სინათლით გაანათებდა პირქუშ რეალობას, რომელსაც ვერა და ვერ შეწყობოდა მერცხალა და დედის ყვედრებით გაბეზრებული ხანსაით გადავარდებოდა და ხანსაით და ბენინიკას კარზეც ამას მიეყვანა. არც დრო ჰქონდა საამისო, და თავზესაყრელიც რომ ჰქონოდა, მაშინაც ასე უშურველად დაფანტავდა და მიმოაბნევდა ხალხში გულიდან ამომსკდარ ლირიკულ ნიმუშებს.

ცის ფრთოსანი ცის ფრთოსანია.

ველის შროშანი – ველის შროშანი.

და ჩაიბეჭდებოდა ეს მარგალიტები თუ მოხდენილი, მოსწრებული სტრიქონები ფშავისა და ხევსურეთის საყმთა ცნობიერებაში, ახალ ნაკადად შეემატებოდა პოეტური აზრის მდინარეებს, რომელიც სულ უფრო ჩამოიშლებოდა, გამეჩხრდებოდა და მიწაში ჩასაკარგად გაიწირებოდა, ჩამწერები რომ არ გამოსჩენოდნენ და, სულ თუ ვერა, ცალკეულ ნამსხვრევებსა და ერთ მძლავრ ტოტს მაინც გადაარჩენდნენ. ცალკეული შენაკადებიც თანდათან გაიფლავდა მიწის ზედაპირზე და ზოგიერთის ხსნაც მოხერხდებოდა.

მერცხალას სახელიც აქ ტრიალებდა და იმ მძლავრი პოეტური ტოტის გადარჩენისას მის სახელდებულსაც იხსნიდნენ სამუდამო გაქრობისაგან – ნაწილს მხოლოდ, რაც დაემღერა, და ბუნდოვან, შორეულ წარმოდგენასლა გვიტოვებდა მის ლირიკულ ნიჭიერებაზე; ისე გვაგულიანებდა კიდეც, უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთილიყო მისი სახება – ოცდახუთ წლამდე რომ მიეღწია, მაგრამ თავი კი კარგად დაემახსოვრებინა ფშავისა და ხევსურეთის ხეობებისათვის.

მალანალს კიდევე შავდებო...

საუკუნის დამდევს, კერძოდ 1907 წელს, მერცხალა რომ აღესრულებოდა, თედო რაზიკაშვილი მწარედ ინანებდა, მისი მხოლოდ ორიოდ ლექსი რომ ჩაენერა, და განიზრახავდა, ახლა მაინც უნდა ავაკითხო ფშავს და მის სოფელშივე შევაგროვო, რისი გადარჩენაც ჯერ კიდეც შესაძლებელიაო.

იმასაც დასძენს: როცა დრო მომცემსო.

ეს დრო არ გამოუჩნდებოდა.

ახლა ირაკლი გოგოლაური უყრიდა თავს, საუკუნის დასასრულს, რისი მოძიებაც შეიძლებოდა იმ პოეტური ნაკადისაგან, რომელსაც ფოთოლათ მერცხალას სახელი დარქმეოდა, მისი ბიოგრაფიის დადგენასაც ცდილობდა და, ბევრგვარ გადმოცემასა და ვერსია-ვარიანტებში ჩაფ-

ლული, პირვანდელის გარკვევას მიეღწეოდა – შაირსიტყვისაც, ბიოგრაფიული რეალობისაც.

ემატებოდა ლექსს ლექსი, წვეთ-წვეთობით იზრდებოდა ფშაური პოეზიის ეს ლირიკული რკალი და აღმანახ „პირიმზის“ ფურცლებზე (1997, №2) უკვე წარმოჩნდებოდა ფოთოლათ მერცხალა იმ იერით, ზოგადი ნაკვეთები ხელშესახები რომ გამხდარიყო და მკითხველიც მოიხიბლებოდა და ცნობისწადილიც გაუმძაფრდებოდა – იქნებ კიდევ აღმოჩნდეს მისი მხატვრული ქმნილებანი, იქნებ მეტი შევიტყოთ ამ უსამართლოდ მიყრუებულ კაცზეცო.

ამ ცნობისწადილს ადასტურებდა გაზეთ „ლომისიდან“ შეხმინება, დავით მჭედლურის, შოთა ქავთარაძის, ბალათერ არაბულისა და ალექსანდრე დიდებაშვილის მიერ ხელმოწერილი ის ღია ბარათი თუ უფრო გულთადი თხოვნა: თქვენზე უკეთ ვერავინ გაართმევს თავს მერცხალას თხზულებათა სრული კრებულის მომზადებას, ფშავის ხეობის მკვიდრებმა ჯერაც ზეპირად იციან ბევრი მისი პოეტური შედეგო.

და იქვე:

„მერცხალა ქართველი ფრანსუა ვიოინია და მას ისეთივე ადგილი უნდა ეკავოს ქართველ შემოქმედთა შორის, როგორც ვიოინს – ფრანგულ ლიტერატურაში“.

ჰიპერბოლიზება ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში და ლიტერატორთა შორის აღარავის უკვირს ასეთი გაიგივება-შეტოლებანი, და თუ ღია ბარათის ავტორებიც დაისაჭიროებდნენ ამ ხერხის გამოყენებას, იმ საერთო ტენდენციის გასაგრძელებლად კი არა, რომელიც თვითონვე აღიზიანებდათ, არამედ იმ პრაქტიკული მოტივით – კრებული რომ გამზადდება გამოსაცემად, იქნებ უფრო გამოიდოს თავი ვინმემ, ვისაც ფრანსუა ვიოინის სახელი სმენია ბრწყინვალე ქართული თარგმანის წყალობით და მერცხალას შეტოლებამ იმასთან, სხვა თუ არაფერი, სნობური სურვილი გაუჩინოს – კრებული რეალობად აქციოსო.

ეფექტურად ხმინებდა: ფოთოლათ მერცხალა ის მოვლენაა ქართულ მწერლობაში, რაც ვიოინი ფრანგულშიო.

თვითონ დავით მჭედლური ასე განმარტავდა ამ პასაჟს დუშეთში, ჭილაშვილების სასახლეში გამართულ ლიტერატურულ თავყრილობაზე, რომელიც მერცხალას ხსოვნასა და იმ კრებულის განხილვას მიეძღვნებოდა, ირაკლი გოგოლაურს წიგნად გამზადებული რომ დარჩებოდა ბიოგრაფიული ნარკვევით შენიშვნებითა და ვარიანტებით განწყობილი, და მისი ქალიშვილი, თვითონაც ფოლკლორისტი და ფშავის ხეობის პოეზიის მკვლევარი თამილა გოგოლაური შემოიტანდა სალიტერატურო მიმოქცევაში ირაკლი ხმალაძის შემწეობით („დეგა“, 2004). გაფორმებითაც ორიგინალურად გაფორმდებოდა იოსებ ჯანგირაშვილის ილუსტრაციებით და თავისებურ სასაჩუქრო გამოცემადაც წარმოსდგებოდა.

ბოდიშობდა თუ თავს იმართლებდა დავით მჭედლური ასეთი გადაჭარბებისათვის, თუმც ამჯერად დაშავებით არაფერი დაშავებულიყო.

დარდად ნაჰყოლოდა დედანის ბედი ირაკლი გოგოლაურს.

და ეს კრებული მის ხსოვნასაც აცოცხლებს და მის დაუფასებელ ღვანლსაც კიდევ ერთხელ გაგვაზომინებს გულის მხერით.

ისე ფრანსუა ვიოინის სახელი სულ ისეც არ წამობლანდვიათ ღია წერილის ავტორებს, მსოფლიო პოეზიის თანავარსკვლავედიდან ნებისმიერად არ გამოურჩევიათ მისი მხატვრული მემკვიდრეობა, მერცხალას ერთი ლექსი უბიძგებდათ საამისოდ და ასოციაციური ნაკადი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად მოიყოლებდა „მცირე ანდერძს“, რაკილა მერცხალას ერთი ლექსი იდეურად ფრანგი პოეტის ამ პოემას შეხმინებოდა.

უგროშოდ მჯდარი თვალებგაცეცერავებული ფრანსუა ვიოინი პოეტური ანდერძის შედგენას რომ გადაწყვეტდა და თითზე გადასახვევიც არაფერი მოეძეგებოდა, წარმოსახვით ქონებას დაარიგებდა გულუხვად – პარიზის ყოფის ისეთ შრეებსა და მოსახვევებს ამოიტანდა მზის სინათლეზე, მანამდეც და შემდგომაც დიდხანს პოეტები თვალს რომ არიდებდნენ, როგორც პოეზიისათვის სრულიად გამოუსადეგარს. ვიოინი არ გაიზიარებდა ამ შეხედულებას და წვრილმანებში ჩაეფლობოდა პოეზიის ახალი საგნის აღმოსაჩენად.

ფოთოლას თავისი გასჭირებოდა თუ გასჭირებოდა და „ურძნის ჯოხივით ლიტად“ რომ წარმოიდგენდა საკუთარ თავს, რაკილა დაცოლშვილებისათვის თავი ჯერ ვერ მოეზა, უეცრად ისეთ ბაქი-ბუქს მოჰყვებოდა, იმერელ აზნაურს დაგავინყებდა:

**კარძე დიდი მაქვ მამული,  
სახნავი ერთის თვისაო.  
ასკოდიანში ქერ მიძე,  
ორასიანში – წმინდაო,  
კარძე მიბრუნავს წისქვილი,  
დავფქვავ, რომენიც მინდაო.  
კარი-კურ ხილით სავსე მაქვთ,  
ვაშლითა, ხელის სხლითაო.  
ბიჭი ვარ კაის ყელშია,  
რაც მინდა, პირსა ვკითხაო.**

და მსმენელი თუ მკითხველი რომ გაიფიქრებდა, ასეც რომ იყოს და არ აზვიადებდეს, ეს რა ტრაბახი აუტყდაო, მოულოდნელი ფინალი, თითქოსდა ნოველისებური, ერთბაშად ამოატრიალებდა ლექსის განწყობილებას და ყოველივეს სიცილითა და სიხალისით განმსჭვალავდა:

**კარჩი ძალღ ვერას შამიჭამს,  
შინ შამოტანილს – ციცაო.**

ტრაბახობს და აზვიადებს კი არა, თვითირონიით წარმოსახავდა თურმე თავის გამოგონილ ქონებას და, ოცნებებში რომ ჩაყვინთავდა, სამდურავი სიცილად ამოსკდებოდა.

დედას უკვირდა და ვერ აეხსნა, შეწუხდეს მაინც, თავი რომ ვერაფრისათვის მოუბამს, შერცხვეს მტრისა თუ მოყვრისა, სისანყლესა თუ სილატაკეში რომ ვიხრჩობითო.

„ურძნის ჯოხივით ლიტაობა“ მაინც აღარ უჯდებოდა ჭკუაში და გული რომ ჯერ ვერცერთ ქალზე ვერ დაეყარა, ისეც ოცნებას მიენდობოდა, თავისთვის შეიქმნიდა იდეალს და შაირშიც იმას ჩაასახლებდა პერსონაჟად, იმ არარსებულ იორელ ქალს, ვინც თითქოს აქეთ მოელტვო-

და, ოცნების რაინდად მერცხალა დაესახა და მისი ცოლო-ბისაგან იმ ხეირსაც ელოდა: გავილი და გამოვილი, ვნახავ უცხო ქვეყანასაო.

ოცნება ოცნებად და ცაბაურთა ბენინას ქალს რომ შეფრფინავდა შორიდან, საიმედოს ვერც აქ ჰპოვებდა ვერას. ქალი ბოსელშიც გულმოდგინედ ტრიალებდა და ხელჯინას რომ ეზიდებოდა, მზესთან პირისპირ საუბარსაც ასწრებდა, და ეს კონტრასტული სურათი თითქოს იუმორისტულ საფანელს თხოულობს, მაგრამ მერცხალას ფიქრი სულ სხვაგან გადაიხრებოდა და დაუოკებელ სურვილს ლექსს გაანდობდა:

**მაგასთანამც დამანვინა,  
სუ ღამე ქნა ერთს კვირასა!**

„ეთერიანის“ მურმანი ღამის გაგრძელებას შენატროდა, ღამესა და ეთერის ბროლის გულ-მკერდში ჩაძირული მზის შეყოვნებას ოცნებობდა და ებლაუჭებოდა ყოველ წუთს, რომელიც ფათერაკიან გზაზე შედგომისაგან ამორებდა და... ხელში კი უჭერებოდა. მერცხალა წინასწარვე დაიჭერდა თადარიგს, წინასწარვე განსაზღვრავდა ახალ კალენდარს და ღამეს კვირას გაუტოლებდა, წინასწარვე შეეგუებოდა დროის ახლებურ განზომილებას, მაგრამ კვირად გადაიჭიმებოდა თუ თვედ, ის ღამე მასაც წამიერად ჩაეფშვნებოდა ხელში და ბოლოს ისევ მურმანივით მოებლაუჭებოდა ყოველ წუთს: ამადამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო.

ეს განცდები ამ ლექსში აღარ მოჩანს, იქ მხოლოდ ნატვრაა – ღამე კვირას გაუტოლდეს, ოღონდ მერცხალას დაუმოშმინებელი ვნება და ჟინი ამ ნამსხვრევებად შემორჩენილ კრებულშიც ხელშესახებად ილანდება („დიდება შენდა, უფალო, მერცხალა დარჩა უქალო, ხან ისეთა გულ მამიდის, ე ბებერს წამაუქანო“) და ზოგიერთი ლირიკული ღალადისი იქნებ ჯერაც არ გამქრალა სამუდამოდ.

ის კი ცალკე თინას ავედრებდა თავს და წარმოსახვითი ქონებითაც ახარებდა („უბისთავს ქერებ არა მყო, მე კარძე მიდგა წმინდაო“) და ცალკე იმ უცნობად დარჩენილ ქალს შეენუკვოდა, ნუთუ არ მოგწონვარ და გული და სული ჩემსკენ არ მოგინევსო?

და:

**მოდი, დამანყვენ გულზედა  
ტიკჭორასავით ძუძუნი.**

ისე როგორ იქნებოდა, მთავრობის მოხელენი მასაც არ გაელექსებინა და მარჯვედ არ გაემასხრებინა, არადა, ვითომ ძალიანაც უთანაგრძნობდა, ვანო ყეინიშვილს ფეხები რომ დაზრობოდა და ფშავლებს ამუნათებდა: არა გყავისთა ხარები, არა ლენავთა კალოსა? ბატარან ჩალა მოგვეციოთ. მოხელესთანაც თითქოს თავს იმართლებდა: ხევსურეთია, ბატონო, აქ ჩქემა არა გვარობსაო... მაგრამ ფინალური სტრიქონები ერთბაშად ამოატრიალებდა ამ განწყობილებას და ნამდვილ დამოკიდებულებასაც გააშისპლებდა:

**ეგებ დასცვივდეს ორივა, –  
ლაშარის ჯვარმა ბძანოსა!**

კრებულის ექსკურსიულ ნაწილში ის ვარიანტიებიც დაერთვის ამ ლექსს, აკაკი შანიძეს რომ ჩაენერა, შემდგომ კი დავით მჭედლურსა და ირაკლი გოგოლაურს – და ყველა ამ ნიმუშში მერცხალას ამ ირონიულ შემღერებას შემორეულა სულ სხვა ლექსის სტრიქონები და თავისებურ კონტამინაციად ამიტომაც წარმოგვიდგება:

**ან ქერის პურა მართვით,  
თუ შიან, ისი ჭამოსა,  
თუ არა, დედა უტირე  
თავისა მაიტანოსა.**

აკაკი შანიძე 1913 წელს ზუსტად ვერც დაადგენდა მთავრობის მოხელის ამ გამაჰამულებელი ლექსის პირველმთქმელს – ფშაველს უთქვამს და თავში რალაც უნდა აკლდესო, უფრო მეტად იმ წუთას გამოძიება, ეტყობა, გაძნელებოდა და მოგვიანებით ამოტივტივდებოდა მერცხალას სახელი, თუმცა ის შემორეული სტრიქონები ჩარჩებოდა და ჩარჩებოდა.

იქნებ ვერც ამოგვეცნო ლექსის კონტამინაციური აღნაგობა და რაკილა ვარიანტების უმეტესობა „ქერის პურის“ მოტივს მერცხალას შემღერებაში მიუჩენდა ადგილს, ჩვენც მის ნაწილად გვეგულისხმა, ცოტა ბუნდოვან, მაგრამ მაინც მის სრულუფლებიან პასაჟად, ის გადმოცემა რომ არა, ზურაბ არაგვის ერისთავის ხევსურეთში ხატობაზე სტუმრობას რომ შემოგვინახავდა.

მიღეთის ხალხი შეყრილიყო ხატობას და სმა და ღრეობას რომ შეჰყვებოდნენ, ზურაბს მოწინებთ მიუჩენდნენ ადგილს თავკაცებთან. ის არც ლუდს შესვამდა, არც პურს დააკარებდა პირს და მასპინძლები მიზეზს რომ ჰკითხავდნენ, ის ავდებულად მიუგებდათ: თქვენს ქერის პურს როგორღა დავენესები, როცა ჩემი ცხენიც არ ეკარება მთის ქერსაო. და ერთ-ერთი ხევსური, ვინც თავს დასტრიალებდა და ემსახურებოდა საპატიო სტუმარს, ძალიან განწყონდებოდა და აღარც მოერიდებოდა კაცს, ვისი სახელის ხსენებაზეც კანკალი აუტყდებოდათ ხოლმე:

**ხევსურეთია, ბატონო, აქ წმინდა არა გვარობსო.  
მართვით ქერის პურაი, თუ უნდა, ისა ჭამოსო,  
თუ არა, – დედა მ.....ნ, თავისი მაიტანოსო.**

ამ თქმულებას რომ დაიმონმებს თამაზ ნატროშვილი ისტორიულ ესეიში „საფურცლე“, დასძენს:

„ძნელია დაიჯერო, თითქოს ეს უკანასკნელი სიტყვები პირში მიახალეს ზურაბ ერისთავს. მაგრამ იმდენად შთამბეჭდავია მთელი ელფერი აღწერილი სურათისა, ლამის დასძლიო ჭოჭმანი და ენდო თქმულებას“.

მართლა უშუალოდ შებედავს თუ არა, ლექსი კი ამ ქარგაზე აიგებოდა და თქმულება ბუნებრივ ფონს უქმნიდა ამ განწყობილებას – აქ ყოველივე ლოგიკურია და ძალდაუტანებელი, მაშინ, როდესაც ვანო ყეინიშვილის ფეხების დაზრობა და ქერის პურის მოტივი ერთმანეთს ვერ ებმინ და ცალ-ცალკე მიიწვევენ.

ეს ახლა უფრო თვალსაჩინოდ გამოიკვეთა – ზურაბ ერისთავის ბიოგრაფიის იმ ეპიზოდის ფონზე.

ხალხური წარმოსახვა ვერ ელეოდა იმ ლალი ირონიით განმსჭვალულ, მოხდენილ სტრიქონებს და „ხევსურეთია, ბატონოო“ კიდევ ერთხელ გაისმოდა თუ არა მერცხალას

შაირსიტყვაში, ასოციაციური ნაკადი ძალაუნებურად მი-  
აკერებდა ძველ გადმოცემას, ბოლოსდაბოლოს, ზურაბ  
ერისთავის დედა თუ გაემეტებინათ, ვანო ყეინიშვილი ვი-  
თომ ვინ ბრძანდებოდა, დედამისიც არ „გაეთამაშებინათ“  
გალექსებაში.

მერცხალა კი ხევისბერსაც არ დაუთმობდა, თუკი ღირ-  
სეულად ვერ იხევისბერებდა და პაროდირულ პერსონაჟად  
უფრო გამოჩნდებოდა. ბარემ ლექსისგანაც ეწვინა მწვავე  
ირონია („მაგას ვინ მაიფიქრებდა კოპალას ხევისბერზედა,  
გადაეყვანა ჩემ ცხენი მიგრიულთის ხევზედა, კუდ ილი-  
აში ეჭირა, დგებოდა თითის წვერზედა, გაუნყრეს იმის  
დავლათი, ვისიც ჯვარ უძე ყელზედა!“) და, გალექსებულ-  
გაპამპულეზული, სულაც გადაკარგულიყო იქიდან და მისი  
ასავალ-დასავალი აღარასოდეს აღარ სმენოდათ.

ტრადიციულ საზოგადოებაში, თუნდ უკვე დაშლილში,  
მხატვრულ სიტყვას ჯერაც მოსდევდა ძალა და გავლენა.

და თურმე მერცხალაც კი, ვინც ერთ უხეირო კაცად  
გამოიყურებოდა თვისტომთა შორის, მელექსეობის ჟამს  
თვალდათვალ იზრდებოდა და გოლიათდებოდა, და ველა-  
რაფერი აოკებდა მის მწარე სიმართლეს, და, ცხადია,  
ვერც უღმობელი გვემა გაპამპულეზულთაგან.

ეს არ დაცხრებოდა და მფარველად საყმო მოველინე-  
ბოდა – მის ხელის დამკარებელს დიდძალ გადასახადს  
რომ დააკისრებდა და ნაუხდენდა სამაგიეროს მიზღვის  
სურვილს.

ამ ამბებს საგანგებოდ გაიხსენებდნენ მამუკა ნიკლა-  
ურიც და ბესიკ ხარანაულიც, როგორც აუცილებელ რეა-  
ლიებს მერცხალას პორტრეტისაც და ხანმოკლე ბიოგრა-  
ფიისაც.

ეტყობა, არ იზიარებდა ფშავის ხეობა პლატონისებურ  
შეხედულებას პოეტთა განდევნის თაობაზე. არ გაასახ-

ლებდი? არ გაასახლებდი და კიდევ აგირ-დაგირევდნენ  
იქაურობას ყალბი მორალის გაქიქება-გადმოფარჩავე-  
ბით. ამიტომაც აფრთხილებდა პლატონი სახელმწიფოსა  
თუ ცალკეულ საზოგადოებათა თავკაცებს, დროულად  
მოიშორეთ პოეტები, თორემ ხელის შემშლის მეტს მათგან  
სხვა სიკეთეს არ უნდა ელოდეთო.

ასეთ ხელის შემშლელად მოჩანს მერცხალაც, მაგრამ  
არამცთუ განედევნათ, პატივითაც მოეპყრობოდნენ, რა-  
კილა აგერ საგანგებო კანონსაც კი შემოიღებდნენ მის და-  
საცავად.

გადარჩენოდა ალუდა ქეთელაურის ხვედრს.

მხარ-მკლავი მოსთრევდა იატაკზე.

შეხე, დედიო, – ზემოთ აახედებდა.

სული მიიკლავებოდა, მიიბოლებოდა სული, სამპი-  
რად იტოტებოდა და ისე მიისწრაფოდა ზეცად, რომელ-  
საც ქვეყანაზე თვალის გამოხელიდან ნატვრით მისჩერე-  
ბოდა გამიხარდი მაჩხოშვილი და თავის სახელს რომ სწუ-  
ნობდა, მერცხალაობაზეც ამიტომ სდებდა თავს.

ესაო და: მერცხალივით ჭიკჭიკებდა და იმიტომაო.

ესაო და მერცხალივით ბოლოგახსნილი მაზარა ეცვა  
და იმიტომაო.

არ დაიჯეროთ. ეს ძალიან გამარტივებულ ახსნას  
ჰგავს და იმიტომ.

გალობდა როგორც ფრთოსანი ცისა და თუ ნუთისოფ-  
ლისა ბევრი რამ ვერ გაეგო, ერთი ესეც – რატომ უნდა და-  
გელალა მაჯა წერით, როდესაც ასე უკეთ ამოთქვამდი  
ნუხილსაც და სიხარულსაც, უკეთ დაემსგავსებოდი პირ-  
ველ პოეტებს, უკეთ გაარღვევდი შემბოჭველ არტახებს  
ან რატომ უნდა გეთესა, რატომ უნდა გემკო და საუნჯეც  
რისთვის გეგროვებინა.

... და მიიკლავებოდა, მიიბოლებოდა სამპირად სული.

თამარ ბლიაძე

სამეული

ამასწინათ ტელევიზორის ეკრანზე მოძრაობა „თავი-  
სუფლების“ ლიდერი კოკო გამსახურდია გამოჩნდა.

დიქტორს უნივერსიტეტის გადარჩენაზე ელაპარაკე-  
ბოდა.

დაინყო თუ არა საუბარი, საოცარმა მღელვარებამ შე-  
მიპყრო.

გამსახურდიების გადარჩენილი გენი ლაპარაკობდა.

ისეთივე ხმა, ისეთივე დაუჯერებულობა თავისი აზ-  
რის სისწორეში, დახვეწილი ქართული, აღმამფოთებელი  
ფაქტის ხსენებისას ხმის აწევა და მარჯვენა ხელის წინ  
გაშვერაც კი...

ვუსმენ და ვგრძნობ, თითები როგორ მეყინება.

ფარდის შრიალმაც არ მინდა დაარღვიოს ეს იდილია.

ესაა ახლად გაჭედელ-გაკვერილი ჯაჭვი საქართვე-  
ლოს გუშინდელ და დღევანდელ დღეს შორის.

მისი სიტყვა პოლიტიკოსის პათეტიკური ლაღადისი  
როდია პიარისათვის გამიზნული, უსმენ და მთელი არ-

სებით გრძნობ, რომ ამ პიროვნებისთვის სულისშემ-  
ძვრელ, დაუოკებელ მიზნად ქართველი ერის გა-  
დარჩენა ქცეულა და კარგად მოეხსენება, რომ თუ მა-  
მული, ენა და სარწმუნოება მოისრა გლობალიზაციის  
შემოტყვის უსამანო ორომტრიალში, ეს იმას ნიშნავს,  
რომ საქართველოსაც ისე ჩახვეტს ისტორია გადაშენე-  
ბის უფსკრულში, როგორც არაერთი სახელმწიფო ჩახ-  
ვეტა.

მე არცერთი პარტიის წევრი არ გახლავართ და პოლი-  
ტიკასაც ჩვენი უკანასკნელი წლების მოვლენების შემყუ-  
რე დიდი სიმპათიით არ ვუცქერო, მაგრამ იმდენი სიმარ-  
თლე, იმდენი გულწრფელობა და, ჩემი ქალური გუმანი-  
თი, ისეთი საერთოობა ვიგრძენი კოკო გამსახურდიას პიროვნე-  
ბასთან, რომ გადაცემის დამთავრების შემდეგაც კი შინ  
ადგბოლს ვერ ვპოულობდი.

მინდოდა ყველა ნაცნობისთვის დამერეკა და მეხარე-  
ბინა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაკარგულა. თავი-  
სუფლების და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ერ-  
თი საიმედო მერცხალი ახლახან ქვეყანას დედა-უნივერ-  
სიტეტის გადარჩენის იმედს უსახავდა.

მეორე დღესვე წიგნის მალაზია „საუნჯეში“ კონსტან-  
ტინე ზ. გამსახურდიას ახალი წიგნი „წერილები უცხოე-  
თიდან“ (გამომცემლობა „საარი“, 2006) შევიძინე და სულ-  
მოუთქმელად წავიკითხე.

ამ სტრიქონებს კოკო გამსახურდიას წიგნების შეფასების პრეტენზიით როდი ვწერ.

ჩემი მოკრძალებული სურვილი მხოლოდ ის არის, ორიოდე შტრიხით ხაზი გაუხსვა იმ გარემოებას, რომ კონსტანტინე, ზვიად და კოკო გამსახურდიების ეროვნული სამეული ერთიანი, მონოლითური, ერთურთს მიყოლებული ფენომენია საქართველოს ისტორიულ მებაჯრეთა ლაშქრიდან ჩვენს წარმოდგენაში გადმოსული.

და კიდევ... იქნებ მაგალითად დავეუსახო ჩემს დაბნეულ თანამედროვეებს მათი საქმე და გასაგისი.

კოკოს დიდი პაპა, როგორც თვითვე იგონებს „ლანდებთან ლაციცში“, 1918 წლის 26 მაისს დილით რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ნოე ჟორდანიას და ისიდორე რამიშვილს (სოციალ-დემოკრატიული ბანგის გამო შეფიქრიანებულებს) კაბინეტში შეუვარდა და განუცხადა: თუ დღესვე არ გამოაცხადებთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ამ ხანჯლით აგკუნავთ და თავსაც მოვიკლავო.

როცა 1921 წლის 25 თებერვალს მეთერთმეტე არმიამ დაიპყრო საქართველო, კონსტანტინე გამსახურდიამ ორიოდე თვის შემდეგ (7 მაისს) წერილი მისწერა ახალი რუსული იმპერიის მეთაურს – ლენინს.

აი, რას წერს ბატონი კონსტანტინე წითელ იმპერატორს:

„დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როცაა საზღვრები, რკინიგზა და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის...“

ყველაფერი შეიძლება წაართვან ერს და პიროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას“.

ეს სტრიქონები მაშინ დაინერა, როცა ბოლშევიკები ეროვნულ მოაზროვნეებს გაუსამართლებლად ქუჩაშივე ხვრეტდნენ და ლენინთან კი არა, სერგო ორჯონიკიძესთან „შეპასუხებასაც“ არავის პატიობდნენ.

კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლეშივე მამამისის გავლენითა და ხელდასხმით ჩამოყალიბდა ზვიად გამსახურდია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლად.

ზვიადმა მერაბ კოსტავასთან ერთად გამოაღვიძა მიძინებული ნაციონალური მოძრაობა და იგი 1990 წელს საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამხობით დაავიწროვინა.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქვეყნის საყოველთაო რეფერენდუმით და საქართველოს დამოუკიდებლობის ხელახლა გამოცხადებით ლიბო გაუმავრა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე გაჩენილ ახალბედა, პოსტსაბჭოთა სივრცეში დაბადებულ ერთ-ერთ პირველ დამოუკიდებელ სახელმწიფოს და, რაკილა რუსეთმა ილია ჭავჭავაძის ქვე-



ყანას დამოუკიდებლობის სურვილი არ აპატია, მსხვერპლად შეენირა კიდევ თავისი სათაყვანებელი სამშობლოს დაცვას.

... და აი, ზვიად გამსახურდიას სიკვდილიდან თორმეტი წლის შემდეგ პოლიტიკურ არენაზე ღირსეული მამის გზის ღირსეულ გამგრძელებლად გამოდის კოკო გამსახურდია.

ღირსეულ გამგრძელებლად-მეთქი და ჩემი კატეგორიულობის მევე შემეშინდა.

საქართველოს პოლიტიკურ ცაზე იგი ჯერ ხომ მხოლოდ დაპირებაა.

ოღონდ ისეთი დაპირება, მისივე გენისა და პიროვნული თვისებების გამო ასე, ჩემსავით, თავის ლიტერატურულ სალონში შეყუჟული ერთი ქართველის კი არა, ათიათასობით გულანთებული ქართველის იმედიანი მზერა რომ მიაცილებს.

ხომ წაგიკითხავთ ზვიად გამსახურდიას წიგნები, ხომ მოგისმენიათ მისი ლექციების ცნობილი ციკლი: „საქართველოს ეროვნული მისია“ – თითქმის ისეთივე სტილი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ღრმა ერუდიცია და დიდი ფილოსოფიურ-ბიბლიური განათლება აქვს კოკო გამსახურდიას.

ვკთხულობ და ვფიქრობ: ნუთუ აზროვნების სტილიც კი გენეტიკური მოვლენაა?

ამ თავსატეხის პასუხმა შორს რომ არ გამიტყუოს, აქვე დავძენ, რომ კოკო გამსახურდიას სტილის სიახლოვეს თავის უკვდავ მამასთან უპირველესად ის განაპირობებს, რომ ისინი თანამებრძოლები იყვნენ და კოკო მხარში ედგა ზვიადს და არა მარტო მიტინგების დროს, არამედ – პრეზიდენტობის იმ უმძიმეს თვეებშიც, როცა ბედის უკუღმართობის გამო ეს მხარში დგომა ერთისთვის უღმერთო სიკვდილით დამთავრდა, ხოლო მეორესთვის – ათწლიანი იძულებითი ემიგრაციით.

წერს კოკო იმაზე, რაც კარგად იცის, რაც უნახავს და განუცდია.

წერს საბჭოთა პერიოდის დისიდენტურ მოძრაობაზე და ზვიადის წვლილზე იმ მოძრაობაში... წერს 1989 წლის 9 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზე, წერს წალენჯიხის მოვლენათა ათი წლისთავის შესახებ, წერს აფხაზეთ-სამაჩაბლოს საკითხზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი მონყობის გზებზე...

სტატიები მოკლეა. სულ 3-4 გვერდიანი. არსად შეგხვდებათ უსაგნო მსჯელობა, ჭირვეულობა, წერილმანი კამათი, უსამანო ციტატომანია... ასე რომ ახასიათებს ზოგიერთი პოლიტიკოს-პუბლიცისტის ნააზრევს.

კოკო თავის შეხედულებებს თავზე არავის ახვევს, არც ერთადერთი ჭეშმარიტების პრეტენზიით განვდით სენტენციებს; იგი უბრალოდ თავის ფიქრებს გიზიარებთ, ოღონდ ისე კი, რომ მისი მსჯელობა, უშუალობა და გულწრფელობა ხშირ შემთხვევაში გადამდებია.

... და, რაც მთავარია, დახურავთ ამ წიგნს და არ შეიძლება, არ გენიშნოთ გამსახურდიათა უკვდავი გენის სიმტკიცე, ამ ძვირფასი სამეულის ეროვნული მიზნების საერთობა და მოქალაქეობრივი გაბედულების შესაშური უნარი.

შოთა ბოსტანაშვილი

## შექანილი „დანაკარგი“

ამ ცოცხალი ხნის წინათ საყურადღებო კონკურსი გამართა, სულ ათიოდე პროექტი – ნახაზები და მოდელები ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გამოიფინა. საქმე ეხება საფრანგეთიდან გადმოსვენებული და მთან-მინდას მიბარებული საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის მემორიალური ძეგლის საუკეთესო პროექტის შერჩევას. შეირჩა კიდეც, წარმოდგენილ რამდენიმე ქვა-სვეტს შორის, ერთ-ერთი. შემჩრევ კომისიაში კულტურის მინისტრის მოადგილე (ძეგლთა დაცვის საკითხებში) ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები და განსვენებულის შთამომავალნიც მონაწილეობდნენ. ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, მაგრამ სათქმელი დარჩა.

ის ფაქტი, რომ კონკურსში ვერგამარჯვებული პროექტის ავტორებს და მათ შინაურებს უკმაყოფილების გრძნობა ეუფლებათ, ჩვეულებრივი მოვლენაა. მე, გარედან მაყურებელმა, ჩემი პირადი შთაბეჭდილება მინდა გაგიზიაროთ. შთაბეჭდილება კი, ერთ-ერთი ნაწარმოებიდან მიღებული, იმდენად ძლიერი იყო, რომ თავი ვერ შევიკავე და იქვე, კონკურსის სხვა მონაწილეების თანდასწრებით „გადმოვღვარე“; ამით გარკვეული დისკომფორტიც შევქმენი.

აი, ეს ნაწარმოებიც, იგი აქვე, წერილთან ერთად წარმოდგენილ სურათზეა. პლასტიკის ამ დახვეწილ ენას ვიზუალურად ვიზიარებთ, სიტყვის ენაზე თარგმნა და განმარტება არც სჭირდება. ის დამოუკიდებლადაც საინტერესოა, ანუ ადგილისა და დანიშნულების გარეშეც მნიშვნელობს – თავისით განონებს თავს, თავისი სიახლით, პლასტიკის თანამედროვე პრობლემებზე სახიერი პასუხით.

ქართული ცნობიერებისათვის მისი მნიშვნელობა საკმაოდ იზრდება იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც ეს ნაწარმოები აღმოცენდა. კონტექსტი კი ასეთია: საფლავთან „მობალახე“ ცხენი, უფრო ზუსტად, ასეთ პოზაში მოშვილდული ცხენის სილუეტი ქართული მხედრული დამწერლობის ულამაზესი პლასტიკის განზოგადებულ ნიშნად წარმოდგება (დ, ლ, ლ,...).

ცხენის სხეულის მეტყველებაც სწორედ ამ ძალისხმევით არის დაყვანილი გრაფემის მეტყველებამდე და საერთოდ მეტყველებამდე პირდაპირი გაგებით, – ენამდე. პლასტიკის ეს ლინგვისტურ-სემანტიკური ოპუსი ასოციაციათა და პარადიგმათა სიმრავლეს გადაგვიშლის თვალწინ. ეს აღარ არის მხოლოდ ერთი კაცის, – მხედრის საფლავზე მგლოვიარე ცხენი. მისი ნამდვილი განცდა ჩვენც ხომ გვაჯერებს, რომ არა ერთ-ერთი ილუპება, როცა ილუპება მხედარი, არამედ ერთი მთლიანი ილუპება – ცხენკაცი. და აი, ცხენის სახით მხედრის მეორე ნახევარია სახეზე, მისი მეორე „მე“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ეს სიმბოლო ზუსტად ერგება, მაგრამ ამ შემთხვევაში სიმბოლოს მნიშვნელობა ფართოვდება. ჯერ ერთი, ამ რანგის მხედარი პოეტური ყაიდის კაცია, მეორეც პოეტების სავანესთან გვაქვს საქმე, სადაც „... აკაკის ლანდს სძინავს მეფურ ძილით...“ და ჩვენც ახლა ამ ძილიდან გვესმის: „საყვარლის საფლავს ვეძებდი...“ სამთანმინდე ცხენიც აქ კარგავს ხტონურ საზღვრებს და პოეზიის მერანში გადადის, პოეტის მაძიებელ მერანში... – რომელი ერთის? – ყველასი. აქ კი ცხენყოფილი და მერანად გადაქცეული ეული სხეული, მშვენიერებისმაძიებელ სიმბოლოდ, ხოლო მთანმინდა ამ პოეტური ალღუმ-პარადით – პარნას-პარადიზად – კულტურის სამოთხედ – წმინდა მთად წარმოდგება, რომელზეც ოდესმე უნდა დავბრუნდეთ.

ამ მშვენიერი ნაწარმოების ავტორი ცნობილი მოქანდაკე – რეზო ხასია, ვინც არაერთხელ დაგვარწმუნა თავის ნიჭში. ეს „მერანიც“ ხასიას ხასიათშია. გულწრფელად ვულოცავ.

მართალია ვერ ვიხილავთ მთანმინდაზე „მერანს“, მაგრამ მან კულტურის ტერიტორია უკვე დაიკავა და ამ შემოქმედებითი აქციით იგი საკუთარ ადგილად აქცია.

რამდენიმე წლის წინათ გაზეთ „ახალ ეპოქაში“ ვწერდი: „... სულის ტერიტორიები მეტი დავკარგეთ, ვიდრე ფიზიკური და გეოგრაფიული („დრო – განტევების ვაცი და მოდარაჯე კაცი“). კულტურა „დამატება“ და, ამდენად, სამწუხაროა ასეთი დანაკარგი მთანმინდისათვის. მე მას შეძენილ „დანაკარგს“ დავარქმევდი. მეორე მხრივ, – ვისთვის დანაკარგია და ვისთვის დანაკარგი (საჭრეთლის ოსტატს ეს მეტაფორა უხდება).

რეზო ხასიას „მერანი“ უხასიათოდ არის, კიდეც ერთი მიზეზით არის დალონებული და გულდაკოდილი. მდიდარია ქართული ენა – დაკოდილ ცხენს ახტა ქვია. ალტაცებაშიც მომიყვანა და სახტადაც დამტოვა, მაგრამ მთანმინდამდე მაინც ვერ ახტა ეს კოხტა ახტა. მესმის რატომაც, მაგრამ სხვაც მესმის: ელირსებაო ახტასა პარნასის გორზე შადგომა.



ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავის პროექტი მოქანდაკე რეზო ხასია

ბარბარა ნოვირტი

## მოგონებების ქალაქი

ქალაქი, რუხი და მიუსაფარი, დანახვისთანავე გიცრუებდა იმედებს. მეტროპოლიის ოდინდელი ბრწყინვალეობა სადღაც გამქრალიყო. დანგრეული სახლები და ქუჩები პირქუში, ჭუჭყიანი, გულცივი და უკარება ჩანდა. აქა-იქ ვითომ შეეკეთებინათ ქუჩების ცალკეული მონაკვეთები, მაგრამ ჰარმონიული სურათი არსად არ იქმნებოდა. მტვრიან ფასადებს ღია ფერის ლაქებად აჩნდა შეკეთებული მონაკვეთები, ახლად შეღებილი, თვითნებურად დატიხრული კარ-ფანჯარა კი ერთნაირად აჭრელებული ფასადების ფონზე კიდევ უფრო თვალშისაცემი გახლდათ. ქალაქის მცხოვრებნი თითქოს ყოველდღიურად ხელახლა ისრუტავდნენ ნაღვლიან ატმოსფეროს და საერთო შთაბეჭდილებას აგვირგვინებდნენ. მუქი, ჩამკვდარი ფერებით შემოსილი ხანდაზმული ადამიანები ავსებდნენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, მაღაზიებსა და ქუჩებს, ახალგაზრდები იშვიათად თუ გამოერეოდნენ და ისინიც რაღაც უცნაურად უსიცოცხლოები და ყოველგვარი სიახლის მიმართ გულცივები ჩანდნენ. ეზოებში და ქიშკრების წინ სახემოლუშული ბავშვები თამაშობდნენ ერთფეროვან, მოსაწყენ თამაშებს.

ჰანე და კარლი ქუჩებში დაეხეტებოდნენ და ცნობისმოყვარედ აცეცებდნენ თვალებს, მაგრამ ბრწყინვალე სასახლეებსა და ბიურგერულ, ჩუქურთმიან სახლებს ვეღარსად ხედავდნენ. ომს ბევრი რამ გაენადგურებინა და არამარტო სახლებისთვის დაეჩინა დალი.

ჰანე ორიოდ ნაბიჯით ჩამორჩენოდა კარლს და ძალაუნებურად ზურგდან აკვირდებოდა. ეს კაცი, ახლა ასე უემოციოდ, მექანიკურად რომ მიაბიჯებდა დახეთქილ ასფალტზე და ფასადიდან ფასადზე გულცივად გადაჰქონდა მზერა, ამ ნუთებში მისთვის უცხო იყო. გაუკვირდა, რა უსიამოდ შეუტოკდა გული, კარლი რომ შეჩერდა, რათა მას დალოდებოდა. ჰანეს მისთვის არც შეუხედავს, ისე ჩაუარა გვერდით, მაგრამ კარლი წამოენია და ჰანე ახლა სახეზე მის დაჟინებულ მზერას გრძნობდა. ამ დროს სახურავებს ზემოთ მზემ გამოანათა და უმონყალო სხივებმა ქუჩებზე კაშკაშა, ავადმყოფური შუქი დააფინა. კარლმა თვალები მოჭუტა, ჰანეც შეტრიალდა და თვალები მკლავით მოიჩრდილა. რამდენიმე ნუთში ტემპერატურამ შესამჩნევად მოიმატა და ქუჩები მყისვე დაცარიელდა. თითოოროლა ბავშვილა მოჩანდა, რომლებიც უილაჯოდ მიყრდნობოდნენ ეზოების ქიშკრებს და ჰანესა და კარლს მტრულად, ჩასაფრებულებით აკვირდებოდნენ.

ჰანე შეჩერდა და თქვა: „კარლ, აქედან უნდა წავიდე. ახლავე. გთხოვ, ახლავე წავიდე აქედან. სასტუმროდან ბარგს მერე გადმოგვიგზავნიან“.

„ჩვენ ხომ ეს ნუთია ჩამოვდით! ვიცი, ჩვენ როგორც წარმოგვედგინა, ისე არ დაგვხვდა ყველაფერი, მაგრამ იქნებ ძველ ქუჩებში მაინც ვიპოვოთ ჩვენი ქალაქი“.

„თუ არ ნამიყვან, მარტო წავალ!“

როგორც კი წარმოთქვა ეს სიტყვები, მაშინვე მიხვდა, რომ კარლს აქ მარტო არ მიატოვებდა, მაგრამ კარლს გაოცებისა და წყენისაგან შუბლი შეეჭმუნხნა.

„არა, არა, ვტყუი! რა თქმა უნდა, შენთან დავრჩები, მაგრამ ხომ შეიძლება ერთად წავიდე აქედან?“

კარლმა თავი გააქნია.

„მე ვრჩები“, თქვა მან, ჰანეს ზურგი შეაქცია და ვინრო ქუჩაზე გადაუხვია, რომელიც ციცაბო კიბით მთავრდებოდა, სამი-ოთხი სართულის სიმაღლეზე აღიოდა ზემოთ და იქ პარალელურ ქუჩას კვეთდა. ჰანე მიჰყვა, მაგრამ კარლს ვეღარ ენოდა, კარგა მანძილით ჩამორჩა, კარლმა კი ფეხს აუჩქარა, ორ-სამ კიბეს ახტებოდა და ისე მიიწევდა ზევით. ჰანეს ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი, როცა კარლი უკვე ბოლოდან პირველ საფეხურზე იდგა, მის ფეხქვეშ განოლილ უბნებს დაჰყურებდა და მკლავები ფართოდ გაეშალა. ჰანე ქვემოდან შესცქეროდა კარლს.

„ამომიშვი!“

„არა, აქ მე უნდა ვიდგე, რადგან მე მეფე ვარ, შენ კი მხოლოდ დედოფალი ხარ და ამიტომაც შენს თავზემოდგომა მეკუთვნის!“

„კი მაგრამ, თუ ცოლ-ქმარი გვქვია, მაშინ ხომ თანასწორნი ვართ, ისე ხომ ერთმანეთიც ვერ გვეყვარებოდა, არა?“

კარლი ერთი ნუთით ჩაფიქრდა და დაძაბულობისაგან შუბლი შეეჭმუნხნა.

„ეგრე იყოს, მაგრამ იცი თუ არა, რომ მე აქ, ზემოთ ვდგავარ და გადავყურებ მთელ ქალაქს? ჰოდა, აქედან მხოლოდ სასახლეებს, პარკებსა და ბულვარებს როდი ვხედავ. იმასაც ვხედავ, მტერი ჩვენს ქალაქს რომ მოსდგომია. ვერაგი და სამიში მტერი ემუქრება ჩვენი ქალაქის დიდებულებას. ამიტომაც არ მინდა აქ ამოხვიდე და შიშმა აგიტანოს“.

ჰანემ ყურადღებით მოუსმინა კარლს, მაგრამ მერე აყვირდა და თვალები ცრემლით აევსო. შემინებული კარლი ხიდან ჩამოხტა, ჰანეს სახეზე აფარებული ხელები ჩამოაღებინა და შეევედრა:

„ნუ ტირი, აგიყვან ზემოთ. ორივე დავეტყვით, ადგილი გვეყოფა“.

„არ მინდა ზემოთ“, ღრიალებდა ჰანე, „მე მინდა მტერი გაგვეცალოს, არ შემოუტეოს ჩვენს ქალაქს“.

„მტერს მე გავნდევი“, აღუთქვა კარლმა და ხის ხმალი იშიშვლა. ხმლით ჰაერი გაკვეთა და საომარი ყიჟინა დასცა.

„აჰა შენ, აჰა კიდევ, ვერსად წამიხვალ! აჰა შენ, კიდევ იმისათვის, დედოფალი რომ შემიშინე!“

კარლმა ბოლოს ხმალი ქარქაშში ჩააგო და ჰანესთან მივიდა.

„კუდიტ ქვა ვასროლინე. ახლა შეგიძლია გადასახედზე დადგე და ქალაქის მთელი დიდებულება და სიმდიდრე დაინახო!“

კარლი პირველი აცოცდა ზემოთ და ჰანეც აიყვანა. ჰანე წელში გაიმართა და ნამტირალევე სახეზე ბავშვური გაოცება გამოეხატა:

„რა დიდი ყოფილა ჩვენი ქალაქი, რა დიდი და რა მშვენიერი!“

მათ ქვემოთ გადაშლილი ქალაქი შემზარავი იყო. თაკარა მზე აშიშვლებდა ომისგან მიყენებულ ჭრილობებს, მკაფიოდ აჩენდა ყველა იმ სიმახინჯეს, რაც ჯობდა პერმანენტული ღამის საბურველს შეფარებოდა. მზე არაბუნებრივ, ოქროსფერ სხივებს აფრქვევდა სახლებს, ქუჩებსა და მოედნებს. აღმართისაგან დაქანცული ჰანე სულს ძლივს ითქვამდა. ღრმად ისუნთქავდა მტვრიან ჰაერს და თან ქალაქს ზვერავდა, იქნებ როგორმე ეპოვა, სად იყო ციხე-დარბაზის პარკი. ნაცრისფერი, წითელი, ყავისფერი ერწყმოდა ერთმანეთს და უჩვეულო მოზაიკას ქმნიდა. აქა-იქ თუ გაიბრწყინებდა სადმე ეზოში ეულად მდგარი ხის მწვანე ფოთლები, ყველა პარკი ან გაჩანაგებული იყო, ან აქედან არ მოჩანდა. ჰანემ ისევ იგრძნო კარლის მზერა და მისკენ შემობრუნდა. ერთმანეთს კარგახანს ეჭვიანი მზერით, ფრთხილად აკვირდებოდნენ.

„კარლ?!“ კარლი ისე ქოშინებდა, თითქოს სულმოუთქმელად აერბინოს კიბეზე, ხელში კი ჩანთის სახელურს აწვალებდა. „კარლ!“ ერთმანეთს გადაეხვივნენ. მხურვალედ და ვნებიანად უკოცნიდნენ ერთმანეთს ტუჩებს, თვალებს, ყელსა და ხელებს და მთვრალეებით ბარბაცებდნენ. ბოლოს, როცა ოთახში შეაღწიეს და ზურგსუკან კარი მოიხურეს, იატაკზე დაცვივდნენ და თავიანთ მოუხეშაობაზე ხარხარი აუტყდათ. კვლავ მაგრად ჩაეხვივნენ ერთმანეთს. კარლი რალაცას უყვებოდა, ჰანეს კი არაფერი ესმოდა, კარლს თმას უკოცნიდა და მხოლოდ მისი ხმის ჟღერას აღიქვამდა, ამ ხრინწიან, ჩახლეჩილ ხმას, შვიდი წელია მეხსიერებაში რომ ინახავდა. რალაც წუთებში ჰანემ გაიგონა, როგორ ზედიზედ იმეორებდა მის სახელს კარლი და ტუჩებზე დაეკონა, სანამ არ გააჩუმა. მერე კარგახანს ინვუნენ ასე, მხრებით ერთმანეთს ეხებოდნენ და ლაპარაკობდნენ.

„შენთან ერთად ქალაქში მინდა გასვლა!“ თქვა კარლმა. აზრების საოცარი დამთხვევით გაოცებულებმა იდაყვზე წამოიწიეს და ერთმანეთს მიაჩერდნენ. კარლმა ამ წუთებში შეიგრძნო, რომ ბოლოსდაბოლოს ეღირსა შინ დაბრუნება. ჰანე კი უეცრად შეკრთა, გააცნობიერა, რომ ბავშვები აღარ იყვნენ და კარლი ამიერიდან მისთვის უცხო უნდა გამხდარიყო.

„მოდი, ციხე-დარბაზის პარკში წავიდეთ“, თქვა კარლმა, ჰანესკენ შემობრუნდა და კარგად დააკვირდა მთავარ ქუჩას, რომელიც ქალაქის ზედა ტერასას ქვედასთან აკავშირებდა. ჰანე გაჰყვა და კარლს მაშინ გაახსენდა, რომ ის პარკი ზედა ტერასაზე იყო გაშენებული. ჰანეს წამით გული ყელში მოებჯინა, კარლი ასე უყოყმანოდ რომ ენდობოდა თავის მეხსიერებას. მზე უკვე ზენიტში იდგა, მაგრამ აქ ჰაერს ნიავე აგრილებდა. კარლს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პარკისკენ მიმავალ უმოკლეს გზას ადგნენ. ჰანე მიჰყვებოდა და უეცრად იგრძნო, ჰაერში ლორთქო სურნელი რომ დატრიალდა – შრომანის ნაზი და ჟანსინის მოტკბო სურნელის ნაზავი. მერე გისოსებიანი დიდი ჭიშკარი დაინახა, რომლის მიღმა ციხე-დარბაზის პარკი მიმალულიყო. ფეხს აუჩქარეს და ორივე ერთად მიადგა რკინის ნაჭედ ჭიშკარს, რომელიც ჩაკეტილს ჰგავდა, მაგრამ ჩაჟანგებული აღმოჩნდა, მათ მიწოლას ვერ გაუძლო და ღრჭიალით გაიღო. გატყუარებულ ბაღში შევიდნენ თუ არა, ჰანეს სურვილმა მოუარა კარლს ხელით შეხებოდა.

„ხელს არ მომცემ?“

„არა“.

„ვითომ რატომ?“

„შენ უკვე იმოდენა ხარ, მარტოს შეგიძლია სიარული“.

„განა ჯერ კიდევ გუშინ ხელიხელჩაკიდებულები არ დავდიოდით?“

„მართალია, მაგრამ უკვე დიდი ხარ. ნერვებს ნუ მიშლი, ისედაც ყველა დამცინის, სულ კუდში რომ დამდევი. რატომ არ გინდა შენი ტოლი მეგობრები გაიჩინო?“

ჰანე ჩამორჩა. კარლს ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ თვალი გააყოლა. ის კი არხეინად მიაბიჯებდა და უკან არ იხედებოდა. „კარლ!“ მისძახოდა ჰანე და თავი უზუზუნებდა, კარლი კი კვლავ უკანმოუხედავად მიაბიჯებდა და მალე თვალს მიეფარა. ჰანე მიხვდა, რომ მარტო დარჩა, სულ მარტო, კარლმა შუაგულ ტყეში მიატოვა.

„კარლ!“ განწირული ხმით იყვირა ჰანემ და დაინახა, როგორ მორბოდა მისკენ კარლი. მისი განწირული ხმის გამგონეს სახეზე ფერი აღარ ედო.

„კარლ!“ ისევ იყვირა ჰანემ. კარლმა მხრებში უხეშად ჩასჭიდა ხელები, შეანჯღრია და უღრიალა: „დანყნარდი. ხმა აღარ გამაგონო. აქა ვარ. შენი მიტოვება არც მიფიქრია“.

მისმა ყვირილმა კარლს წონასწორობა დააკარგვინა. იმაზეც ბრაზი მოსდიოდა, იძულებული რომ გახდა თავი ემართლებინა და ჰანეს ცემა დაუნყო. მანამდე ურტყა, სანამ ჰანემაც არ შეუბრუნა ხელი.

„დედოფალს არ სცემენ“, ბოროტად წაისისინა მან.

ჰანემ ხელი ჩაჰკიდა კარლს, ასე ხელიხელჩაკიდებულები შევიდნენ ცაცხვებისა და წიფლის ხეივანში და

ხავსმოდებული გზით ბალის პავილიონისაკენ გაემართნენ. პავილიონში ჯერ კიდევ იდგა მონნული სავარძელი, რომელსაც აქა-იქ დანყვეტოდა წნულები. ჰანე სავარძელის უკან დადგა, მუცელი საზურგეს მიაბჯინა და სავარძელში ჩამჯდარ კარლს მხრებზე მსუბუქად დაეყრდნო. ხეებზე ფოთლები შრიალებდნენ, ქარის ყოველ წამობერვაზე თრთოდნენ, ერთმანეთისკენ იხრებოდნენ, კეკლუცად ეხებოდნენ ერთმანეთს და კვლავ შორდებოდნენ. კარლი ფოთლების შრიალს უსმენდა, ჰანე კი კარლის სუნთქვას უგდებდა ყურს.

„მე შვილი მყავს“, თქვა კარლმა.

სიჩუმემ დიდხანს გასტანა.

„ჩემი პირველი შვებულების დროს ერთი ქალი გავიცანი“.

„შვებულებით იყავი ჩამოსული და ჩემთან არ მოხვედი?“

„შენ ჩემი და ხარ“.

„როგორია ის ქალი? გიყვარს?“ ჰანე შეეცადა ეს სიურპრიზი გადაეხარშა და ხმა არ აკანკალებოდა. კარლმა მხრები შეარხია და ჰანეს მარჯვენა ხელი ჩამოუვარდა. შეეყოყმანდა, აღარ იცოდა ხელი მის მხარზე ისევ დაედო თუ არა. უცებ კარლის სხეული შეიგრძნო, შეკრთა და გაუბედავად ჩამოიღო მარცხენა ხელიც. კარლმა თავი გაიქნია, მაგრამ ჰანე ვეღარ მიხვდა, ეს მისი რეაქციის საპასუხო პროტესტი იყო, თუ მისი სიტყვების შემავსებელი ჟესტი და კითხვა ვეღარ გაუბედა.

„ბავშვი უკვე სამი წლის იქნება. მეორე ჩამოსვლაზე ვინახულე, ლამაზი ბავშვია“.

კარლმა მხიარულად გაიცინა. ჰანემ იგრძნო, როგორ გაუშრა ყელი. სიმშრალემ თითქოს ბრჭყალები ჩაასო და ნერწყვის გადაყლაპვა გაუჭირდა.

„მეგობარი თუ გყავს?“ ჰკითხა კარლმა.

ჰანემ არ უპასუხა. დაფიქრდა, ახლა რა ჯობდა, აქედან წასულიყო, სასტუმროში დაბრუნებულიყო, თუ თავის პატარა ოთახისთვის შეეფარებინა თავი. იქნებ სულაც სხვა ქალაქში გადასვლა ჯობდა, სადაც ომი უკვე დამთავრებული იყო და ისეთებისთვის შეიძლება ზოგად ნორმალურად ცხოვრება, ვისაც არავის მხარეს არ უომია.

კარლმა ლოყებზე ჩამოუსვა ხელი.

„რა დაგემართა?“

ხმაში გაოცება ემჩნეოდა. ჰანემ ხელი ჩამოაღებინა.

„შვიდი წელი გელოდი. ყოველთვე გაზეთში ვამონემბდი დალუპულთა სიებს და შიშით ვკანკალებდი, იქ შენს გვარს არ ნაგწყდომოდი. ისიც კი არ ვიცოდი, ვის მხარეზე იბრძოდი. როცა რადიოში ვისმენდი ცნობას, ნითლებმა დიდი დანაკლისი განიცადესო, შიშით ისევე მენურებოდა გული, შავებზეც იგივე რომ ეთქვათ. ჩემთვის არც ის გაგიმხელია, ომში წასვლას რომ აპირებდი, თუმცა იცოდი, რომ ერთმანეთს წერილებით

ვერ შევეხმიანებოდით. გესმის თუ არა, ჩემი სიცოცხლის შვიდი წელი შენს ლოდინში რომ გავატარე? ოთხი წლის წინ შვებულება გქონია და თავიც არ შეგინუხებია, ჩემთვის შეგეტყობინებინა ეს ამბავი. მეორე შვებულებაც აგილია და არც მაშინ ჩავითვლია საჭიროდ შენი ძვირფასი თავისუფალი დროის ნაწილი ჩემთვის დაგეხარჯა. მეკითხები, მეგობარი თუ გყავსო. დიასხ, უკანასკნელ წლებში ბევრი მამაკაცი მყოლია, მაგრამ შენდამი სიყვარული ამით არ გამწვანდება. შენ კი ერთ ქალს შეხვედრიხარ და ჩემს დასავიწყებლად ეს საკმარისი გამომდგარა“.

ჰანემ ხმას აუნია და როცა თვითონაც მიხვდა ამას, ლაპარაკი შეწყვიტა, ადგილიდან მოწყდა და პავილიონიდან გამოვარდა.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

იგი ხავსმოკიდებულ გზაზე გარბოდა, რომელსაც აქა-იქ ფინებოდა მზის ათინათი. კარლი რამდენიმე ნაბიჯით წამოენია, მკლავში ხელი ჩასჭიდა, თავისკენ შემოატრიალა და წინ გადაუდგა.

„შეჩერდი!“ უყვირა ჰანეს. „არ მესმის, რაზე მელაპარაკები. მე არ დამვიწყებინარ. ახლაც შენთან მოვედი, რადგან გაჭირვებაში ვარ ჩავარდნილი და ვიცი, რომ ყველაზე მეტად შენ შემიძლია გენდო“.

ჰანემ სახე მოარიდა, საკუთარ თავზე დასწყდა გული, აქამდე ბევრი რამ რომ არ ესმოდა. მისმა განდგომამ, მისმა სიახლოვემ და იქვე გაჩენილმა სიშორემ კარლს სასო წარუკვეთა, ხელი მოიქნია და ჰანეს სახეში გაარტყა. ჰანემ გაოცებით შეხედა და უთხრა:

„ამიერიდან ხელს ვეღარასოდეს გამარტყამ“.

კარლმა თავი ჩაჰკიდა.

„მე დეზერტირი ვარ“, თქვა მან.



ჰანე ხავსმოდებულ მინაზე ჩაჯდა. კარლიც იქვე, მის გვერდით მოიკუნტა და თავი კალთაში ჩაუდო. ჰანე ხშირ თმაზე უსვამდა ხელს.

„ესე იგი, ომში აღარ ნახვალ“.

კარლმა წამოისლუკუნა და მიშით წარმოთქვა:

„ძებნას დამიწყებენ“.

„ჩვენ დავიმალებით. პარკში ჯობია დარჩენა, აქ ნამდვილად არ მოგძებნიან. საჭმელს მოგიტან ხოლმე, ჩემს კვალს ვერ გამოყვებიან“.

კარლმა კიდევ უფრო ღრმად ჩაჰყო მის კალთაში თავი, თეძოებზე მკლავები შემოაჭდო და მინაზე დაანვინა. ზემოდან მოექცა და თავისკენ ღონივრად მიიზიდა. ჰანე ნახად უსვამდა ზურგზე თითებს, სანამ კარლის ქვითინი არ მინელდა.

„რა გინდოდა იმ სკოლაში? ყველამ იცოდა, რა საზიზღარიც იყო ის სკოლა და შენც მშვენივრად იცოდი, რომც მოგენდომებინა, იქ ვერ გამოგყვებოდი, გოგონებს ეკრძალებოდათ იმ სკოლაში მოსვლა“.

კარლმა წაიქსუტუნა და საბრალო ხმით თქვა:

„მე იმ სკოლაში სწორედ იმიტომ წავედი, რომ შენ გაგქცეოდი. ჩემი თანატოლები დამცინოდნენ, გამუდმებით კუდში რომ დამყვებოდი“.

„მერე ცუდი იყო?“

„შენ ჩემი და ხარ და ჯერაც არ გაზრდილხარ. ისევ ის ბავშვი ხარ“.

ჰანე წამოდგა და გზას დადგა. კარლი ერთხანს შეყოყმანდა, მაგრამ მერე ისევ წამოენია.

„ნუ ნახვალ. მე ხომ შენს გარდა არავინა მყავს“.

კარლი მის წინ იდგა. მკლავები უმწეოდ ჩამოეყარა და ნამტირალევ სახეზე ჯერ ისევ ემჩნეოდა ცრემლღების კვალი. მუქი პირისკანი გასწითლებოდა და ტურებს გაუბედავად იკვნეტდა.

„საჭმლის მოსატანად მივდივარ“, უთხრა ჰანემ და შეაჩერა.

პარკიდან შებინდებისას გამოვიდნენ.

„ყველაზე ხელსაყრელი სამხრეთისკენ გაქცევაა, დეზერტირების უმრავლესობა იქ აფარებს თავს. იქ ყალბი დოკუმენტების შოვნაც იოლად შეიძლება“, თქვა კარლმა და ჰანემაც თავი დაუქნია.

ქალაქის ქუჩები ჩაბნელებული იყო. რამდენიმე ქუჩის იქით ერთ ძველმოდურ სადგურს მიადგნენ, ქალაქის ცენტრისკენ წასასვლელი ბილეთი იყიდეს და ბაქანზე გავიდნენ. მატარებელი უკვე ჩამომდგარი იყო. ვაგონებში კანტიკუნტად მოჩადნენ მგზავრები. დაღვრემილი, დაღლილი სახეები ჰქონდათ და ჰანესა და კარლისგან პირშექცევით ისხდნენ. მატარებელთან რომ მივიდნენ, კარლი შემობრუნდა. „ცნობარს ვიყიდი, სასტუმროში მშვიდად ამოვძებნოთ საჩვენო მატარებელი“.

კარლი სალაროსკენ გაქანდა, ჰანე კი ფანჯარასთან დაჯდა, რომ მისთვის ედევნებინა თვალი. დაინახა, როგორ გადაიხადა ცნობარში ფული და მატარებლისკენ გამოიქცა.

ამ დროს ვაგონიდან ორი კაცი გავარდა და ერთ-ერთმა ზურგსუკან მოიხურა ვაგონის კარი. ჰანე წამოხტა, რომ კარლისთვის კარი გაეღო, მაგრამ ამ დროს ის ორი კარლთან მივიდა. კარლმა პიჯაკის ჯიბიდან ბლეთი ამოიღო და იმ ორს უჩვენა. ჰანე კარს აეკრა, მაგრამ კარი აღარ იღებოდა. დაინახა, იმ ორთაგან ერთმა როგორ გადააქნია თავი და პირქუშმა ღიმილმა სახე შეუცვალა, მეორემ კი კარლს მკლავში ჩაავლო ხელი, რომ არსად გაქცეოდა. ჰანემ დაინახა, დაბნეულობისაგან კარლს როგორ შეეჭმუნა შუბლი, შემდეგ ელვისსისწრაფით შემოტრიალდა და გასასვლელისკენ გაქანდა. თითქოს მიაღწია კიდევ კარამდე, მაგრამ ამ დროს სალაროდან ვიღაც კაცი გამოვარდა და კარლს ეცა. იმავე წამს იმ ორმაც მიიბრინა, კარლი ნააქციეს და ფეხქვეშ გაიგდეს. მერე თმაში ჩასჭიდეს ხელი, ასე წამოაყენეს, მკლავები ზურგსუკან გადაუგრისხეს და ნელქვემოთ ნიხლიც ჩააზილეს.

იმავე წამს მატარებელიც დაიძრა.

„კარლ!“ მთელი ხმით იყვირა ჰანემ.

კარლმა თავი ასწია, დაფეთებული თვალებით მიაგნო ვაგონის ფანჯარას, მაგრამ ჰანეს სახე ვერ გაარჩია, მისი მზერა სწრაფად გასცდა იმ ფანჯარას, რომლის მიღმაც ჰანე იდგა. ჰანემ როგორც იქნა, გაალო კარი, მაგრამ უკვე გვიან იყო, მატარებელმა სვლას აუჩქარა. ჰანე თავის ადგილს დაუბრუნდა. თანამზავრების გაბოროტებული მზერა იგრძნო. მხოლოდ ერთხელ გაიხედა მათკენ და მაშინაც ერთმა ხანშიშესულმა კაცმა უწმანური უესტი დაანახა და თვალებში უტიფრად მიაჩერდა. ჰანემ ქუთუთოები დახარა და ახედვა აღარც გაუბედავს, სანამ მატარებლიდან არ ჩამოვიდა. დარეტიანებულმა სასტუმროსკენ ძლივს გაიგნო გზა. გასაღები მოითხოვა. დიდხანს იდგა ასე, ხელგაშვერილი, სანამ შეამჩნევდა, რომ გასაღები იქვე, მის ხელთან იდო.

მოსამართი თოჯინასავით აიარა კიბე და კარი გაალო. კარლის ნივთები აღარსად ჩანდა, მხოლოდ აბაზანაში შემორჩენილიყო მისი ახალი კბილის ჯაგრისი, რომელიც დღეს დილით იყიდეს. ჰანემ ჯაგრისი აიღო და ოთახში შემობრუნდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია დირექციის ბარათი, რომ მისი აქ ყოფნა მათთვის არასასურველი გახლდათ. ჰანეს ცალ ხელში ჯაგრისი ეჭირა, მეორეში კი ეს ბარათი და ასე მიადგა რეგისტრატურას.

„ჩემი ძმის ნივთები სადაა?“ იკითხა მან.

„მას ნივთები აღარ დასჭირდება. კითხვებს ნუ გვისვამთ, დეზერტირის მფარველობისთვის თქვენც შეიძლება დაეპატიმრებინეთ“.

ჰანე თავის ოთახში შებრუნდა, ხელში რაც მოხვდა, ანგარიშიუცემლად ჩაყარა ჩანთაში, დანარჩენი როგორც ეყარა, ისე მიატოვა. ჯერ კიდევ ბნელოდა, სასტუმროდან რომ გამოვიდა და სადგურისკენ მიმავალ გზას დაადგა.

განთიადისას დატოვა მშობლიური ქალაქი.

გერმანულიდან თარგმნა  
დალი შანჯიკიძე

\* \* \*

გაცინებულს თითქმის ვერასოდეს ნახავ.

გალიმებულსაც კი.

მოძრაობებიც ისეთი მშვიდი აქვს, გამოზომილი, ზანტიც კი, მისი თანდასწრებით გახუმრებასაც მოერიდება – იუმორისას მაინც ვერაფერს გაიგებს და გაოცებულმა უნდა მიყუროს, ნეტა რას ლაპარაკობსო.

არადა, ბიძინა კვერნაძე იუმორად იღვრება, ამ სიტყვის სულაც პირდაპირი მნიშვნელობით.

მდუმარება ურჩევნია, ფიქრებსა და იდუმალ მელოდიებში ჩაძირვა, მაგრამ დაძრავს ხმას და მოფრინავს ფრთიანი სიტყვა, მოხდენილი, დახვეწილი ხუმრობა, მოსხლეტილი კალამბური.

მის სახელს უპირველესად მაინც ის ღრმააზროვანი, იუმორით გასხვივსებული სიტყვა უკავშირდება, ერთერთი საბჭოური დღესასწაულისას პარტიული ხელმძღვანელობა (ამხანაგები – როგორც მაშინ იხსენიებდნენ) მთანმინდის პანთონს რომ მიადგებოდნენ შავ-შავი ვოლგებით და სახელოვანი კომპოზიტორი გვერდით მდგომთ გადაულაპარაკებდა გაქვავებული გამომეტყველებით:

– მოშავდნენ!

ხან როგორი ტყვადია სიტყვა.

და ადამიანიც რა არის, არა? გაცინებით გულიანად გაცინებდნენ, მაგრამ პირველ მდივანს ჯერ ფეხიც არ



ჩამოედგა მანქანიდან, ერთმანეთს დაასწრებდნენ: ასე ბიძინამო.

ტურებს ზემოთ გალიმებდა მდივანი, არაფერს აგრძობინებდა ბიძინა კვერნაძეს, გულითადად მოიკითხავდა, გვერდით გაიყოლებდა, მაგრამ გამომშვიდობებისას ისევ ტურებს ზემოთ დაიმჩნევდა ღიმილს:

– ახლა წავშავდებით.

და მანქანის კარს გამოალებდა.

მუქარისა იყო – დღეს შეგრჩეს, მაგრამ სხვა დროს ამისთანებს მოერიდებო. მაშინაც კი აღარ აპატიებდა. ჯერ ახლაც რა ელოდა, ვინ განჭვრეტდა...

იმ დილას კი, ნაბახუსევზე, არაფრის თავი არა აქვს, რა ხუმრობა, რისი კალამბური, თავი შეუხვევია და სა-

ვარძლის საზურგეზე მიუდევს, მის მეუღლეს კი ქუთაისიდან შეეხმიანებია. ქალბატონი ნუგეშა გაიხარებს ძველი მეგობრის ხმის გაგონებით:

– ენძელა, როგორ ხარ, რამდენი ხანია ვეღარ შეხვდით.

და იქაურ სამეგობროს ჩამოყვება:

– ნარგიზა როგორ არის?... ია მომიკითხე აუცილებლად...

კომპოზიტორი გაბურბუსალებულ თავს წამოწევს:

– ვერ გამიგია, ქუთაისის ელაპარაკები თუ ბოტანიკურ ბაღს.

და ისევ სავარძლის საზურგეზე მისდებს.

\* \* \*

ნიგნი არ გამოცემულა აკაკი გელოვანისა – თარგმანი თუ ორიგინალური თხზულება – ზედ რამდენიმეც, თორემ ერთი ხომ აუცილებლად, მძაფრი კრიტიკული სტატია რომ არ მოჰყოლოდა.

მოსდებოდა ყველა ჟანრს და არსად ამოასუნთქებდნენ, ყველას გამოუშიგნავდნენ, ყველგან უმწეობას უკიჟინებდნენ, შეცდომებსა და ლაფსუსებს შეცდომებსა და ლაფსუსებზე დაუხვავებდნენ და საყვედურებით აავსებდნენ. ის კი არა თმობდა, ყოველთვის საპასუხო წერილს გაამზადებდა, ჯიუტად ცდილობდა შეცდომების დაცვას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. პასუხის ილუზიით მწვავე კრიტიკას ვერ აბათილებდა და მკითხველი საზოგადოების განწყობილება თანდათან და აშკარად მის საწინააღმდეგოდ მოიმართებოდა.

ნაკლებ ან სულ აღარ ენდობოდნენ.



მეგობრული შარჟი თენგიზ გოგოლაძისა

ნიგნები მაინც გამოდიოდა და, ერთერთმანეთზე რომ ააკოკოლავენდა პოლიგრაფიულად საუკეთესო გამოცემებს, გაყინული და ბედნიერი კრიტიკოსებს ნიშნს მოუგებდა: გაგსრესენ, ჩემი ნიგნები ზედ რომ დაგანყოთო.

აქ სრული გავლენა შეენარჩუნებინა – მიუხედავად იმ ზღვა კრიტიკული გამოხმაურებისა, მისი ნიგნების დაბრკოლება ვერ მოეხერხებინათ და „მითოლოგიურ ლექსიკონს“ ისეთ უზარმაზარს გამოსცემდა, მარტო ის გასრესდა რომელიმე ტანმორჩილ კრიტიკოსს.

მაინც როგორ მოეგვარებინა გამოცემათა ეს ტრიუმფალური მსვლელობა?

ისეთი ხვრელები მოეხსენებოდა, სხვებს რომ ვერ შეეღწიათ, გამოტყვებით კი არაფრისდიდებით არ გამოტყვებოდა და თავისი მარიფათის საიდუმლოებას სამარეში ჩაიტანდა.

მის მონინალმდეგეთაგან რამდენიმე ლიტერატორი თუ ედავებოდა გულწრფელად, სამწერლო ინტერესით, სხვა რამ განზრახვა რომ არც დაესიზმრებოდათ, ხოლო სხვებს მისი ეს დაუმცხრალი ენერგია უკარგავდათ მოსვენებას, ვის ახელებდათ, შურით შესცქეროდნენ მთასავით წამოკოკოლავებულ წიგნებს და ოცნებობდნენ იმ დღეზე, აკაკი გელოვანის დადუმებას რომ შეძლებდნენ.

ჯერჯერობით მათი საშველი არა ჩანდა.

ეგაა, გულს იოხებდნენ.

ეჭვად ისიც იცოდნენ, რომ მარტო თავისას კი არა წერდა და თარგმნიდა, სხვებსაც უწერდა და უთარგმნიდა. გასაგებია, ვინც შეერჩია საამისოდ და ვისაც დადგომდა იდუმალ თანაავტორად, ან რაღა თანაავტორად – გამოცემები ვის ხელთაც იყო ხოლმე ამა თუ იმ ხანს, და მისი მარიფათის საიდუმლოს ერთი მხარე ალბათ ესეც უნდა ყოფილიყო.

ეჭვად კი იცოდნენ, მაგრამ უფრო ჩაძიება და სულაც დაჯერება უჭირდათ: ჯერ თავისას როდის ასწრებს და ეს ხომ სულაც ფანტასტიკის სფეროში გადადის, სხვებს როდისლა ემსახურებაო.

თვითონვე გათქვამდა უნებურად.

გაოცება წამოაცდენინებდა:

– გამოვა ჩემი წიგნი და მაშინვე დამესვენებ, სიტყვა არ შემარჩინეს. გამოვა ჩემი დაწერილი წიგნი სხვების სახელით და ერთმანეთს ასწრებენ, გუნდრუკი როგორ უკმონ, ლამის დაახრჩონ ქება-დიდებათ. არადა, იმათაც ისევე ვუნერ, როგორც ჩემს თავს. ისე ეგონება კაცს, რომ იმათ წიგნებში მთელ ჩემს ძალ-ღონესა და ნიჭს ვხარჯავ და ჩემი ნაწერებისათვის აღარაფერი მრჩება, მაგრამ, ღმერთი, რჯული, ერთნაირად ვწერ.

ერთნაირად დაწერდა, ცხადია, თავის წიგნებს განზრახ ხომ არ გაავსებდა შეცდომებითა და უგემოვნობით.

მაგრამ იქ, მის ფარულ წიგნებში რატომ არ მოჩანდა ერთი უმნიშვნელო ლაფსუსი მაინც და რატომ ბრწყინავდა და ელვარებდა ყოველი სტრიქონი?

რომ მიმახვედრა, აუცილებლად გავამჟღავნებდი, მაგრამ მიხვედრა არ გინდა?

გუნდრუკი კი იკმეოდა, იკმეოდა და იკმეოდა...

\* \* \*

კიდევ ერთხელ შევდგებით ბორჯომში იმ სცენაზე, სადაც თევდორე შალიაპინს უმღერია.

ამას ყოველთვის სიამაყითა და სიხალისით აღვნიშნავთ ხოლმე.

მარინე გელაშვილი ჩვეული ხელოვნებით უძღვება ამ ლიტერატურულ თავყრილობასაც – რეჟისორიც თვითონვეა, მსახიობობასაც ითავსებს, რაც მთავარია, ახალგაზრდობას მოვლენია საუკეთესო აღმზრდელად. ცოტა გვეყავს ასეთი თავდადებული მოღვაწენი, მაგრამ ხომ მაინც არიან საქართველოს ყველა მხარეში და იმედითაც ეს გავსებს. კულტურული ცხოვრების რიტმს სწორედ ისინი განსაზღვრავენ და ერთნაირი სიმშვიდით ხვდებიან ბედსაც და უბედობასაც.

ნოდარ გრიგალაშვილსა და მე უკვე მოთავებული გვაქვს ჩვენი-ჩვენი გამოსვლა და დარბაზიდან შევეყურებთ სცენას.

მარინე სტუმართაგან საზოგადოებას წარუდგენს ანდრო ბედუკაძეს, როგორც ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორს საგურამოში, და ხალხი ამითაც მოიხიბლება, მერე კი ანდრო დარბაისლური მიხვრა-მოხვრით რომ დადგება ტრიბუნასთან და ღრმავაროვან მხერას მოავლებს დარბაზს, უკვე მქუხარე ტაში გადაივლის აუდიტორიაში. ამ ტალღაზე მოიმართებიან და მალიმალ აწყვეტინებენ სიტყვას ტაშისცემით.

ნოდარი აბუზღუნდება. მისი მშობლიური ქალაქი და... არა, ასე რამ გადარია ეს ბორჯომელები.

– ეს ანდრო რამ წამოგაყვანინა.



– რას გვერჩი?

– როგორ, კაცო, რეებს ლაპარაკობს!.. არ მოსწონს ხალხს, ხომ ხედავ, ძლივს უძლებენ... სხვა დროს ასეთი შეცდომა ნულარ მოგივა... რა გიყო, ძმაო, არ იცი ადამიანების ცნობა!..

არადა, ტაში ლამის ოვაციამი გადაიზარდოს, ცოტაც და...

ორატორი მჭევრმეტყველებაში ჩაფლულა, მაგრამ დარბაზშიც არაფერი ეპარება. ანდროც იქნება, გამოუპაროს!.. და გრძნობს, ისე ზუსტად გრძნობს ნოდარის განწყობილებას, თუმცე იმისი ბურტყუნი ტაშის გრიალში იკარგება და, სამარისებური სიჩუმეც რომ იყოს, სცენამდე მაინც ვერ მიაღწევდა. რაღაც უნდა იღონოს, თორემ სულ სცენაზე ხომ არ

იდგება. და მოულოდნელად ამოაკერებს:

– როგორც თქვენი თანამოქალაქე, ჩვენი შესანიშნავი მწერალი ნოდარ გრიგალაშვილი იტყოდა: საქართველო სულ უნდა გვახსოვდეს.

ეტყობა, რაღაც ძალიან ჭკვიანური უთქვამს მათ სისხლსა და ხორცს, თორემ ასე საგანგებოდ ხომ არ დაიმონებდნენ, თანაც ვინ – ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

და ნკიპზე რომ დგას ოვაცია, აქ უკვე მოსკდება და გუგუნ-გრიალში როდის-როდის ჩამესმის ნოდარის ყვირილი:

– ამ კაცს სად მაღავდი, რატომ არ მოგყავდა, ერთი ვიცოდე!.. უამისოდ აქ აღარ ჩამოხვიდე, – და მიღიმის, სანყენად არ მიიღოსო, ოღონდ ისიც რომ არ დასძინოს, ვერ მოისვენებს: რა გიყო, ძმაო, არ იცი ადამიანების ცნობა!..

ერთი მერცხლის ჭიკჭიკი

ბობი ფიშერი 14 წლისა იყო, როდესაც აშშ ჩემპიონი გახდა, 15 წლისას საერთაშორისო გროსმაისტერის ნოდება მიანიჭეს, ხოლო 16 წლის ასაკში უკვე სერიოზულად მიჩნეულენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად.

ფიშერის საჭადრაკო კარიერის ესოდენ ადრეული აელვარება ინვევდა არაჯანსაღ აუიოტაჟსა და მითქმა-მოთქმას. ვრცელდებოდა უსიამო ჭორები. მოარულ თემებად იქცა მისი უფიცობა, გამომწვევი ქცევა, ადებული მიხვრამოხვრა, ჭყეტელა პერანგები, განუყრელი საღეჭი რეზინი, და სხვ. მოჭადრაკეები ერთმანეთს უამბობდნენ ცხელ-ცხელ ანეკდოტებს ბობიზე, პრესაც ხელიდან არ უშვებდა სკანდალურ მასალას და იქმნებოდა ამერიკელი ვუნდერკინდის არცთუ მომხიბლავი პორტრეტი.

ის კი, საჭადრაკო დაფასთან ნაადრევად დაბრძენებული ყმანვილი, დროდადრო ბალღივით იქცეოდა. ადვილად სწყინდა უსამართლო კრიტიკაც და უწყინარი ხუმრობაც. სხვებზე უფრო მტკივნეულად განიცდიდა მარცხს. ერთხელ პარტია რომ წააგო და მეტოქეს ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად, თავი ველარ შეიკავა და... ატირდა!

ცნობილი საბჭოთა გროსმაისტერი ალექსანდრე კოტოვი პირველად შეხვედრია ბობი ფიშერს სტოკჰოლმის საზონათმორისო ტურნირზე 1962 წელს, როდესაც ამერიკელ ვუნდერკინდს უკვე მოესწრო საჭადრაკო სამყაროს გაოცება თავისი მართლაც გასაოცარი გამარჯვებებით.

კოტოვის წერაც ემარჯვებოდა და თავის საჭადრაკო ნარკვევთა ნიგნში გვიხატავს ფიშერის ობიექტურ პორტრეტს. მისი სიტყვით, ცხრამეტი წლის ბობის უფრო მეტს მისცემდით. ოლონდ დაბნეულად რომ გაიღიმებდა, ბავშვური გამომეტყველება მის ნამდვილ ასაკს მყისვე ამჟღავნებდაო.

და აი, კოტოვი შეუწელებელი ყურადღებით აკვირდება ფიშერს. ბობი საათობით უძრავად ზის საჭადრაკო დაფასთან და დაჰყურებს მთელი გულისყურით. მაყურებლის ჩქამზე შეიჭმუნება და მკაცრად გაჰხედავს სიჩუმის დამრღვევს. ზოგჯერ კი მსაჯს მიმართავს, დარბაზში წესრიგი დაამყარეთო.

კოტოვი გვაუწყებს, რომ პირველი შთაბეჭდილება ფიშერთან შეხვედრისას მკვეთრად განსხვავდებოდა იმისგან, რაც წაეკითხა უცხოურსა თუ საბჭოთა პრესაში. არც ყოყონობა შეუნიშნავს, არც გამომწვევი მოურიდებლობა, პირიქით – მოკრძალებული და თავდაჭერილი ეჩვენა. მოგვიანებით დარწმუნდა, რომ სიტყვაძვირიც იყო და ხანგრძლივ საუბარში ძნელად ჩაითრევდი. დუმილი ერჩივნა მასლაათს. კოტოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბობი არასოდეს კადრულობდა გესლიან შენიშვნებსა თუ ქედმაღალ ჭკუის დარღებებს თავისი მეტოქის მისამართით. მაშინ როდესაც, სიმართლეს თვალი რომ გავუსწოროთ, თამაშის კლასით ტურნირის მონაწილეთა უმეტესობაზე ერთი თავით მაღლა იდგაო.

საგარდერობოს ბნელ კუთხეში, მეტოქესთან ერთად, თურმე შუალამემდე არჩევდა ხოლმე ნათამაშე პარტიას და მეგარდერობენი ევედრებოდნენ, შინ გაგვიშვი, ოჯახი მოგვენატრაო.

გარეგნულადაც სრულიად სხვანაირი ყოფილა, ვიდრე ხატავდნენ სულშიძრომელი რეპორტიორები. მუდამ მონესრიგებული ცხადდებოდა ტურნირზე. ყოველდღე ახალი, გულდასმით გაუთოებული კოსტუმი ეცვა თეთრი პერანგი-

თა და გემოვნებით შერჩეული სადა ჰალსტუხით. შემდგომში კოტოვისთვის გაუმხელია: კოსტუმები ჩემი სუს-

ტი ნერტილი არისო. ამაყობდა, ჩვიდმეტი კოსტუმიდან ორი იმ მკერავთან შევიკერე, რომელიც ჯონ კენედის ემსახურებო.

უბრალო და ხათრიანი ჯველი – აი, ასე ახასიათებს წერაში განაფული საბჭოთა გროსმაისტერი თავისი ამერიკელ კოლეგას. კოტოვი მოგვითხრობს, ყოველი ტურის შემდეგ სასტუმროს ნომერში გვეწვეოდა და დაუსრულებელი ბლიცპარტიები ინყებოდაო. ისმოდა მეგობრული ხუმრობანი ინგლისურ და რუსულ ენებზე. ბობის საკმაოდ მდიდარი ლექსიკური მარაგი ჰქონია რუსულში, მაგრამ ამბობდა, კითხვა უფრო მეხერხება, ვიდრე ლაპარაკი (რუსული შეუსწავლია საჭადრაკო ლიტერატურის გულისათვის).

კოტოვი წერს: „თუკი საღამოობით ბლიცმატჩებში ფიშერი ხანდახან მარცხდებოდა, დღისით სატურნირო პარტიებში მან არ იცოდა, რა იყო ნული. ცხრილის გრაფაში ერთიანებს იშვითად თუ გამოერეოდნენ ნახევრები. ჭადრაკის მოყვარულსა და მცოდნეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ხილვა იმისა, სტრატეგიის როგორი ღრმა გაგებით აწყობდა თავის პოზიციას ამერიკელი ჩემპიონი, როგორ ოსტატურად ატარებდა მანევრებს, როგორ ზუსტად იყენებდა თუნდაც უმნიშვნელო უპირატესობას... ტურნირის შუაგზაზე უკვე ცხადი გახდა: ფიშერი არათუ მოხვდება პირველ ექვსეულში, რაც პრეტენდენტთა ტურნირში თამაშის უფლებას აძლევდა, არამედ პირველ ადგილს უთუოდ დაიჭერსო“.

ასეც მოხდა.

კოტოვის კეთილგანწყობა ჭაბუკი ფიშერის მიმართ გამონაკლისი არ ყოფილა. მისივე სიტყვით, ტიგრან პეტროსიანი და ეფიმ გელერი, არცთუ იშვითად, ნამოიძახებდნენ ხოლმე: ბობი – კაი ბიჭი არისო!

აქვე უნდა ითქვას, რომ კოტოვი ხარკს უხდის საბჭოეთში გაბატონებულ ტენდენციას და რამდენჯერმე მტკივნეულ ჩხვლეტას აყენებს ფიშერს. მაგრამ ეს ერთი კოვზი კუპრი, პოპულარული ანდაზის მიუხედავად, სრულიადაც არ აბინძურებს თავლით სავეს კასრს, რითაც საბჭოთა გროსმაისტერი უმასპინძლდება ბობის.

ერთი ლირიკული პასაჟიც დავიმონმოთ მისი წიგნიდან, რომელიც 1966 წელს არის გამოცემული:

„მორს, ოკეანის გადაღმა, ნიუ-იორკში, ბრუკლინის რაიონის დიდ, ოთხოთახიან ბინაში საჭადრაკო დაფასთან ხანგრძლივად ატარებს დროს ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ახლახან ოცდაორი წელი შეუსრულდა. ფიშერის ბინაში ყველაფერი ეთმობა და ემსახურება ჭადრაკს. აქ არის ორასამდე საჭადრაკო ნიგნი, დასტა-დასტად ჟურნალები შავ-თეთრი უჯრედებიანი დიაგრამებით და სამი საჭადრაკო დაფა – სამი სანოლის გვერდიგვერდ. ექსცენტრულ ახალგაზრდას მორიგებით სძინავს თითოეულ სანოლზე, როგორც მოეპირიანება. ჭადრაკი – მთავარი და ერთადერთი აზრია ფიშერის ცხოვრებისა. იგი ცდილობს ვითავისოს ყველაფერი, რაც შეიცნო და შექმნა კაცობრიობამ ამ ბრძნულ, ძველისძველ თამაშში... ეს ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი მარტოსულია. ნიუ-იორკში მას არა ჰყავს მეგობრები, კეთილმოსურნე კრიტიკოსები, მრჩეველები“.

გეამება, ამგვარ ტექსტს რომ კითხულობ. გაგიხარდება, რომ კაცი ასეთი სიმპათიით არის განწყობილი თავისი კოლეგის მიმართ, რაც არცთუ ხშირად გვხვდება ცხოვრებაში.

ვემსახურები სამომლოს

იმ სახლის ვესტიბიულში, სადაც ცხოვრობს უინსტონ სმიტი, კედელზე ჰკიდია ფერადი პლაკატი, რომელზეც გამოსახულია ვეებერთელა პირისახე ორმოცდახუთი წლის კაცისა. პირისახე ტლანქია, მაგრამ უხდება ამ მამაკაცს. სქელი, შავი ფერის ულვაშიც უხდება. პლაკატს ამშვენებს წარწერა: „უფროსი ძმა შენ გიმზერს“.

პლაკატები ულვაშა „უფროსი ძმის“ გამოსახულებით ყველგან არის გამოფენილი – მთელ ლონდონში.

სოციალისტურ ინგლისში, რომელიც ინგლისელი მწერლის პირქუში შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი გახლავთ, სახელმწიფო აპარატს შეადგენს ოთხი სამინისტრო: სიმართლის სამინისტრო, რომელიც განაგებს ინფორმაციას, განათლებასა და ხელოვნებას; მშვიდობის სამინისტრო, რომელიც განაგებს ომს; სიყვარულის სამინისტრო, რომელიც განაგებს წესრიგსა და სამართალს; ბარაქის სამინისტრო, რომელიც განაგებს ეკონომიკას.

ამ სახელმწიფოში გაბატონებულია სამი პარტიული ლოზუნგი: ომი – ესაა მშვიდობა, თავისუფლება – ესაა მონობა, უეცრობა – ესაა ძალა.

ასე იწყება დიდებული ინგლისელი მწერლის ჯორჯ ორუელის რომანი „1984“.

ეს სათაური სრულიად შემთხვევით დაიბადა, მასში არავითარი ღრმა აზრი არაა ჩაქსოვილი. ორუელმა ხსენებული რომანი დაასრულა 1948 წლის შემოდგომაზე, მაგრამ ნანარმოები უსახელო იყო. რამდენიმე სათაური შეარჩია და არც ერთი მათგანი არ ეხატებოდა გულზე. უკეთესს ეძებდა. საავტორო სწორებისას რომანის ბოლო გვერდზე მითითებულ თარიღს შეავლო თვლი და წამოჭრილი პრობლემა მარტივად გადაჭრა – ორი უკანასკნელი ციფრი გადაადგილა და მიიღო სათაური, რომელმაც ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა მთელ მსოფლიოში, რომ 1984 წელს აღნიშნეს სათაურის იუბილე.

რომანის მთავარი გმირი უინსტონ სმიტი, დისიდენტურად განწყობილი მოხელე სიმართლის სამინისტროსი, ბოლოს და ბოლოს მოხედება სიყვარულის სამინისტროს კლანჭებში, ხდება მსხვერპლი გაუგონარი წამებისა, მაგრამ საყვარელი ქალის განწირვის ფასად ცოცხალი რჩება და სულიერ კასტრაციას განიცდის.

ტოტალიტარიზმის მხილებითა და სიძულვილით გამსჭვალული რომანი ორუელისა ასე მთავრდება:

„უინსტონ სმიტმა მზერა შეაჩერა ვეებერთელა პირისახეზე. ორმოცი წელიწადი დასჭირდა საიმისოდ, რომ მიხვედრილიყო, როგორი ღიმილი იმალებოდა შავი ულვაშის სიღრმეში. ო, სასტიკი და სავეებით ზედმეტი უმძრახობა! ო, ჯიუტი და თავნება ლტოლვილი, რომელიც მოსიყვარულე მკერდს მოსწყდა! ორი კურცხალი ცრემლისა, ჯინით რომ იყო შეკაზმული, ჩამოჰყვა უინსტონის ცხვირ-პირს. მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა, ბრძოლა დამთავრდა. მან დაამარცხა საკუთარი თავი. მას უკვე უყვარდა უფროსი ძმა“.

ორუელის მიერ აღწერილი სახელმწიფო, რომელსაც „ანგოსოცი“ უწოდებდა, ყველაზე მეტად საბჭოთა კავშირს წააგავს, მაგრამ ერთი პროტოტიპით შემოზღუდვდა, უდავოდ, რომანის დაკნინება იქნებოდა. სხვა პროტოტიპებიც შეიძლება აღმოვაჩინოთ – როგორც წარსულში, ასევე აწმყოში.

... რამდენიმე წლის წინათ ინგლისურ პრესაში გამოქვეყნდა დოკუმენტები, საიდანაც შეიტყვევს, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლების დამლევს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუარსებიათ სუპერსაიდუმლო განყოფილება ინფორმაციისა. მისი ამოცანა იყო, დაზვერვასა და კონტრდაზვერვასთან ერთად, ენარბოებინა პროპაგანდისტული ომი საბჭოთა კავშირთან.

სპეცსამსახურთა ერთ-ერთი მიზანი, როგორც ცნობილია, გახლავთ აგენტების გადაბირება. „ფორინ ოფისს“ განსაკუთრებით სწუროდა ცნობილი მწერლებისა და პოლიტიკოსების მიზიდვა. ორუელი გემრიელი ლუკმა იყო. მისი ზღაპარი „პირუტყვთა ფერმა“ და რომანი „1984“ სარგებლობდნენ უდიდესი პოპულარობით.

და აი, 1949 წლის მარტში „ფორინ ოფისის“ მოხელე, მის კირვანი მიემუერება ორუელთან, რომელიც სანატორიუმში მკურნალობდა ტუბერკულოზს.

კირვანი მოახსენებს თავის უფროსებს, რომ ორუელი დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ახალ ამბავს, მაგრამ თავს ძალზე ცუდად გრძნობს და ანტისაბჭოთა სტატიების წერა ჯერჯერობით არ ძალუძსო. სამაგიეროდ, ორუელს შეუდგენია ვრცელი სია კოლეგებისა, რომელთაც „შეიძლება დაეყრდნო“. მათ შორის იყვნენ ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები, გამომცემლები. ორუელი დაწვრილებით ახასიათებდა ყოველ მათგანს. გარდა ამისა, მზად იყო, რომ მიენოდეებინა იმ სიტყვის ოსტატთა სია, რომელთა „ნდობა სახიფათოა“.

ინგლისში სვამენ კითხვას: ორუელის ამ საქციელს რა ედო საფუძვლად? პატრიოტიზმი... კომუნიზმის მტრობა... თუ ფულის მოვნაო? (აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობა „ფორინ ოფისთან“, მატერიალური თვალსაზრისით, გაცილებით მომგებანი იყო, ვიდრე მისი ლიტერატურული მოღვაწეობა).

ერთი ცნობილი პოლიტოლოგი წერს: „ორუელს ძალიან მოსწონდა და აფასებდა, რომ მისი ხალხის კერძო ცხოვრებაში არავინ არ ერევა, ხოლო საბჭოთა კავშირში სრულიად სანინალმდეგო ვითარება სუფევდა. ამდენად, ორუელის თანამშრომლობა ხელისუფლებასთან გასაგებია და მართებული“.

გახეთ „სანდი ტაიმისი“ მიმოხილველი კვერს უკრავს ამ ნათქვამს და შენიშნავს, რომ ჯორჯ ორუელი, უწინარეს ყოვლისა, იყო პატრიოტი და მერე კი – სოციალისტი.

სახელოვანი მწერალი გულწრფელად და ერთგულებით ემსახურებოდა სამშობლოს.

ქრონიკა

30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე საზოგადოებრივ რადიოში რუბრიკით „არა მხოლოდ დიასახლისებისთვის“ გრძელდებოდა სერიალი რადიოსპექტაკლისა „ეკლიანი და პატარა გზა“, რომელიც შეიქმნა როსტომ ჩხეიძის დეტექტიური ცდის მიხედვით და ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მკვლელობას.

სცენარის ავტორი და რეჟისორია კობა ცხაკაია, ხმის რეჟისორი იპოლიტე ზვიჩია, დადგმაში მონაწილეობენ მსახიობები: ლილი ხურთი, ზურაბ ჯინჭარაძე, სოსო ელიზბარაშვილი, ნუკრი არჩვაძე და დათო როსტომაშვილი.

ილია ჭავჭავაძის მონამებრივი აღსასრული კიდეც დიდხანს

ააღლევებს ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებას, როგორც მისტერიული აქტი, და არასოდეს გადაიქცევა მხოლოდ ისტორიად.

ეს სულია შენარჩუნებული როსტომ ჩხეიძის ამ პოსტმოდერნული ყაიდის ქმნილებაშიც და რადიოსპექტაკლშიც, რომელიც კარგად გააზრებული სცენარის, მარჯვედ მოძებნილი რეჟისორული სველებისა და მსახიობთა დახვეწილი ოსტატობის წყალობით დიდ ესთეტიკურსა და შემეცნებით ზემოქმედებას ახდენს მსმენელზე და წარმატებით აგრძელებს რადიოსპექტაკლების საუკეთესო ტრადიციას, რაც საზოგადოებრივ რადიოს თავის გამორჩეულ, განუმეორებელ ხიზლსა სძენს.